| 3. ვ. ლოლაძე<br>გ. ლოლაძე<br>ნ. ლოლაძე                        | 2014 12361 აკვატორიის<br>ფსკერიდან მოპოვებული<br>სასარგებლო წიაღისეულის | ქ. სამრეწველო<br>საკუთრების ბიულეტენი |

|  |                              |                            |
|--|------------------------------|----------------------------|
| <p>ვ. ლოლაძე<br/>         ი. ზუბიტაშვილი</p>   | <p>ტრანსპორტირების ხერხი</p> | <p>№7 (395) 2014 04 10</p> |
| <p style="text-align: center;"><b>ანოტაციები</b></p> <p>1. შემოთავაზებულია მრავალშრიანი მრავალფუნქციური შემომფარგლავი კონსტრუქციების (შემომფარგლავი კედლების გადახურვების, დახურვების) კონსტრუქციული გადაწყვეტები, რომლებშიც შრეებს გეგმაში აქვთ არა ზოლოვანი, არამედ ტეხილი, ტაღლოვანი, Π –სებრი და სხვა მოხაზულობა. შრეები ასრულებენ არა მხოლოდ კონსტრუქციულ, არამედ თბოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო ფუნქციებსაც. კედლების სპეციფიკური კონსტრუქციული გადაწყვეტის გამო მათი სიხისტე გაზრდილია კედლის მართობი სიბრტყის მიმართ ზოლოვან კედლებთან შედარებით. გაანგარიშებულია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.</p> <p>2. შემოთავაზებულია მრავალშრიანი შემომფარგლავი კედლების დაბეტონების ხერხი, რომელიც ითვალისწინებს ახალი ტიპის საყალიბე ფარების გამოყენებას. აღნიშნული ხერხის გამოყენებით შესაძლებელია როგორც მონოლითური, ასევე ანაკრები ბეტონის და რკინაბეტონის საკედლე კონსტრუქციების დაბეტონება. გათვალისწინებულია როგორც კონსტრუქციული (მზიდი), ასევე თბოსაიზოლაციო შრის დაბეტონება. უზრუნველყოფილია შრეების ერთობლივი მუშაობა</p> <p>3. Цель изобретения – транспортирование нефти, газа и газогидрата добываемых на дне или транспортируемых по дну, на поверхность акваторий без использования трубопроводных систем. Способ осуществляется использованием затопливаемых емкостей и, затем, их подъемом за счет приобретения ими положительной плавучести от их заполнения добываемыми на дне или транспортируемыми по дну нефтью, газом или газогидратом.</p> <p>Использование способа позволяет также транспортировать со дна на поверхность акваторий и до места разгрузки совместно с энергоносителями еще и рудные и/или нерудные материалы, имеющиеся на месте добычи энергоносителей.</p> |                              |                            |

**ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტი (104)**

დეპარტამენტის უფროსი: პროფესორი ლალი დოღელიანი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სრული პროფესორები:

ლალი დოღელიანი

ზურაბ გედენიძე

ნოდარ კოდუა

არჩილ მოწონელიძე

შალვა გაგოშიძე  
მირიან ყალაბეგიშვილი  
ამირან საყვარელიძე  
გიორგი დალაქიშვილი  
ზურაბ დანელია  
თეიმურაზ გველესიანი  
ასოცირებული პროფესორები:  
თამაზ ამბროლაძე  
პეტრე ჭიჭაღუა  
ალექსანდრე ახვლედიანი  
იუნონა მარგალიტაძე  
ავთანდილ გოგოლაძე  
ვასტანგ ნანიტაშვილი  
კონსტანტინე ხაზალია  
ასისტენტ პროფესორი:  
მარინე თოფურია  
აგროინჟინერიის მიმართულება:  
სრული პროფესორები:  
გივი გავარდაშვილი  
ასოცირებული პროფესორები:  
ზურაბ ლობჯანიძე  
დავით გუბელაძე  
შორენა კუპრეიშვილი  
რობერტ დიაკონიძე  
გოგა ჩახაია  
ნათელა მაჭავარიანი

ლევან წულუკიძე

მოწვეული პროფესორები:

თარხან თევზაძე

მარტინ ვართანოვი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის  
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

| №  | გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით   | სამუშაოს ხელმძღვანელი | სამუშაოს შემსრულებლები   |
|----|---|-----------------------|--|
| 1  | ელექტროენერგიაზე ტარიფის დადგენის პრინციპები და მეთოდოლოგია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში.                            | პროფ. ნ.კოდუა         | ასოც.პროფ. ა.ახვლედიანი  |
| 2  | ჰიდროინჟინერიაში გამოყენებული ტრადიციული და ახალი თაობის ცემენტის ფუძიანი კომპოზიციური მასალების მექანიკის საკითხები. | პროფ.ა.საყვარელიძე    | ტმკ ნ.ღუდუშაური<br>დოქტორანტი მ.კოდუა<br>ინჟინერი ნ.ნარიმანიძე   |
| 3  | ბეტონისა და თვითშემჭიდროებადი ბეტონის სიმტკიცისა და დეფორმაციის თვისებების შესწავლა-გაჭიმვისას.                       | პროფ.ა.საყვარელიძე    | პროფ.ა.საყვარელიძე<br>დოქტორანტი მ.კოდუა<br>ინჟინერი ნ.ნარიმანიძე  |
| 4. | თეძამის ჰიდროკვანძის პროექტის ექსპერტიზა  | პროფ.რ. ხუროძე        | ლ. ლოდელიანი;<br>ყალაბეგიშვილი;<br>ზ. ასკურავა;<br>ი. ქადარია;<br>ზ. ეზუგბაია;<br>ე. კაცაძა;<br>ნ. ქევხიშვილი;<br>ნ. ფოფორაძე. |
| 5  | არხაშენის ჰიდროკვანძის პროექტის ექსპერტიზა  | პროფ.რ. ხუროძე        | ლ. ლოდელიანი;<br>ყალაბეგიშვილი;<br>ზ. ასკურავა;<br>ი. ქადარია;   |

|  |   |   |
|--|---|---|
|  |   | ზ. ეზუგბაია;<br>ე. კაცაძე;<br>ნ. ქვეციშვილი;<br>ნ. ფოფორაძე |
| დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)                               |   |   |
| <ol style="list-style-type: none"> <li>1.</li> <li>2.</li> <li>4.</li> <li>5.</li> </ol> | <p>ნაჩვენებია, რომ გეგმიანი ეკონომიკის პირობებში რეკომენდებულ ელექტროენერგიაზე ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები მიუღებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ელექტროენერგია წარმოადგენს აუცილებელი მოხმარების საქონელს, რის გამოც საჭიროა მისი სიდიდე დაყვანილი იქნას მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობის დონეზე, ამ პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო პროექტის პარამეტრების განსაზღვრა. ასეთი პროექტით განსაზღვრულ ტარიფს ამტკიცებს სემეკი (საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია).</p> <p>სამუშაოში დასახულია ჰიდროინჟინერიაში სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების ასაგები ძირითადი მასალის, ცემენტის ფუძიანი კომპოზიციების ტექნოლოგიის საკითხების და სხვადასხვა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ფართო პროგრამა.</p> <p>პროგრამის ძირითადი მიზანია სამშენებლო მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა – დატვირთვებისა და ზემოქმედების სხვადასხვა პირობებში ტრადიციული და ახალი თაობის ცემენტის ფუძიანი კომპოზიტებში, დაძაბულ-დეფორმირებული რეალური მდგომარეობის ამსახველი სრულყოფილი მოდელების შექმნა.</p> <p>შექმნილი მოდელები საშუალებას გვაძლევს: შევიშაოთ კონსტრუქციებისა და შენობა-ნაგებობების საანგარიშო ახალი, გაუმჯობესებული მეთოდები და კომპიუტერული პროგრამები, რაც უზრუნველყოფს ეპოქის შესაბამისი სიმტკიცის, საიმედოობის და ხანმედგობის შენობა-ნაგებობების შექმნის ჰიდროინჟინერიაში.</p> <p>ჩატარებული იქნა თეძამისა და არხაშენის ჰიდროკვანძების პროექტების ექსპერტიზები, რომელთა საფუძველზე მოხდა:</p> <p>თეძამის კაშხლის დერძის ცვლილება; ზედაპირული წყალსაგდების გადაადგილება და კაშხლის გაანგარიშებების სრულყოფა;</p> <p>არხაშენის სიღრმული წყალმიმღების რეკონსტრუქცია (ხვრეტების რაოდენობის შემცირება და კვეთების არმირების ზრდა სიმტკიცის პირობის დაკმაყოფილების პირობის მიხედვით); საცემენტაციო გაღვრების დამატება და კაშხლის გაანგარიშებების სრულყოფა.</p> |   |

სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| №  | პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით   | დამფინანსებელი ორგანიზაცია   | პროექტის ხელმძღვანელი               | პროექტის შემსრულებლები       |
|----|--|--|-------------------------------------|------------------------------|
| 1  | “ბეტონის დეფორმაციის გამოკვლევა, პოლიგრაფიული ინტერფერომეტრის მეთოდით”.  | წარდგენილია რეცენზიაზე, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში                              | გ.დალაქიშვილი                       |                              |
| 2  | შავი ზღვის აუზის აჭარის რეგიონის მდინარეების ჰიდროეკოლოგიური მახასიათებლები და მათი მყარი ჩამონადენის ბუნებრივი ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნების გზები. | სსპი-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი 31/74   | ზ.დანელია<br>ნ.გოლიაძე<br>მ.თოფურია |                              |
| 3  | “ჰიდროსაინჟინრო და გარემოსდაცვითი პრობლემები, მათი გადაჭრის გზები შავი ზღვისპირა რეგიონში”   | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი<br><br>02.04.2012-<br>02.04.2014 | ი.ქადარია                           | შ.გაგოშიძე<br><br>ი.სალინაძე |
| 4. | “წყალსაცავების მოსიღვის შესწავლა და მისი ზეგავლენის შეფასება   | შოთა რუსთაველის ეროვნული   | ლ.ლოღელიანი                         |                              |

|   |  |   |                                  |  |
|---|--|---|----------------------------------|--|
|   | ევტროფიკაციის პროცესებზე (ჟინვალის წყალსაცავის მაგალითზე)  | სამეცნიერო ფონდი № 210/3-109/11 2012-15                         |                                  |  |
| 5 | Diagnostic and prognosis theoretical calculation methodology for identification of river, Lake and other water body quality change (caused by antropogenic factors). | Rustaveli Foundation<br>2014-16                                 | ლ.დოღელიანი<br>პროექტის მენეჯერი |  |
| 6 | “აგრარული საბაკალავრო პროგრამების განვითარება საქართველოში”.   | აშშ.აიოვას უნივერსიტეტისა და სტუ-ს ერთობლივი პროექტი<br>2013-15 | ლ.დოღელიანი                      |  |

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

2. დამთავრებულია III ტრანშის ანგარიშის საფუძველზე, წყალსაცავის დასილვის დამარეგულირებელი სქემის თაობაზე, ასევე დასრულდა მდინარის მოპოვებული სინჯების ქიმიური ანალიზი. მდინარის სინჯებიდან გამოყოფილი იქნა შეტივინებული ნივთიერებები. აღებული იქნა მდინარის ლამი. მიმდინარეობს წლის შედეგების დამუშავება. მდინარის წყლიდან გამოყოფილ (სედიმენტაციური მეთოდით ფრაქციონირებული) შეტივინებულ ნივთიერებებზე, კალაპოტის შექმნილ ქანებზე, ლამებზე დარკინის ჰიდროქსიდზე შესწავლილი იქნა ზოგიერთი ტოქსიკური ელემენტის (სპილენძი, ტიტანი, მანგანუმი, ვანადიუმი) სორბციის კანონზომიერებები.

3. დასრულდა 2014 წლის 2 აპრილს.

წარმოდგენილ იქნა ზღვის სანაპირო არეებსა და შესართავ აკვატორიებში ტალღებისა და ნატანის გავრცელების მაღალი სიზუსტის ანალიზური და რიცხვითი მათემატიკური მოდელები, ფოთის პორტის მოსილვების შემცირების მიზნით დასახული საინჟინრო ღონისძიებები, ნაპირდაცვის ესკიზური პროექტი.

სანაპირო არეებში ზღვის ტალღური მოძრაობებისა და ნატანის ტრანსპორტირების საკითხებზე შესრულდა ფუნდამენტურ-გამოყენებითი ხასიათის თეორიული კვლევები. ეს კვლევები, ეფუძნებიან რა გამოყენებითი მათემატიკის პირდაპირ და ასიმპტოტურ მეთოდებს, ფიზიკური პარამეტრებისა და პროცესების მიხედვით გახლეჩილ განტოლებათა სისტემების რიცხვით ამოხსნებს სასაზღვრო და სასრული ელემენტების გამოყენებით და ა.შ. საშუალებას გვაძლევს მაღალი სიზუსტით ავსახოთ ნებისმიერი კონფიგურაციის სანაპირო არეებში (კერძოდ ქ. ფოთის რეგიონში) ტალღური მოძრაობების, ნატანის ტრანსპორტირების, ნაპირების წარცხვისა და ფსკერის დეფორმაციების პროცესები და დავსახოთ შესაბამისი საინჟინრო ღონისძიებები ფოთის რეგიონში ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით.

4 განიხილება წყალსაცავების მოსილვისა და ევტროფიკაციის პროცესები. ცხადია ეს პროცესები ზოგად შემთხვევაში არ არის დამოკიდებული ერთმანეთზე. ასე მაგალითად,

წყალსაცავის მოსილვას ყველა შემთხვევაში არ მოსდევს მისი ევტროფიკაცია და პირიქით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწყებულია ევტროფიკაციის პროცესები (ფიტო და ზოოპლანქტონების რიცხოვნების პროგრესული ზრდა), რასაც ადგილი აქვს საქართველოს მრავალ წყალსაცავში. წყალსაცავების მოსილვა და შესაბამისად მისი მოცულობისა და სიღრმის შემცირება გავლენას ახდენს ევტროფიკაციაზე, აჩქარებს მას რადგან სინათლის შეღწევადობა ხდება წყლის მთელ სისქეში (ეს ხელს უწყობს ფოტოსინთეზის პროცესს) და ამასთან ერთად მოცულობის შემცირების გამო იზრდება წყლის საშუალო ტემპერატურა, რაც ასევე დადებითად მოქმედებს ბიოპოპულაციაზე. წყალსაცავების მოსილვის მექანიზმი დადგინდება ორფაზა ნაკადის დინამიკისა და მასის ბალანსის განტოლებების ამონახსნების შედეგების საფუძველზე. რაც შეეხება ევტროფიკაციის პროცესებს, ისინი აღიწერება ფიტო და ზოოპლანქტონის პოპულაციების ცვლილების ამსახველი ვოლტერა-ლოტკის ტიპის განტოლებებით, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს სინათლისა და წყლის ტემპერატურის ზრდის გავლენას ბიოპოპულაციის განვითარებაში. ასე რომ მოსილვის განტოლებების ამონახსნების გათვალისწინებით ევტროფიკაციის აღმწერ განტოლებებში დადგინდება აღნიშნულ პროცესებს შორის ურთიერთკავშირი. უნდა აღვნიშნოთ, რომ წყალმცენარეების, უფრო მეტად მაკროფიტული წყალმცენარეების, ჭარბი რაოდენობისა მნიშვნელოვნად იცვლება წყალსაცავში ნაკადების ჰიდრაულიკური ელემენტების მნიშვნელობა, იკლებს დინების სიჩქარეები, იცვლება მყარი ნატანის დანალექი პრიზმის მახასიათებლები. მიღებული შედეგების საფუძველზე დაისახება მოსილვისა და ევტროფიკაციის განვითარების საწინააღმდეგო ღონისძიებები, რომელთა გატარება გაახანგრძლივებს წყალსაცავის საექსპლუატაციო დროს.

5. განიხილება სხვადასხვა სახის წყალსატევებში: ტბებში; ჰიდროენერგეტიკულ და მელიორაციულ დანიშნულების წყალსაცავებში; ზღვის სანაპირო ზოლში, ყურეებში, ესტუარიებში და სხვა, სხვადასხვა სახის კატასტროფიული მოვლენებით ინდუცირებული ტალღების წარმოშობის პირობები. დადგენილი იქნება ადრული ტალღური პროცესების თავისებურებები კონკრეტული წყალსაცავებისათვის. განისაზღვრება იძულებითი ტალღების მახასიათებლების (სიმაღლე, სიგრძე, ფაზური და ორბიტალური სიჩქარეები, პერიოდი და სხვა) მნიშვნელობები. შესწავლილი იქნება მათი ტრანსფორმაცია ცვლადი სიღრმის წყალსაცავებში გავრცელებისას და მათი ზემოქმედება წყალსაცავის დახრილ ფერდობებზე და კაშხალზე. თაღოვან კაშხალზე ზემოქმედებისას დადგენილი იქნება კაშხალზე გადადინებული იძულებითი ტალღის მახასიათებლები (სიმაღლე, ხარჯი და სხვა).

მიწანაყარ კაშხლების შემთხვევაში გაითვლება ტალღების ზემოქმედებით გამოწვეული კაშხლის გარეცხვის სიღრმეები და მისი გარღვევის შემთხვევაში დადგინდება ხეობაში გარღვევის ტალღის ნაკადის პარამეტრები. განისაზღვრება გარღვევის ტალღის ტრანსფორმაცია ქვემო ბიევის ხეობის გასწვრივ. იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნული მოვლენების შედეგად განვითარებულ კატასტროფულ ტალღურ პროცესებზე დროული რეაგირება და დაისახოს ღონისძიებები შესაძლო ზარალის მინიმუმამდე დაყვანისათვის, აუცილებელია შემუშავდეს საანგარიშო-საპროგნოზო მეთოდები ადრული ტალღური მოვლენების, ფერდობებზე და კაშხლებზე გადადინებული ნაკადების, კაშხლის გარღვევის ტალღის და ხეობაში გარღვევის ტალღის ტრანსფორმაციის პარამეტრების დასადგენდ.



პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

| №  | ავტორი/ავტორები | მონოგრაფიის სათაური  | გამოცემის ადგილი,გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|--|-----------------|--|-------------------------------|---------------------|
| 1  | L.Gogeliani     | Hydraulics of stratified-density flows in hydraulic engineering. | Will be published in 2015     |                     |
| <p><b>1.</b>This monograph covers a series of problems of the hydraulics of stratified-density flows. Application areas of the hydraulics of such flows are illustrated by examples of water-development works, water supply and drainage systems.A great deal of attention is also given to the investigation of problems connected with the intrusion of landslides and avalanches into water storage reservoirs, ice-tongue creep and volcano lava flows into sea bays (fiords) and belonging partly to geophysics, hydraulic engineering and melioration. The approach to the hydraulics and hydrodynamics of stratified-density flows in hydraulic engineering, as it is interpreted by the author, demonstrates the efficient handling of important practical issues and actually gives rise to a new trend in theoretical hydraulics. The sphere of application of the density-stratified flow hydraulics is by no means limited to the class of problems considered in the monograph. It can be extended to a great many other problems related to hydraulic engineering, melioration, power engineering, drift of dunes under the action of wind, obstruction of roads by snow heaps, selective water intake from rivers, water storages, seas and so on.</p> |                 |  |                               |                     |

სახელმძღვანელოები

| № | ავტორი/ავტორები              | სახელმძღვანელოს სახელწოდება                   | გამოცემის ადგილი,გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|------------------------------|---|-------------------------------|---------------------|
| 1 | ი.მარგალიტაძე<br>ე.გუგუშვიძე | “საზღვაო ტრანსპორტი და გადაზიდვები”.          | (დამუშავების პროცესშია)       | 135-140             |
| 2 | პ.ჭიჭაძე                     | “ჰიდრონავიგაციის თერმოდინამიკური მდგომარეობის | მომზადებულია გამოსაცემად      |                     |

|   |                |  |  |
|---|----------------|--|--|
|   | გაანგარიშება”. |  |  |
| ანოტაციები  |                |  |  |
| <p>1. საქართველოს ბუნებრივი მდებარეობა და ამიერკავკასიაზე გამავალი სატრანზიტო გზების სიგრძე ბუნებრივი უპირატესობებია შუა აზიის სატრანსპორტო დერეფნისათვის, რასაც მნიშვნელოვნად ტრანსპორტის სხვა სახეობებთან კომპლექსში, საზღვაო პორტების განვითარება განაპირობებს, ამასთან დასავლეთი და ზოგადად მსოფლიოს ეკონომიკა, დაინტერესებულია სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციით- ალტერნატიული, რამდენიმე სატრანზიტო გზის არსებობით, იმ მიზნით, რომ ყოველთვის იყოს თავისუფალი კონკურენცია და ასევე, პოლიტიკური კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვნად არ იმოქმედოს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. საქართველო, რომელის ერთიან ევრაზიულ სივრცეში ფორმირებისაკენ ისწრაფვის, დედამიწის ორი ნაწილის, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი არეალის თავისებურ ცენტრად გვევლინება.</p> <p>2. განხილულია ჰიდრონაგებობების თერმოდამაბუთი მდგომარეობის ფორმირების პროცესები, მათში ტემპერატურული ძაბვების გამომწვევი ფაქტორები, ტემპერატურული ზემოქმედებების როლი, ამ კონსტრუქციების საერთო დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ჩამოყალიბებაში და მონოლითურობის დარღვევაში, გადმოცემულია მათი თერმორეჟიმისა და თერმოდამაბუთი მდგომარეობის გაანგარიშების, ბზარმდეგობის შეფასების მეთოდები, მოკლედ – თერმორეგულირების ღონისძიებები. დანართში მოყვანილია ამ ნაგებობების დაძაბული მდგომარეობის ლაბორატორიული მოდელური ექსპერიმენტული გამოკვლევის მეთოდები.</p> |                |  |  |

სტატიები

| № | ავტორი/ავტორები                               | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება   | ჟურნალის/კრებულის ნომერი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|---|---|--------------------------|--------------------------------|---------------------|
| 1 | ნ.კოდუა, ახვლედიანი, ა.გოგოლაძე, გ.ახვლედიანი | “დადგმული სიმძლავრის განსაზღვრა ნამახვანჰესის მაგალითზე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში.” სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “ჰიდროინჟინერია: | 1-2(15-16)               | თბილისი სტუ-ს გამომცემლობა     | 84-93               |

|    |  |  |                               |  |         |
|----|--|--|-------------------------------|--|---------|
| 2  | Archil Motsonelidze<br>Leontina Galdava                  | Effect of Static Cyclic Loading .....  |                               | თბილისი<br>სტუ-ს<br>გამომცემლობა   | 6       |
| 3  | Archil Motsonelidze<br>Leontina Galdava                  | Effect of slow static cyclic loading on the.....   |                               | თბილისი<br>სტუ   | 7       |
| 4. | გ.დალაქიშვილი<br>კ.ხაზალაია<br>ბაკალავრი<br>მ.პაპიაშვილი | ”ფიბრობეტონი<br>ჰიდროტექნიკურ<br>მშენებლობაში”.<br>სამეცნიერო-ტექნიკური<br>ჟურნალი “ენერჯია” | 3(71)                         | თბილისი<br>სტუ-ს<br>გამომცემლობა   | 5       |
| 5. | ი.მარგალიტაძე  | “საქართველოს, როგორც<br>სატრანსპორტო დერეფნის<br>როლი და მნიშვნელობა”.                       | (მიმდინარეობს<br>რედაქტირება) |  | 5       |
| 6. | ვ.ნანიტაშვილი  | “К расчету критических<br>углов боковой устойчивости<br>дождевальных установок<br>типа ДДЧ”. | 33                            | თბილისი<br>საქართველოს<br>სოფლის<br>მეურნეობის<br>მეცნ.აკად.<br>სამ. ჟურნალი<br>“მოამბე” | 165-168 |
| 7. | თ.ამბროლაძე  | ”კონცეფციების შესახებ<br>ჰიდროლოგიაში”.  | ხელნაწერი<br>დასრულებული<br>ა |  | 4       |
| 8. | А.Ахвледиани<br>А.Гоголадзе<br>Г.Ахвледиани              | Ветровые энергетические<br>установки (ВЭУ)<br>(технология, прошлое, настоящее и будущее)     | 4(35)                         | თბილისი<br>სამეც.<br>ტექნ. ჟურნ.<br>“მშენებლობა”.  |         |
| 9. | პ.ჭიჭაღუა<br>მ.ყალბაგაძე<br>მ.კოდუა                      | “ენგურჰესის კაშხლის<br>ექსპლუატაციის<br>პერიოდის, თბური                                      | 1(495) 2015წ.                 | თბილისი,<br>სტუ-ს<br>გამომცემ-   |         |

|    |   |   |            |   |         |
|----|---|---|------------|---|---------|
|    |   | რეჟიმის ანალიზი”.   |            | ლობა  |         |
| 10 | Sh.Gagoshidze<br>A.Gogoladze<br>M.kodua     | “On the action of Longitudinal waves on bank slopes of the soil channels”.  | 1-2(15-16) | Scientific-<br>Technikal<br>Journal<br>HydroEngine<br>ering           |         |
| 11 | Ш.Гагошидзе<br>М.Кодуа                      | Трансформация длинных волн в приустьевом взморье.   |            | Тбилиси<br>ГТУ  |         |
| 12 | ზ.ციხელაშვილი<br>თ.გველესიანი<br>კ.ხაზალია. | “მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების კომპლექსის ტალღაგენერატორებზე ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის დაგეგმვის მათემატიკურ-დესკრიფციული აღწერის სისტემური ასპექტები.” | 3(71)      | თბილისი<br>გამომცემ-<br>ლობა<br>“ენერჯია”                             | 26-28   |
| 13 | ზ.დანელია<br>მ.თოფურია<br>ნ.გოლიაძე         | “შეტბორილი ნაკადის ზედა ბიევის ფორმირების მაქსიმალური სიგრძის გაანგარიშება.”  | 4(35)      | თბილისი<br>ჟურნალი<br>“მშენებ-<br>ლობა”                               | 11      |
| 14 | Гагошидзе Ш.<br>Кадария Ю.<br>Сагинадзе И.  | «Устройство для поднятия донных наносов:<br>Определение основных конструктивных и режимных параметров».   | 2 14       | თბილისი<br>“საქართვე<br>ლოს<br>საინჟინრო<br>სიახლენი”                 | 70-73   |
| 15 | ზ.გედენიძე<br>ვ.მჭედლიშვილი                 | “მიწისქვეშა ნაგებობების სიმტკიცეზე გაანგარიშება,გარსთა ნახევრად უმომენტო თეორიის გამოყენებით”.  | 2(33)      | სტუ-ს<br>მშენებ-<br>ლობის<br>პროექტი-<br>რების და<br>ექსპერტი-<br>ზის | 121-126 |

|    |  |   |      |   |                                   |
|----|--|---|------|---|-----------------------------------|
|    |  |   |      | ცენტრი.   |                                   |
| 16 | ზ.გედენიძე<br>ვ.მჭედლიშვილი                          | “მიწისქვეშა ნაგებობების<br>ცილინდრული<br>გადახურვების<br>გაანგარიშება ლოკალურ<br>დატვირთვებზე.”   | №69  | თბილისი<br>სტუ-ს<br>წყალთა<br>მეურნეო-<br>ბის<br>ინსტოტუ-<br>ტის<br>სამეცნი-<br>ერო<br>შრომათა<br>კრებული |                                   |
| 17 | T.Gvelesiani<br>G.Jinjikhashvili<br>G.Berdzenashvili | On assessment of a dam<br>overtopping process duration<br>caused by seismogenic waves<br>in reservoirs.                                     |      |   |                                   |
| 18 | T.Gvelesiani<br>Z.Tsikhelashvili<br>G.Berdzenashvili | On research aspects of a new<br>type floating wave damping<br>complex for protection of<br>coastal line and open posts<br>from storm waves. |      | Tbilisi   | 102-106                           |
| 19 | ლ.ლოღელიანი<br>ე.ხატიაშვილი<br>ზ.ასკურავა            | წყალსაცავებში<br>მეწვერული და სხვა<br>მოვლენებით<br>წარმოქმნილი ტალღების<br>პარამეტრების დადგენა.   | №1   | ISSN 1512-<br>410X<br><br>სამეცნი-<br>ტექნიკ-<br>ურნალი<br>“ჰიდრო-<br>ინჟინერია”                          | ჩაშვებუ<br>ლია<br>გამოსაც<br>ემაღ |
| 20 | L.Gogeliani  | Aeration criterion of rapid<br>flows on the chute   | #1   | Tbilisi<br><br>ISSN 1512-<br>410X<br><br>“Hydroengin<br>eering”   | Will be<br>published              |
| 21 | L.Gogeliani  | “Hydraulics of different<br>density flows.”   | #1-2 | Tbilisi<br>2013-14<br>ISSN1512-<br>410X<br>“Hydroengin  | 15-16                             |

|    |   |   |    |  |  |
|----|---|---|----|--|--|
|    |   |   |    | ering<br>Scientific-<br>Technical<br>Journal                                     |  |
| 22 | დ.ლოღელიანი<br>ე.ხატიაშვილი<br>ზ.ასკურავა | “მეწვერების,სელების და<br>სხვადასხვა სახის<br>ჩამოქცეულ-დაცურებული<br>ქანების წყალსატევებში<br>შეჭრის დინამიკის<br>განტოლება და მისი<br>ამონახსნები.” | №1 | ISSN 1512-<br>410X<br><br>სამეცნ.-<br>ტექნიკ.<br>ჟურნალი<br>“ჰიდრო<br>ინჟინერია” |  |
| 23 | პ.ჭიჭაღუა<br>მ.ყალაბეგიშვილი<br>მ.კოდუა   | ენგურჰესის კაშხლის<br>ექსპლუატაციის<br>პერიოდის თბური<br>რეჟიმის ანალიზი.   |    | საქართვე-<br>ლოს<br>ტექნიკური<br>უნივერსი-<br>ტეტის<br><br>შრომათა<br>კრებული    |  |

ანოტაციები

1.საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეკომენდირებულია ჰესების ეკონომიკური ეფექტურობის დადგენა,სუფთა მიმდინარე ღირებულებებისა და ამონაგების შიდა ნორმის კრიტერიუმების გამოყენებით. სტსტიაში დასაბუთებულია,რომ ‘ნამახვანჰესის დადგმული სიმძლავრე,საბაზრო ეკონომიკის პირობებში,230მგვტ-ი.ამ სიმძლავრის პირობებში დადგენილია ჰესის მიერ გამოთქმული ელექტროენერჯის,შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებში,ტარიფები. მათი შესაბამისი საშუალო შეწონილი ტარიფი 6,81 ცენტ/კვტ.სთ-ია.

4. მოყვანილი არგუმენტებისა და ფაქტების საფუძველზე,შესაძლებელია ფიბრობეტონის გამოყენება ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში,კერძოდ: დაბალწნევიან კაშხლებში ქვედა წახნაგის დაბეტონებისას,წყალსაგდების პროფილისა და წყალსაცემი ჭების მოწყობის დროს და სხვადასხვა კონსტრუქციული ელემენტების ცვეთა-მედეგობის გასაზრდელად.

6.Рассматривается вопрос боковой устойчивости дождевальных установок на склонах. На основе балансового управления моментов сил действующих на установку при её работе на склоне, получена зависимость для определения координаты точки приложения реактивной силы создаваемой в высоконапорной струей дождевального аппарата относительно оси возможного опрокидывания иустановки.

7.სტატიაში განხილულია პრაქტიკული ჰიდროლოგიური ამოცანების გადაწყვეტის დროს გამოყენებული მათემატიკური კონცეფციები. მითითებულია,რომ ამ დროს ძირითად სიმძლავრებს წარმოადგენს შესასწავლი მოვლენის იდეალიზაცია,რაც ხდება საკითხის

გადაწყვეტის გამარტივების მიზნით. რის გამოც ამოხსნის სიმკაცრე და სიზუსტე არ არის ერთმნიშვნელოვანი და ხშირად ერთმანეთთან არ არის შეკავშირებული. ნაშრომში მითითებულია ჩვენი მოსაზრებები იმ პრინციპების შესახებ, რომელიც უნდა ახლდეს იდეალიზაციის პროცესს

8. Данная статья представляет собой дайджест новостей в области ветровой энергетики. По мнению её авторов работа несёт как познавательную так и научную информацию для специалистов работающих в этой области а также для широкого круга читателей интересующихся вопросами экологически чистойи возобновляемой энергетики В статье по возможности приводим все за и против ВЭУ. Необходимо отметить что Министерство Энергетики Грузии заявило о готовности построить первую в республике ветровую электростанцию в близи г,Гори

9. მოყვანილია ენგურჰესის ბეტონის თაღოვანი კაშხლის ექსპლოატაციის პერიოდის ტემპერატურული რეჟიმის გაანგარიშებებისა (არასტაციონარული თბოგამტარობის ორგანოზომილებიანი ამოცანის სასრულელემენტთა მეთოდით ამოხსნით) და ნატურული ექსპერიმენტული გამოკვლევების ანალიზის შედეგები, შედარებულია თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგები. შეფასებულია კაშხლის თერმორეჟიმი

11. Приводится асимптотическое решение задачи о распространении длинных волн в устьевом взморье. В качестве исходных используются линеаризованные уравнения мелкой воды. Показано что на уменьшающихся глубинах при распространении волн в сторону устья реки. Речное течение уменьшает интенсивность роста высот волны и одновременно воспрепятствует уменьшению ее длины. Полученные соотношения показывают что трансформация длины волны зависит не только от параметров речного потока и глубин моря но и от частоты волновых колебаний.

12. განხილულია მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმული მოდელების კომპლექსის ლაბორატორიულ პირობებში ტალღაგენერატორის დახმარებით ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის დაგეგმვის მათემატიკურ-დესკრიფციული აღწერის სისტემური ასპექტები. მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელების გამოყენება, რომელიც ექსპერიმენტების დამგეგმავ პერსონალს, საშუალებას აძლევს აქტიურად გამოიყენოს სპეციალისტ-ექსპერტთა ფსიქო-ფიზიკური ხასიათის ლოგიკური “არამკვეთრი მსჯელობები” ბმული მოდელების ექსპერიმენტული გამოცდის პროცესის მსვლელობის შესაძლო საგეგმო-რეალურ მდგომარეობათა სიმრავლის ასახვაში უგანზომილებო ხარისხობრივ-კრიტერიალური შეფასების სკალებში, შემდეგი გრადაციების შესაბამისად: “ცუდი მდგომარეობა”, “შუალედური მდგომარეობა”, “კარგი მდგომარეობა”.

13. სტატიის მიზანია შეტბორილი ნატანის ზედა ბიეფში ფორმირების დამთავრების შედეგად დანალექი ნატანის მაქსიმალური სიგრძის გაანგარიშება, ანუ მანძილი კაშხლიდან იმ კვეთამდე, სადაც წარმოებს ბუნებრივი და ახლადფორმირებული კალაპოტების შერწყმა, ამისათვის გამოყვანილია ფორმირებული ნაკადის დამყარებული ტრანზიტული ქანობის საანგარიშო დამოკიდებულებები.

14. В статье предлагается и описанно новое устройство для подъёма наносных отложений со дна реки. Устройство состоит из спирального газо-жидкостного наноса струеприёмника и

помпы,предназначенной для подъёма отложений.

Определены основные эксплуатационные и конструктивные характеристики этой установки.

15.ნაშრომში განხილულია კონტურით სახსრულად დაყრდნობილი და გრძივი კიდევით ხისტად (დრეკადად) ჩამაგრებული მიწისქვეშა ნაგებობების ცილინდრული ან მასთან მიახლოებული გადახურვების სიმტკიცეზე გაანგარიშება.

16. ნაშრომში გარეგანი ლოკალური დატვირთვა მოცემულია წვეტილ-მუდმივი ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივის სახით. გადამწვევტი დიფერენციალური განტოლება ამოხსნილია რადიალურ ჩაღუნვაში, რომლის მიხედვით ადვილად განისაზღვრება ძაბვის კომპონენტები.

17.გამოკვლეულია მათემატიკური მოდელირების საფუძველზე წყალსაცავში ცუნამის ტიპის ტალღების დინამიკის სრული სურათი საანგარიშო პარამეტრების ცვლილებების ფართო დიაპაზონში კაშხლის ბიეფებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

18. დამუშავებულია ანალიზური დამოკიდებულება ზღვის შეღფში განლაგებული მარტივი სახის ტალღაჩამხშობის (ბარიერის) ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასების მიზნით

19.მიღებულია წყალსაცავში მეწყერული და სხვა სახის (ქანებისჩამოქცევა, სელური ნაკადები და სხვა) მოვლენების გამო ქანების შეჭრის შედეგად აღძრული იძულებითი ტალღების მახასიათებლების საანგარიშო დამოკიდებულებები. აღნიშნული დამოკიდებულებები გამომდინარეობს ტალღური მოძრაობის ჰიდრომექანიკის ერთგანზომილებიანი განტოლების სისტემის ამონახსნებიდან.

გაანგარიშებით მიღებული შედეგების შედარება ვაიონტის (იტალია) წყალსაცავში მიწისძვრით პროვოცირებული მეწყერის შეჭრისას დაფიქსირებულ მონაცემებთან, პრაქტიკულად ემთხვევა გათვლებით მიღებულ შედეგებს, რაც ადასტურებს მათი საიმედოობის მაღალ ხარისხს.

20. სტატიაში მოცემულია თეიმურაზ ვოინინ-სიანოჟენსკის სწრაფდენებზე მძაფრი ნაკადის აერაციის ცნობილი კრიტერიუმის დაზუსტების მცდელობა იმ შემთხვევისთვის, როდესაც ქვედა ნაკადი მოძრაობს უფრო მეტი სიჩქარით ვინემ ზედა, ხოლო ჰაერის ფენა უძრავია.

21. ჰიდროდინამიკური მიდგომების საფუძველზე შედგენილია განტოლებათა სისტემები სხვადასხვა სიმკვრივის მქონე ორფაზა ნაკადისათვის, რომელშიც სიმკვრივე ნახტომისებურად იცვლება გარკვეულ სიღრმეზე. შესწავლილია გამყოფი ზედაპირის მდგრადობა. მიღებულია ჰიდრაულიკის ერთგანზომილებიანი განტოლებათა სისტემა.

22. სტატიაში განხილულია მეწყერების, სელების, ზეაგების და სხვადასხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური მოვლენებით გამოწვეული ჩამოქცეულ-დაცურებული ქანების მასების წყალსატევებში შეჭრის პროცესები. შედგენილია დინამიკის განტოლება, რომელიც აღწერს ისეთი მასივის მოძრაობას, რომლის ნაწილიც მოძრაობის დაწყებამდე ნაწილობრივ წყალქვეშაა. ამიტომ კულონის “მშრალი” ხახუნის ძალებთან ერთად განიხილება როგორც შუბლა ჰიდროდინამიური, ასევე წყლის მიერთებული მასების, ტალღური წინაღობებისა და,



აგრეთვე სეისმური ძალების ზემოქმედებაც.

მიღებულია საანგარიშო დამოკიდებულებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია შესრულდეს ჩამოქცეულ-დაცურებული მასების მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრა შემდეგი შემთხვევებისათვის:

- სეისმური ძალების გათვალისწინებით და მათ გარეშე;
- მასივი შეჭრისას განლაგებულია მთლიანად ხმელეთზე;
- მასივი შეჭრისას ნაწილობრივ ან მთლიანად წყალქვეშაა.

მიღებული დამოკიდებულებებით შესრულდა ე.წ. “საანგარიშო მოდელირება” ვაიონტის წყალსაცავზე მომხდარი კატასტროფისათვის. შედეგებმა ცხადყო მეთოდის საიმედოობა.

23 ნაშრომში მოცემულია ენგურჰესის თაღოვან კაშხალში ტემპერატურული ველის გაანგარიშება სასრული ელემენტების მეთოდის გამოყენებით არასტაციონალური რეჟიმის მიხედვით. რიცხვითი შედეგების ანალიზი ჩატარებული იქნა ექსპლუატაციის 2 წლიანი პერიოდის მიხედვით. მიღებული იქნა თაღოვანი კაშხალის ტანში არასტაციონალური ტემპერატურული ველის განაწილება და ექსტრემუმი სეზონებისა და წყალსაცავში წყლის დონის სხვადასხვა მნიშვნელობის მიხედვით.

## ბ) უცხოეთში

### მონოგრაფიები

| № | ავტორი/ავტორები     | მონოგრაფიის სახელწოდება   | გამოცემის ადგილი,გამომცემლობა       | გვერდების რაოდენობა |
|---|---------------------|---|-------------------------------------|---------------------|
| 1 | Archil Motsonelidze | Methods of strength analysis of concrete dams progress pathway. | Germany,Lambert Akademic Publishing | 203                 |

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| № | მომხსენებელი/მომხსენებლები                           | მოსხენების სათაური  | ფორუმის ჩატარების ადგილი  |
|---|--|---|---|
| 1 | ნ.კოდუა, კ.ხაზალია                                   | ”ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისათვის ინვესტიციების მოსაზიდად საჭირო ცვლილებების შესახებ, სემეკის მიერ შემუშავებული ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში”. | თბილისი<br>17-18 ოქტომბერი<br>მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია-IEC2013<br>“ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ”. |
| 2 | მ.კოდუა<br>შ.გაგოშიძე                                | “ზღვის სიღრმითი წყალსაგდები კოლექტორების ჰიდრაულიკური გაანგარიშების მეთოდი”   | მე-4 საერთაშორისო კონფერენცია<br>“გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები”,<br>თბილისი, სტუ.                            |
| 3 | T.Gvelesiani<br>G.Berdzenashvili<br>G.Jinjikhashvili | Modeling aspects of wave generation processes in reservoirs under seismic action.   | Tbilisi<br>Internacional Conference Seismics-2014<br>29-30 May  |
| 4 | T.Gvelesiani<br>T.Chelidze<br>G.Jinjikhashvili       | Oscillation properties of tsunami type waves due to an earthquake in reservoirs.  | Tbilisi<br>Internacional Conference Seismics-2014<br>29-30 May  |
| 5 | M. Kalabegishvili, I.Gudjabidze,<br>Z. Lebanidze     | Rikoti tunnel operational problems and seismic stability  | 2014 Tbilisi  |

მოსხენებათა ანოტაციები

1. სტატიაში მოყვანილია ის მიზეზები,რის გამოც,სემეკის მიერ,შემუშავებულია და სახელმძღვანელოდ რეკომენდებული “ელექტროენერჯის წარმოების,გადაცემის,დისპეჩერიზაციის და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია”ხელს ვერ შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას ახალი ელექტროსადგურების ასაშენებლად.მეთოდოლოგიაში ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობის დაცამტიცებლად რეკომენდებული ერთეული გამომუშავებული ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ღირებულების დადგენის კრიტერიუმი (WACC)

მიუღებელია ,რადგან ის ვერ ითვალისწინებს ინვესტირებული კაპიტალის დროში გაუფასურებას. ინვესტორისთვის მისაღებია მხოლოდ სუფთა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმი NPV, რაც მეთოდოლოგიაში არაა გათვალისწინებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ WACC-ის საანგარიშო ფორმულა არასწორად არის დაწერილი.

2. მიმოხილულია ზღვისა და ჩამონადენი წყლის ურთიერთქმედების პრობლემა მდინარეთა შესართავ უბნებში. მიღებულია სიღრმით წყალსაგდებ ნაგებობებში მარილიანი წყლის სოლის შეჭრის მაქსიმალური ზომების საანგარიშო ფორმულები,მათი ფსკერის სასრული ქანობების მხედველობაში მიღებით,რის გათვალისწინებაც აუცილებელია განსაკუთრებით საქართველოს შავიზღვისპირეთში ფიდროტექნიკური მშენებლობის განხორციელებისას.

3 დამუშავებულია წყალსაცავებში მიწისძვრის დროს. ცუნამის ტიპის ტალღების კაშხალთან აგორების სიმაღლის განსაზღვრის მეთოდიკა,რომლის გამოყენება აუცილებელია სეისმოაქტიურ რეგიონებში განლაგებული კაშხლების ბიეფებში შესაძლო ექსტრემალური ჰიდროდინამიკური ზემოქმედების საფრთხის პრევენციის მიზნით.

4. მიღებულია საანგარიშო ფორმულა,რომლის საშუალებით შეიძლება წყალსაცავში სეისმოგენური ცუნამის ტიპის ტალღის კაშხალზე შესაძლებელი გადაღინების პროგნოზირება, რაც აუცილებელია საგანგებო პირობებში მოქმედების გეგმის (EAP) დამუშავებისას.

5. სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე დამუშავებული იქნა „გვირაბი მასივი“ სისტემის სეისმომედევობაზე გაანგარიშების კვზისტატიკური მოდელი (გრძივი და განივი გრძელი სეისმური ტალღების კომბინაცია), რომელიც საშუალებას იძლევა შეფასებული იქნას მოკეთებისა და მასივის ერთობლივი მუშაობა მათ შორის კონტაქტის სიმტიციის (გაჭიმვისა და ძვრის ბზარების გაჩენა) და რღვევის, ასევე მასივისა და მოკეთებაში ბზარგანვითარების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი მეთოდიკის საფუძველზე დამუშავებული იქნა რიკოთის სატრანსპორტო გვირაბის სარეაბილიტაციო კონსტრუქცია

ბ) უცხოეთში

| №  | მომხსენებელი/მომხსენებლები  | მოხსენების სათაური   | ფორუმის<br>ნატარების ადგილი   |
|----|---|--|---|
| 1  | Archil Motsonelidze<br>Vitali Dvalishvili   | Effect of Ageing and<br>Cyclic loading on the<br>Strength of Gravity<br>Dams.                                    | 26-28 May,2014<br>Delft,the Netherlands   |
| 2  | Sh.Gagoshidze   | Poti port: The<br>geomorfological<br>processes in the coastal<br>zone of Poti and the ways<br>of their solution. | 25-29 November,2014<br><br>Turkey, Trabzon<br><br>Karadenisis Technical<br>University,<br><br>2-nd Steering<br>Committee<br>meeting,Integrated<br>Coastal Monitoring of<br>Environmental<br>Problems in Sea<br>Region and the Ways<br>of their<br>Solution(ICME). |
| 3  | მ. ყალაბეგიშვილი  | Nonstationary thermal<br>regime and cracking in<br>arch dams   | 2014, HYDRO 2014,<br><br>Itali, Como  |
| 3. | <p style="text-align: center;">მოხსენებათა ანოტაციები</p> <p>ნაშრომში განხილულია არასტაციონალური ტემპერატურული რეჟიმის კვლევის შედეგები თეორიული გაანგარიშებებისა (მრავალწლიანი ციკლის) და ინსტრუმენტული (მათ შორის კლინომეტრები, ტილტმეტრები და თერმომეტრების) გაზომვების შედეგების მიხედვით.</p> <p>წარმოდგენილ ნაშრომში კაშხლის ტანში არასტაციონალური ტემპერატურული ველის სასრულ-ელემენტული მოდელის კვლევის საფუძველზე შეფასებული იქნება:</p> <p>კაშხლის ტემპერატურული რეჟიმები, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ზაფხულის თბილი პერიოდიდან ზამთრის ცივიპერიოდში გადასვლისას</li> </ul> |  |   |

|  |
|--|
| <p>კაშხლის ტანის წახნაგებთან ტემპერატურული ვეილს ასისმპტოტური განაწილებას;</p> <p>- კრიტიკული გრადიენტები, რომლის დროს ირღვევა ბეტონის სიმტკიცის პირობა;</p> <p>კაშხლის სადაწნეო და უდაწნეო წახნაგებზე ბზარგანვითარება (რღვევის მექანიკის კრიტერიუმების გამოყენებით);</p> <p>თაღოვანი კაშხლის ტემპერატურულ-დეფორმირებული მდგომარეობა 2006 წელს წყალსაცავის რეჟიმულ და არარეჟიმულ შევსებასთან დაკავშირებით.</p> |
|--|

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

| №   | გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით | სამუშაოს ხელმძღვანელი | სამუშაოს შემსრულებლები |
|---|---|-----------------------|------------------------|
| 1   | ნარეკვავის კაშხლის მდგრადობის შეფასება გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით.                                | ო. ქუცნაშვილი         | მ. ყალაბეგიშვილი       |
| 2   | ხრამჭეს 2-ის ჰიდროკვან ძის ნაგებობათა საექსპლუატაციო მდგომარეობის შეფასება.   | მ. ყალაბეგიშვილი      | მ. ყალაბეგიშვილი       |
| 3   | ნამახვანჭესების კასკადის ალტერნატივების დამუშავება.   | გაზის კორპორაცია      | მ. ყალაბეგიშვილი       |
| <b>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</b>   |   |                       |                        |
| <p>1. თეორიული გააგარიშებების შედეგებით მიღებული იქნა: ნარეკვავის კაშხლის ტანში დეპრესიის ზედაპირი, რომელიც კარგ შესაბამისობაშია კაშხლში არსებული პიეზომეტრული ჭაბურღილებით მიღებული გაზომვების შედეგებთან;</p> |   |                       |                        |

ზედა და ქვედა ფერდები აკმაყოფილებენ მდგრადობის პირობას III კლასის კაშლების მოთხოვნების მიხედვით საექსპლუატაციო დატვირთვების სტატიკური და სეისმური ზემოქმედებისას (8 ბალიანი მიწისისძვრის შესაბამისად).

2. ვიზუალური დათვალიერების, ასევე თეორიული გაანგარიშების შედეგების საფუძველზე შეფასებული იქნა ხრამქვს-2-ის ჰიდროკვანძში შემავალი ნაგებობების (კომბინირებული კაშხლის, ყარაბულახისა და ჩოჩიანის კაშხლების ასევე დერივაციული გვირაბისა და სატურბინო მილსადენის) საექსპლუატაციო მდგომარეობა. მთლიანობაში ძირითადი ნაგებობების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა არსებობს გარკვეული დაზიანებები, რომლებიც მოითხოვს რეაბილიტაციას.

3. ჩატარებული იქნა ნამახვან ჰესების კასკადის ახალი ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, რომლის საფუძველზე მიღებული იქნა 2 საფეხურიანი სქემის უპირატესობა 3 საფეხურიანთან შედარებით.

**აგროინჟინერიის მიმართულების 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში**

\* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

| № | გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით              | სამუშაოს ხელმძღვანელი | სამუშაოს შემსრულებლები   |
|---|--|-----------------------|--|
| 1 | საქართველოს ტერიტორიაზე სტიქიებით გამოწვეული სენსიტიური უბნების დადგენა და მათი კალასიფიკაცია მოსალოდნელი რისკის გათვალისწინებით | რობერტ ღიაკონიძე      | ოთარ ნათიშვილი, ზემფირა ჭარბაძე, ქეთევან დადიანი, ნინო ნიბლაძე |

| დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)  |  |                       |   |
|---|--|-----------------------|---|
| 1   | დამუშავებულია სენსიტიურობისა და რისკების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ რომელი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაა უფრო პრიორიტეტული საქართველოს პირობებისათვის. |                       |   |
| 2   | სამუშაოს დასახელება  | სამუშაოს ხელმძღვანელი | სამუშაოს შემსრულებლები  |
|   | გლობალური კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ეგზოგენური პროცესების საწინააღმდეგო თანამედროვე საინჟინრო-ეკოლოგიური ღონისძიებების დამუშავება<br>(გარემოს დაცვა)                                    | გოგა ჩახაია           | 1. ლევან წულუკიძე,<br>2. ედუარდ კუხალაშვილი,<br>3. დავით კერესელიძე,<br>4. თამრიკო სუპატაშვილი,<br>5. ირინა ხუბულავა,<br>6. გიორგი ომსარაშვილი,<br>7. ოთარ ოქრიაშვილი,<br>8. ნათია სუხიშვილი, |
| დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)  |  |                       |   |
| <b>კვლევის მიზანი:</b>  |  |                       |   |
| <p>ნიადაგის ეროზიის, ღვარცოფული და მეწყრული მოვლენების, თოვლის ზეგავების საწინააღმდეგო მსოფლიოში არსებული თანამედროვე ღონისძიებების ანალიზი და არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული ნეგატიური ეგზოგენური პროცესების საწინააღმდეგო ეფექტური და რესურსმზოგი საინჟინრო ღონისძიებების შემუშავება.</p> |  |                       |   |
| <b>კვლევის ობიექტი:</b> გარემოს დამცავი საინჟინრო და ბიოსაინჟინრო ღონისძიებები  |  |                       |   |
| <b>მოსალოდნელი შედეგები:</b> შემუშავდება ეფექტური და რესურსმზოგი გარემოს დამცავი ღონისძიებები.  |  |                       |   |
| <b>გამოყენების სფერო:</b> შემუშავებული საინჟინრო და ბიოსაინჟინრო ღონისძიებები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნეგატიური ეგზოგენური პროცესების (ნიადაგის ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი, თოვლის ზეგავი) სტაბილიზაციის მისაღწევად.   |  |                       |   |

\* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| №  | პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით  | დამფინანსებელი ორგანიზაცია                     | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები  |
|--|--|--|-----------------------|---|
| 1  | FR/115/9-180/13<br>შავი ზღვის წყლის ხარისხის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და ზღვისპირეთის აბრაზიული პროცესებისაგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებების დამუშავება საქართველოს საზღვრებში. | სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | რობერტი დიაკონიძე     | ევეგენია შენგელია, გივი გავარდაშვილი, გოგა ჩახაია, ლევან წულუკიძე, ზურაბ ვარაზაშვილი, თამარ სუპატაშვილი |
| დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)  |  |  |                       |   |
| გრანტის დამუშავების პირველი წელს შერჩეულია ზღვისა და მდინარეების წყლის სინჯების ასაღები პუნქტები, განხორციელდა აღებული სინჯების ლაბორატორიული გამოკვლევები, კურორტ ანაკლიაში ზღვის შეღწევაში განხორციელებულია საგრანტო პროექტის გეგმით გათვალისწინებული ტერიტორიის ექოლოტირება. მიმდინარეობს ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლა. |  |  |                       |   |
| 2  | პროექტის დასახელება  | დამფინანსებელი ორგანიზაცია                     | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები  |
|  | მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი<br><br>აგრარული მიმართულება   | სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | შორენა კუპრეიშვილი    | -   |



დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

მეცნიერების, საინჟინრო საქმის და ტექნოლოგიის მსოფლიო აკადემიის WASET-ის ორგანიზებით პარიზში (საფრანგეთი) სასტუმრო „ჰოლიდეი ინ პარიზი, მონპარნასში“ (დუ მაინეს გამზირი 79-81, პარიზი, 75014, საფრანგეთი, ტელ: ++33-1-43201393, ფაქსი:

++33-1-43209560), გაიმართა XII საერთაშორისო კონფერენცია „გარემოს, ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ მეცნიერებებსა და საინჟინრო საქმეზე“ (2014 წელი, 21-22 ნოემბერი, საფრანგეთი), რომელშიც მონაწილეობდა 13 ქვეყანა დიდი ბრიტანეთიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან, ინდოეთიდან, რუსეთიდან, კორეიდან, ალჟირიდან და სხვ.

პარიზის (საფრანგეთი) საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა ქართველი მეცნიერის საშუალება იყო იმისა, რომ ყურადღება გაგამახვილებული ყოფილიყო არა მარტო ტექნიკურ სამუშაოებზე არამედ იგი ორიენტირებული იყო შესაბამისი უნარების შექმნაზე, როგორცაა გარემოსდაცვითი ცოდნისა და პროექტის მართვის უნარების გაუმჯობესებაში; საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოს წარმოჩენა, როგორც გარემოსდაცვით ღონისძიებებში აქტიური მონაწილისა; გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ღონის ამღვებებსა და მისი მხარდაჭერაში საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს, მსოფლიო მიღწევების საერთაშორისო პოპულარიზაციას და ოქროს საწმისის არგონავტების ქვეყნის იმიჯის გაძლიერებას.

| 3 | პროექტის დასახელება   | დამფინანსებელი ორგანიზაცია   | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები  |
|---|---|--|-----------------------|---|
|   | რუსეთის მიერ კურორტ ბორჯომის ხეობაში განხორციელებული ეკოციდის (2008 წელი) შედეგად წარმოქმნილი სენსიტიური უბნების მოწვევადობის შეფასება და ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო ეფექტური სტრატეგიის შემუშავება (გარემოს დაცვა) | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. | გოგა ჩახაია           | ზურაბ ვარაზაშვილი, შალვა ბოსიკაშვილი, ლევან წულუკიძე, გივი გავარდაშვილი, რობერტ დიაკონიძე, თამრიკო სუპატაშვილი, ირინა ხუბულავა, გიორგი ომსარაშვილი, |

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

**კვლევის მიზანი:** საგრანტო პროექტის მიზანია ბორჯომის ხეობაში ხანძრის შედეგად

წარმოქმნილი სენსიტიური უბნების (ეროზიულ-ღვარცოფული კერები) მოწყვლადობის შეფასება და ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო თანამედროვე რესურსმზოვი ღონისძიებების შემუშავება იქ არსებული ბიომრავალფეროვნების აღსადგენად;

**კვლევის ობიექტი:** ბორჯომის ხეობაში არსებული ნახანძრალი ფერდობი;

**მოსალოდნელი შედეგები:** ნახანძრალ ხეობაში შესაძლებელი იქნება ეროზიული პროცესების სტაბილიზაციის მიღწევა და მსოფლიოში ცნობილი კურორტ ბორჯომის უნიკალური ტყის მასივების სწრაფი ტემპით აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენას და ადგილობრივ მოსახლეობას და რეგიონს (სამცხე ჯავახეთი) დაუბრუნებს მდგრადი განვითარების შესაძლებლობას.

**გამოყენების სფერო:** გეოხალია “ნესგეო” შესაძლებელია გამოყენებული იქნას მოწყვლადი (ნახანძრალი, ეროზირებული) ფერდობების სტაბილიზაციისა და ბიომრავალფეროვნების აღდგენის მიზნით.

**\* პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

**მონოგრაფიები**

| № | ავტორი/ავტორები | მონოგრაფიის სათაური  | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა   | გვერდების რაოდენობა |
|---|-----------------|--|--|---------------------|
| 1 | დავით გუბელაძე  | საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების მართვა                              | თბილისი<br>მომზადებულია სტამბაში<br>გადასაცემათ<br>ელ ვერსია<br>რედაქტირების პროცესშია | 500                 |
| 2 | დავით გუბელაძე  | მდინარის კალაპოტში ნატანის მოძრაობის კანონზომიერებანი და გაანგარიშების | თბილისი<br>ელ ვერსია<br>მომზადებულია სტამბაში  | 250                 |

|  |  | მეთოდები | გადასაცემათ |  |
|--|--|----------|-------------|--|
| ანოტაციები   |  |          |             |  |
| <p>1. საქართველოში ჰიდრომელიორაციის დარგის განვითარების კონცეფცია ეფუძნება წყლის მართვისა და რეგულირების სფეროში არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ვალდებულებებს, საქართველოს კანონებს: „მიწების მელიორაციის შესახებ“ და „წყლის შესახებ“, საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, სურსათით უზრუნველყოფისათვის წყლის მართვის (მიწის მელიორაციის კომპლექსური განვითარების) სახელმწიფო პროგრამას, ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამას და RESAL – ევროკავშირის სასურსათო უზრუნველყოფის ქსელის დახმარებით დამუშავებულ „საქართველოს სურსათით უზრუნველყოფის ეროვნული პროგრამა“-ს, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს. მონოგრაფიაში გაანალიზებულია ჰიდრომელიორაციის სექტორში არსებული მდგომარეობა, პრობლემები და შესაძლებლობები, შემოთავაზებულია პრიორიტეტები, განვითარების ძირითადი მამართულებები, სტრატეგიული მიზნები და ღონისძიებები. მათ განსახორციელებლად, დასაშვები ცდომილებით, შეფასებულია და განსაზღვრულია დაფინანსების საჭიროება.</p> <p>წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს იმ საყრდენ პირველად მასალას და მონაცემთა ბაზას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ჰიდრომელიორაციის სექტორში არსებული სირთულეების დაძლევის სახელმწიფო ხედვა და სტრატეგიის რეალიზების დროში გაწერილი პროგრამა, მოხდეს მისი განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური შეფასება და დადგინდეს პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების პოტენციური წყაროები და განისაზღვროს დარგის მართვის ძირითადი პრინციპები. ნაშრომი განკუთვნილია ჰიდროეკოლოგების, ჰიდროლოგების, ჰიდრომელიორატორების, აგროეკოლოგების, ბუნებრივი რესურსების დაცვის, ზოგადი მიწათმოქმედებისა ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და სხვა საინჟინრო ტექნიკური პროფილის სპეციალისტებისათვის. ასევე იგი დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულ პირებს დარგის შესწავლის საქმეში.</p> |  |          |             |  |
| <p>2. მონოგრაფიაში განხილულია წყლისმიერი ეროზიული პროცესების პროგნოზირების საკითხები, მდინარის კალაპოტში ნატანის მოძრაობის კანონზომიერებებისა და კალაპოტური პროცესების რეგულირების საინჟინრო გადაწყვეტის მეთოდები გარემოს დაცვის ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით. განზოგადოებულია კალაპოტური ნაკადების საანგარიშო დამოკიდებულებები ჰიდრაულიკური პარამეტრების განსაზღვრელად. რეინოლდსის კრიტერიუმის ანალოგიურად დადგენილია თანაფარდობა, რომელიც აკავშირებს ნაკადის ტურბულენტურ ენერჯიას ფილტრაციული დინების დისიპაციურ ენერჯიასთან. მიღებულია დამოკიდებულება ნაკადის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის. გამოვლნილია ურთიერთკავშირი კალაპოტურ და ინდუცირებულ მახასიათებლებს შორის.</p>   |  |          |             |  |

სახელმძღვანელოები

| №  | ავტორი/ავტორები  | სახელმძღვანელოს სახელწოდება                                       | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა                       | გვერდების რაოდენობა |
|--|--|---|--|---------------------|
| 1  | ზურაბ ლობჯანიძე<br>შორენა კუპრეიშვილი                    | ჰიდრომელიორაციული სისტემების ექსპლუატაცია                         | სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა<br>ელ.ვერსია<br>CD 1608. | 134                 |
| 2  | ზურაბ ლობჯანიძე<br>შორენა კუპრეიშვილი                    | ირიგაცია  | სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა<br>ელ.ვერსია<br>CD 1608. | 76                  |
| 3  | ზურაბ ლობჯანიძე<br>მარტინ ვართანოვი<br>თამარ კვარაცხელია | წყალთა მეურნეობის ეკონომიკა                                       | სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა<br>ელ.ვერსია<br>CD 1608. | 113                 |
| 4  | ზურაბ ლობჯანიძე  | შესავალი სპეციალობაში   | სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა<br>ელ.ვერსია<br>CD 1608. | 62                  |
| 5  | დავით გუბელაძე<br>სოლომონ პავლიაშვილი                    | სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება და სასოფლო სამეურნეო მართვა | თბილისი ელ ვერსია მომზადებულია სტამბაში გადასაცემათ  | 450                 |
6. განხილულია მათემატიკური მოდელი მრავალსაფეხურიან მაგისტრალურ ნავთობსადენებში არასტაციონარული პროცესების დროს წნევების ნახარდზე მადემპფირებელი მოწობილობების გავლენის ანალიზისათვის. იგი ითვალისწინებს პროცესებში მონაწილე ყველა ელემენტის, მილსადენში ტრანსპორტირებული თხევადი მასისა და ჰიდროდინამიკური ნაკადის პარამეტრებს, კერძოდ, მილსადენი მაგისტრალის გეომეტრიულ პარამეტრებს; იმ მასალის, რომლისგანაც დამზადებულია მილები და მათში ტრანსპორტირებული თხევადი მასის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს; მილსადენ მაგისტრალ-ში ჩართულ ტუმბოების რაოდენობას, მათ მახასიათებლებს და მილსადენმაგისტრალში ჩართვის ადგილებს; მადემპფირებელი მოწობილობების მუშა ორგანოების გეომეტრიულ პარამეტრებს და იმ მასალების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, რომლისგანაც დამზადებულია ისინი. მოცემულია აგრეთვე რეკომენდაციები მათემატიკური მოდელის გამოყენებისათვის რეალური კონკრეტული პირობების შემთხვევაში მადემპფირებელი მოწობილობის გამოყენებისას.
7. განხილულია სს „მადნეული“ – სათვის შესრულებული პროექტის „წყალმომარაგების სისტემის სარეკონსტრუქციო ღონისძიებებისათვის დამუშავება“ ერთ-ერთი ძირითადი საკითხის – ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ობიექტების წყალმომარაგების სარეკონსტრუქციო სისტემის ჰიდრაულიკური ანალიზი. კერძოდ, წინასწარ განსაზღვრული ცალკეული მომხმარებლის სუფთა წყალზე მოთხოვნილების მიხედვით შემუშავებულია წყლის მიწოდების რაციონალური სქემა, რომელიც მოიცავს ქსელის შერჩეულ უბნებზე გასატარებელი ხარჯების მიხედვით პლასტმასის მილების დიამეტრების შერჩევას ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით და მათი ოპტიმალური სარეჟიმო პარამეტრების განსაზღვრას.
8. მოცემულია მრავალსაფეხურიან ჰიდროსატრანსპორტო სისტემის მილსადენ მაგისტრალში მიმდევრობით ჩართული გრუნტის ტუმბოების რაოდენობისა და მაგისტრალის გასწვრივ მათი განთავსების ადგილის განსაზღვრის ანალიზი, რომელიც განსხვავდება დღემდე არსებული მეთოდებისაგან იმით, რომ ითვალისწინებს წნევების ცვალებადობას მაგისტრალში ტუმბოების ამუშავებისა და გაჩერებისას. ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც იძლევიან გარანტიას იმისა, რომ წნევების ცვალებადობა გარდამავალი რეჟიმების

დროს მოხდეს მდოვრედ, მკვეთრად გამოხატული რხევების გარეშე, არ მოხდეს მიმდევრობით ჩართული ტუმბოების განთავსების ადგილებში ჰიდრონარევის ნაკადის მთლიანობის დარღვევა (გაწვევტა) და არასტაციონარული პროცესების განვითარება, როდესაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წნევების მნიშვნელოვან ფარგლებში ცვალებადობას მთელ მაგისტრალში შესაბამისი არასასურველი შედეგებით.

9. განხილულია მდინარეების კალაპოტის გადაკეტივის სპეციფიკური საკითხები მშრალად მიწასათხრელი ტექნიკის (ბულდოზერების, სკრეპერების და სხვ.) და მიწასაწოვების გამოყენებისას; მოცემულია გადაკეტილი კალაპოტის შევიწროვების სქემები, მიწასაწოვებით ჰიდრონარევის (პულპის) მიწოდების ორიგინალური ხერხი და თეორიულად დასაბუთებულია ამ ხერხისა და სქემების გამოყენების დადებითი გავლენა გადაკეტივის პროცესზე.
10. ნაშრომში წარმოდგენილია ფეთქებადი მასალების საწყობების კლასიფიკაცია მიწის ზედაპირის მიმართ მათი განლაგების ადგილის, ექსპლუატაციის ვადის და დანიშნულების მიხედვით. განხილულია სამუშაო ადგილებზე, ფეთქებადი მასალების ზედაპირულ, ნახევრად ჩაღრმავებულ, ჩაღრმავებულ და მიწისქვეშა მუდმივ, დროებით და მოკლევადიან საწყობებში ფეთქებადი მასალების მიღების, შენახვისა და გაცემის ზოგადი მოთხოვნები, საწყობების მოწყობის, განიავების, განათების და დაცვის საკითხები, საწყობებში ფეთქებადი მასალების განლაგების წესი. მოცემულია ფეთქებადი მასალების სხვადასხვა ტიპის საწყობების საცავების ტევადობის რიცხვითი მაჩვენებლები.
11. ნაშრომში განხილულია საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისა და ფეთქებადი მასალების შენახვისას უსაფრთხო მანძილების გაანგარიშების მეთოდოლოგია ადამიანებისათვის, შენობა-ნაგებობებისა და მექანიზმებისათვის, კერძოდ: ღია ადგილზე და წყალქვეშ საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას, გვირაბების გაყვანისას, მიწის ზედაპირზე განლაგებულ ობიექტებზე სპეციალური საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას, აგრეთვე სამთო დარტყმების მხრივ საშიშ ნახშირის ფენებში, გაზისა და მტვრის აფეთქების და გამოტყორცნის მხრივ საშიშ შახტებში ამფეთქებლის თავშესაფრისათვის ადგილის შერჩევისას. მოცემულია სეისმურად უსაფრთხო მანძილის საანგარიშო ფორმულა.
12. ნაშრომში აღნიშნულია, რომ რისკების შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ისეთი საფრთხეები, რომელიც მოცემული სამუშაოსათვის დამახასიათებელია მანამდე, სანამ ისინი გამოიწვევენ უბედურ შემთხვევებს ან ზიანს მიაყენებენ დასაქმებულს. განხილულია შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო საშუალებები, რისკების შეფასების ეფექტურობის კრიტერიუმები, აგრეთვე რისკების სწორი შეფასებისათვის საჭირო ღონისძიებები.
13. ნაშრომში განხილულია მოთხოვნები, რომელიც უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა გვირაბებში საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას, კერძოდ: შემხვედრსანგრევიანი და გამკვეთი გვირაბების, ჭაურების, ნახშირის ან შერეულ ფენებში ყრუ სანგრევეებით გვირაბების გაყვანისას; გაზის და მტვრის აფეთქების მხრივ საშიშ ფენებში, ციცაბო დახრილი ნახშირის ფენის ლავაში საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას. აღნიშნულია, რომ მიწისქვეშა გვირაბებში საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა ხელს უწყობს ტექნიკური უსაფრთხოების დონის ამაღლებას.
14. საწარმოს მწარმოებლურობის მაჩვენებლების მიხედვით განხილულია რისკების შეფასებისათვის ობიექტების განთავსების რამდენიმე ვარიანტი. შეფასებები დაყოფილია ტექნოლოგიური პროცესების, განყოფილებების, უბნების, ჯგუფების, საწარმოო პროცესების ელემენტების, საამქროების და შენობების მიხედვით.

- განსაზღვრულია მისი ობიექტების განცალკევების რამდენიმე ვარიანტი. დადაგენილია დასაქმებულთა მიერ შვიდი სხვადასხვა რისკის შეფასების მისაღები რაოდენობა. ობიექტები რისკების შეფასებისათვის განსაზღვრულია ანკეტის „რისკების შეფასებისათვის ობიექტების შერჩევა“ დახმარებით.
15. განხილულია შრომის უსაფრთხოების და რისკების შეფასების სამოქმედო პროგრამა. როგორც ცნობილია, სამუშაო ადგილი სისტემატურად განიცდის ტექნოლოგიების მზარდ ცვლილებებს. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, ბევრი დასაქმებულისათვის გადასაწყვეტი რჩება სამუშაო პირობების, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხები. ყველა საწარმოში შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოები მიმართულია არსებული რისკების გამოვლენასა და მართვაზე. აღნიშნული პრობლემის თანამედროვე დონეზე გადაწყვეტისათვის ნაშრომში მოცემულია შემოთავაზებები სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებლებისა და დასაქმებულთათვის
  16. ნაშრომში წარმოდგენილია ელასტოჰიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ვაკუუმ-დოლის და ლენტური საკისრის მუშაობის პროცესები, რომლებიც ადასტურებენ მათი მუშაობის იდენტურობას. ვაკუუმ-ამძრავის საკონტაქტო ზედაპირის ტექსტურის შესწავლისა და შედეგების ანალიზის შემდეგ, როგორც ლენტური საკისრის გაანგარიშებისას, ამ შემთხვევაშიც ძირითად საანგარიშო პარამეტრად მიღებულია ზომერფედლის განზოგადოებული რიცხვი ( $S_0$ ); ამის შემდგომ სპეციალური გრაფიკის – „მოსრიადე ხახუნის წყვი-ლის შეხეთვის რეჟიმები“ მიხედვით შეიძლება წინასწარ შეფასდეს ხახუნის კოეფიციენტის მნიშვნელობები: ჰიდროდინამიკური, ზღვრული და მშრალი ხახუნის რეჟიმების შემთხვევაში.
  17. ნაშრომში მოცემულია დღემდე ცნობილი ვაკუუმ-ამძრავების კონსტრუქციების ხახუნის კვანძების ჩამონათვალი და განხილულია მათი ძირითადი დანიშნულება. შესაბამისად ჩამოყალიბებულია ის ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც უნდა გათვალისწინებული იქნეს ვაკუუმ-ამძრავების საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციისა და ოპტიმალური პარამეტრების დამუშავება-გაანგარიშებისას.
  18. ნაშრომში განხილულია ვაკუუმ-ამძრავის ახალი საკონტაქტო ზედაპირის კვლევის შედეგები; დამუშავებულია ვაკუუმის წყაროსთან საკონტაქტო ზედაპირის შემაერთებელი კვანძის გაანგარიშების მეთოდიკა; ელასტოჰიდროდინამიკური რეჟიმის ანუ ზომერფედლის რიცხვის გათვალისწინებით, შერჩეულია ამძრავის რგოლურ ჭვრიტეში ხახუნის პროცესის ლენტურ საკისართან გაიგიავეების სქემა; საკონტაქტო ზედაპირის ყველა პარამეტრი გამოსახულია ძირითადი ელემენტების ზომების მიხედვით: ვაკუუმის წყაროსთან შემაერთებელი ნახვრეტის დიამეტრით და საკონვეიერო ლენტის სიგანით.
  19. ნაშრომში წარმოდგენილია ელასტოჰიდროდინამიკურ რეჟიმში მომუშავე ვაკუუმ-დოლის გამოყენებით, ლენტური კონვეიერის (ერთ დოლიანი კომპაქტური) ამძრავის უპირატესი პირობები და ტექნიკური მაჩვენებლები, წვევის ფაქტორის ზრდის პირობით და ფიზიკური მოდელის შემოთავაზებით.
  20. ნაშრომში მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მიღებულია: ლენტური კონვეიერების დღემდე ცნობილი ამძრავი ვაკუუმ-დოლების და მათი ხახუნის კვანძების საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციების შესწავლით; ლენტთან საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში მაკროელასტოჰიდროდინამიკური რეჟიმისას ვაკუუმის შექმნის პროცესების ანალიზით; ახალი კონსტრუქციის საკონტაქტო ზედაპირზე სითხის შრის სისქისა და მისი სადრენაჟო ეფექტის თეორიული, ეასპერიმენტული გამოკვლევით და კომპიუტერული მოდელირებით.
  21. В работе представлены лучшие условия эксплуатации и технические показатели, узлов

компактного вакуум-барабанного привода. Представленный привод за счет значительного увеличения тягового фактора может заменить трехбарабанный привод серийного производства.

22. ნაშრომში განხილულია მადნეულის სპილენძის მადნების დასაწყობებული კულების გადამუშავების შედეგად მიღებული კოლექტიური, სპილენძის შემცველ პირიტულ კონცენტრატის გადამუშავების ტექნოლოგიები, კოლექტიურ კონცენტრატის მჟავე და ტუტე არეში ალბიონის მეთოდით გადამუშავების შესაძლებლობები. აღნიშნული ტექნოლოგიის ანალიზის საფუძველზე დადგინდა კოლექტიური კონცენტრატის ალბიონის მეთოდით ტუტე არეში გადამუშავების უპირატესობა. კოლექტიური კონცენტრატის ტუტე არეში გადამუშავებისათვის კვლევების საფუძველზე შემუშავებულია კოლექტიური კონცენტრატის სელექცია. მიღებული ტექნოლოგიით კოლექტიურ კონცენტრატიდან მიიღება სპილენძის კონცენტრატი გამოსავლით 1,39% სპილენძის შემცველობით 12,09%, ოქროს შემცველობით 18,12 გრ/ტნ და ოქროს შემცველობით პირიტული კონცენტრატი გამოსავლით 12,66%, ოქროს შემცველობით 2,2 გრ/ტნ. პირიტული სულფიდური კონცენტრატის ალბიონის მეთოდით დადგენილი პარამეტრებით ტუტე არეში გადამუშავების შედეგად მიიღება რკინის წვრილმარცვლოვანი მინერალი ჰეტიტი, რომელშიც ჩაწინწკლულ ოქროს ამოკრეფა გათვალისწინებული ციანირებით.
23. ნაშრომში განხილულია შემაშფოთებელი, განსაკუთრებით გამდიდრების პროცესების რეჟიმული პარამეტრების საზომი ორიგინალური მოწყობილობების მუშაობის პროცესები, რომელთა სიახლე და სარგებლიანობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ერთდროულად ორი შემაშფოთებელი სიდიდის უწყვეტად გაზომვა. კერძოდ: პულპის სიმკვრივის და სიბლანტის; პულპაში მაგნიტური თვისებების მქონე მინერალებისა და თიხოვანი მასალის კონსისტენციის. ამავე დროს, რეჟიმული პარამეტრების გაზომვით შესაძლებელია განსაზღვრული იქნეს გასამდიდრებელი მასალის ფიზიკური თვისებები. განხილულია აგრეთვე აღნიშნული შემაშფოთებელი პარამეტრების სიდიდეების ცვალებადობიდან გამომდინარე, ფლოტაციის, დალექვის და მიძიმე გარემოიან ჰიდროციკლონში დაყოფის პროცესებისთვის მმართველი პარამეტრების რეგულირება მართვის ახალი ხერხების გათვალისწინებით, კონდიციური კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავლიანობის უზრუნველყოფით.
24. ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ფარავნის პერლიტისაგან მიღებული ფორიანი და მკერივი დაფრაქციებული და აფუებული პერლიტის ქვიშები, აგრეთვე საფილტრაჟი პერლიტის ფხვნილები თავიანთი ხარისხობრივი მაჩვენებლებით სრულად აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.
25. ნაშრომში განხილულია ოქროსშემცველი ღარიბი ძნელად გადასამუშავებელი სულფიდური მადნებისა და გამდიდრების ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. სირთულეს განაპირობებს ის გარემო რომ ოქრო წვრილდისპერსირებული სახით, ინკაფსულირებულია სულფიდურ მუნერალებში, კერძოდ პირიტში, ქალკოპირიტში, არსენოპირიტში. ციანირების პროცესის წინ სულფიდური მინერალების დესტრუქციისათვის დამჟანგველი გამოწვის, ან წნევის ქვეშ გამოტუტვის ნაცვლად შემოთავაზებულია ბაქტერიოლოგიური გამოტუტვა, როგორც იაფი და ეკოლოგიურად სუფთა მეთოდი ავტოტროფული თიობაქტერია *A. thiobacillus ferrooxidans*-ის გამოყენებით. ნაჩვენებია მეთოდის გამოყენების პერსპექტივები მადნეულის სპილენძ-კოლჩედანური მადნების ფლოტაციის კულებიდან ოქროს და სპილენძის ამოსაღებად.

26. სატრანსფორტო ხიდი ევროპა - აზია უეჭველად გახდება მძლავრი ტურისტული არტერია. იმისათვის, რომ ვიზიტორებს გაუზრდეთ საქართველოს ტერიტორიაზე გაჩერების სურვილი, საჭირო ტრასის გასწვრივ შეიქმნას შესაბამისი იმფრასტრუქტურები. ტრადიციულად, უცხოელებისათვის ყოველთვის მიმზიდველი იყო ჩვენი მთლიანი რეგიონები. მაგრამ დიდთოვლობის გამო მაღალმთიანი რეგიონები რამოდენიმე თვით მოწყვეტილია გარე სამყაროს და ამის გამო მაღალმთიანი სოფლები პრაქტიკულად დაიცალა. ერთადერთ საშუალება, რაც სიტუაციას გამოასწორებს ბაგირგზების გამოყენებაა. მთაში მოსახლეობის დამაგრებით კი აღორძინდება მეურნეობის ტრადიციული დარგები, განვითარდება ტურიზმი, სამთო-სათხილამურო სპორტი და მრავალი სხვა. აქედან გამომდინარე ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სტრატეგიული შედეგები.
27. თვლებისა და რელსების მიმართველ და გორვის ზედაპირებს განსხვავებული თვისებები უნდა ჰქონდეთ-გორვის ზედაპირებს შედარებით მაღალი ხახუნის კოეფიციენტი მოეთხოვებათ, ხოლო მიმართველ ზედაპირებს – შედარებით დაბალი და შესაბამის მოდიფიცირებას საჭიროებს. სტატიაში მოყვანილია მიმართველი და გორვის ზედაპირების ეკოლოგიურად უვნებელი ხახუნის მოდიფიკატორების ლაბორტორიულ პირობებში გამოცდების შედეგები, რომლის მიხედვით მიმართველი ზედაპირების ხახუნის კოეფიციენტი შეადგენს 0.06-0.11-ს, ხოლო გორვის ზედაპირისათვის – 0.12-0.14. ერთხელ წასმული მოდიფიკატორის მუშაობის რესურსი ზედაპირიდან მის მოცილებამდე 3000-12000 ბრუნს შეადგენდა.
28. სტატია ეხება წყალბადით გამდირებული საწვავის მისაღებად ელექტრორკალური რეაქტორის კონსტრუირებას. ელექტრორკალური რეაქტორი განკუთვნილია თხევადი საწვავისა და ისეთი საწვავი გაზის მისაღებად, რომელიც გამდიდრებულია წყალბადით და რომლის თბოუნარიანობა აღემატება ბუნებრივი გაზის თბოუნარიანობას. მისი საშუალებით შეიძლება აგრეთვე სუფთა ნახშირისა და შავი და ფერადი ლითონის მიღება.
29. ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის ყველა შესაძლო ვარიანტი. დასაბუთებულია ყულევის, აღმოსავლეთ ჭალადიდის და საღვიმეჩოს სტრუქტურების ვარგისიანობა საერთაშორისო დანიშნულების მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისათვის. შესწავლილია გაზსაცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეკონომიკური ასპექტები

\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მოხსენების სათაური                 | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი                                   |
|---|--------------------------------|------------------------------------|--|
|   | მ. ყალაბეგიშვილი,              | რიკოთის გვირაბის<br>საექსპლუატაციო | საერთაშორისო<br>კონფერენცია Seismics-2014<br>“Seismic resistance and |

|   |   |   |  |
|---|---|---|--|
| 1 | ი. გუჯაბიძე,<br>ზ. ლებანიძე   | პრობლემები და<br>სეისმომედეგობა   | rehabilitation of buildings”, 29-30<br>მაისი 2014 წ. თბილისი   |
| 2 | И.К.Гуджабидзе,<br>Г. Л.Мачаидзе  | Технология разработки<br>мощных угольных пластов<br>Ткибули-Шаорского<br>месторождения с подэтажным<br>обрушением и выпуском угля   | XIII International Conference<br>september 15-20, 2014 tbilisi,<br>Georgia   |
| 3 | O. Lanchava,<br>G.No zadze,<br>N. Bochorishvili,<br>Z. Lebanidze,<br>N. Arudashvili,<br>K.Tsikarishvili | CRITERION FOR EVALUATION OF<br>EMERGENCY FIREFIGHTING IN<br>TRANSPORT TUNNELS   | საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი<br>თბილისი, 2014 წ.<br>გვ.29-35  |
| 4 | დ.პატარაია, ე.წოწერია,<br>თ. ჯავახიშვილი, გ.ნოზაძე,<br>გ.ჯავახიშვილი, რ.მაისურაძე                       | ვანტური საბაგირო სისტემა<br>და მისი გამოყენების<br>შესაძლებლობები საქალაქო<br>და რეგიონულ<br>ტრანსპორტად, აგრეთვე<br>მილსადენით გაზისა და<br>სითხეების<br>ტრანსპორტირებისთვის | ტექნიკური უნივერსიტეტი,<br>შრომების კრებული –<br>სატრანსპორტო ხიდი<br>ევროპა-აზია  |
| 5 | როინ ენაგელი  | Об оптимизации<br>технологических процессов<br>обогащения полезных<br>ископаемых  | Материалы XIII<br>Международной конференции<br>«Ресурсовоспроизводящие,<br>малоотходные и<br>природоохранные технологии<br>освоения недр»-Москва-<br>Тбилиси. 15-21.09 2014г. стр.62 |
|   |   | გამდიდრების პროცესების<br>შემაშფოთებელი სიდიდეების<br>უწყვეტად გაზომვა  | Материалы XIII Междуна-<br>родной конференции<br>«Ресурсовоспроизводящие,  |



|    |  |   |  |
|----|--|---|--|
| 6  | როინ ენაგელი,<br>მიხეილ გამცემლიძე           | მართვის ხერხებით, (ოსტერ<br>შესსონ).  | малоотходные и<br>природоохранные технологии<br>освоения недр»- Тбилиси. 15-<br>21.09 2014г. программа<br>коференции. стр.17-19  |
| 7  | L.Makharadze, M.Losaberidze,<br>S.steriakoba | Algoritjms and computer sof<br>tware for discharge hydraulic<br>transport systems safe operation<br>for definition of jptimal volues of<br>mechanical-pneumatic dampers<br>jperational and construction<br>parameters | 8-10 ოქტომბერი, თბილისი,<br>საქართველოს მექანიკოსთა<br>კავშირის მეხუთე<br>ყოველწლიური კონფერენცია  |
| 8  | ლ.მახარაძე,<br>ვ.სილაგაძე,<br>მ.ჯანგიძე      | ჰიდრომექანიზაციისა და<br>მილსადენი<br>ჰიდროტრანსპორტის როლი<br>მრეწველობასა და სოფლის<br>მეურნეობაში<br>ჰიდრომექანიზებული<br>სამუშაოების წარმოებისას  | 26 დეკემბერი, თბილისი<br>აკადემიკოს არჩილ<br>ძიძიგურის დაბადებიდან 100<br>წლისთავისადმი მიძღვნილი<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„სამთო საქმისა და<br>გეოლოგიის აქტუალური<br>პრობლემები“ |
| 9  | ლ.მახარაძე,<br>ვ.სილაგაძე,<br>მ.ჯანგიძე      | ჭიათურის მანგანუმის<br>გამდიდრების ნარჩენების<br>ტრანსპორტირებისა და<br>დასაწყოების სქემების<br>ანალიზი   | 26 დეკემბერი, თბილისი<br>აკადემიკოს არჩილ<br>ძიძიგურის დაბადებიდან 100<br>წლისთავისადმი მიძღვნილი<br>კონფერენცია   |
| 10 | L. Makharadze, A.Tavelishvili                | Improved Metodology of<br>Calculation<br><br>and design of multistage<br>pressure pipeline hydrotransport<br>systems  | 22-24 October, Tbilisi Poland-<br>Georgian scientific and technical<br>con ference „Transport Bridge<br>Europe-Asia  |
| 11 | L.Makharadze,                                | Analisis of Impact of Pipe Sevtions<br>of Rectagular Form and increased<br>Cross Sections of Hydrodynamic<br>Proceses Deve loping in Main<br>Pipelines of Hgdrotransport  | 22-24 Iune, Prague Czech<br>Republic. 15 <sup>th</sup> International<br>Freight Pipeline Symposium   |

|    |  |  |   |
|----|--|--|---|
|    | K.Gavasheli,<br>S.Steryakova                             | System   |   |
| 12 | ნ. მოლოდინი,<br>რ. მოლოდინი                              | ხახუნის კვანძები,<br>კონსტრუქციული და<br>შემზეთი მასალები და<br>ხახუნის მოდიფიკატორები<br>დიდი სიმძლავრისა და<br>სიგრძის ლენტურ<br>კონვეიერებში.                                 | სტუ. სატრანსპორტო ხიდი<br>ევროპა-აზია<br>თბილისი 2014   |
| 13 | ნ. მოლოდინი,<br>რ. მოლოდინი,<br>ჯ. ნოზაძე                | საკონვეიერო ტრანსპორტში<br>აპმ (ავტონომიურ ვაკუუმურ<br>მექანიზმებიანი) ტიპის<br>ვაკუუმ-დოლების<br>გამოყენებით მიღებული<br>ეკონომიური ეფექტის<br>განსაზღვრა                       | აკადემიკოს არჩილ<br>ძიძიგურის 100<br>წლისთავისადმი მიძღვნილი<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„სამთო საქმისა და<br>გეოლოგიის აქტუალური<br>პრობლემები“.<br>26 დეკემბერი<br>თბილისი |
| 14 | გ. გოგია   | ნარჩენების გადამუშავების<br>ტექნოლოგია პლაზმური<br>ღუმელის საშუალებით.<br>მოსხენება საერთაშორისო<br>კონფერენციაზე<br>“საქართველოს ინოვაციების<br>კვირეულ”.                       | თბილისი, 24-26 აპრილი,<br>2014 წ.   |
| 15 | გ. გოგია,<br>ვ. ზვიადაური,<br>ი. ნადირაძე,<br>ს. აბესაძე | კიდური ბაგირგზების როლი<br>ევროპა – აზიის<br>სატრანსპორტო ხიდის<br>ათვისების საქმეში<br>საქართველოს მაგალითზე.<br>საერთაშორისო კონფერენცია<br>“სატრანსპორტო ხიდი<br>ევროპა-აზია” | თბილისი, 2014 წ.  |
|    | გ. თუმანიშვილი,  | ათვლის და რელსის<br>ავტორხვევებზე  | საერთაშ. კონფერენციის<br>“აზია-ევროპის  |

|    |  |  |  |
|----|--|--|--|
| 16 | მ. თედოშვილი,<br>ვ. ზვიდაური,<br>თ. ნადირაძე,<br>გ. თუმანიშვილი            | ტრიბოტექნიკური<br>მოვლენების გავლენის<br>კვლევა და მათი<br>მოდელირება ორ<br>გორგოლაჭიან მანქაზე                                    | სატრანსპორტო ხიდი”<br>მასალები: თბილისი, 2014.<br><br>ვ. 103-109   |
| 17 | ვ.ზვიდაური,<br>გ.თუმანიშვილი,<br>თ.ნადირაძე,<br>გ.გოგია,<br>მ.ცოცხალაშვილი | ელმაგლის სივრცითი<br>რხევების განზოგადოებული<br>მოდელის დამუშავება და<br>დინამიკური დატვირთვები<br>ამძრავის კბილანა<br>გადაცემაზე. | საერთაშორისო<br>კონფერენციის “აზია-<br>ევროპის სატრანსპორტო<br>ხიდი”.<br><br>მასალები: თბილისი, 2014,<br>გვ. 68-75 |

ანოტაციები

1. რიკოთის საავტომობილო გვირაბის მშენებლობის დროს ადგილი ჰქონდა მასივის დიდი გადაჭარბით დამუშავებას. მოკეთების კონსტრუქციასა და მასივს შორის სიცარიელეების არსებობა განსაკუთრებით დიდ პრობლემებს ქმნიდა, როგორც მოკეთების მდგრადობის ასევე მასივში არსებული ღრვევებისა და ბზარების შემდგომი განვითარების მხრივ. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონის სეისმურობა აღწევს 8 ბალს. სარეაბილიტაციო საინჟინრო გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ბეტონის სამაგრის უკან სიცარიელეების შევსებას და შიგა მხრიდან 25 სმ-იანი არმირებული პერანგის მოწყობას. სარეაბილიტაციო ვარიანტის დამუშავებასთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა „სამაგრი-მასივი“ სისტემის სეისმოდამაბული მდგომარეობის გმოკვლევა სასრული ელემენტების მეთოდით. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო შემთხვევებიდან ყველაზე არახელსაყრელი სეისმოდამაბული მდგომარეობა იქმნება ვერტიკალურად მიმართული მკუმშავი და განივი ტალღების ერთდროული ზემოქმედებისას. ასეთ პირობებში გვირაბის ბეტონის სამაგრსა და ქანების მასივს შორის არსებული სიცარიელეების შევსება არასაკმარისია სეისმომედევობის თვალსაზრისით. სამაგრში ბზარგანვითარებების შედეგად მოსალოდნელია კონსტრუქციის მდგრადობის დაკარგვა. ხოლო სამაგრი კონსტრუქცია შევსებული სიცარიელეებით და შიგა არმირებული 25 სმ სისქის პერანგით წარმოადგენს გვირაბის რეაბილიტაციის ეფექტურ ვარიანტს, რომელიც უზრუნველყოფს სამაგრი კონსტრუქციის სიმტკიცეს და საერთო მდგრადობას.
2. Одним из основных направлений существенного повышения технико-экономических показателей отработки мощных пластов Ткибули-Шаорского месторождения является внедрение систем разработки с подэтажным обрушением и выпуском угля с использованием механизированного комплекса КПВ-2. Идея успешно реализованна на шахте «КазимешЮлиуш» в Польше. Внастоящее время ведутся работы по ее внедрению на Прокопьевско-Киселевском месторождении России.  
Испитание и внедрение этой иновационной технологий в условиях шахт Ткибули-Шаорского

месторождения Грузии осложняется отсутствием данных об ожидаемых механических процессах в породных массивах при разработке с поэтажным обрушением и выпуском угля на штрековый комплекс, а также малоизученностью проблем связанных с высокой газоносностью пластов и их склонностью к самовозгоранию и т.д.

В работе изучены механические процессы реализуемые в угольном пласте, в целиках и в породных массивах кровли при использовании инновационной технологий. Установлены размеры и формы контуров поэтажного обрушения угля. Изучены вопросы устойчивости как защитного так защищенного слоев и пород кровлей. Установлены величины ожидаемых нагрузок на крепь квершлаггов, слоевых и полевых штреков. Даны рекомендации о технологиях их поддержания.

Разработаны рекомендации по управлению горным давлением. Установлены оптимальные параметры системы разработки с поэтажным обрушением и выпуском угля на штрековый комплекс для горно-геологических условий Ткибули-Шаорского месторождения (места расположения слоевых штреков, размеры этажей и подэтажей, размеры целиков). Решены вопросы вентиляции и разработаны мероприятия для предупреждения самовозгорания угля.

3. შემოთავაზებულია სატრანსპორტო გვირაბებში ხანძრის შედეგად წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება ხანძრის განვითარების სივრცით და დროით მაშტაბებს. პროცესების ანალიზი შესრულებულია ჩ მოდულებით მიღებული შედეგების მიხედვით. სატრანსპორტო გვირაბი წარმოდგენილია სივრცეში შეზღუდული გაბარიტების მქონე ერთი მიმართულებით გავრცობილი რთული საინჟინრო ნაგებობის სახით, რომელშიც განაილებულია სატრანსპორტონაკადი. ნაშრომში განხილულია ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენის საკითხი, ვინაიდან მისი აქტუალურობა ეჭვს არ იწვევს. დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ხანძრის სახიფათოობა დახასიათებულია ხანძრის განვითარების სივრცითი ზონების მიხედვით. ხიფათის შემცველი ზონების დადგენა ხდება ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორცაა: ხანძრის ლოკალიზაციის ადგილი, ხანძრის სიმძლავრე, წვის სიჩქარე, ტემპერატურა, კვამლისა და წვის სხვა ტოქსიკური პროდუქტების მოცულობა და მათი კონცენტრაცია.
4. თანამედროვე ურბანული სატრანსპორტო ქსელი ძირითადად წარმოდგენილია მეტროთი და უშუალოდ მიწის ზედაპირზე მოძრავი გადაადგილების საშუალებებით, როგორცაა ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ველოსიპედი. ამ პირობებში დიდი ქალაქების სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრის თუ არა მნიშვნელოვნად შემსუბუქების ერთ-ერთი გზა არის მიწის ზედაპირის ზემოთ სივრცის- „მეორე სართულის“ ათვისება და გამოყენება, რის ერთადერთ თუ არა საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა ბაგირგზები ან, კიდევ უფრო ეფექტურად, მისი შედარებით ახალი სახეობა - ვანტური საბაგირო სატრანსპორტო სისტემა. პირველი მოქმედი სამოქალაქო დანიშნულების ვანტური საბაგირო - სატრანსპორტო სისტემა შეიქმნა და გამოიცადა გასული საუკუნის 70 -იან წლებში გერმანიაში ინჟინერ გ. მიულერის მიერ.

5. მოსხენებაში განვიხილეთ სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციის საკითხები ჭიათურის მანგანუმის მადნის დალექვის პროცესით და მადნეულის პოლიმეტალური მადნის სპილენძის ფლოტაციის მეთოდით გამდიდრების პროცესების მაგალითზე
6. წარმოდგენილ იქნა სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების პროცესების კვლევისა და მართვის მიზნით დამუშავებული გადამწოდის კონსტრუქცია, რომელიც ახდენს გასამდიდრებელ პულპაში სიმკვრივის გაზომვას პულპაში თიხოვანი მასალის კონცენტრაციის კომპენსაციით.
7. მოსხენებაში განხილულია ალგორითმები და კომპიუტერული პროგრამა სადაწნო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციის მექანიზმების დემონსტრირების მუშა და კონსტრუქციული პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრისათვის, რომელიც ეფუძნება ჰიდროაერომექანიკის და დრეკადობის თეორიის ძირითად კანონებს და ითვალისწინებს ჰიდროსატრანსპორტო სისტემის ჰიდროდინამიკურ პარამეტრებს დამყარებული და დაუმყარებელი რეჟიმის დროს, პროცესში მონაწილე ყველა კომპონენტის და ელემენტის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს და გეომეტრიულ პარამეტრებს.
8. მოსხენებაში განხილული და გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებიც მრეწველობის მრავალ დარგში და სოფლის მეურნეობაში განსაზღვრავენ ჰიდრომექანიზაციის და მილსადენი ჰიდროტრანსპორტის გამოყენების აქტუალურობას, აგრეთვე ის საკითხები, რომელთა რეალიზება კიდევ უფრო გაზრდის ამ სახეობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას ექსპლუატაციის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.
9. მოსხენებაში განხილულია ჭიათურის მანგანუმის გამდიდრების ნარჩენების ტრანსპორტირებასთან და დასაწყობებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება, როგორც წარსულს, ისე მომავალს. გაანალიზებულია გასულ წლებში არსებული სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ჰიდრომექანიზებული ტექნოლოგია. მას გააჩნდა ისეთი უარყოფითი მხარეები, რომლებმაც განაპირობა მისი არაქმედითობა-მუშაუნარობა, რის გამოც შეუძლებელი გახდა მისი ნორმალურად ფუნქციონირება. შექმნილი სიტუაციის შესწავლა, მისი გაანალიზება და ახალი რეკომენდაციების შემუშავება სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით დაევალა სამთო ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფს აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის ხელმძღვანელობით. კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცა სამთავრობო კომისიას, რომლებიც საფუძვლად დაედო არსებული სქემის რეკონსტრუქციის პროექტს, რომელიც შეადგინა „უკრვოდოკანალპროექტმა“. რეკონსტრუქციულმა სქემამ საკმაოდ ეფექტურად იმუშავა 1992 წლამდე. ამის შემდეგ სისტემამ ფუნქციონირება შეწყვიტა და დღესდღეისობით მანგანუმის გამდიდრების ნარჩენები კვლავ ყვირილაში ჩაედინება, რაც ეკოლოგიურად ყოველად გაუმართლებელი და დაუშვებელია ამჟამად ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის აშენებასთან დაკავშირებით, რომლის დამპროექტებელი და მშენებელია გერმანული ფირმა „ალიმინერალი“, კვლავ დადგა მანგანუმის გამდიდრების ნარჩენების ტრანსპორტირების და დასაწყობების საკითხები. ამასთან დაკავშირებით მოსხენებაში განხილულია რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებელია

გათვალისწინებული იქნეს მომავალში, რათა არ მოხდეს დაშვებული შეცდომების გამეორება და შეირჩეს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეკონომიურად მაღალეფექტური საკუდე მეურნეობის კომპლექსი.

10. მოსხენებაში განხილულია მრავალსაფეხურიანი სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემის გაანგარიშებისა და დაპროექტების სრულყოფილი მეთოდოლოგია, რომელიც კომპლექსურად ითვალისწინებს როგორც დამყარებული, ასევე დაუმყარებელი რეჟიმების ყველა ფაქტორს, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს ანალოგიური სისტემების ექსპლუატაციის უსაფრთხოება და აამაღლოს მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. დამუშავებული მეთოდოლოგიის სამართლიანობა და უტყუარობა დადასტურებულია ექსპერიმენტული კვლევებით, რომლებიც ჩატარებული იყო როგორც ნახევრად სამრეწველო ლაბორატორიულ სტენდებზე, ასევე მსხვილ სამრეწველო ჰიდროსატრანსპორტო სისტემებზე.
11. ნაშრომში განხილულია ჩვენს მიერ დამუშავებული სწორკუთხა ფორმის (ან კვადრატული ფორმის) განივკვეთის მილსადენის მონაკვეთები სადაწნეო ჰიდროსატრანსპორტო სისტემების მაგისტრალურ მილსადენებში გარდამავალი რეჟიმების და არასტაციონარული პროცესების წნევების ნაზარდის დემფორებისათვის, მათი კონსტრუქციული შესრულება, მათემატიკური მოდელი, ალგორითმი იმ პარამეტრების რაციონალური მნიშვნელობების გაანგარიშებისათვის, რომლებიც განაპირობებენ მაქსიმალურ ეფექტურობას, ანუ სრულად იქნება დემფორებული წნევების ნებისმიერი ნაზარდი სისტემის ექსპლუატაციის მთელ პერიოდში, რაც იძლევა მდგრადობისა და საიმედოობის ამაღლების სრულ გარანტიას, რაც დამტკიცებული იქნა ნახევრადსამრეწველო ლაბორატორიულ დანადგარზე ჩატარებული კვლევების შედეგებით.
12. მოსხენებაში განხილულია საავტორო უფლებით დაცული შეწყვილებულდგუშებიანი ავტონომიური-ცენტრალური გაწოვის, ახალი საკონტაქტო ზედაპირებიანი ელასტოჰიდრო-დინამიკურ რეჟიმში მომუშავე, კომპაქტური (ლენტის შემოხვევის კუთხე  $180^\circ$ ) ვაკუუმ-დოლური ამძრავის ხახუნის კვანძების, კონსტრუქციული და შემზეთი მასალების, ხახუნის მოდიფიკატორების (ამძრავი დოლი-საკონვეიერო ლენტი), ვაკუუმის არეში მუაშაობის უპირატესი პირობები და ტექნიკური მაჩვენებლები. წარმოდგენილი ამძრავი წვეის ფაქტორის მნიშვნელოვნად გაზრდის ხარჯზე (დ. მურის მონაცემებით ვაკუუმში ხახუნის კოეფიციენტი  $\mu_{\max} \leq 5$ ) მუშაობის უპირატესი პირობებით შეცვლის სამდოლიან (ლენტის შემოხვევის კუთხით  $530^\circ$ ) სერიული წარმოების ამძრავ მექანიზმს; ამასთან იდენტური (სატრანსპორტო) ტვირთბრუნვა შესაძლებელი იქნება გაცილებით ნაკლები სიმტკიცისა და საწყისი დაჭიმულობის მქონე საკონვეიერო ლენტის საშუალებით, რომელიც გამარტივებული ნიშანცვლადი დატვირთვით იმუშავებს.
13. დიდი სიგრძისა და მწარმოებლურობის ლენტური კონვეიერის უმტყუნო, მაღალეკონომიური მუშაობა დამოკიდებულია მისი თეორიული კვანძის (ლენტი, მისი საყრდენი და დამჭიმი მოწყობილობები, ამძრავი და ა.შ.) ღირებულებაზე, სამუშაო რესურსზე და სრულყოფილ ფუნქციონირებაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენს ერთდოლიანი მაღალი და საკუთარი წვეის

ფაქტორებიანი სპეციალური ვაკუუმ ( $e^{\mu} \approx 16-22$ ) – ამძრავი, ნაცვლად ჩვეულებრივი ( $e^{\mu} \approx 1,8-3,5$ ) ამძრავისა, რომელთა დროსაც ერთნაირი სიგრძისა და მწარმოებ-ლურობის დანადგარებში ჩვეულებრივ ამძრავთან შედარებით გაცილებით ნაკლები სიმტკიცის, იაფი საკონვეიერო ლენტით შესაძლებელია იდენტური სამუშაოების შესრულება, ლენტზე გაცილებით ნაკლები საწყისი და ნიშნცვლადი დატვირთვით, ავტომატური დამჭიმი მოწყობილობის გარეშე და ნებისმიერი რეოლოგიური პირობებისას. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, „შედარებითი სიმშვიდის რკალის“ სიდიდის სტაბილურად შენარჩუნებამ და „დრეკადი სრიალის რკალზე“ მართვადი ადგეზიური და კოგეზიური წვევითი თვისების განხორციელებამ, გაზარდა ლენტის სამსახურის ვადა, რაც დამატებითი რეზერვების მოძიების წყაროს წარმოადგენს.

14. მოსხენებაში განხილული იყო მყარი ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია პლაზმური ღუმელის საშუალებით, რომელიც იკვებება ფიქსირებული დენის წყაროდან. დენის წყაროს აქვს მართკუთხა მახასიათებელი, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სიმძლავრე გაიზარდოს მხოლოდ ძაბვის ზრდით. დენის წყაროს ორიგინალობა დაცულია აშშ, რუსეთისა და საქართველოს პატენტებით. ასეთი ღუმელის გამოყენება სხვა ღუმელებთან შედარებით დაახლოებით ორჯერ აიაფებს ტექნოლოგიას.
15. მოსხენებაში ხაზგასმულია ბაგირგზების როლი საქრთველოში ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით. ნაჩვენებია, რომ ბაგირგზების განვითარება საქართველოს მთიან რეგიონს დაიცავს სრული დაცარიელებისაგან. ამას მოყვება ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სტრატეგიული შედეგები.
16. ავტორხევეების აღმოცენების ძირითადი წყაროებია კონტაქტის ზონაში ფრიქციული მოვლენები და ამიტომ ტრივიალური დინამიკური ანალიზი (მაგალითად უნივერსალური მეთოდი ლაგრანჟის განტოლების ბაზაზე) ფრიქციული კონტაქტის ზონაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინების გარეშე, უნდა განვიხილოთ, როგორც რეალურ სურათთან შეუსაბამო. პრობლემის გადაწყვეტა თხოულობს მოხახუნე ზედაპირების და მესამე სხეულის ტრიბოტექნიკური თვისებების გავლენის განხილვას ავტორხევეების პარამეტრზე ექსპერიმენტალური კვლევების საფუძველზე; ექსპერიმენტები ჩატარებული იქნა ხახუნის გორგოლაჭებიან მანქანაზე.

გამოკვლევებმა აჩვენა ვალკეული ზონები ხახუნის გაზრდილი მომენტებით. ტრიბოტექნიკური მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ ავტორხევეების წყაროს, აქვთ გავლენა სიხშირეზე და ამპლიტუდაზე და ასრულებენ აგრეთვე დინამიკური სისტემის არაწრფივი პარამეტრის ფუნქციას.

17. მოსხენებაში წარმოდგენილია შემადგენლობის სივრცითი რხევითი მოძრაობის დინამიკური მოდელი, სადაც ადგზნების წყაროს წარმოადგენს რელსის და წვეილთვალის კონტაქტი, ხოლო ძალური ნაკადების ჩამკეთ რგოლად განიხილება ამძრავის კბილანა გადაცემა.

ერთიანი მიდგომისა და მყარი და დეფორმირებადი სხეულების დინამიკის კლასიკური მეთოდების საფუძველზე მიღებულია შემადგენლობის რხევითი მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებათა ურთიერთდაკავშირებული სისტემა. იგი შესაძლებლობას იძლევა გამოკვლეულ იქნას შემადგენლობის სხვადასხვა

რგოლების დინამიკური ურთიერთგავლენა. ისევე როგორც მათი გავლენა ამპრავის გადაცემაზე.

ბ)უცხოეთში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები                        | მომხსენების სათაური   | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი  |
|---|---|---|---|
| 1 | ვ. ზვიადაური, თ.ნადირაძე,<br>მ.ჭელიძე, გ.თუმანიშვილი. | მუშა ორგანოს სასრული<br>სისისტის გავლენა<br>ვიბრაციული მანქანის<br>დინამიკაზე | აზიის საერთ. კონფ.<br>მანქანათმშ. და მასალებში<br><br>(ACMME 2014), 28-<br>29ივლ.,2014,ტაიპეი<br>(ტაივანი).<br><br>ჟურნ.: გამოყენებითი<br>მექანიკა და მასალები, ტ.627<br><br>(სრ. ტექსტის ნახვა შესაძლ.<br>მისამართზე:<br><br><a href="http://www.scientific.net">http:// www. scientific.net</a> ) |

ანოტაცია

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ვიბრაციული გადაადგილების პროცესზე არის ვიბრაციული სატრანსპორტო – ტექნოლოგიური მანქანის მუშა ორგანოს ფსკერის დრეკადობა. მოხსენებაში განხილულია სისტემის: “ვიბროამპრავი – მუშა ორგანოს სისტი ჩარჩო – მუშა ორგანოს დრეკადი ფსკერი – ფხვიერი ტვირთი” დინამიკური და მათემატიკური მოდელები.

მუშა ორგანოს დრეკადი ფსკერის გავლენის შესასწავლად ტვირთის ვიბრო გადაადგილების პროცესზე გამოყენებულია სისტემური მიდგომა და წარმოდგენილია კვლევის ზოგიერთი შედეგი. დამუშავებული მოდელების საშუალებით დადგენილია, რომ მუშა ორგანოს ჩარჩოს ვიბრაციის ფაზის თანხვედრისას მასზე ხისტად დამაგრებული დრეკადი ფსკერის დეფორმაციის ფაზასთან ფხვიერი მასალის გადაადგილების სინქარე მნიშვნელოვნად იზრდება. აღნიშნული შედეგების საფუძველზე დამუშავებულია მუშა ორგანოს ახალი კონსტრუქცია



## სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა

| №   | სამუშაოს დასახელება  | სამუშაოს ხელმძღვანელი/<br>მონაწილე  |                                      |                        |
|---|--|---|--------------------------------------|------------------------|
| 1   | კახეთის მაგისტრალური გაზსადენის თელავი-ახმეტის 27,475 კმ მონაკვეთის მშენებლობის პროექტი.                                       | პროფ. თ. ჯავახიშვილი  |                                      |                        |
| 2   | სართიჭალის სათაფო ნაგებობის PBC5000 ტიპის №1/6 და №2/6 და PBC 10000 ტიპის №3/1 რეზერვუარების ძირის აღდგენის პროექტი.           | პროფ. თ. ჯავახიშვილი  |                                      |                        |
| 3   | „ვლადიკავკაზ-თბილისის“ მაგისტრალური გაზსადენის მდინარე დეველორაკზე საპაერო გადასასვლელის რეკონსტრუქციის პროექტი.               | პროფ. თ. ჯავახიშვილი  |                                      |                        |
| 4   | „საგურამო-ქუთაისის“ მაგისტრალური გაზსადენის კასპის განშტოებაზე მდინარე ლეხურას წყალქვეშა გადასასვლელის რეკონსტრუქციის პროექტი. | პროფ. თ. ჯავახიშვილი  |                                      |                        |
| 5   | მდინარე ღოჭინზე (ყარადად-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის II ხაზი) გადასასვლელის რეკონსტრუქციის პროექტი.                       | პროფ. თ. ჯავახიშვილი  |                                      |                        |
| №   | ავტორი/ავტორები  | სახელმძღვანელოს<br>სახელწოდება  | გამოცემის<br>ადგილი,<br>გამომცემლობა | გვერდების<br>რაოდენობა |
| 1   | თ. ჯავახიშვილი   | ნავთობგაზსადენების განაწილებული ობიექტების ავტომატიზაციის პროგრამულ-აპარატურული საშუალებები.<br><br>მართვის სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა. | ელექტრონული<br>ვერსია                |                        |
| <p>მოცემულია ტექნოლოგიური პროცესების მართვის სისტემების პროგრამული საშუალებების კლასიფიკაცია. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია SCADA პროგრამულ უზრუნველყოფაზე, კერძოდ, მოცემულია მისი ძირითადი ფუნქციები და არქიტექტურა, დახასიათებულია SCADA როგორც ღია სისტემა, დანართებთან შეღწევის ორგანიზაცია და ინტეგრირებული SCADA სისტემები. განხილულია SCADA-</p> |  |   |                                      |                        |

|   |                |   |                    |  |
|---|----------------|---|--------------------|--|
| სისტემების საიმედოობა, საექსპლუატაციო მახასიათებლები, პროგრამულ-აპარატურული პლატფორმა და SCADA-პაკეტების ძირითადი ქვესისტემები.   |                |   |                    |  |
| 2   | თ. ჯავახიშვილი | ნავთობგაზსადენების განაწილებული ობიექტების ავტომატიზაციის პროგრამულ-აპარატურული საშუალებები.<br><br>მართვის სისტემების ტექნიკური უზრუნველყოფა | ელექტრონული ვერსია |  |
| მოცემულია ნავთობგაზსადენების განაწილებული მართვის ობიექტების მოკლე დახასიათება, მართვის სისტემების ორდონიანი არქიტექტურა, ტექნოლოგიური პროცესების მართვის მიკროპროცესორული სისტემები და კონტროლერების და პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსების ძირითადი ტექნიკური და საექსპლუატაციო მახასიათებლები.                |                |   |                    |  |
| 3   | თ. ჯავახიშვილი | მაგისტრალური მილსადენების ოპერატიულ-დისპეტჩერული მართვის და ტელემექანიკის სისტემები   | ელექტრონული ვერსია |  |
| მოცემულია მაგისტრალური ნავთობ- და გაზსადენების ნაგებობათა შედგენილობა და მართვის ობიექტების შედარებითი დახასიათება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ავტომატიზაციის პროგრამულ-აპარატურულ საშუალებებზე და ტელემექანიკის სახაზო სისტემების სტრუქტურაზე, შედგენილობასა და ელემენტების ურთიერთმოქმედებაზე. |                |   |                    |  |

**შრომის უსაფრთხოებისა და საბანგაო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი**

\* ხელმძღვანელი–(მოვალეობის შემსრულებელი) პროფესორი

თეიმურაზ კუნჭულია

\* პერსონალური შემადგენლობა:

6 სრული პროფესორი;

3 ასოცირებული პროფესორი;

1 ასისტენტ პროფესორი;

1 მოწვეული პროფესორი;

6 უფროსი მასწავლებელი

**\* პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

**სახელმძღვანელოები**

| №   | ავტორი/ავტორები               | სახელმძღვანელოს სახელწოდება         | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|-------------------------------|-------------------------------------|--------------------------------|---------------------|
| 1   | ნ. მაჭავარიანი,<br>ნ. რაზმაძე | ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება | თბილისი, სტუ-ს გამომცემლობა    | 302 გვ.             |
| ანოტაციები  |                               |                                     |                                |                     |
| 1. სახელმძღვანელოში განხილულია მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას წარმოშობილი ხანძრის ქრობის საშუალებები და ხელსაწყოები. |                               |                                     |                                |                     |

**სტატიები**

| № | ავტორი/ავტორები   | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება   | ჟურნალის/კრებულის ნომერი                   | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|---|---|--|--------------------------------|---------------------|
| 1 | ნ.ბოჭორიშვილი,<br>ა.ბეჟანიშვილი,<br>ი.ბოჭორიშვილი,<br>ნ.რაზმაძე,<br>მ.ქიტოშვილი | შრომის პირობების სრულყოფა და მისი უსაფრთხოების დონის გაზრდის რისკების შეფასების და ლიკ- | სამეცნიერო ჟურნალი „ნავთობი და გაზი“ (№29) | თბილისი                        | 8                   |

|   |  |  |   |         |   |
|---|--|--|---|---------|---|
|   |  | ვიდაციის გზით  |   |         |   |
| 2 | დ.თევზაძე,<br>ა.ჩიქოვანი   | ბეტონის ტექნოლოგიის ეკოლოგიური ასპექტები   | სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერჯია“ (№1)   | თბილისი | 2 |
| 3 | ნ.ბოჭორიშვილი,<br>ნ.რაზმაძე,<br>მ.ქიტოშვილი  | შრომის პირობების სამოქმედო პროგრამა. რისკების შეფასების მომზადება და დაგეგმვა.                               | სამეცნიერო ჟურნალი „ნავთობი და გაზი“ (№29)    | თბილისი | 3 |
| 4 | ნ.ბოჭორიშვილი,<br>ა.ბეჟანიშვილი,<br>ი.ბოჭორიშვილი,<br>ნ.რაზმაძე,<br>ნ.რატიანი,<br>ა.ნევეროვი,<br>ს.გიგაური | დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა რისკების შეფასების მეთოდების გზით              | სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ენერჯია“ №2(70) | თბილისი | 3 |
| 5 | ო.ლანჩავა,<br>გ.ნოზაძე,<br>ნ.ბოჭორიშვილი,<br>ზ.ლუბანიძე,<br>ნ.არუდაშვილი                                   | საავტომობილო გვირაბში ძლიერი ხანძრის მიერ გამოწვეული ხანძრის ანალიზი   | სამთო ჟურნალი 1(32)                           | თბილისი | 4 |
| 6 | ო.ლანჩავა,<br>ნ.ბოჭორიშვილი,<br>გ.ნოზაძე,<br>მ.ჯანგიძე,<br>ნ.არუდაშვილი,<br>ს.დემეტრაშვილი                 | ხანძრით განპირობებული საგანგებო სიტუაციის მართვა ერთგვირაბიანი კომბინირებული სავენტილაციო სისტემის პირობებში | 2(33)   | თბილისი | 4 |

|   |  |  |  |         |   |
|---|--|--|--|---------|---|
| 7 | Omar Lanchava,<br>Giorgi Nozadze,<br>Naom Bochorishvili,<br>Zurab Lebanidze,<br>Nino Arudashvili,<br>Marad Jangidze,<br>Kukuri Tsikarishvili | Criterion for<br>Evaluation of<br>Emergency fire<br>Fighting in<br>transport tunnels | სატრანსპორტო<br>ხიდი ევროპა-<br>აზია<br>საქართველოს<br>ტექნიკური<br>უნივერსიტეტი | თბილისი | 6 |
|---|--|--|--|---------|---|

ანოტაციები

1. საწარმოებში მწარმოებლურობის მიხედვით რისკების შეფასებისათვის განხილულია ობიექტების განთავსების ვარიანტები, რაც მოიცავს ტექნოლოგიურ პროცესებს, საამქროებს, უბნებს, განყოფილებებს და სხვა. ასევე რისკ-ფაქტორების შეფასებისა და ლიკვიდაციის განხორციელების გზები.
2. სტატიაში განხილულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მონოლითური ბეტონის სპეციფიკა.
3. განხილულია შრომის უსაფრთხოებისა და რისკების შეფასების სამოქმედო პროგრამა. სამუშაო ადგილი სისტემატურად განიცდის ტექნოლოგიების მზარდ ცვლილებებს, მიუხედავად ამისა, ბევრი დასაქმებულისათვის გადასაწყვეტი რჩება სამუშაო პირობების, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხები.
4. განხილულია საწარმოებში შრომის ნაყოფიერების გაზრდა შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და სამუშაო პირობების უზრუნველყოფით. რისკების მუდმივი შეფასება ითვალისწინებს დანერგილი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებას, მუდმივ დაკვირვებას რისკებზე და ზემოქმედებას იმ დასაქმებულებზე, რომლებიც საშიშროების ქვეშ იმყოფებიან.
5. სტატიაში მოცემულია სატრანსპორტო გვირაბში ძლიერი ხანძრით გამოწვეული საშიშროების შეფასებითი ანალიზი. განხილულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ხანძრის პირობებში საევაკუაციო პერიოდის გაანგარიშებაზე.
6. ნაშრომში განხილულია ერთგვირაბიანი სავენტილაციო სისტემის ნახევრად განივი და განივი სქემები და მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების ფაზები, რომლებიც თავს იჩენენ ხანძრისას.
7. შემოთავაზებულია სატრანსპორტო გვირაბებში ხანძრის შედეგად წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შეფასებისათვის საჭირო კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება ხანძრის განვითარების სივრცით და დროით მასშტაბებს.

ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი

\*სელმძღვანელი - სრული პროფესორი გურამ ვარშალომიძე

\*პერსონალური შემადგენლობა: სრული პროფესორი -8

ასოცირებული პროფესორი-2

ასისტენტ-პროფესორი-2.5

მოწვეული პროფესორი- 1

\* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

| № | ავტორი/ ავტორები   | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება  | ჟურნალის/კრებულის ნომერი                   | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|--|--|--|--------------------------------|---------------------|
| 1 | ი.გოგუაძე,<br>ნ. ხუნდაძე,<br>ვ. ხითარიშვილი,<br>ნ. მაჭავარიანი | MWD ტელემეტრიული სისტემის გამოყენება დახრილ-მიმართული და კორიზონტალური ბურღვისას           | საქართველოს ნავთობი და გაზი<br>2014 წ. №29 | თბილისი<br>პოლიგრაფი           | 5                   |
| 2 | გ.ვარშალომიძე,<br>ვ.ხითარიშვილი,<br>ნ. მაჭავარიანი             | თერმომარილმდგრადი სატამპონაჟო სსნარების შემადგენლობის შერჩევა ღრმა ჭაბურღილების ხარისხიანი | საქართველოს ნავთობი და გაზი                | თბილისი<br>პოლიგრაფი           | 5                   |

|   |   | დაცემენტებისათვის  | 2014 წ. №29                                      |                                      |    |
|---|---|--|--|--------------------------------------|----|
| 3 | გ.ვარშალომიძე,<br>გ.ხითარიშვილი,<br>ა. ჭიჭინაძე,<br>ნ. მაჭავარიანი,<br>გ. ხეცურიანი | პოლიმერული საბურღი<br>ხსნარების შლამის<br>ამოტანის უნარის<br>შესწავლა<br>ჭაბურღილების<br>ბურღვისას | საქართველოს<br>ნავთობი და<br>გაზი<br>2014 წ. №29 | თბილისი<br>პოლიგრაფი                 | 6  |
| 4 | მ.ჯიბლაძე,<br>გ.ვარშალომიძე<br>ი.შარაბიძე   | შავი ზღვის<br>გოგირდწყალბადის<br>პრობლემები  | საქართველოს<br>ნავთობი და<br>გაზი<br>2014 წ. №29 | თბილისი<br>პოლიგრაფი                 | 15 |
| 5 | ო. ჭანკვეტაძე,<br>გ. ვარშალომიძე,<br>ს. ჩხაკელია.                                   | ჰიდროსაიზოლაციო<br>მასალა <b>KALMATRON-0</b><br>საქართველოში<br>იწარმოება                          | საქართველოს<br>ნავთობი და<br>გაზი<br>2014 წ. №29 | თბილისი<br>პოლიგრაფი                 | 4  |
| 6 | გ. ზახაროვი,<br>გ.ვარშალომიძე,<br>დ. ლეკვეიშვილი.                                   | სხმული სალი<br>მასალების მიღება თმს<br>ტექნოლოგიით   | საქართველოს<br>ნავთობი და<br>გაზი<br>2014 წ. №29 | თბილისი<br>პოლიგრაფი                 | 6  |
| 7 | დ. ლეკვეიშვილი,<br>გ. ზახაროვი,<br>გ. ვარშალომიძე.                                  | სხმული სალი<br>შენადნობების<br>სტრუქტურა და<br>თვისებები.  | საქართველოს<br>ნავთობი და<br>გაზი<br>2014 წ. №29 | თბილისი<br>პოლიგრაფი                 | 13 |
| 8 | ნ.ხუნდაძე<br>გ. ხითარიშვილი<br>ნ.მაჭავარიანი  | MWD ტელემეტრიული<br>სისტემის გამოყენება<br>დახრილ-მიმართული<br>და პორიზონტალური<br>ბურღვისას       | თბილისი<br>№29; 2014წ                            | “საქართველოს<br>ნავთობი და<br>გაზი”, | 5  |
| 9 | ნ.ხუნდაძე   | მრავალსაფეხურიან   | თბილისი  | თბილისი                              | 4  |

|    |   |   |                    |                                |     |
|----|---|---|--------------------|--------------------------------|-----|
|    | ლ.მასხარაძე<br>გ. გელაშვილი<br>თ. სოხაძე  | მაგისტრალურ ნავთობსადენებში არასტაციონალური პროცესების დროს წნევების ნაზარდზე მადემპფირებული მოწობილობების გავლენის ანალიზისათვის | №1(32); 2014წ      | “სამთო ჟურნალი”,               |     |
| 10 | ნ.ხუნდაძე<br>გ. ტაბატაძე<br>ბ.კახაძე      | მსოფლიო ენერგეტიკული ტრენდები   | თბილისი №2 2014წ.  | თბილისი “ბიზნესინჟინერინგი”    | 132 |
| 11 | Р.Г.Манагадзе<br>Д.В. Абзианидзе,         | Применение модели КАЛЬМАНА-БЬЮСИ в процессе обработки результатов наблюдений за состоянием речной воды                            | თბილისი №29 2014წ. | “საქართველოს ნავთობი და გაზი”, | 4.  |
| 12 | T.Barabadze<br>I.Gujabidze<br>R.Managadze | Anderground Gas Storages in Georgia.  | №2 2014.           | თბილისი “ბიზნესინჟინერინგი”    | 3   |
| 13 | Л.Башелеишвили<br>М.Кумелашвили           | Позднемеловые структуры куринской нефтегазоносной области   | №29, 2014г         | “საქართველოს ნავთობი და გაზი”, | 4   |

ანოტაციები

1. განხილულია დახრილ-მიმართული და ჰორიზონტალური სიღრმეული სივრცითი მართვისა და კონტროლის **MWD** ტელემეტრიული სისტემის გამოყენების საკითხები. ამ სისტემით წარმოებს გეოფიზიკური სამუშაოები, ქანების ფიზიკური თვისებების განსაზღვრა, ოპტიმალური ბურღვის რეჟიმის პარამეტრების შერჩევა. **MWD** სისტემა აღჭურვილია სენსორებითა და გადამწოდებით, რომელთა საშუალებით ხდება ბურღვის პროცესების კონტროლი, კორექტირება და მართვა, ასევე ჭაბურღილის დახრილ-მიმართული და ჰორიზონტალური ბურღვისას უზრუნველყოფილია ლულის გაყვანის სიზუსტე, რეგულირდება ჭაბურღილის ლულის ტრაექტორია, რათა ის ზუსტად განთავსდეს ფენის ყველაზე პროდუქტიულ ნაწილში. ამ სისტემის გამოყენებით მნიშვნელოვნად იზრდება ბურღვის მექანიკური სიჩქარე და საგრძნობლად უმჯობესდება სხვა ტექნი-



- კური მანქანებლები.
2. ღრმა ჭაბურღილების უხარისხო დაცემენტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მინერალიზებული ფენის წყლების ზემოქმედებაა სატამპონაჟო ხსნარებზე და მათგან შექმნილ ცემენტის ქვაზე. ეს უკანასკნელი იშლება ფენის წყლებში არსებული ზოგიერთი მარილის მოქმედების შედეგად. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ჩატარდა გამოკვლევები. წარმოდგენილია აღნიშნული გამოკვლევები და ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე შერჩეული თერმომარილმდგრადი სატამპონაჟო ხსნარების ეფექტური შედგენილობები როგორც ნორმალურ, ასევე მაღალ ტემპერატურებზე ჭაბურღილების დაცემენტებისათვის ფენის წყლებში მარილების არსებობის პირობებში.  
ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული თერმომარილმდგრადი სატამპონაჟო ხსნარების გამოყენება უზრუნველყოფს მარილიანი ფენის წყლების შემცველი ჭაბურღილების ხარისხიან დაცემენტებას.
  3. ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევებით მიღებული შედეგების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ყველაზე ეფექტურად საბურღი ხსნარის ამოტანის უნარს აუმჯობესებს პოლიმერული დანამატებით დამუშავება, რადგან პოლიმერების დამატება ზრდის ხსნარების სიბლანტეს, რაც აიხსნება პოლიმერების თვისებით, შექმნას სითხეში გრძელჯაჭვიანი მოცულობითი სტრუქტურები, ე.ი. მოცულობითი სივრცითი სტრუქტურული პოლიმერული მესერი. ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ყველაზე მეტად საბურღი ხსნარის ამოტანის უნარს ზრდის პოლიმერ სტაკრილატ-1-ის დამატება, ასევე ეფექტურობით გამოირჩევა ჰიპანი და ჰპაა.  
ამრიგად, ამ პოლიმერების გამოყენება საბურღი ხსნარების დასამუშავებლად საგრძნობლად აუმჯობესებს ჭაბურღილების გაყვანის პროცესს და ზრდის ბურღვის ტექნიკურ-ეკონომიკურ მანქანებლებს.
  4. განხილულია შავი ზღვის ენერგეტიკული და ეკოლოგიური პრობლემები; ზღვის სიღრმულ წყლებში არსებული გოგირდწყალბადის ზოგიერთი თვისება და ენერგეტიკული მიზნებისთვის გამოყენების პერსპექტივები; სიღრმული წყლის ამოღების ახალი ეფექტური მეთოდი და მიღებული გოგირდწყალბადის ფოტოდისოციაციის შესაძლებლობები მზის სხივებისა და ინფრაწითელი გამოსხივების ზემოქმედებით.
  5. განხილულია, რომ ბეტონში კალმატრონის დამატება (საშუალოდ მიქსერში არევიით) ზრდის კალმატრონის წყალშეუღწევობას სამი-ოთხი საფეხურით W2-W4-დან W10-W12. ყოველივე ამით იზრდება ბეტონის სიმკვრივე და სიმტკიცე. მაღლდება ბეტონის მარკა. ბეტონის ეს ბიოციდური თვისება საქართველოში ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში.
  6. გადმოცემულია მასალების მიღების ახალი ტექნოლოგიური პროცესის თვითგარცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის არსი. შესწავლილია მადნის კონცენტრაციიდან ქრომ-ტიტანის ბორიდის სინთეზის კანონზომიერებანი.
  7. შემუშავებულია სხმული სალი შენადნობების მიღების ახლი რესურსდამზოგი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგია – თვითგარცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი ცენტრიდანული ძალების ველში. დასაბუთებულია მათი გამოყენება სამთო და საგზაო მანქანების მჭრელი ინსტრუმენტებისთვის. შესწავლილია მიღებული მასალების სტრუქტურა და საექსპლუატაციო თვისებები.
  8. ნ.ხუნდაძე. ხითარიშვილი ნ. მაჭავარიანი - “MWD ტელემეტრიული სისტემის

გამოყენება დახრილ-მიმართული და ჰორიზონტალური ბურღვისას”

სპეციალური მგრძობიარე სენსორებითა და გადამწოდებით აღჭურვილი MWD ტელემეტრიული სისტემის გამოყენება დახრილ-მიმართული და ჰორიზონტალური ბურღვისას საგრძობლად აუმჯობესებს ჭაბურღილების გამოყვანის ტექნოლოგიურ პროცესს, ეფექტურს ხდის საბურღი მოწყობილობების მუშაობას, ზომავს და აკონტროლებს ბურღვის პარამეტრებს, გადამწოდების საშუალებით ადგენს და ჭაბურღილის ბურღვისას მართავს ლულის ტრაექტორიას, ამით უზრუნველყოფს ჭაბურღილების ლულის გაყვანის სიზუსტეს პროდუქტიულ ფენში. ყოველივე ეს საგრძობლად ზრდის ჭაბურღილების ბურღვის ეფექტურობას და გაყვანის ტექნიკურ მანევრებლებს.

| 7 | თ. კუპატაძე<br>ნ. კუპატაძე<br>ბ. დიდებაშვილი<br>ზ. კუპატაძე<br>ბ. გურამიშვილი | მთავორიანი რელიეფის<br>პირობებში რკინიგზის<br>გამტარუნარიანობის<br>ზოგიერთი პრობლემა.<br>საქართველოს<br>მეცნიერებათა<br>ეროვნული აკადემიის<br>სამეცნიერო ჟურნალი<br>“მეცნიერება და<br>ტექნოლოგიები”. ISSN                | №1 (75),<br>2014 | თბილისი<br><br>საგამომცემლო<br>სახლი “ტექნიკური<br>უნივერსიტეტი”  | 4 გვ. |

|    |   |   |                         |   |        |
|----|---|---|-------------------------|---|--------|
|    |   | 0130-7061. გვ. 75-78.   |                         |   |        |
| 8  | <p>ნ. მღებრიშვილი</p> <p>გ. ტყეშელაშვილი</p> <p>ტ. ანჯაფარიძე</p> <p>ა. ნოდია</p> <p>ნ. კვაჭაძე</p> | <p>ეფექტის ამაღლება<br/>ახალი<br/>მრავალფუნქციონალურ<br/>ი სისტემის დანერგვით<br/>სალიანდაგო<br/>ინტელექტუალური<br/>გადამწოდების ბაზაზე.<br/>სამეცნიერო-ტექნიკური<br/>ჟურნალი “ტრანსპორტი<br/>და<br/>მანქანათმშენებლობა”.<br/>ISSN 1512-3537</p> <p>გვ. 11-20.</p>                                      | №1 (29),<br>2014        | <p>თბილისი</p> <p>სტუ-ს<br/>სატრანსპორტო და<br/>მანქანათმშენებლობის<br/>ფაკულტეტის<br/>სასწავლო-<br/>სამეცნიერო<br/>კვლევითი ცენტრი<br/>“PRINT MEDIA”</p> | 10 გვ. |
| 9  | <p>ნ. მგებრიშვილი</p> <p>ლ. იმნაიშვილი</p> <p>მ. გოცაძე</p> <p>ა. დუნდუა</p> <p>ნ. კვაჭაძე</p>      | <p>Построения волоконно-<br/>оптических датчиков в<br/>железнодорожной<br/>автоматике на основе<br/>Брэгговских решёток.</p> <p>Транспорт. Научно-<br/>технически журнал.<br/>ISSN 1512-0910. с 3-9.</p>  | № 1-2 (53-<br>54). 2014 | ООО «Транспорт».  | 7 გვ.  |
| 10 | <p>ნ. მუხიგულაშვილი</p> <p>მ. პაპასკირი</p> <p>ვ. კუპრაძე</p>                                       | <p>სარკინიგზო<br/>ავტომატიკისა და<br/>ტელემექანიკის<br/>მოწყობილობების<br/>ტექნიკური<br/>მომსახურების<br/>სტრატეგიების<br/>ანალიზი. სტუ,<br/>საერთაშორისო<br/>კონფერენცია<br/>(ქართულ-პოლონური,<br/>თბილისი 22-24<br/>ოქტომბერი 2014 წ.)<br/>“სატრანსპორტო ხიდი<br/>ევროპა-აზია”. გვ. 267-<br/>270.</p> | –                       | <p>თბილისი</p> <p>საგამომცემლო<br/>სახლი “ტექნიკური<br/>უნივერსიტეტი”</p>   | 4 გვ.  |



|    |   |  |                     |   |        |
|----|---|--|---------------------|---|--------|
| 11 | <p>С. Карипидис</p> <p>Дж. Саникидзе</p> <p>Ю. Схиртладзе</p> <p>Г. Маргвелашვილი</p> | <p>Оптимальное регулирование напряжения и частоты электровозов с асинхронными тяговыми двигателями. სტუ, საერთაშორისო კონფერენცია (ქართულ-პოლონური, თბილისი 22-24 ოქტომბერი 2014 წ.) “სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია”. გვ. 48-59.</p> | –                   | <p>თბილისი</p> <p>საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”</p>                                     | 11 გვ. |
| 12 | <p>მ. გოცაძე</p> <p>ნ. მღებრიშვილი</p> <p>ლ. იმნაიშვილი</p> <p>ა. დუნდუა</p>          | <p>გაფართოებული ფუნქციონალური შესაძლებლობების სარელსო წრედები ოპტიკურ-ბოჭკოვანი გადამწოდების გამოყენებით. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “ტრანსპორტი”. გვ. 12-15.</p>  | № 1-2 (52-53). 2014 | ООО «Транспорт».  | 4 გვ.  |
| 13 | <p>მ. გოცაძე</p> <p>ლ. ფხაკაძე</p>  | <p>ახალი საელემენტო ბაზის გამოყენების პერსპექტივები ბლოკურ ცენტრალიზაციებში. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “ტრანსპორტი”. გვ. 16-19.</p>   | № 1-2 (52-53). 2014 | ООО «Транспорт».  | 4 გვ.  |
| 14 | <p>მ. გოცაძე</p> <p>ა. დუნდუა</p> <p>ი. ბერიძე</p>                                    | <p>საისრო ამძრავის მართვისა და ისრის მდგომარეობის კონტროლის სქემების დამუშავება მიკროპროცესორული ცენტრალიზაციებისათვის. სამეცნიერო-</p>  | № 4 (34)<br>2014    | <p>თბილისი</p> <p>სტუ-ს</p> <p>სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო</p> | 4 გვ.  |

|    |   |  |                  |   |       |
|----|---|--|------------------|---|-------|
|    |   | ტექნიკური ჟურნალი<br>“ტრანსპორტი და<br>მანქანათმშენებლობა”.<br>გვ. 28-31.  |                  | კვლევითი ცენტრი<br>“PRINT MEDIA”  |       |
| 15 | პ. ქენქაძე<br>ჯ. მორჩილაძე<br>ტ. კოტრიკაძე<br>ი. ჯაფარიძე | მალფუჭებადი<br>ტვირთების<br>გადაზიდვის<br>სრულყოფის<br>აქტუალური საკითხები.<br>სამეცნიერო-ტექნიკური<br>ჟურნალი “ტრანსპორტი<br>და<br>მანქანათმშენებლობა”.<br>ISSN 1512-3537<br>გვ. 31-36. | № 2 (30)<br>2014 | თბილისი<br><br>სტუ-ს<br>სატრანსპორტო და<br>მანქანათმშენებლობის<br>ს ფაკულტეტის<br>სასწავლო-<br>სამეცნიერო<br>კვლევითი ცენტრი<br>“PRINT MEDIA” | 6 გვ. |

სამეცნიერო სტატიებში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია: სარკინიგზო მოძრავე შემადგენლობათა კონსტრუქციული გაუმჯობესების საკითხებზე; მოცემულ ეტაპზე საქართველოს რკინიგზის მთავარ მიმართულებებზე რეალურად რეალიზებული სიმძლავრისა და მისი გაზრდის ღონისძიებებზე; სარკინიგზო გადაზიდვებში მოძრაობის უსაფრთხოების მართვის საკითხებზე; რკინიგზის გამტარუნარიანობის გაზრდის საკითხებზე; სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და სარელსო წრედებში მიმდინარე მიკროპროცესორულ საკითხებზე; სალიანდაგო ინტელექტუალურ გადაწყვეტილებებზე; რკინიგზაზე მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვის სრულყოფის საკითხებზე; ელექტრომავლეებში გამოყენებული ასინქრონული ელექტროძრავების ძაბვის რეგულირების აქტუალურ საკითხებზე.

\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მოხსენების სათაური   | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი  |
|---|--------------------------------|--|-------------------------------------|
| 1 | ა. შარვაშიძე<br>დ. გოგიშვილი   | სატვირთო ვაგონების<br>ორღერძიანი ურიკების<br>ჰორიზონტალური სრიალები<br>და 18-100 მოდელის | თბილისი, 2014 წ. 22-24<br>ოქტომბერი |

|   |  |  |                                  |
|---|--|--|----------------------------------|
|   | მ. პატურაშვილი   | ურიკისათვის ახალი კონსტრუქციის სრიალას დამუშავება.   |                                  |
| 2   | პ. ქენქაძე<br>ბ. თელია<br>კ. შარვაშიძე                             | მოცემულ ეტაპზე საქართველოს რკინიგზის მთავარ მიმართულებაზე რეალურად რეალიზებული სიმძლავრისა და მისი გაზრდის ღონისძიებათა შესახებ. | თბილისი, 2014 წ. 22-24 ოქტომბერი |
| 3   | С. Карипидис<br>Дж. Саникидзе<br>Ю. Схиртладзе<br>Г. Маргвелашვილი | Оптимальное регулирование напряжения и частоты электровозов с асинхронными тяговыми двигателями.                                 | თბილისი, 2014 წ. 22-24 ოქტომბერი |
| 4   | ნ. მუხიგულაშვილი<br>მ. პაპასკირი<br>ვ. კუპრაძე                     | სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების სტრატეგიების ანალიზი.                             | თბილისი, 2014 წ. 22-24 ოქტომბერი |
| <p>სატვირთო ვაგონების სავალი ნაწილების კონსტრუქციული გაუმჯობესება ჰორიზონტალური სრიალების მოდერნიზირებით; საქართველოს რკინიგზის მთავარ მიმართულებაზე რეალურად რეალიზებული სიმძლავრისა და მისი გაზრდის ღონისძიებათა ანალიზი სარკინიგზო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუირების შესაბამისად; ელექტრომავლებში მუდმივი დენის ელექტროძრავების ასინქრონული ძრავებით შეცვლის აუცილებლობა და მათში ძაბვის რეგულირების თანამედროვე ახალი სისტემის გამოყენება; სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების სტრატეგიების ანალიზი და მათი ოპტიმიზირების ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა.</p> |  |  |                                  |

ბ) უცხოეთში

| № | მომსხენებელი/<br>მომსხენებლები | მომსხენების სათაური                             | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი         |
|---|--------------------------------|---|--|
| 1 | ნ. მღებრიშვილი                 | Система мониторинга железнодорожного подвижного | Пятая Харбинская<br>международная выставка |

|  |  |   |  |
|--|--|---|--|
|  |  | состава на основе<br>многофункционального датчика | научно-технических<br>достижений мира. 30 июня – 04<br>июля 2014 г. (ჩინეთი) |
| საკითხი ეხება სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა (ლოკომოტივები და ვაგონები) მონიტორინგს სვლის პროცესში, რომლის მიზანია არსებობის შემთხვევაში სავალი ნაწილების დეფექტების აღმოჩენა მრავალფუნქციური ავტომატური გადამწოდების გამოყენებით. |  |   |  |

**სახელგაო და**

**საპეციალური ტექნოლოგიური ტრანსპორტის დეპარტამენტი (№511)**

\* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

**სახელმძღვანელოები**

| № | ავტორი/ავტორები                                  | სახელმძღვანელოს<br>სახელწოდება                                | გამოცემის<br>ადგილი,<br>გამომცემლობა                                       | გვერდების<br>რაოდენობა |
|---|--|---|--|------------------------|
| 1 | მ. ბარბაქაძე,<br>გ. არჩვაძე,<br>ვ. ქართველიშვილი | დატვირთვა-განტვირთვის<br>მექანიზაცია საზღვაო ტრანს-<br>პორტზე | “ტექნიკური<br>უნივერსიტეტი”,<br>თბილისი                                    | 250                    |
| 2 | ო. გელაშვილი,<br>მ. ბარბაქაძე                    | საზღვაო პორტები და მათი<br>მექანიკური აღჭურვა                 | “ტექნიკური<br>უნივერსიტეტი”,<br>ციფრული<br>პოლიგრაფიის<br>გამომცემლობა შპს | 350                    |

|   |  |  |                 |  |
|---|--|--|-----------------|--|
|   |  |  | “ბენე”, თბილისი |  |
| ანოტაციები:   |  |  |                 |  |
| <ol style="list-style-type: none"> <li>სახელმძღვანელოში განხილულია ნაესადგურებში და საზღვაო ტრანსპორტზე ტვირთების დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური აღჭურვა და შესაძლებლობანი</li> <li>ნაშრომში საზღვაო პორტები განხილულია, როგორც მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ლოჯისტიკური კვანძები, სადაც სამოქალაქო საზღვაო ფლოტის სხვადასხვა სახეობით მიმდინარეობს ტვირთბრუნვა. აქცენტირებულია პორტების ტექნიკური აღჭურვა სხვადასხვა სახეობის ტვირთების დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის კუთხით.</li> </ol> |  |  |                 |  |

სტატიები

| № | ავტორი/<br>ავტორები                                    | სტატიის სათაური,<br>ჟურნალის/კრებულის<br>დასახელება                        | ჟურნალის/<br>კრებულის ნომერი                               | გამოცემის<br>ადგილი,<br>გამომცემლობა     | გვერდების<br>რაოდენობა |
|---|--|--|--|--|------------------------|
| 1 | რ. ცხვარაძე,<br><br>ჯ. ნადირაშვილი,<br><br>ე. ცხვარაძე | ტრაქტორის<br>პოტენციალური წვევის<br>მასხისათებლის<br>საანგარიშო<br>ფორმულა | სამეცნიერო<br>შრომების კრებული<br><br>№5-2014              | თბილისის ღია<br>უნივერსიტეტი             | 5                      |
| 2 | ნ. ნავაძე,<br><br>ვ. ჯაჯანიძე                          | მსუბუქი<br>ავტომობილების<br>სავალდებულო<br>ტექნიკური<br>დათვალიერება       | სტუ<br>“ბიზნეს-ინჟინერინგი”,<br>№2, 2014 წ.<br><br>თბილისი | საქართველოს<br>ტექნიკური<br>უნივერსიტეტი | 4                      |
| 3 | Е. Герешидзе,  | Расчёт чистой грузоподъемности и расп-                                     | სამეცნიერო<br>შრომების კრებული                             | თბილისის ღია<br>უნივერსიტეტი             |                        |

|    |  |  |   |  |    |
|----|--|--|---|--|----|
|    | Т. Гелашвили,<br>В. Джаджанидзе  | ределения нагрузки по грузовым помещениям и дифферента судна в момент отхода из порта погрузки | №6-2014   |  | 3  |
| 4. | თ. გელაშვილი,<br>ბ. არჩვაძე,<br>ქ. გუგუშიძე,<br>რ. ცხარაძე,<br>ო. ჩხეტია | საზღვაო კონსტიტენტური საცხების რეცეპტურის გაგლემა მათ საქსპლუატაციო თვისებებზე                 | სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა"<br>ISSN 1512-3537<br>№3 (31) 2014 წ.<br>თბილისი |  | 10 |

#### ანოტაციები

- სტატიაში მოცემულია ტრაქტორის, როგორც წევითი ენერგეტიკული თვისებების მატარებელი ობიექტის პოტენციალური მახასიათებლის ანალიზური სახის საანგარიშო ფორმულის გამოყვანა, როცა ცნობილია მისი წვეის მახასიათებლის კონკრეტული მონაცემები გადაცემის სხვადასხვა საფეხურზე მაქსიმალური სიმძლავრეების სახით.
- ანხილულია მსუბუქი ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი, საზგასმით არის აღნიშნული ქვეყნის საავტომობილო პარკის ტექნიკურად გამართულობის არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ, რაც იწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას და ხელს უწყობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდას.  
დასაბუთებულია სრულყოფილ, ევროსტანდარტების დონეზე ტექნიკური დათვალიერების ეტაპობრივად გადასვლის აუცილებლობა. წარმოდგენილია ავტომობილების კატალიზატორებით აღჭურვის და შესაბამის ადმისტრესტირებასთან დაკავშირებული პრობლემები.
- Рациональная погрузка судно-многоплановая и многовариантная задача. К ним относятся : полное исполбзование грузоподъемности и грузоместимости, обеспечение прочности корпуса судна, обеспечение безоасности плавания путём предания судну надлежащей посадки. В статье выясняется при каких тепловлажностных режимах должна осуществляться доставка груза.
- სტატია ეხება გემის ოპტიკური ხელსაწყოების მოხაზუნე ელემენტებისთვის ზეთების კომპლექსური შემასქელებლების საცდელ კომპოზიციაში 5%-მდე მოდიფიცირებული ნახშირბადისა და გრაფიტის დამატებით საზღვაო საცხის გაუმჯობესების პერსპექტივას.

\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| №   | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები   | მოსხენების სათაური   | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი   |
|---|--|--|--|
| 1   | M. Barbakadze,<br>G. Archvadze,<br>V. Kartvelishvili                             | VALUE OF PORT ANAKLIA IN THE NEW PROJECT<br>“SILK ROAD”  | 9 <sup>th</sup> Silk Road International<br>Conference on Business,<br>Economics, International<br>Relations and Education.<br><br>IBSU, Tbilisi.<br><br>May 23-25. 2014. |
| 2   | Z. Bogvelishvili,<br>G. Archvadze,<br>V. Bogvelishvili,<br>M. Barbakadze         | RESEARCH OF THERMODYNAMIC<br>PROCESSES OCCURRING<br><br>IN PNEUMATIC SYSTEMS WITH RUBBER-<br>CORD SHELLS HIGH-PRESSURE | Internacional scientific<br>conference:<br><br>«Mechanic-2014”<br><br>Tbilisi. May , 2014.   |
| 3   | M. Barbakadze<br>G. Archvadze<br>E. Gegeshidze<br>Z. Bogvelishvili<br>N. Rusadze | MARITIME TRANSPORT AND ECOLOGY   | POLAND-GEORGIAN<br><br>INTERNATIONAL SCIENTIFIC-<br>TECHNICAL CONFERENCE<br><br>“TRANSPORT BRIDGE EUROPE<br>- ASIA”<br><br>October, 22-24, 2014, Tbilisi                 |
| <p style="text-align: center;">მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>1. The future of stable economic development of Georgia is closely related to development of its seaports potential and its further development. The usage of favorable transport - geographical location of Georgia in the creation of Eurasian transport corridor significantly contributes to the</p> |  |  |  |

economic development of country. Europe - Caucasus - Asia transport corridor passes through the Black Sea Colchis lowland area, because this is the deepest Black Sea coast that attaches particular importance to our country.

Georgia with taking into account its location and transit functions is rather attractive to establish logistics center terminal's network that would be the significant perspective for the economic strengthening of country.

2. წარმოდგენილია ანალიზური დამოკიდებულებები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოკვლეული იქნას მაღალი წნევის სახელოს ტიპის რეზინ-კორდულგარსიანი პნევმატიკური დრეკადი ელემენტებით აღჭურვილი შერეოსორების ავტონომიური, დამატებითი ტევადობიანი და პნევმობალანსირებული სისტემების მუშაობა დინამიკური დატვირთვების დროს, მათში მიმდინარე თბოგადაცემის და ცვლადი მასის თერმოდინამიკური პროცესების, აგრეთვე ურთიერთდაკავშირებულ ტევადობებს შორის აირის დროსელირების გათვალისწინებით.
3. მსოფლიოში მიმდინარე სამრეწველო-ეკონომიკურმა და სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა მსოფლიო ოკეანე გახადა ყველაზე დიდ სატრანსპორტო არტერიად და საზღვაო გადაზიდვებს მიენიჭა მნიშვნელოვანი როლი, რამაც გაზარდა ეკოლოგიურ კატასტროფათა საფრთხე მსოფლიო ოკეანეში.  
ნაშრომში განხილულია ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილებისთვის იურიდიული ნორმები და სამართლებრივი ასპექტები, კერძოდ, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის, IMO-ს მიერ მიღებული სპეციალური კონვენცია გემებიდან ზღვის და საჰაერო სივრცის დაბინძურების აღსაკვეთად MARPOL 73/78, რომელიც არის მთავარი საერთაშორისო ინსტრუმენტი საზღვაო გარემოს დაბინძურებისგან დაცვის სარეგულირებლად, ხოლო CLC კონვენცია განსაზღვრავს გარემოსთვის მიყენებულ ზარალზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას.

## ლოგისტიკის დეპარტამენტი

### 1. ჩატარებული სამეცნიერო კვლევები

2014 წელს ლოგისტიკის დეპარტამენტმა საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციასთან და ემერიკურლ ორგანიზაცია USAID-თან თანაშრომლობით ჩაატარა **საქართველოს მიწოდების ჯაჭვის ინდუსტრიის კვლევა**. აღნიშნული სამეცნიერო კვლევა მოიცავდა საქართველოს წამყვანი კომპანიების მიწოდების ჯაჭვის პროცესების მართვის ხარისხის



ანალიზსა და ამ პროცესების ეფექტურობის მეტრიკების შესწავლას და მათ შედარებით ანალიზს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25 ქართულმა და საერთაშორისო კომპანიამ შემდეგი დარგებიდან: კვების მრეწველობა, საცალო ვაჭრობა, ფარმაცევტიკა, ელექტროტექნიკის დისტრიბუცია, სამომხმარებლო საქონლის დისტრიბუცია.

შესწავლილი იქნა 60 ბიზნეს პროცესი ლოგისტიკის ჯაჭვის შემდეგ კომპონენტებში: დაგეგმარება, შესყიდვები, წარმოება, დისტრიბუცია, რევერს ლოგისტიკა. ასევე გაანგარიშებული იქნა 25 ძირითადი მეტრიკი ზემოაღნიშნული კომპონენტების მიხედვით რის შემდეგაც მოხდა მათი შედარებითი ანალიზი თვითოეული დარგის შიგნით, ასევე შედარებითი ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკასთან.

მეტრიკების გამოთვლა მოხდა მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების სარეგულაციო მოდელის (Supply Chain Operations Reference Model, SCOR) მეშვეობით, რომელიც შექმნილ იქნა აშშ-ს მიწოდების ჯაჭვის საბჭოს (Supply Chain Council, SCC) მიერ, როგორც მიწოდების ჯაჭვის პროცესების შეფასების, დიაგნოსტიკისა და ბენჩმარკინგის (შედარებითი ანალიზის) ინსტრუმენტი.

აღნიშნული კვლევის ჩატარება დაგეგმილია 2015 წელსაც. ამჟამად მიმდინარეობს დონორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება.

## 2. სამეცნიერო ნაშრომები

ლოგისტიკის დეპარტამენტმა აქტიური მუშაობა ჩაატარა სამეცნიერო ნაშრომების კუთხით. გამოქვეყნდა 7 სამეცნიერო სტატია და მონოგრაფიის სამტომეულ: “სატრანსპორტო ლოგისტიკური და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები“. მოცემულ თემაზე გამოკვლევა ჩატარდა სამეცნიერო ნაშრომის სახით, რომლის შედეგები ჩამოყალიბდა მონოგრაფიის სამტომეულის სახით, შემდეგი სახელწოდებით- წიგნი 1 : საწარმოო და განაწილების ლოგისტიკა; წიგნი 2: ინტეგრირებული განაწილებითი სისტემების ლოგისტიკა;

წიგნი 3: სასაწყობო და საპორტო ლოგისტიკა;(რედაქტორი პროფ. კ. ერაძე).

სამტომეული შესრულდა საქართველოს ბიზნესის აკადემიასთან მჭიდრო კავშირში, რომელიც ასრულებდა დონორი ორგანიზაციის როლს. აკადემია აფინანსებდა ნაშრომების დაბეჭდვის და გამოცემის ხარჯებს. ნაშრომის სამეცნიერო უზრუნველყოფა განახორციელა ავტორთა კოლექტივმა: ტ.მ.დ., პროფ. ლ. ბოცვაძე(სტუ. ხელმძღვანელი), ე.მ.დ., პროფ. კ. ერაძე (ბიზნესის აკადემია), ტ.მ.დ., პროფ. ო. გელაშვილი (სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი); ინჟინერიის დოქტორი

ვ. ბოცვაძე (ბიზნესის აკადემია). მონოგრაფიების და სამეცნიერო სტატიების ნუსხა და მოკლე აღწერილობა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

|   | ნაშრომის დასახელება  | ავტორი/ავტორები          |  |
|---|--|--------------------------|--|
| 1   | Trends and Developments in the Logistics Industry of the South Caucasus Countries                          | გ. დობორჯგინიძე          |  |
| <p><b>მოკლე აღწერა</b></p> <p>ნაშრომი გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე, 2014 წლის თებელრვალში გერმანულ-ყაზახური სამეცნიერო ფორუმის კრებულში. ნაშრომი ეხება სამხრეთ კავკასიის ლოგისტიკის ინდუსტრიაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია ლოგისტიკური პროცესების ეფექტურობასთან და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასთან. ნაშრომში წამოდგენილია რეგიონალური ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზები. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც უკავშირდება რეგიონში ეფექტური ლოგისტიკური სისტემის განვითარებას და ლოგისტიკური პროცესების ეფექტურობის ზრდას.</p> |  |                          |  |
| 2   | მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობის შეფასება მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების სარეფერენციო მოდელის (SCOR) გამოყენებით | გ. დობორჯგინიძე          |  |
| <p>ნაშრომი გამოქვეყნდა 2014 წლის დეკემბერში სამეცნიერო ჟურნალში- „ეკონომიკა და ბიზნესი“. ნაშრომი ეხება კომპანიებში მიწოდების ჯაჭვის პროცესების შეფასებას მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების სარეფერენციო მოდელის- SCOR-ის მეშვეობით. იგი წარმოადგენს და აღწერს SCOR-ის მოდელის მეთოდოლოგიას და მისი გამოყენების თავისებურებებს კომპანიის მაგალითზე. სტატიაში აგრეთვე აღწერილია SCOR-ის მოდელის სტრუქტურა და წარმოდგენილია პრაქტიკული მაგალითები (მათ შორის SCOR Card-ის მაგალითი) SCOR-ის მოდელის გამოყენების. სტატიაში შეჯამებულია SCOR-ის მოდელის გამოყენების უპირატესობა და მოსალოდნელი შედეგები კომპანიებისათვის.</p>       |  |                          |  |
| 3   | სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი მიმართულებები  | თ.გორშოკოვი<br>ნ.ბუთხუზი |  |
| <p>ნაშრომი გამოქვეყნდა 2014 წლის სექტემბერში, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის</p>   |  |                          |  |

|  |   |                                   |  |
|--|---|-----------------------------------|--|
| <p>სამეცნიერო შრომების კრებულში. სტატიაში განხილულია ის პრობლემების რაც დგას დღეისათვის საქართველოს რკინიგზის წინაშე, რამაც გამოიწვია სატრანსპორტო ტვირთების შემცირება. შემტავებულია რეკომენდაციები, რომელიც გულისხმობს: კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას, კონკრეტული ტარიფების დაწესებას და ა.შ.</p>   |   |                                   |  |
| 4  | <p>საკონტინერო გადაზიდვების განვითარების გზები ევრაზიულ სივრცეში</p>  | <p>თ.გორშკოვი<br/>ნ.ბუთხუზი</p>   |  |
| <p>ნაშრომი გამოქვეყნდა 2014 წლის ოქტომბერში, სართაშორისო კონფერენციის (22.10.14-24.10.14), „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ სამეცნიერო შრომების კრებულში. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციით იხსნება დამატებითი შესაძლებლობები ცალკეული ქვეყნების და რეგიონების ეკონომიკის განვითარებისთვის. სტატიაში განხილულია სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვა. კერძოდ, საკონტინერო გადაზიდვები. შეთავაზებულია საქართველოში საკონტინერო გადაზიდვების განვითარების გზები, როგორც ინფრასტრუქტურული მიმართულებები, აგრეთვე მომსახურების სფეროებში.</p> |   |                                   |  |
| 5  | <p>მგზავრთა გადაყვანის ლოგისტიკური სისტემები</p>  | <p>თ.გორშკოვი<br/>ნ.ბუთხუზი</p>   | <p>ნაშრომი გამოქვეყნდა 2014 წლის დეკემბერში, საქართველოს</p> |
| <p>ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ტექნიკურ ჟურნალში „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ #3. წარმოდგენილია სატრანსპორტო მომსახურების პარამეტრების სქემა. განხილულია ის პრინციპები, რომელსაც საჭიროა მგზავრთა ლოგისტიკური სისტემის პროექტირების და შექმნის დროს. განხილულია მარკეტინგული კვლევების და მგზავრთნაკადების მოცულობების პროგნოზირების ჩატარება და აქტუალურობა. შემოთავაზებულია ინფორმაციული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრთა მოთხოვნის დიფერენციაციას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.</p>                               |   |                                   |  |
| 6  | <p>ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის („ტრასეკა“) სატრანსპორტო პოტენციალის ლოგისტიკური ანალიზი</p> | <p>რ. თედორაძე<br/>გ. სისვაძე</p> |  |

ნაშრომი გამოქვეყნდა 2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ტექნიკურ ჟურნალში „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №1(29).  
 სტატიაში განხილულია „ტრასეკას“ ფუნქციონირების მოთხოვნილება ევროპის, კავკასიის და აზიის ქვეყნებს შორის საერთაშორისო ეკონომიკურ, ფინანსურ და სავაჭრო ურთიერთობებში. შესრულებულია ტვირთბრუნვის ლოგისტიკური ანალიზი „ტრასეკას“ კორიდორის საქართველოს მონაკვეთზე 2020 წლამდე.

|   |   |                                |  |
|---|---|--------------------------------|--|
| 7 | საავტომობილო ტრანსპორტის შერჩევა ოპტიმიზაციის განზოგადოებული პარამეტრით | რ. თედორაძე<br>დ. ფრიდონაშვილი |  |
|---|---|--------------------------------|--|

ნაშრომი გამოქვეყნდა 2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ტექნიკურ ჟურნალში „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №3(31).  
 სტატიაში მოცემულია ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაზიდვებისათვის შერჩევის მეთოდოლოგია მისი ეფექტურობის განზოგადოებული პარამეტრის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მოძრაობის საშუალო სიჩქარეს, საწვავის ხარჯს და გადაზიდული ტვირტის მოცულობას მოცემულ პირობებში. სტატიაში მოცემულია კონკრეტული კვლევის მონაცემები.

|   |   |   |  |
|---|---|---|--|
| 8 | სატრანსპორტო - ლოგისტიკური და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები. მონოგრაფია<br>წიგნი 1 : საწარმოო და განაწილების ლოგისტიკა | ლ. ბოცვაძე, კ. ერაძე,<br>ო. გელაშვილი, ვ. ბოცვაძე |  |
|---|---|---|--|

მონოგრაფიის პირველი წიგნი გამოქვეყნდა 2014 წელს საგამომცემლო სახლის „უნივერსალის“ მიერ. მოცულობა 470გვ. შედგება 5 ნაწილის და 17 თავისაგან. ნაშრომი ეხება სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო ფორმის, სატრანსპორტო-ლოგისტიკური სისტემების, რეგიონული ინტეგრირებული სისტემების შექმნის, ფუნქციონირებისა და აღჭურვილობის ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიური საფუძვლების პირველ გამოცემას. წიგნი მოიცავს სისტემების ოპტიმიზაციის თეორიულ საფუძვლებს. სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპლექსები ფუნქციონირების ასპექტებს და ოპტიმიზაციის საფუძვლებს, პროდუქციის ფიზიკური განაწილების თეორიულ საფუძვლებს, სამრეწველო კომპლექსების ლოგისტიკური სისტემების კომპლექსური გამოკვლევებისა და მოდელირების, მათი სინთეზისა და ოპტიმიზაციის თეორიულ საფუძვლებს. ტერმინალურ-სასაწყობო ტექნოლოგიებს, სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემების შექმნის თეორიულ მეთოდებს, გადაზიდვის პროცესების ტექნოლოგიას, ტექნიკური აღჭურვილობისა და გაანგარიშების საფუძვლებს. დამუშავებული და მიღებულია სატრანსპორტო-სატვირთო

სისტემებისა და მათი ქვესისტემების ოპტიმალური ტექნიკურ-ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრის მოდელები და ალგორითმები, რომლებიც წარმოადგენენ ლოგისტიკური ობიექტების ფუნქციონირების მოდელირების, ოპტიმიზაციისა და პროექტირების საფუძვლებს.

|   |  |   |  |
|---|--|---|--|
| 9 | <p>სატრანსპორტო - ლოგისტიკური და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები. მონოგრაფია</p> <p>წიგნი 2 : ინტეგრირებული განაწილებითი სისტემების ლოგისტიკა</p> | <p>ლ. ბოცვაძე, კ. ერაძე, ო. გელაშვილი, ვ. ბოცვაძე</p> |  |
|---|--|---|--|

მონოგრაფიის მეორე წიგნი გამოქვეყნდა 2014 წელს საგამომცემლო სახლის „უნივერსალის“ მიერ. მოცულობა 630 გვ. შედგება 3 ნაწილის და 14 თავისაგან. ნაშრომი მიძღვნილია სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემებში, კომპლექსებში და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემების შექმნის, ოპტიმიზაციისა და პროექტირების მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებისადმი. მონოგრაფიის შემადგენელი ნაწილები ითვალისწინებს რთული ფუნდამენტური საკითხების გადმოცემას: ლოგისტიკური სისტემების მოდელირების, ინტეგრაციისა და პროექტირების თეორიული საფუძვლები; რთული მაკროლოგისტიკური სტრუქტურების სისტემური გამოკვლევა და მოდელირება. მაკროლოგისტიკური რეგიონალური და მულტიმოდალური სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრებისა და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები. გაანგარიშების, მოდელირების, ოპტიმიზაციისა და პროექტირების საკითხები განხილულია ინტეგრირებული ლოგისტიკის მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენებით.

|    |   |   |  |
|----|---|---|--|
| 10 | <p>სატრანსპორტო - ლოგისტიკური და ინტეგრირებული განაწილებითი სისტემები. მონოგრაფია</p> <p>წიგნი 3 : სასაწყობო და საპორტო ლოგისტიკა</p> | <p>ლ. ბოცვაძე, კ. ერაძე, ო. გელაშვილი, ვ. ბოცვაძე</p> |  |
|----|---|---|--|

მონოგრაფიის მესამე წიგნი გამოქვეყნდა 2014 წელს საგამომცემლო სახლის „უნივერსალის“ მიერ. მოცულობა 480 გვ. შედგება 5 ნაწილისა და 16 თავისაგან. ნაშრომზე მუშაობა განხორციელდა სქემით: „გაანგარიშება, მოდელირება, ოპტიმიზაცია, პროექტირება.“ მონოგრაფია ეხება მზა პროდუქციის მატერიალური ნაკადის შუალედური ობიექტების სატრანსპორტო-სასაწყობო სისტემებში (ტერმინალურ კომპლექსებში), ინტეგრირებულ-განაწილებითი სისტემების-პორტების შექმნის ოპტიმიზაციის და პროექტირების მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებას. მისი ძირითადი ნაწილები ითვალისწინებენ რთული ფუნდამენტალური საკითხების გადმოცემას. კომპანიების ლოგისტიკური სისტემების,

სატრანსპორტო- სასაწყობო ქვესისტემების ოპტიმიზაციასა და პროექტირებას, საპორტო ლოგისტიკის სტრატეგიების დამუშავებას, მის ტექნოლოგიურ პროექტირებას, სახმელეთო ტრანსპორტით პროდუქციის გადაზიდვების მოდელირების ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ნაშრომში წარმოდგენილია პორტებში გადატვირთვის სამუშაოთა ტექნოლოგია: ლოგისტიკური ობიექტების ფუნქციონირების ალბათურ-განუსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებულია გადატვირთვის სამუშაოთა მოდელები და ალგორითმები. სისტემური მოდელირების მეთოდების საფუძველზე ოპტიმიზაციის კრიტერიუმების გათვალისწინებით წარმოებს მიზნის, ფუნქციების ფორმალიზაცია და პროექტების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრა სანდო ალბათობის დონეზე 0.95. განკუთვნილია უნივერსიტეტების მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პროფესორ- მასწავლებლებისათვის.

### 3. საერთაშორისო თანამშრომლობა




2014 წელს ლოგისტიკის დეპარტამენტმა დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ერთობლივი სამეცნიერო და კვლევითი პროექტების განხორციელების კუთხით შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. საქართველოს ლოგისტიკის ასოციაცია და მისი პარტნიორი აშშ-დან- APICS Supply Chain Council. გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმი საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციასთან, რომელიც გულისხმობს აქტიურ თანამშრომლობას ერთობლივ კვლევით პროექტებში. 2014 წელს ერთობლივად განხორციელდა საქართველოს მიწოდების ჯაჭვის ინდუსტრიის კვლევა.
2. ვილდაუს ტექნიკური უნივერსიტეტი (გერმანია): გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვილდაუს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ასევე სამეცნიერო დაგში აქტიურ თანამშრომლობას ლოგისტიკის დეპარტამენტთან. 2015 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია ვილდაუს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ინსტიტუტის პროფესორების ვიზიტი საქართველოში. ამჟამად მიმდინარეობს კვლევითი პროექტების თემებისა და დონორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი  
სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტი  
სასწავლო სამეცნიერო ცენტრი

წლიური ანგარიში

თემა: მორსათრევი თვითმტვირთავი ავრეგატის ძარისა და  
ისრის მექანიზმების კვლევა და დამუშავება

თემის ხელმძღვანელი  პროფ. ზ. ჩიტაძე  
სამეცნიერო ხელმძღვანელი  პროფ. ზ. ბალმწარაშვილი  
პასუხისმგებელი  ას. პროფ. ი. გელაშვილი  
შემსრულებელი

თბილისი 2014

## შესავალი

საქართველოს ეროვნული მეურნეობის ხე-ტყის მასალებით დაკმაყოფილების ამოცანა შეიძლება მიღწეული იყოს, მხოლოდ ხე-ტყის დამზადების პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი ხარისხიანობის არსებობის შემთხვევაში.

ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი რთულია და მიმდინარეობს სხვადასხვა პირობებში, რაც გვაიძულებს საქართველოს მთაგორიან პირობებში ტყეკაფების ასათვისებლად გამოვიყენოთ სპეციალური მანქანა-დანადგარები.

მთაგორიან პირობებში ხე-ტყის დამზადების პირველი რიგის ამოცანებს მიეკუთვნება კომპლექსური მექანიზაცია და საიმედო შემსრულებელი მექანიზმების დამუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მანქანა-დანადგარების შეუფერხებელ მუშაობას და მათი სამართავი უბრალო მოწყობილობების დანერგვას. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მთიან პირობებში ტყეკაფითი სამუშაოების ეკოლოგიურად უვნებელი ტექნოლოგიების ძიებას და ეკონომიკური საკითხის შესწავლას.

ნაშრომში შემოთავაზებულია ტყეკაფზე ხე-ტყის მორთრევის - ტრანსპორტირების მიდგომის სისტემური მეთოდი, რაც ითვალისწინებს რესურსდამზოგი, ეკოლოგიურად უვნებელი და უნარჩუნო ტექნოლოგიურად გამართული ციკლების ორგანიზებას და ერთიანსისტემური, საერთო კონცეფციის ფორმირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით სტუ-ს მერქნული მასალების დამზადება-დამუშავების კათედრაზე შეიქმნა თვითმტვირთავი აგრეგატი, რომელიც იძლევა ვაწარმოთ მორების მორთრევა მთლიანად დატვირთულ მდგომარეობაში. ამასთან მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი (მთა) ერთდროულად წარმოადგენს მოკლე-დისტანციურ თვითმავალ საბაგირო დანადგარს, რომელიც გამოიყენება ციცაბო ფერდობების ტყით განახლებისათვის და სხვა სატყეო სამუშაოების წარმოებისათვის.



მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატის  
ახალი სქემების დამუშავება

მერქნული მასალების დამზადება-დამუშავების კათედრაზე დამუშავდა ახალი მოდერნიზებული მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი, რომელიც იძლევა საშუალებას ავტომატურ რეჟიმში ტრაქტორისტ-ოპერატორის კაბინიდან გადმოუსვლელად, ძარისა და ისრის მექანიზმების ყოველგვარი დემონტაჟისა და მონტაჟის გარეშე, გადავიყვანოთ აგრეგატი მორსათრევ, დამტვირთავ და სატრანსპორტო მდგომარეობაში და პირიქით.

აღნიშნული ტექნიკური შედეგი მიიღწევა იმით, რომ ძარას სახსრულ-ბერკეტული მექანიზმის II -სებრი ჩარჩო და II-სებრი ისარი აღჭურვილია კბილანებით, რომლებიც დამაგრებულია შასის ორივე მხარეს ჩარჩოზე და ისარზე, ჩარჩოსა და ისრის შასისთან მისაერთებელი სახსრების ღერძების თანაღერძულად, ხოლო ჩარჩოზე დამაგრებული კბილანები მოდებშია ჩარჩოსა და ისრის შასისთან მისაერთებელი სახსრების ღერძების თანაღერძულად მხრეულას ლილვზე დამაგრებულ კბილა სექტორებთან. ისარზე დამაგრებული კბილანები კი მოდებშია კბილა სექტორებთან პარაზიტული კბილანების მეშვეობით. ამასთან მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატის ჰიდროცილინდრის მხრეულას ლილვზე დასმული კბილა სექტორების მოდება, შესაბამისად, ჩარჩოსა და ისარზე დამაგრებულ კბილანებთან წანაცვლებულია ფაზით.

მოდერნიზებული მთა (დანართი 1-5) შეიცავს მუხლოუხა ტრაქტორს 1 შასით 2, ძარას 3, ჯალამბარს 4 ბაგირით 5, ძარას სახსრულ-ბერკეტულ მექანიზმს II- სებრი ჩარჩოთი 6, მასზე დამაგრებული კბილანებით 7, მხრეულებით 8, ბარბაცებით 9, გორგოლაჭებით 10, მიმმართველებით 11 და საბჯენით 12, ისარს II-სებრი ჩარჩოთი 13, მასზე დამაგრებული კბილანებით 14, სატვირთო ბლოკით 15, შასის ორივე მხარეს მხრეულას ლილვზე დასმულ კბილა სექტორებს 16, ისარზე დამაგრებული კბილანების მოძრაობაში მომყვან პარაზიტულ კბილანებს 17 და ძარისა და ისრის მექანიზმების ამძრავს ჰიდროცილინდრის 18, 19 და მხრეულას 20.

მერქნული მასალების დამზადება- დამუშავების კათედრაზე აგრეთვე დამუშავდა მორსათრევი ტვითმტვირთავი აგრეგატის (მთა-1) განსხვავებული სქემა რომელშიც ტრაქტორის შასის ორივე მხარეს, ისრის ქვედა ნახევარჩარჩოს შასისთან შემაერთებელი სახსრის ღერძის თანაღერძულად სახსრულად დამაგრებულია ძარის ასაყირავებელი მხრეულები, რომლებიც, თავის მხრივ, ისრის ქვედა და ზედა

ნახევარჩარჩოების შემაერთებელი სახსრის ღერძის თანაღერძულად სახსრულად არის დაკავშირებული ძარასთან (13).

ტრაქტორის შასიზე, ისრის ქვედა ნახევარჩარჩოს შასისთან შემაერთებელი სახსრის ღერძის პარალელურად, დამაგრებულია ლილვი მხრეულათი, რომელიც სახსრულად არის დაკავშირებული ჰიდროცილინდრის ჭოკთან, ამასთან ჰიდროცილინდრის კორპუსი სახსრულად არის მიერთებული შასისთან.

გარდა აღნიშნულისა მორსათრევ აგრეგატში (მთა-1) ტრაქტორის შასის ორივე მხარეს ჰიდროცილინდრის მხრეულას ლილვზე ხისტად დამაგრებულია ერთი ორგვირგვინიანი კბილა სექტორის ბლოკი და ორი კბილა სექტორი. ორგვირგვინიანი კბილა-სექტორის ბლოკი ერთდროულად მოდებამია მასისა და ისრის მხრეულეზე ხისტად და სახსრების ღერძის თანაღერძულად დამაგრებულ კბილანებთან, ხოლო ერთ-ერთი კბილასექტორი პარაზიტული კბილანის მეშვეობით მოდებამია ისრის ქვედა ნახევარჩარჩოზე დამაგრებულ კბილანასთან, ხოლო მეორე მოდებამია ისრის ზედა ნახევარჩარჩოსა და ნახევარჩარჩოების შემაერთებელი სახსრის ღერძის თანაღერძულად დამაგრებულ კბილანასთან, ამასთან ჰიდროცილინდრის მხრეულას ლილვზე დასმული კბილა სექტორების მოდება, შესაბამისად, ძარისა და ისრის კბილანებთან, წანაცვლებულია ფაზით.

აღნიშნულის ტექნიკური შედეგია ის, რომ მორსათრევი აგრეგატი ისევე როგორც წინა მორსათრევ აგრეგატში, მხოლოდ განსხვავებული სქემით, შესაძლებელია ავტომატურ რეჟიმში ტრაქტორისტის კაბინიდან გადმოუსვლელად და ისრისა და ძარის მექანიზმების ყოველგვარი დემონტაჟისა და მონტაჟის გარეშე გადავიყვანოთ აგრეგატი მორსათრევ, დამტვირთავ და სატრანსპორტო მდგომარეობაში და პირიქით.

მორსათრევი აგრეგატი (მთა-1) (დანართი 5-10) შეიცავს მუხლუხა ტრაქტორს 1 შასით 2, ძარას 3, ჯალამბარს 4 ბაგირით 5, ძარას მექანიზმს: მხრეულეებით 6, ბარბაცეებით 7, მხრეულეებით 8, გორგოლაჭებით 9, მიმმართველებით 10 და საბრჯენით 11, ისრის მექანიზმს: მხრეულეებით 12 (ისრის ქვედა ნახევარჩარჩო) ბარბაცით 14, ცოციებით 15 და ძარისა და ისრის მექანიზმების ამძრავს: ჰიდროცილინდრს 16 ჭოკით 17, მხრეულას 18, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს შასიზე დასმული ლილვი 19, რომელზედაც ძარას ორივე მხარეს ხისტად დასმულია ორგვირგვინიანი კბილა სექტორები 20, 21 და ცალკე კბილა სექტორები 22 და 23.

კბილა სექტორები 20, 21 და 22, შესაბამისად, მოდებამია შასიზე დამაგრებულ ღერძებზე 24 და 25 დასმულ კბილანებთან 26, 27 და 28. ამასთან, კბილანები 26 და 27 ხისტად არის დამაგრებული, შესაბამისად,

ძარისა 3 და ისრის მხრეულებზე 8 და 12, ხოლო კბილანა 22 მოდებამია კბილანასთან 29 პარაზიტული კბილანის 28 მეშვეობით. კბილანა 29, როგორც კბილანა 27, ხისტად არის დამაგრებული ისრის მხრეულაზე 12, მეოთხე კბილა სექტორი 23 მოდებამია ისრის ქვედა ჩარჩოს ღერძზე 30 დასმულ კბილანასთან 31, რომელიც, თავის მხრივ, ხისტად არის დამაგრებული ისრის ზედა ნახევარჩარჩოზე 13, ამასთან 23 და 31 კბილანებს შორის მოდება ხორციელდება ისრის ქვედა ჩარჩოს ღერძზე 37 დასმული პარაზიტული კბილანის 33 საშუალებით.

GE P 2009 4778 B




Fig. 1.




Fig. 2.




Fig. 3.

## ლიტერატურა

1. ზ. ბალამწარაშვილი, პ. დუნდუა, ზ. ჩიტინძე, ვ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი  
"ხე-ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგია"  
1 ნაწილი თბილისი 2013 წ.
2. ზ. ბალამწარაშვილი, პ. დუნდუა, ზ. ჩიტინძე, ვ. აბაიშვილი, ი. გელაშვილი  
"ხე-ტყის დასამზადებელი მანქანები და მოწყობილობები"  
11 ნაწილი თბილისი 2013 წ.
3. ზ. ბალამწარაშვილი, გ.კოკია, პ. დუნდუა, თ. მჭედლიშვილი, ზ. ჩიტინძე,  
"ტყეკაფითი სამუშაოების მანქანები და ტექნოლოგია მთიან პირობებში"  
თბილისი 2008 წ.
4. ზ. ბალამწარაშვილი, ზ. ჩიტინძე, გ.კოკია, თ. მჭედლიშვილი,  
"მორსათრევი აგრეგატი" პატენტი GEP 10332A . თბილისი 10.04.09
5. თ. მჭედლიშვილი, პ. ნარიმანაშვილი, ზ. ბალამწარაშვილი, მ. ტეფნაძე,  
გ. ზუბიაშვილი, რთულპროფილიანი დეტალების სახეხი ჩარხი.საქპატენტი. დადებითი გადაწყვეტილება გამოგონებაზე. განაცხადის №11616/01-09, თბილისი, 2010.02.17.
6. თ. მჭედლიშვილი, პ. ნარიმანაშვილი, ზ. ბალამწარაშვილი, ვ. დოლიძე,  
ს. ამეოლაძე, დ. მოსულიშვილი. მრუდწირული რთულპროფილიანი ზედაპირების მაკოპირებელი სახეხი ჩარხის ჰირდომოთვალთვალე ამძრავი. საქპატენტი. დადებითი გადაწყვეტილება გამოგონებაზე, განაცხადის №117/01-10, თბილისი, 2010.04.17.

## დასკვნა

ხე-ტყის მორსათრევი ტრაქტორის TT 4-ის ბაზაზე შექმნილია თვითმტვირთავი მორსათრევი აგრეგატი (მთა), რომელიც ახორციელებს ხე-ტყის მორთრევის უნარჩენო ტექნოლოგიას, რისთვისაც აღჭურვილია ძარითა და თაღოვანი ისრით. აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესი, თვითმტვირთავი მორსათრევი აგრეგატითა და განივგადასატანი საბაგირო მორსათრევი დანადგარის გამოყენებით, ახალი ეტაპია მთაგორიან პირობებში, ხე-ტყის მორთრევის - ტრანსპორტირების პროცესების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარებაში.

დამუშავებულია მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატების ახალი სქემები, რომლებშიც მოდერნიზაციის ხარჯზე აგრეგატს შეუძლია ავტომატურ რეჟიმში სატრანსპორტო, მორსათრევი და დამტვირთავ მდგომარეობაში გადასვლა, ძარისა და ისრის მექანიზმების ყოველგვარი დემონტაჟისა და მონტაჟის გარეშე.

## ანოტაცია


თემა: მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატის ძარისა და ისრის მექანიზმების კვლევა და დამუშავება

დამუშავებულია მორსათრევი თვითმტვირთავი აგრეგატი ძარა-ისრის სრულიად ახალი სახსრულ-ბერკეტულ-კბილანური მექანიზმით. შესაძლებელია განვახორციელოთ მთავორიან ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის ყველა ოპერაცია მექანიზებული წესით ავტომატურ რეჟიმში ოპერატორის კაბინიდან. ჩატარებულია მექანიზმის სტრუქტურული კვლევა და დადგენილია მისი თავისუფლების ხარისხი  $W = 1$ . ახალი აგრეგატი გვაძლევს მწარმოებლურობის გაზრდის საშუალებას და გაცილებით იოლი სამართავია ერთი ტექნოლოგიური პროცესის ერთი ოპერაციიდან მეორეზე გადასვლის დროს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი  
სატყეო-ტექნიკური დეპარტამენტი  
სასწავლო სამეცნიერო ცენტრი

წლიური ანგარიში

თემა: სწორხაზოვანი მრგვალი, მრავალწახნაგოვანი  
და მრუდწრიული კვეთის ავეჯის დეტალების  
ნახევრადავტომატური სახეხი ჩარხის კვლევა  
და დამუშავება

თემის ხელმძღვანელი  პროფ. ზ. ჩიტიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი  პროფ. ზ. ბალმნარაშვილი

პასუხისმგებელი  
შემსრულებელი  ას. პროფ. ი. გელაშვილი

თბილისი 2014



## შესავალი

ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია ხელით შრომის ლიკვიდაციის სირთულეებთან, განეკუთვნება მრუდწირული, რთულპროფილიანი ხის დეტალების ხეხვა. ჩარხების შექმნა სწორხაზოვანი ცილინდრული და კონუსური, აგრეთვე ცვლადი კვეთის მრგვალი და ოვალური ფორმის გრეხილი და მრუდწირული, გარდა ამისა, ოთკუთხა და მრგვალწახნაგოვანი სწორი, გრეხილი და მრუდწირული დეტალების გასახეხად, სადაც შეთავსებულია ნამზადის გვერდითი ზედაპირების ხეხვის ოპერაცია მისი წიბოებისა და ერთი ტორსის ხეხვის ოპერაციებთან, წარმოადგენს არსებით ფაქტორს, როგორც მწარმოებლობის გაზრდისა, ასევე დამუშავების ხარისხის ამაღლებისა და იძლევა საშუალებას არა მარტო აღმოფხვრას ავეჯის წარმოებაში მთელი რიგი ვიწრო ადგილები, არამედ ჰპოვოს გამოყენება წარმოების სხვა დარგებშიც.

მრუდწირული რთულპროფილიანი ავეჯის ძეღური დეტალების დასამუშავებლად გამოყენებული, დღეისათვის არსებული, სახეხი მოწყობილობებისა და მიმყოლი მექანიზმების ანალიზი მიგვითითებს მათი შემდგომი გაუმჯობესების, მოდერნიზაციის საკითხის აქტუალობაზე- მწარმოებლობის გაზრდისა და დამუშავების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით.

გრეხილი ავეჯის დეტალების ღუნვის ოპერაციების თავისებურებები, რომელთა შედეგა ისინი გამოდიან სიმრუდის ზომებში ნომინალიდან მნიშვნელოვანი გადახრებით, და გამჭოლი დამუშავების პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს გრეხილი დეტალების სახეხი ჩარხის კონსტრუქციას, გამორიცხავენ ნამზადების მრუდი პროფილის გასწვროვ ტრადიციული მიყოლის მეთოდების გამოყენების საშუალებას.

მრგვალი გრეხილი დეტალების ხეხვის პროცესის საფუძვლად, სტუ-ს მერქნული მასალების დამზადება-დამუშავების კათედრაზე, დამუშავებულია ხრახნულ ხაზზე ხეხვის მეთოდი, რომლის დროსაც დასამუშავებელი ნამზადის საწყისი-დასამუშავებელი ზედაპირი გამოყენებულია კოპირად.

ავტომატურ რეჟიმში ხეხვის დროს გრეხილი დეტალების მრუდ პროფილზე მიყოლა ჩარხში წარმოებს როტორის ჰორიზონტალურ სიბრტყეში გადაადგილების ხარჯზე, რაც განხორციელებულია როტორის მხრეულებზე დაყენებით. დამუშავებულია აგრეთვე გრეხილი სკამის უკანა ფეხის სფერული თავის სახეხი მოწყობილობა, რომელიც ჩარხთან ერთად მუშაობს ავტომატურ რეჟიმში.

ფორმათწარმოქმნის სქემების ანალიზი და მათი  
მარიალიზებული მექანიზმების აგება და დამუშავება

ავეჯის მრუდწირული რთულპროფილიანი ძელური დეტალების სახეხი ჩარხებისა და საჩარხო ხაზების შექმნის პრობლემა მოითხოვს ძიებისა და კვლევის ჩატარების აუცილებლობას, მეთოდების დამუშავებას შექმნილი სისტემების ანალიზისა და სინთეზისათვის, რომელთა ბოლო მიზანს წარმოადგენს რაციონალური სტრუქტურის პოვნა და მისი ცალკეული რგოლების პარამეტრების დადგენა.


სამუშაოს მიზანს წარმოადგენს რთული სივრცითი ფორმათწარმოქმნელი მოძრაობების რეალიზაციის დანიშნულებისათვის, მრუდწირული რთულპროფილიანი ავეჯის დეტალების დასამშავებელი როტორული სახეხი ჩარხებისა და საჩარხო ხაზების მიმყოლი მექანიზმების აგებისა და კვლევის თეორიული საფუძვლების დამუშავება და ამის საფუძველზე მაღალეფექტური საწარმოო დანადგარების შექმნა.

არსებული ფორმათწარმოქმნის პროცესების სქემების და რთულპროფილიანი ზედაპირების დამუშავების პროცესში გამოყენებული ცნობილი მჭრელი იარაღების ფორმების და კონსტრუქციების ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია პრინციპიალურად ახალი ფორმათწარმოქმნის სქემა სურ.1.

დამუშავებული სქემა დამყარებულია A ისრის მიმართულებით თავისი ღერძის გარშემო მბრუნავი ორი სახეხი პნევმოცილინდრის გამოყენებაზე, რომლებიც ისრის მიმართულებით, ნამზადის 2 ირგვლივ, თავისი პლანეტარული ბრუნვითი მოძრაობით მიღებული ფარდობითი ხრახნული მოძრაობის პროცესის დროს წარმოქმნიან ფასონურ ზედაპირს- თავისუფალი კინემატიკური კავშირის 'დეტალი-იარაღი' რეალიზაციის საფუძველზე.

დასამუშავებელი ნამზადის ზედაპირთან ინსტრუმენტის შეხების ადგილზე განსაზღვრული ლაქის გაჩენა, რაც განპირობებულია სახეხი პნევმოცილინდრის დრეკადი თვისებიდან გამომდინარე, ნაცვლად წერტილოვანი კონტაქტისა, რომელიც მიიღება აბსოლუტურად ხისტი სახეხი ქარგოლის- აგრეთვე აბსოლიტურა ხისტ ნამზადთან შეხების

ადგილზე, საშუალებას გვაძლევს ადვილად მივადწიოთ სასურველ გადაფარვას- მჭრელი იარაღისა და ნამზადის, C ისრის მიმართულებით



ფორმათწარმოქმნითი ხრახნული ფარდობითი მოძრაობის დროს. ეს კი წარმოადგენს კარგ წინაპირობას დასამუშავებელი ზედაპირის მაღალი ხარისხის მისაღებად.

მჭრელი იარაღის მედეგობის ამაღლების მიზნით, მისი პერიფერიული ზედაპირის უფრო მთლიანი და სწორადგამიზნული გამოყენებისთვის, სახეხ პნევმოცილინდრებს ღერძების გასწვრივ, D ისრის მიმართულებით, ეძლევათ მდორე წინსვლით-უკუქცევითი მოძრაობის საშუალება.

მრუდწირულ ღერძებიანი ზედაპირების ფორმათწარმოქმნისათვის, მრუდწირული ღერძის კოპირების დროს, პლანეტარული მოძრაობის ცენტრს, E ისრის მიმართულებით, ეძლევა მიმყოლი მოძრაობა. ფიგურული ზედაპირების დამუშავება კი, რომლებიც ხასიათდებიან ნამზადის კვეთის ცვალებადობით პლანეტარული მოძრაობის სიბრტყეში, შემოტანილია სახეხი პნევმოცილინდრების მიმყოლი მოძრაობები რადიალური მიმართულებით O წერტილის მიმართ H ისრის გასწვრივ.

ამასთან ერთად ნამზადის მრუდწირული ღერძის აღწარმოებისათვის YOZ სიბრტყეში გათვალისწინებულია პლანეტარული სისტემის მიმყოლი გადაადგილება  $E_1$  ისრის მიმართულებით.

ფორმათწარმოქმნის დამუშავებული სქემა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ძეღური დეტალების შემდეგი გვერდითი ზედაპირების სახეები:

1. სწორხაზოვან მსახველებიანი ცილინდრული ზედაპირები-A,B,C და D ისრების მიმართულებით მოძრაობების შერწყმის საფუძველზე, მოთვალთვალე სისტემის გარეშე;

2. სწორხაზობრივ ღერძიანი ნამზადების მრავალწახნაგოვანი და ფასონური ზედაპირები- A,B,C,D და H ისრების მიმართულებით მოძრაობების შერწყმის საფუძველზე, ერთკოორდინატიანი მოთვალთვალე სისტემით;

3. XOZ სიბრტყეში მრუდწირულ ღერძიანი ნამზადების ცილინდრული ზედაპირი- A,B,C,D და E იარების მიმართულებით მოძრაობების შერწყმის საფუძველზე, ერთკოორდინატიანი მოთვალთვალე სისტემით;

4. XOZ სიბრტყეში მრუდწირულ-ფასონური ზედაპირები-A,B,C,D და H ისრების მიმართულებით მოძრაობების შერწყმის საფუძველზე, ორკოორდინატიანი მოთვალთვალე სისტემით.

5. XOZ და YOZ სიბრტყეებში სივრცითი მრუდწირულობებიანი ნამზადების მრუდწირულ ფასონური ზედაპირები- A,B,C,D,H,E და  $E_1$  ისრების მიმართულებით მოძრაობების შერწყმის საფუძველზე, სამკოორდინატიანი მოთვალთვალე სისტემით.

ნაშრომში, პირადად ავტორის მიერ შემოთავაზებული ფორმათწარმოქმნის საერთო სქემის საფუძველზე, მისივე ხელმძღვანელებითა და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და აიგო მთელი რიგი, მოთვალთვალე სისტემებით აღჭურვილი, სახეხი-საკოპირო ჩარხები და საჩარხო კომპლექსები.

ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც რეალიზაციას უკეთებენ ფორმათწარმოქმნის მოძრაობებს წარმოადგენენ: პნევმოცილინდრები 1 და 2, მბრუნავი როტორი 3-B ისრის მიმართულებით პლანეტარული მოძრაობის განსახორციელებლად, საკისრი 4, მხრეულები 5 და 11, წონწინალები 6, კუმშვის ზამბარები 7, შტოკები 8, დემშფერები 9 და 14, ბარბაცა 10 და ზამბარები 12 და 13 (ნახ. 2). ამასთან ოთხგოლა მექანიზმით ხორციელდება როტორის შეგუება E ისრის მიმართულებით (ნახ.1), ხოლო სახეხი პნევმოცილინდრების D ისრის მიმართულებით გადასაადგილებელი მექანიზმები ნახაზზე ნაჩვენებია არ არის.

სამკოორდინაციან სახეხ-საკოპირო ჩარხებში როტორს დამატებით ენიჭება მიმყოლი მოძრაობა  $E_1$ , ისრის მიმართულებით (ნახ.1).

ძელური დეტალების ხეხვის ტექნოლოგიიდან გამომდინარე დასამუშავებელი ზედაპირის საჭირო სისუფთავის კლასის მისაღებად, ნამზადები გადიან სამჯერად ხეხვას თანმიმდევრობით კლებადი მარცვლოვანობის ბრაზიული ზუმფარებით, რაც მოითხოვს სამი საჩარხო აგრეგატის გამოყენებას. მეორეს მხრივ ოპერაციების აღნიშნული თანმიმდევრობის მისაღწევად, მწარმოებლობის გაზრდისათვის, წარმოიშვა საჩარხო ხაზების შექმნის აუცილებლობა - შემდგარი თანმიმდევრობით შეერთებული სახეხი აგრეგატებისაგან, რომლებიც ახორციელებენ ფორმათწარმოქმნის დამუშავებულ სქემებს.


ამან, თავის მხრივ, დეტალის ერთი სახეხი აგრეგატიდან მეორეში გადასატანად მოითხოვა ნამზადის გრძივი მიწოდების სისტემის შექმნა.

თანაავტორებთან ერთად დამუშავდა ორიგინალური სატრანსპორტო სექციები, რომლებიც ახორციელებენ რთულპროფილიანი, მრუდწირულ - ფასონური ნამზადების თვითდაცენტრებას საჩარხო ხაზის საერთო ღერძის მიმართ. ამასთან ერთად დამუშავებული სატრანსპორტო მექანიზმები საშუალებას გვაძლევენ მივიღოთ დამუშავებული ზედაპირების მაღალი ხარისხი - ერთდროულად მწარმოებლობის გაზრდით, სხვა ფორმისა და ზომების დეტალის ხეხვაზე გადასვლის დროს სახეხი და მიმწოდებელი მექანიზმების გადაწყობის აუცილებლობის გამორიცხვის ხარჯზე.

მთლიანობაში ხეხვის პროცესის მწარმოებლობის შემდგომი გაზრდისათვის, ოპერაციების კონცენტრაციის ხარისხის გაზრდის ხარჯზე, დამუშავებულ სახეხ ხაზს დაემატა ნამზადის ტორსის დამუშავების ოპერაცია.

შეიქმნა ბოლო სახეხ აგრეგატთან სატრანსპორტო სექციის საშუალებით დაკავშირებული მოწყობილობა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს ნამზადის ტორსის დამუშავებას სახეხი პნევმოცილინდრის საშუალებით.

მრუდწირული მუდმივი კვეთის მქონე დეტალების დასამუშავებელი ჩარხებისა, ერთის მხრივ, და სწორღერძიანი, სიმეტრიული, ცვალებადი კვეთის მქონე დეტალების სახეხი ჩარხების სქემებისა და კონსტრუქციების ანალიზის საფუძველზე, მეორეს მხრივ, ჩამოყალიბდა ჩარხის სტრუქტურული სქემა რთულპროფილიანი მრუდწირულ - ფიგურული დეტალების დასამუშავებლად.



აქედან გამომდინარე გამოსაკვლევი ჩარხის საკოპირო მექანიზმი (სურ.2) შეიცავს ყველა იმ სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებსაც შეიცავენ ზემოთგანხილული ჩარხების საკოპირო მექანიზმები.

ჩარხის მუშაობის დროს ზამზარებით 7, 12 და 13 სრულდება მოთვალთვალე მექანიზმების ( ეხება რთულპროფილიანი ნამზადის ფიგურულ, ერთის მხრივ, და მრულდწირულ, მეორეს მხრივ, კონტურებზე შესაგუებელ მოთვალთვალე მექანიზმებს) დაბრუნება საწყის მდგომარეობაში, ხოლო დემპფერებით 9 და 14 ხორციელდება მექანიზმებში აღძრული რხევების ჩაქრობა.

ხეხვის ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას დროს რთულპროფილიანი დეტალის ფიგურულ კონტურზე შეგუება ჩარხში განხორციელებულია სახეხი პნევმოცილინდრების 1, 2 მხრეულებთან 5 ერთად როტორში 3 ქანაობით, ერთის მხრივ, და ოთხრგოლა მექანიზმის 10, 11, 15 ბარბაცაზე 10 დაყენებული როტორის 3 ქანაობით მხრეულებზე 11 და 15, მეორეს მხრივ, ამასთან აქაც, როგორც წინა განხილული ჩარხების მოთვალთვალე მექანიზმებში, სახეხი ცილინდრების ნამზადზე მიჭერის აუცილებელი ძალა უზრუნველყოფილია კუმშვის ზამზარების 7 და ცილინდრებში ჰაერის წნევის რეგულირებით.

ჩარხის კონსტრუქცია ითვალისწინებს როგორც ორკორდინატიან ასევე ერთკორდინატიან რეჟიმებში მუშაობას.

## ლიტერატურა

1. Т.Ф. Мchedlishvili, З.Г.Баламцарашвили, П.В.Дундуа, В.И.Кирия, И.Ш.Элердашвили, Разработка и исследование гидрокинематических схем станков для шлифования сложнопрофильных криволинейных поверхностей. Монография, Тбилиси 2008 г. 331 с.
2. З.Г.Баламцарашвили, Т.Ф. Мchedlishvili, З.Д. Читидзе, А.Ф.Цховребашвили, Х.М.Амколадзе. Динамические исследования копировальных станочных систем для шлифования сложнопрофильных поверхностей. Монография, Тбилиси 2008 г. 448 с.
3. З.Г.Баламцарашвили, Т.Ф. Мchedlishvili, З.Д. Читидзе, А.Ф.Цховребашвили, Построение и кинематические исследования новых копировальных станочных систем для шлифования сложнопрофильных изделий из древесины. Монография, Тбилиси 2008 г. 302с.
4. Д.Р.Начкебия, З.Г.Баламцарашвили, П.В.Дундуа, А.Ф.Цховребашвили, И.Н.Гелашвили, современные копировальные станки и станочные системы для шлифования сложнопрофильных изделий. Монография, Тбилиси 2012 г. 274 с.

## დასკვნა

შემოთავაზებულ სქემაში ხეხვის პროცესი ხორციელდება როტორზე დაყენებული წყვილი სახეხი პნევმოცილინდრების საშუალებით. ამ სქემის მიხედვით ჭრის მთავარი მოძრაობა განხორციელებულია სახეხი პნევმოცილინდრების თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნვით, წრიული მიწოდება-როტორის ბრუნვით, ხოლო გრძივი მიწოდება-ნამზადის ფარდობითი გადაადგილებით როტორის ბრუნვის სიბრტყის მიმართ. ეს საშუალებას გვაძლევს ნამზადის გრძივი გამჭოლი მოძრაობის შემწეობით ავარგოთ მექანიზმები, ჩარხები და საჩარხო ხაზები მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გაზრდილი მონაცემებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა საერთო სქემიდან გამომდინარე კერძო ფორმათწარმოქმნის სქემების ანალიზი და კვლევა, მათემატიკური მოდელების აგება- როტორის ამძრავი მოთვალთვალე მექანიზმების და უფრო რთული ფორმათწარმოქმნის პროცესების მარიალიზებელი მექანიზმების შესაქმნელი სტრუქტურული წინა პირობის გამოვლენა, რაც წარმოადგენს სახეხი ჩარხებისა და საჩარხო ხაზების კონსტრუქციების დამუშავებისა და შექმნის საშუალებას.



## ანოტაცია

შექმნილია ნახევრადავტომატური ძელური დეტალების სახეხი ჩარხი, რომელშიც შეთავსებულია ნამზადის გვერდითი ზედაპირების ხეხვის ოპერაცია მისი წიბოების და ერთი ტორსის ხეხვის ოპერაციებთან. აღნიშნული წარმოადგენს არსებით ფაქტორს, როგორც მწარმოებლურობის გაზრდისა, ასევე დამუშავების ხარისხის ამაღლებას და იძლევა საშუალების არა მარტო აღმოფხვრათ ავეჯის წარმოებაში მთელი რიგი ვინრო ადგილები, არამედ შესაძლებელია კვლავ გამოყენება წარმოების სხვა დარგებშიც. დამუშავებულია აგრეთვე გრეხიი სკამების უკანა ფეხის სფერული თავის სახეხი მოწყობილობა, რომელიც ჩარხთან ერთად მუშაობს ავტომატურ რეჟიმში.

# ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

## წლიური სამეცნიერო ანგარიში

მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონების დამუშავების  
დეპარტამენტი

### 1. მასალათმცოდნეობის მიმართულება

| <p>სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგი გეგმით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ლიტერატურის მოძიება და დამუშავება.</li> <li>ბროწეულის ნაყოფების შეგროვება და შრობა.</li> <li>ბროწეულის ნაყოფების ფარმაცევტული ანალიზი.</li> <li>ფარმაცევტული ტექნოლოგია და მისი ძირითადი ამოცანები. ტექნოლოგიური კვლევა.</li> <li>ბიოლოგიურად აქტიური შენაერთების იდენტიფიკაციისა და გამოყენების ტექნოლოგიური პროცესები.</li> </ol>   |  |                          |  |
| 6   | საქართველოში კულტივირებული ჩაის საპონინების ფარმაკოგნოსტული კვლევა | ასოც. პროფ. თ. გიგოშვილი | თ. გიგოშვილი, რევაზ სხილაძე, ირინე მეტრეველი, მზია კახეთელიძე ქეთევან ბაციკაძე, მედეა ჩიქავა, მაგისტრანტი მ. ბერიაშვილი, |
| <b>სამუშაოს შედეგები</b>  |  |                          |  |
| <p>სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგი გეგმით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>ჩაის გავრცელების არეალის დადგენა. ლიტერატურის მოძიება და დამუშავება.</li> <li>ჩაის ფარმაკო-ბოტანიკური დახასიათება.</li> <li>მცენარეული ნედლეულის შეგროვება და შრობა.</li> <li>ჩაის მიწისზედა ნაწილების ქიმიური ანალიზი.</li> <li>მიღებული გამონაწველილის გასუფთავება და ინდივიდუალური ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა.</li> <li>მიღებული, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებიდან ახალი გალენური პრეპარატის მომზადება.</li> </ol> |  |                          |  |

## ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

### წლიური სამეცნიერო ანგარიში

საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

\* დეპარტამენტის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი გენადი იაშვილი

\* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორები:

შოთა დოდონაძე;

ალექსანდრე ედიბერიძე;

გენადი იაშვილი;

ირინე იაშვილი;

ბესარიონ ფარცვანია;

ალეკო ცინცაძე;

ასოცირებული პროფესორები:

გიორგი ბაღათურია;

ნუნუ ოვსიანიკოვა;

თამარ რევაზიშვილი;

ოთარ ქოჩორაძე;

გელა ჭიკაძე;

ასისტენტ პროფესორები:

ოთარ ბაღათურია;

თეონა ბაქანიძე.

\* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| № | პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით  | დამფინანსებელი ორგანიზაცია                 | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები  |
|---|---|--|-----------------------|---|
| 1 | „ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკონი“  | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი  | თინათინ მარგალიტაძე   | თინათინ მარგალიტაძე, გიორგი მელაძე, გელა ხუნდაძე, ნუნუ ოვსიანიკოვა, მაია დავლიანიძე, ზაალ ზურაბაშვილი, გიორგი ქერუჭაშვილი |
| 2 | "უნივერსიტეტის საწარმოებთან კავშირის გაღრმავება პროფესიონალური ტრენინგების საშუალებით საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში".                                   | ევროგაერთიანების ტემპუსის №516613 პროექტი  | ალექსანდრე ედიბერიძე  | თეონა ბაქანიძე მიხეილ ქანთარია  |
| 3 | "სასტუმრო მეურნეობის მართვის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში" | ევროგაერთიანების ტემპუსის № 544191 პროექტი | ალექსანდრე ედიბერიძე  | თეონა ბაქანიძე მიხეილ ქანთარია  |

1. ორწლიანი პროექტის პირველი საანგარიშო ექვსთვიანი პერიოდი დასრულდა 2014 წლის 5 ოქტომბერს. ანგარიში ჩაბარდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

- პირველ ექვს თვეში ლექსიკოგრაფიული ცენტრის რედაქტორებმა შეადგინეს 4000 სიტყვა-ტერმინი შერჩეული სიტყვიდან (ასოები: A – 926 სიტყვა-სტატია; B – 966 სიტყვა-სტატია; C – 730 სიტყვა-სტატია; C-ზე მუშაობა შემდეგ პერიოდშიც გაგრძელდება; Q – 94

სიტყვა-სტატია; R – 1062 სიტყვა-სტატია; სხვადასხვა ასოებზე წინასწარ გაკეთებული სინონიმური და მსგავსი ტერმინები – 211 სიტყვა-სტატია). პირველ პერიოდში შედგენილ ტერმინებში ძირითადად აისახა შემდეგი დარგები: ელექტრონული ტექნიკა, მანქანა-დანადგარები და მათი ნაწილები, საავტომობილო, საგზაო, მეტალურგიული, სამთამადნო, სამშენებლო, სარკინიგზო და ჰიდროტექნიკური ტერმინოლოგია. მეორე პერიოდში აღნიშნული ასოები შეივსება კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტერმინოლოგიით. ტერმინების ნაწილს დართული აქვს განმარტებები და რუსული ეკვივალენტები.

- დაპროექტდა და დაიწყო მუშაობა ლექსიკონის შექმნის/მართვის სისტემაზე (DWS).
- დაპროექტდა და დაიწყო მუშაობა ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიაზე, ლექსიკონის ონლაინ-ვერსიის საძიებო სისტემასა და მართვის პანელზე.

2. პროექტის ხანგრძლივობა 3,5 წელი, 15.10.11 – 15.03.2015.

ვეროპიდან წარმდგენი ორგანიზაცია – გენტის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია).

საქართველოდან პარტნიორი ორგანიზაციები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (წამყვანი უნივერსიტეტი)

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ვაჭრობისა და ინდუსტრიის პალატა

პროექტში შემუშავდება უნივერსიტეტების წარმოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის თანამედროვე ფორმები, გაიხსნება წარმოებასთან კავშირის საინოვაციო ცენტრები, გაიხსნება ახალი სამაგისტრო პროგრამა.

3. პროექტის ხანგრძლივობა 3 წელი, 01.12.13 – 01.12.2016.

ვეროპიდან წარმდგენი ორგანიზაცია – ესპინოს უნივერსიტეტი (პორტუგალია).

საქართველოდან პარტნიორი ორგანიზაციები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (წამყვანი უნივერსიტეტი)

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისის "გორგასლის" უნივერსიტეტი. პროექტში ამ უნივერსიტეტებში შემუშავდება და დაინერგება 1 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო სპეციალობა ტურიზმის ინდუსტრიის მართვის სფეროში.

☒ პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

| №  | ავტორი/ავტორები                                  | სახელმძღვანელოს სახელწოდება  | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა    | გვერდების რაოდენობა |
|--|--|--|-----------------------------------|---------------------|
| 1  | ი. ხარშილაძე,<br>ნ. ოსიანიკოვა<br>(მთარგმნელები) | საზღვარგარეთის ქვეყნების<br>ადმინისტრაციული<br>სამართალი<br><br>(ა. კოზირინის რედაქციით) | თბილისი, თსუ<br>გამომცემლობა 2014 | 683                 |
| <p>1. აღნიშნული სახელმძღვანელოს თარგმნა განაპირობა უპირველესად იმან, რომ შედარებითადმინისტრაციულ სამართალში არ არსებობს ქართულ ენაზე შესრულებული არცერთი სახელმძღვანელო. წიგნში განხილულია სხვადასხვა სახელმწიფოთა ადმინისტრაციული კანონმდებლობები და მათი თავისებურებანი (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, აშშ და იაპონია). იგი დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, პრაქტიკოს იურისტებს და პოლიტიკოსებს. საქართველოში ადმინისტრაციული სამართლის სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელება წარმოუდგენელია შედარებით სამართლებლივი კვლევის გარეშე, რაშიც ასევე აღნიშნული სახელმძღვანელო დაგვეხმარება.</p> |  |  |                                   |                     |

სტატიები

| № | ავტორი/ ავტორები                   | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება   | ჟურნალის/კრებულის ნომერი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა                     | გვერდების რაოდენობა |
|---|------------------------------------|---|--------------------------|--|---------------------|
| 1 | გენადი იაშვილი,<br>თინათინ იაშვილი | „კონფლიქტური სიტუაციის მოდელირება ორგანიზაციებში“ სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ყოველკვარტალური რეფერირებადი და | № 2,<br><br>2014წ        | თბილისი,<br><br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 5                   |

|   |   |  |                     |  |    |
|---|---|--|---------------------|--|----|
|   |   | რეცენზირებადი<br>სამეცნიერო ჟურნალი  |                     |  |    |
| 2 | გენადი იაშვილი,<br>ბ. შერაზადიშვილი         | „დროის ეფექტური მართვა<br>ორგანიზაციებში“<br>სოციალური ეკონომიკა<br>XXI-საუკუნის აქტუალური<br>პრობლემები   | № 4,<br>2014წ.      | თბილისი,<br>საქართველოს<br>ტექნიკური<br>უნივერსიტეტი | 4  |
| 3 | გენადი იაშვილი,<br>ი. მანველიძე             | „საქართველოში<br>ელექტრონული<br>მთავრობის ფორმირების<br>ინსტიტუციონალური<br>საფუძვლები“. სოციალური<br>ეკონომიკა XXI-საუკუნის<br>აქტუალური პრობლემები | № 1<br>2014წ.       | თბილისი,<br>საქართველოს<br>ტექნიკური<br>უნივერსიტეტი | 5  |
| 4 | გენადი იაშვილი,<br>ს. ყუბანეიშვილი          | „მწარმოებლის ბიზნეს<br>ფსიქოლოგიის და<br>ორგანიზაციის კულტურის<br>ზოგიერთი საკითხი“.<br>სოციალური ეკონომიკა<br>XXI-საუკუნის აქტუალური<br>პრობლემები  | № 2<br>2014წ.       | თბილისი,<br>საქართველოს<br>ტექნიკური<br>უნივერსიტეტი | 3  |
| 5 | შოთა დოდონაძე,<br>კონსტანტინე<br>საბიაშვილი | “უკრაინა - უგუნურობა<br>სამართლიანობის დაცვის<br>სახელით“- სამეცნიერო<br>ჟურნალი „ხელისუფლება<br>და საზოგადოება“                                     | № 32, ტ II.<br>2014 | თბილისი,<br>ღია<br>დიპლომატიის<br>ასოციაცია          | 13 |
| 6 | გიორგი ბაღათურია,<br>თეონა მაისურაძე        | „კვლევის მეთოდოლოგია<br>ორგანიზაციათა<br>ცვლილებებისადმი<br>მზადყოფნის<br>შესასწავლად“<br><br>სამეცნიერო ჟურნალი<br>„ხელისუფლება და<br>საზოგადოება“  | № 1 (29)<br>2014    | თბილისი,<br>ღია<br>დიპლომატიის<br>ასოციაცია          | 5  |
| 7 | ზაზა ქოიავა,<br>ნათია ქოიავა                | „პრაგმატული<br>იდეალიზმის კონცეფცია“   | № 2 (30)<br>2014    | თბილისი,<br>ღია<br>დიპლომატიის<br>ასოციაცია          | 4  |

|    |                                    |   |                    |  |    |
|----|------------------------------------|---|--------------------|--|----|
| 8  | გიორგი ბალათურია, ირინე იაშვილი    | „მენეჯმენტის თეორიის ტრივიალური მოთხოვნები და მცირე ბიზნესის პრობლემები საქართველოში“<br><br>თანამედროვე მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა | № 1<br>2014        | თბილისი, „უნივერსალი“                                    | 6  |
| 9  | გიორგი ბალათურია                   | „საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ“<br><br>სოციალური ეკონომიკა XXI-საუკუნის აქტუალური პრობლემები                                  | 2 (იენისი)<br>2014 | თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი              | 6  |
| 10 | გიორგი ბალათურია, მარგარეტ ჯონსონი | „სოციალური მედიის გავლენა მარკეტინგ-მენეჯმენტზე (ინგლ.)“  | № 1 (3)<br>2014    | Journal of Business (International Black Sea University) | 15 |
| 11 | თეონა ბაქანიძე                     | „გლობალიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში.“<br><br>ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“  | № 1                | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი                       | 4  |
| 12 | თეონა ბაქანიძე<br>მაგდა ბაქანიძე   | „ინვესტიციები და საინვესტიციო მიმზიდველობა.“<br><br>ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“   | № 2                | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი                       | 4  |

1. ორგანიზაციებში კონფლიქტების მოგვარებისას მთავარ როლს თამაშობს, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და შემდეგ მათი თავიდან აცილება. მიზეზების გამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თვალსაჩინო მეთოდია მოდელირება. მოდელირება გულისხმობს ამ სიტუაციის აღდგენას და მასზე დაკვირვებას. ამ მეთოდს გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე მოდელირებისას დიდი ყურადღება ექცევა მხარეების ინტერესებს, რომლებიც მათი ქმედებების განმსაზღვრელია. შემოთავაზებულია კონფლიქტის თეორიული მოდელი და ნაჩვენებია კონფლიქტების მოგვარების გზები.

2. ნებისმიერი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაო წარმოადგენს ამ ორგანიზაციაში მიმდინარე მმართველობითი პროცესების განუყოფელ ნაწილს.

ხელმძღვანელის მუშაობის შინაარსი ძალზე მრავალფეროვანია. მისი თითოეული ამოცანა პრაქტიკაში შეიძლება იყოს განსხვავებული ორგანიზაციის მიზნებისა და თავად ხელმძღვანელების მიერ არჩეული მართვის სტილის მიხედვით.

ხელმძღვანელის ავტორიტეტი თანამედროვე დროში, ეფუძნება არა იმდენად "უფროსის" ტრადიციულ თვისებებს, რამდენადაც უშუალოდ ადამიანს, თავის ყველა თვისებით. იგი (ავტორიტეტი) იზრდება მაშინ, როდესაც ხელმძღვანელი კომპეტენტურად წარმართავს მასზე დაქვემდებარებულების მუშაობას. ამასთან, ხელმძღვანელები ყოველთვის უნდა ერიდნონ გაუმართლებელ ჩარევებს თანამშრომლების ქმედებებში, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლების ზედმეტი დამოკიდებულება თავიანთ ხელმძღვანელზე.

იმისათვის, რომ ორგანიზაციებმა ეფექტურად გამოიყენონ სამუშაო დრო, უპირველეს ყოვლისა, მათმა ხელმძღვანელებმა უნდა გააანალიზონ, რაში იხარჯება იგი. დროის უკმარისობის მიზეზები ხშირად მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია.

3. სტატიაში განხილულია საქართველოში ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით მუშაობის განხორციელებისათვის ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, ასევე სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროს განვითარებისა და სრულყოფის სტრატეგიის, პროგრამების, კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის, ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პოლიტიკის შემუშავება, ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა და მონიტორინგი; ელექტრონული სერვისების, ელექტრონული კომერცის, ინტერნეტ კონტენტის მიმართულებით შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის, განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტის განსაზღვრა და მათზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება, ქვეყანაში ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების, ინფორმაციზაციის განვითარების, სრულყოფისა და ფუნქციონირების კოორდინაცია.

4. როგორც ცნობილია, ბიზნესფსიქოლოგია არის ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ოპტიმალური შერწყმა, თუმცა ამ ტერმინის მიღმა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იმალება. ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანთა ქცევას, მის მიდგომასა და დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხების მიმართ, ხოლო ბიზნეს ფსიქოლოგიაში ეს ყოველივე განხილულია ეკონომიკურ ასპექტში.

ბიზნეს ფსიქოლოგია შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ: პირველ შემთხვევაში ადამიანი წარმოდგენილია როგორც მწარმოებელი, მეორეში კი მომხმარებელი. მოცემულ ნაშრომში განხილულია მწარმოებლის ბიზნესფსიქოლოგიის და ორგანიზაციის კულტურის აქტუალური საკითხები.

5. უკრაინა დღეს მსოფლიო თანამეგობრობის ერთერთი ღია ჭრილობაა, რომელიც არა მხოლოდ უკრაინელ ხალხს უქმნის საფრთხეს, არამედ ნეგატიურად აისახება ევროპის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. უკრაინის ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებების, რუსეთის მმართველი ელიტის დესტრუქციული მოქმედებითა და მოქმედი ხელისუფლების სისუსტით ეს ერთდროს აყვავებული ქვეყანა დაპირისპირების,



შეიარაღებული კონფლიქტებისა და სეპარატიზმის გამოვლინების არენად არის ქცეული. სტატიაში განხილულია, თუ როგორ იწყებოდა ყველაფერი და როგორ მივიდა უკრაინა ამ კრიზისულ ნიშნულამდე?

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის (28-29 ნოემბერი) ოპოზიციის კარგების ბანაკის დარბევისა და უკრაინის უმაღლესი რადის მიერ 2014 წლის 16 იანვარს მიღებული ანტისახალხო კანონების საპროტესტო აქციებმა შეუქცევადი, ანტისაპრეზიდენტო და ანტისამთავრობო ხასიათი მიიღო და 2014 წლის თებერვალში ხელისუფლების ცვლილება გამოიწვია. სამწუხაროდ, ძალები, რომლებსთვისაც უკრაინის სიმშვიდე და სტაბილურობა მიუღებელია, რომლებიც სეპარატიზმსა და ხალხთა შორის შუღლს აღვივებენ კვლავ აგრძელებენ დესტრუქციულ საქმიანობას უკრაინის და აწ უკვე ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა ყირიმის მოწყვეტა უკრაინისაგან, ცდილობენ ხელი შეუწყონ სისხლისღვრას და უკრაინა გამოუვალ ჩიხში შეიყვანონ. უგუნურობა გონიერებამ უნდა ჩაანაცვლოს უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას ამ ურთულეს ვითარებაში, დაიცვას უკრაინა აგრესიისა და მისი ხალხის თავისუფალი არჩევანის ხელყოფისაგან.

6. კვლევის მეთოდოლოგია ორგანიზაციათა ცვლილებებისადმი მზადყოფნის შესასწავლად - ნაშრომში განხილულია ცვლილებებისადმი მზაობის ზოგადი მოსაზრებები და შემოთავაზებულია კვლევის მეთოდოლოგია ორგანიზაციათა ცვლილებებისადმი მზაობის გაზომვის მიზნით, განხილულია კვლევის დამუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენების შესაძლებლობა საქართველოს საშუალო განათლების სისტემისთვის, განსაზღვრულია გასაზომი ცვლადები, რომლების განსაზღვრულია შერჩეული ფოკუს-ჯგუფისთვის. კვლევის შედეგად გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

7. სტატიაში საუბარია არასწორად გაგებული პრაგმატიზმისა და იდეალიზმის ურთიერთწინააღმდეგობაზე და განხილულია მეცნიერულად დასაბუთებული პრაგმატული იდეალიზმის კონცეფცია. უარყოფილია ამ ორი ცნების ურთიერთდაპირისპირება და განმარტებულია, რომ პრაგმატული იდეალიზმი არის ცხოვრების სტილი, როდესაც ცდილობ, მოახდინო ამ ორი სრულიად განსხვავებული

კონცეფციის ელემენტების ჰარმონიული კომბინირება, რაც საშუალებას მოგცემს, გადარჩე თანამედროვე სამყაროში, ისე, რომ სინდისიც სუფთა გქონდეს და არც იდეალებზე უარის თქმა მოგიხდეს. გარდა ამისა, მოყვანილია კვლევების მაგალითები,

რომელთა შედეგადაც დასტურდება, რომ ემპათია და სოლიდარობა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა; თუმცა, შეჯიბრისა და კონკურენციის სულისკვეთებით გაჟღერებული

თანამედროვე სამყაროში, ადამიანი გააფთრებით ცდილობს, თავი გადაირჩინოს და შესაბამისად, ეს თანდაყოლილი ასპექტი, ავიწყდება.

8. მენეჯმენტის თეორიის ტრივიალური მოთხოვნები და მცირე ბიზნესის პრობლემები საქართველოში. - ნაშრომში განხილულია საქართველოში ბიზნესის გაკოტრების მიზეზები. ნაჩვენებია, რომ საქართველოში არსებული წარუმატებელი ბიზნეს კომპანიების ძირითადი პრობლემები უკავშირდება მენეჯმენტის პრინციპების უცოდინარობას ან უგულვებელყოფას

მათი პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით. მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა ბიზნესის დაწევისთვის.

9. საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ. - ნაშრომში გაანალიზებულია ის ცილისმწამებლური კამპანია, რაც მიმდინარეობდა 2000-2012 წლებში შიდა მტრების მიერ საქართველოს ეროვნული ტრადიციებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

10. სოციალური მედიის გავლენა მარკეტინგ-მენეჯმენტზე (ინგლისურად)- ნაშრომში განხილულია სოციალური მედიის როლი მარკეტინგის მენეჯმენტის შესაძლებლობის თვალსაზრისით. გამოკვლეულია და ნაჩვენებია, რომ თანამედროვე ეპოქაში სოციალური მედიის როლი სულ უფრო იზრდება, ხოლო მასმედიის სხვა საშუალებებისა კი კლებულობს. ასეთი ვითარება მარკეტინგის მენეჯმენტისთვის აჩენს ფართო შესაძლებლობებს, რომლებიც გაანალიზებულია ნაშრომში.

11. სტატიაში განხილულია გლობალიზაციის არსი და მნიშვნელობა, როგორც ჩვენს პლანეტაზე საზოგადოებრივი განვითარების ურთულესი, ერთიანი პროცესი. წარმოდგენილია თუ რა დიდი არსებითი მნიშვნელობა აქვს გლობალიზაციის ეპოქაში ინფორმაციულობასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, თუ რა გავლენას ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესზე. როგორ რადიკალურად ცვლის იერარქიულ, ცენტრალიზებულ მართვის სტილს და თვით ბიზნეს-პროცესებს.

12. სტატიაში განხილულია ტერმინი "ინვეტიციის" არსი და მნიშვნელობა. თუ რა გავლენას ახდენენ ინვესტიციები ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ზრდასა და საწარმოთა საქმიანობის გეოგრაფიულ არეალზე. განვითარების რა ეტაპები გაიარა საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ.

ბ) უცხოეთში

სტატიები

| № | ავტორი/ ავტორები | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება             | ჟურნალის/კრებულის ნომერი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა   | გვერდების რაოდენობა |
|---|------------------|---|--------------------------|--|---------------------|
| 1 | გიორგი ბაღათურია | “Cybernetic Model for Global Economic Crisis Forecasting” | 1                        | თურქეთი, ანკარა, „თურგუთ ოზალის სახ. საერთაშორისო კონგრესი ბიზნესის, ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების | 7                   |

|   |                                    |   |         |   |    |
|---|------------------------------------|---|---------|---|----|
|   |                                    |   |         | სფეროში”; 3-5<br>ივნისი, 2014 გამომც.<br>INTOCBEPS                            |    |
| 2 | გიორგი ბალათურია,<br>ილიას ჩილოღლუ | The Fundamentals of<br>Modern Turkey's Success<br>(English) | ონ-ლაინ | <a href="http://www.academia.edu/5318115">http://www.academia.edu/5318115</a> | 11 |

1. გლობალური ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირების კიბერნეტიკული მოდელი - ნაჩვენებია, რომ თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებს არ ძალუძთ ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირება და კრიზისის დადგომის შემდეგ ხდება იმ მიზეზების ახსნა, რომლებმაც გამოიწვიეს კრიზისული მოვლენები. ეს გარემოება გამოწვეულია ძირითადად იმ მიზეზის გამო, რომ ეს კრიზისები განიხილება დეტერმინირებულ მიდგომით. სტატიაში ნაჩვენებია, რომ კრიზისის პროგნოზირება შესაძლებელია კიბერნეტიკული მოდელის გამოყენებით, მითითებულია ის ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული კრიზისის პროგნოზირების მიზნით. ნაშრომი დაჯილდოვდა მე-3 საპროზო ადგილით თურგუთ ოზალის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟიურის მიერ.

2. თანამედროვე თურქეთის წარმატების საფუძვლები – 21-ე საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკამ მიაღწია საოცარ ეკონომიკურ შედეგებს. ამ წარმატების საფუძვლების მთავარი შემადგენელი ელემენტები შექმნეს თურქეთის გამომჩენილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქემალ ათათურქის მოღვაწეობა, რომელმაც შექმნა თურქეთის რესპუბლიკა და საფუძვლები ჩაუყარა ქვეყნის შემდგომი დემოკრატიულ განვითარებას. შემდეგ არის თურქეთ ოზალი – მან შექმნა თანამედროვე თურქეთის ეკონომიკური განვითარების საფუძვლები, თანამედროვე ეპოქაში ეფექტიანი მენეჯმენტის მაგალითი მოგვცა რეჯებ ტაიპ ერდორანმა. ყოველივე აღნიშნულის სულიერი საფუძვლები კი ფეთულაპ გიულენის სულიერ მოღვაწეობას უკავშირდება, რომელმაც საზოგადოების ერთიანობას შეუწყო ხელი.

\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები    | მოსხენების სათაური  | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი |
|---|-----------------------------------|---|------------------------------------|
| 1 | გენადი იაშვილი,<br>ირაკლი ბრეგაძე | „მომხსახურების სერვისული პროცესის განმასხვავებელი მახასიათებლების ურთიერთკავშირი“ | თბილისი, ნოემბერი 2014             |
| 2 | გენადი იაშვილი,<br>თამარ ბაჩილავა | „ეთიკის როლი ადამიანური“  | თბილისი, ნოემბერი 2014             |

|    |   |  |  |
|----|---|--|--|
|    |   | რესურსების მართვაში”   |  |
| 3  | გენადი იაშვილი,<br>ირაკლი მანველიძე         | „ელექტრონული მთავრობის<br>რეგიონალური პრობლემები”  | თბილისი, ნოემბერი 2014   |
| 4  | შოთა დოღონაძე,<br>კონსტანტინე<br>საბიაშვილი | „საქართველო-უკრაინა: ეკლიანი გზა”  | თბილისი, ნოემბერი, 2014  |
| 5  | შოთა დოღონაძე,<br>გიორგი კალანდაძე,         | „ადმისტრაციული სამართლის<br>პრინციპების იმპლემენტაცია<br>ადგილობრივი თვითმმართველობის<br>ორგანოებში: გამოწვევები,<br>პრობლემები” | თბილისი, ნოემბერი, 2014  |
| 6  | ნუნუ ოვსიანიკოვა                            | „შეზღუდვები განთავისუფლებული<br>სახელმწიფო მოსამსახურის შემდგომ<br>საქმიანობაში”   | თბილისი, ნოემბერი, 2014  |
| 7  | თამარ რევაზიშვილი                           | „ეკოლოგიური უსაფრთხოება და<br>მდგრადი განვითარება”   | თბილისი, ნოემბერი, 2014  |
| 8  | ოთარ ქოჩორაძე,<br>სალომე კენჭოშვილი         | „ადგილობრივი თვითმმართველობის<br>საერთაშორისო გამოცდილება (აშშ<br>და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე)                                  | თბილისი, ნოემბერი, 2014  |
| 9  | ოთარ ქოჩორაძე,<br>მარიამ ქომეთიანი          | „საქართველო კავკასიის<br>გეოპოლიტიკურ სივრცეში”  | თბილისი, ნოემბერი, 2014  |
| 10 | გიორგი ბაღათურია,<br>თამთა ცხოვრებაძე       | „მე-2 მსოფლიო ომის დროინდელი<br>თურქეთის რესპუბლიკის<br>დიპლომატიის ძირითადი ასპექტები”  | გორი, გორის<br>სახელმწიფო სასწავლო<br>უნივერსიტეტი, ქართულ-<br>თურქული სამეცნიერო<br>კონფერენცია, 11-12<br>დეკემბერი, 2014                               |
| 11 | გიორგი ბაღათურია,<br>ლევან წიქარაძე         | „საჯარო მმართველობის<br>თანამედროვე გამოწვევები<br>საქართველოში და მათი გადაჭრის<br>გზები”                                       | თბილისი,<br>საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„ხელისუფლება და<br>საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014 |
| 12 | გიორგი ბაღათურია,                           | „მონტესკიეს ნაშრომი „კანონთა<br>დონი”, როგორც საჯარო   | თბილისი,<br>საქართველოს ტექნიკური  |

|    |  |   |  |
|----|--|---|--|
|    | ლევან წიქარაძე   | მმართველობის თეორიული საფუძვლები”   | უნივერსიტეტი<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„ხელისუფლება და<br>საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014                                      |
| 13 | გიორგი ბაღათურია,<br>ნათია ხუნაშვილი                     | „მაქს ვებერის ბიუროკრატიული სისტემა და მართვის პრობლემები საქართველოს საჯარო მმართველობის ორგანიზაციებში”   | თბილისი,<br>საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„ხელისუფლება და<br>საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014 |
| 14 | გიორგი ბაღათურია,<br>ნინო ქურასხედიაიანი                 | „მე-19 საუკუნეში გერმანიის გაერთიანების სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლები (საჯარო მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების თვალსაზრისით)” | თბილისი,<br>საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„ხელისუფლება და<br>საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014 |
| 15 | გიორგი ბაღათურია,<br>თეონა დუმბაძე                       | „რუსეთ-უკრაინა-საქართველოს „სამკუთხედი” მსოფლიოს ზესახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში”  | თბილისი,<br>საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„ხელისუფლება და<br>საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014 |
| 16 | გიორგი ბაღათურია,<br>ირინე იაშვილი,<br>თეიმურაზ გორშკოვი | „ცირე ბიზნესის დაწყების პრობლემები პოსტ-საბჭოთა საქართველოში”   | თბილისი,<br>საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო კონფერენცია<br>„ხელისუფლება და<br>საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014 |
| 17 | გიორგი ბაღათურია,<br>ალესია პროსიუკი                     | „თანამშრომელთა მოტივაციის შესაძლებლობები და თავისებურებები მანქანათმშენებლობის  | თბილისი,<br>საქართველოს ტექნიკური<br>უნივერსიტეტი<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო კონფერენცია  |

|    |                                    |   |   |
|----|------------------------------------|---|---|
|    |                                    | ორგანიზაციებში”   | „ხელისუფლება და საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014  |
| 18 | გიორგი ბალათურია, დიანა პეტროსიანი | „აი-დი-ეს ბორჯომი საქართველოს კონკურენტული პოზიციის სტრატეგიული ანალიზი”  | თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება-2014”<br>22 ნოემბერი, 2014  |
| 19 | გიორგი ბალათურია. ირინე იაშვილი    | „მენეჯმენტის თეორიის ტრივიალური მოთხოვნები და მცირე ბიზნესის პრობლემები საქართველოში”   | ბათუმი, პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა” 17-18 ოქტომბერი, 2014  |
| 20 | გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია   | გმირი ჯავშნოსანი  | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი ევროინტეგრაციის ცენტრი საერთაშორისო სიმპოზიუმში „პირველი მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია”, 18-20 ივნისი, 2014 |
| 21 | გიორგი ბალათურია, თეონა დუმბაძე    | „სტრატეგიული მენეჯმენტისა და კიბერნეტიკის პრინციპები საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში (ინგლ. Principles of Strategic Management and Cybernetics for the Practice of International Relations) | აბრეშუმის გზის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია  |

1. განიხილება მომსახურების, როგორც სერვისული პაკეტის, კონცეფცია. ამასთანავე მომსახურების ბუნებისა და მახასიათებლების შეფასება უნდა განხორციელდეს, მათ შორის, გამომდინარე ზემოთმოტანილი იდეიდან, რომ სერვისი – ეს არის ხილული და უხილავი მომგებიანობის პაკეტი, რომელიც შექმნილია თანამდევი საქონლისა და მხარდამჭერი საშუალებებით. მომსახურების ეს პარამეტრები განმსაზღვრელებია სერვისის მიწოდების სისტემების პროექტირებისა და მართვის დროს.

2. განიხილება ეთიკური პრობლემები ადამიანური რესურსების მართვაში, რომლებსაც აქვთ

პირდაპირი დამოკიდებულება კონფლიქტურ სიტუაციებთან და რომლებიც განპირობებულია თანაფარდობით ორგანიზაციის შემოსავლების, ხარჯებისა და მოგების მაჩვენებლების და მის სოციალური პასუხისმგებლობის მაჩვენებლებს შორის, რომლებიც გამოხატულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მეშვეობით, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე საზოგადოებაში.

3. აჭარის ა.რ. საჯარო დაწესებულებები ცდილობენ მაქსიმალურად ინფორმაციული გახადონ და დახვეწონ ოფიციალური ელექტრონული რესურსები (ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები), საჯარო დაწესებულებების ნაწილი საინტერესო ელექტრონულ სერვისებს და ინიციატივებს სთავაზობს მომხმარებელს. თუმცა ისინი ნაკლებად გამოიყენება საკომუნიკაციო პროცესში. საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების და სოციალური ქსელის facebook-ის მომხმარებელთა სტატისტიკური ანალიზი ნათლად აჩვენებს ვებ-გვერდებზე მომხმარებელთა დაბალ აქტივობას. აშკარაა, რომ საჯარო დაწესებულებების მიერ ძირითადი ყურადღება გადატანილია სოციალურ ქსელზე. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ საჯარო დაწესებულებები ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მომხმარებელს ნაკლები ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს, მეორე მიზეზად შეიძლება დასახედდეს საკუთრივ საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების ცნობადობის დაბალი დონე, და მესამე მიზეზად შეიძლება დავასახელოთ საჯარო დაწესებულებების პირველ პირთა დაბალი ინფორმირებულობა მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის გაძლიერების ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ. საჯარო დაწესებულებების მიერ მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლება მოთხოვს ვებ-გვერდებზე აუცილებელია იყოს მინიმუმ 23 ელ-სერვისი მაშინ, როდესაც კვლევის სამიზნე 16 დაწესებულებიდან 11 საჯარო უწყების მაქსიმალური შეთავაზება ამ ეტაპზე 5 სერვისია. ძირითადად ეს არის კონტაქტი, სოციალური ქსელები, ცხელი ხაზი. რეგიონალური საჯარო დაწესებულებების მიერ უკუკავშირის ინსტრუმენტების ორგანიზაციისათვის თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა ფართო შესაძლებლობას ფორუმის, RSS-ის, ბლოგის, wiki-ის, twitter-ის, ფორუმის, სოციალური ქსელების და ა.შ. სახით. შემოფარგვლა მხოლოდ ჩვეულებრივი კითხვა-პასუხის ფორმებით და ორგანიზებული უკუკავშირის ერთი-სამი ინსტრუმენტით, მეტყველებს რეგიონალური ელექტრონული მთავრობის განვითარების პროცესში შესაბამისი სტრატეგიის არ არსებობაზე.

ამრიგად, კვლევის შედეგად გამოვლინდა ორგანიზაციული, სოციალური, მეთოდოლოგიურ და ტექნიკური ხასიათის პრობლემები.

4. ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ საქართველო და უკრაინა ერთად მიაბიჯებენ, მაგრამ სხვადასხვა გზითა და საშუალებებით. თითოეულ ქვეყანას ამ ბრძოლაში თავისი განსაკუთრებული ხედვა მიაქვს. თუ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეჭვგარეშეა ქვეყნის ნატოში გაწევრიანება, უკრაინელთათვის ამ საკითხზე დადებითი პასუხი ჯერ არ არსებობს. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და უკრაინას აერთიანებს ლტოლვა ევროპული ღირებულებისკენ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული რეალიზაციისკენ, ეკონომიკური პროგრესისა და ბაზრის გაფართოებისკენ. სამწუხაროდ ამ ორ ქვეყანას სირთულეებიც აერთიანებს, რომელიც ძირითადად მომდინარეობს რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული ქმედებებისგან. ნაშრომში მოცემულია არსებული მდგომარეობის ანალიზი და დასკვნა იმის თაობაზე, რომ ერთადერთი

სწორი გზა იმისთვის რომ თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტის გაღრმავება უძლიერეს მეზობელთან, ეს არის საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება, ასევე, მძიმე, მაგრამ საფუძვლიანი დიალოგი მხარეთა შორის.

5. დღეს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ახლადმიღებული კანონი, თვითმმართველობის ახლახან ჩატარებული არჩევნები იმის საშუალებას იძლევა იმედიანად შევხედოთ ადგილებზე დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებას, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის საკითხებს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით. თუმცა დემოკრატიზაცია არ ნიშნავს უკანონობასა და მხოლოდ ემოციებით სარგებლობას ადამიანებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობებში. კანონი, კანონიერება, მისი განმტკიცება უმთავრესი პრიორიტეტია ადგილებზე, რაც თავისთავად მოქალაქეთა შორის სამართლიანობის განცდას ამკვიდრებს. სტატიაში გაანალიზებულია ადმინისტრაციული სამართლის რაობა, მისი პრინციპების აქტუალობა და დაცვის გარდუვალობა ადგილებზე, რეგიონებში, ცალკეულ სოფელსა თუ თემში. გამოთქმულია მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიმართულებით.

6. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა საჯარო მოხელის მიმართ ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულებას, არა მარტო საჯარო სამსახურში ყოფნის დროს, არამედ სამსახურის დატოვების შემდეგ ანუ პოსტსამსახურებრივი დასაქმების პერიოდში. აღნიშნულის რეალიზაციის მიზნით, ყოფილი საჯარო მოხელის შემდგომ დასაქმებაზე შესაბამისად წესდება გარკვეული სახის შეზღუდვები, ხოლო მის დაცვაზე ხორციელდება სისტემატიური კონტროლი. საჯარო მოსამსახურის პოსტსამსახურებრივი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები მიმართულია იქითკენ, რომ თავიდან აცილებულ იქნეს ყოფილი სახელმწიფო მოხელის პოტენციური ან რეალური ინტერესების კონფლიქტი საჯარო სამსახურის მიმართ. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება სახელმწიფო საქმიანობის დატოვების შემდეგ, ყოფილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეღავათიანი ან პრივილეგირებული საქმიანობის მიღება; თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის არაკეთილსინდისიერი გამოყენება და პოსტსამსახურებრივი დასაქმების პერიოდში რაიმე უპირატესობის მიღება ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებით რაიმე უპირატესობის მოპოვება მანამ, სანამ იგი საჯაროდ გაცხადდება.

7. დღეს, ისე როგორც არასდროს, თანამედროვე ცივილიზაციისა და ბუნების წინააღმდეგობრივმა ურთიერთქმედებამ კულმინაციური ხასიათი მიიღო. წინააღმდეგობამ საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებებსა და ბიოსფეროს შესაძლებლობებს შორის საფრთხის ქვეშ დააყენა კაცობრიობისა და მთლიანად ბიოსფეროს არსებობის საკითხი. სწორედ ამ სიტუაციიდან, გლობალურ-ეკოლოგიური კრიზისიდან გამოსასვლელად შეიქმნა ერთადერთი უსაფრთხო განვითარების მოდელი – „მდგრადი განვითარება“-ის – კონცეფცია. ეს არის სოციო-ბუნებრივი განვითარების ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს კაცობრიობის გადარჩენას, მის უწყვეტ პროგრესს ბუნებრივი გარემოს ყველა კომპონენტის შენარჩუნების ფონზე, რაც ბუნებისა და საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობით მიიღწევა.



მდგრადი განვითარება, როგორც ცივილიზაციის ევოლუციის მართვადი ფორმა, მოწოდებულია არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ ეკონომიკური და სხვა კრიზისული მოვლენისა და კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. კონცეფციაში შერწყმულია სოციალური სამართლიანობის, მდგრადი ბუნებათსარგებლობისა და ყველა სახის, მათ შორის, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებები.

ამგვარად, მდგრადი განვითარების მოდელი ამავდროულად უსაფრთხოების განვითარების მოდელიცაა. თუ უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობად განვითარებას ჩავთვლით, მაშინ მდგრადი განვითარება უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველი გამოდის.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის საზღვარგარეთული გამოცდილება (ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე).

რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა? რას მოიცავს მისი საქმიანობა? ამ კითხვებზე პასუხი თემაშია განხილული როგორც ზოგადად, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე. რა იყო ის ძირითადი საკითხები და პრობლემები რის გარშემოც მოქმედებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის ჩამოყალიბებისა. როდის და როგორ შეიქმნა ეს კანონები. რა იყო ადგილობრივი თვითმმართველობების შექმნის იდეა და თუ მოიცვა ცვლილებები კონცეფციაში მისი შექმნის შემდეგ დღემდე. ასევე განხილულია იმ ადამიანების კომპეტენციები ვინც, ადგილობრივ თვითმმართველობებში იკავებენ თანამდებობებს, როგორ ხდება მათი არჩევა და ქმედებები დაპირებების არ შესრულების შემთხვევაში.

ასევე განხილულია განსხვავებები და მსგავსებები ადგილობრივი თვითმმართველობების კანონებსა და კონცეფციებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის. როგორ შეიქმნა ისინი და ვის ემორჩილებიან და კიდევ სხვა მრავალი. რატომაუნდა ეს თემა არ არის ისეთი დიდი, რომ ყველა დეტალი მოიცვას თუმცა განხილულია ძირითადი ნაწილი, რაზეც ადგილობრივი თვითმმართველობები არიან დამოკიდებულნი.

9. წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოდგენა შეგვიქმნას საქართველოს როლზე კავკასიის რეგიონში. უპირატესობებთან ერთად კვლევა აგრეთვე გვიჩვენებს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის მინუსებსაც. გარდა ამისა, ნაშრომი წარმოგვიდგენს საქართველოს მომავალ როლს კავკასიის რეგიონში და ამასთან დაკავშირებით არსებულ პერსპექტივებსა და გამოწვევებსაც. თეზისის მიზანია, რომ უპასუხოს შემდეგ შეკითხვას:

რა როლი აქვს საქართველოს კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში? იმისათვის, რომ ვუპასუხოთ წინამდებარე შეკითხვას, საჭიროა ფოკუსირება მოვახდინოთ საქართველოს წარსულ გამოცდილებასა და მაგალითებზე მის გეოპოლიტიკურ ცხოვრებაში, სხვადასხვა საუკუნეთა განმავლობაში. გეოგრაფიული მდებარეობა გვეხმარება პასუხი გავცეთ შეკითხვას საქართველოს როლზე კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში და მივყავართ პასუხისკენ, რომ მიუხედავად ხელსაყრელი გეოგრაფიული ფაქტორებისა, საქართველო მაინც დგას იმ ქვეყნების მხარდამხარ, რომელთაც ყველაზე არეული გეოპოლიტიკური სიტუაცია აქვთ. თუმცა, თუ საქართველო კარგად გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს, სიტუაცია შესაძლებელია დასტაბილურდეს და გარდა ამისა, უკეთესი პირობებიც კი

შეიქმნას ქვეყნისათვის.

10. მე-2 მსოფლიო ომის დროინდელი თურქეთის რესპუბლიკის დიპლომატიის ძირითადი ასპექტები - მოხსენებაში განხილულია ის პრობლემები, რომლებიც წარმოიშვა თურქეთის რესპუბლიკის წინაშე მე-2 მსოფლიო ომში. თურქეთის დიპლომატიამ მოახერხა თავიდან აერიდებინა მე-2 მსოფლიო ომში ჩართვა. თავდაპირველად თურმა დიპლომატებმა დაიწყეს მოლაპარაკებები სსრკ-სთან, დიდ ბრიტანეთთან. ომის დაწყების შემდეგ განახორციელეს პროგრესული ნეიტრალიტეტი, ომის დასასრულს კი ანტიკომუნისტურ ბლოკს შეუერთდნენ, რითაც თავი დაიცვეს უკვე სსრკ-ს საფრთხისგან.

11. საჯარო მმართველობის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში და მათი გადაჭრის გზები - მოხსენებაში განხილულია საჯარო მმართველობის ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ერთი მხრივ ეს არის დემოკრატიის ფუნდამენტური მოთხოვნების დაცვა, მეორე მხრივ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა. განხილულია რეკომენდაციები, რომელთა გამოყენება გაზრდის საჯარო მმართველობის ეფექტიანობას.

12. მონტესკიეს ნაშრომი „კანონთა გონი“, როგორც საჯარო მმართველობის თეორიული საფუძვლები - ნაშრომი „კანონთა გონი“ გაანალიზებულია როგორც ყოველმხრივ განვითარებული თეორიული ფუნდამენტი დემოკრატიული მმართველობის უზრუნველსაყოფად. ფაქტობრივად ამ ნაშრომში მოცემული არა მხოლოდ თეორიული შეხედულებები, არამედ საჯარო მმართველობისთვის აუცილებელი პრაქტიკული რეკომენდაციებიც.

13. მაქს ვებერის ბიუროკრატიული სისტემა და მართვის პრობლემები საქართველოს საჯარო მმართველობის ორგანიზაციებში - ნაშრომში განხილულია ის მეთოდები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას მკვეთრად გაუმჯობესდეს საჯარო მმართველობის ორგანიზაციათა საქმიანობა. ვებერის ბიუროკრატიული სისტემა შესაძლოა გამოყენებული იქნას, როგორც ორგანიზაციათა ეფექტიანობის შესამოწმებელი ინსტრუმენტი აბსპეციალური კითხვარის სახით.

14. მე-19 საუკუნეში გერმანიის გაერთიანების სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლები (საჯარო მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების თვალსაზრისით) - ნაშრომში განხილულია გერმანული გამოცდილება საჯარო მმართველობის ორგანიზების მიზნით. ამ თავლთახედვით საუკეთესო მასალას იძლევა „რკინის კანცლერის“ ოტტო ფონ ბისმარკის მოღვაწეობა, დანახულია ის საერთო ელემენტები, უმეტესად სამართლებრივ ჭრილში, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს საჯარო მმართველობის სისტემაში მისი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

15. რუსეთ-უკრაინა-საქართველოს „სამკუთხედი“ მსოფლიოს ზესახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში

16. მცირე ბიზნესის დაწყების პრობლემები პოსტ-საბჭოთა საქართველოში - ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში გავრცელებული პრობლემები, ერთი მხრივ სახელმწიფო უზრუნველყოფს ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო ფორმალური მხარის გათვალისწინებას, რაც უდავოდ მისასაღებელია, მაგრამ, მეორე მხრივ ბიზნესს იწყებენ საამისოდ სრულიად

მოუმზადებელი ადამიანები, რაც მათ გააკორტრებს იწვევს აქედან გამომდინარე სხვადასხვა სოციალური პრობლემებით.

17. თანამშრომელთა მოტივაციის შესაძლებლობები და თავისებურებები მანქანათმშენებლობის ორგანიზაციებში - ნაშრომში გაანალიზებულია მოტივაციის სხვადასხვა სისტემაი, გაკეთებულია მოტივაციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მცდელობა, რამაც უნდა გააუმჯობესოს მანქანათმშენებლობის ორგანიზაციათა საქმიანობა.

18. „აი-დი-ეს ბორჯომი საქართველოს“ კონკურენტული პოზიციის სტრატეგიული ანალიზი - ნაშრომში ჩატარებულია კომპანია „აი-დი-ეს ბორჯომი საქართველოს“ ანალიზი სტრატეგიული მენეჯმენტის პოზიციებიდან, გაანალიზებულია კომპანიის წარმატებები, მისი კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე და ჩამოყალიბებულია ის რეკომენდაციები, რომელთა დაცვითაც შესაძლებელი იქნება კომპანიამ არათუ შეინარჩუნოს, არამედ კიდევ უფრო გააუმჯობესოს კონკურენტული პოზიცია.

19. მენეჯმენტის თეორიის ტრივიალური მოთხოვნები და მცირე ბიზნესის პრობლემები საქართველოში - ნაშრომში განხილულია ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი ანბანური ჭეშმარიტება და მოთხოვნები. ნაჩვენებია, რომ საქართველოში ბიზნეს კომპანიების გაკორტრება ძირითადად უკავშირდება მენეჯმენტის პრინციპების უცოდინარობას ან უგულვებელყოფას მათი პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით. მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა ბიზნესის დაწყებისთვის.

20. გმირი ჯავშნოსანი - მოხსენებაში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაპერიოდის დრამატული ვითარება, ამიერკავკასიის ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ მართავდა სახელმწიფოს, არ არსებობდა რეგულარული ჯარი, საყოველთაო ქაოსის პირობებში ქართველთა ჯავშნოსანმა (ეკიპაჟი - 80 მებრძოლი) ვალოდია გოგუაძის მეთაურობით რამდენიმე ათეულ ქვეით ჯარისკაცთან ერთად დაამარცხა ოსმალეთის იმპერიის გალიპოლის დივიზია (8 ათასამდე საუკეთოდ შეიარაღებული მებრძოლი), რითაც ფაქტობრივად გადაარჩინა საქართველო აოხრებას, რამაც საბოლოო ანგარიშით შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიების შენარჩუნება (ბათუმისა და ახალციხის ოლქები) და დამოუკიდებლობის გამოცხადება.

21. სტრატეგიული მენეჯმენტისა და კიბერნეტიკის პრინციპები საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში - მოხსენებაში საერთაშორისო ურთიერთობები განხილულია, როგორც მართვის ობიექტი კიბერნეტიკისა და სტრატეგიული მენეჯმენტისა თვალათახედვით. გაანალიზებულია სტრატეგიული მენეჯმენტის მოთხოვნები რომელთა გამოყენება არამხოლოდ შესაძლებელია საერთაშორისო ურთიერთობებში, არამედ მნიშვნელოვნად აამაღლებს მის ეფექტიანობას, ხოლო კიბერნეტიკული სტრუქტურა დაეხმარება შესაბამის მოხელეს მთლიანობაში დაინახოს საერთაშორისო ურთიერთობებისთვის აუცილებელი პრობლემები.

ბ) უცხოეთში

| №   | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მომხსენების სათაური                                       | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი  |
|---|--------------------------------|---|---|
| 1   | გიორგი ბალათურია               | “Cybernetic Model for Global Economic Crisis Forecasting” | თურქეთი, ანკარა, თურგუთ<br>ოზალის სახ.<br>საერთაშორისო კონგრესი<br>ბიზნესის, ეკონომიკისა და<br>პოლიტიკური მეცნიერებების<br>სფეროში;<br><br>3-5 ივნისი, 2014 |
| <p>1. მოხსენებაში განხილულია ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირების შესაძლებლობა კიბერნეტიკული მოდელის გამოყენებით, მითითებულია ის ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული კრიზისის პროგნოზირების მიზნით.</p> |                                |   |   |

**სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა სამეცნიერო მუშაობაში**

2014 წლის 22 ნოემბერს დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა მე-ს საერთაშორისო კონფერენცია “ხელისუფლება და საზოგადოება -2014” რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა - 120-მდე პროფესორმა და ახალგაზრდა მეცნიერმა და მკვლევარმა. (კონფერენციის სამუშაო ენებია – ქართული, ინგლისური, რუსული. კონფერენციაზე მუშაობდა შემდეგი სექციები: „საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის თეორია, პრაქტიკა, მეთოდოლოგია“; „დიპლომატია“; „ისტორიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური გაკვეთილები“; „საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები“; „საჯარო მმართველობისა და სახელმწიფო მართვის ეკონომიკური საკითხები“; „სახელმწიფო და რელიგია“. კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებში „ხელისუფლება და საზოგადოება (თეორია, ისტორია, პრაქტიკა)“ და „სკრიპტა მანენტი“, ასევე კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორის - ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე (აღსანიშნავია, რომ ასოციაციის წევრთა შორის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორა და სტუდენტები ჭარბობენ).

ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში უკვე 2 წელია ფუნქციონირებს ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ლაბორატორია. შექმნის დღიდანვე ლაბორატორიის საქმიანობა წარიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემების კვლევის მიმართულებით, რაც ფრიად აქტუალური და მნიშვნელოვანია თანამედროვე ვითარებაში.

ლაბორატორიის უმთავრეს ამოცანაა მეცნიერულად გაანალიზებული და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემების შესწავლა, ანალიზი და ამ პრობლემების გადაჭრის რეკომენდაციების შემუშავება, ასევე მომავალი საჯარო მოხელეების სათანადო ცოდნით აღჭურვა.

კვლევებში ჩაბმულია საჯარო მმართველობის სტუდენტები, მაგისტრები, დოქტორანტები მომზადდა და მზადდება პუბლიკაციები, საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. ადგილობრივი თვითმმართველობის აქტუალურ საკითხებზე. სტუდენტები მოხსენებებით წარსდგენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე „ხელისუფლება და საზოგადოება“ (2013, 2014 წწ.).

ლაბორატორია აქტიურადაა ჩაბმული იმ სამუშაოში, რომელიც უკავშირდება დეპარტამენტში 3 სადოქტორო და 3 სამაგისტრო დისერტაციის მზადებას ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემატიკის ირგვლივ. გამოქვეყნდა 6 სამეცნიერო სტატია, მარტო მიმდინარე წელს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება - 2014“ აღნიშნულ პრობლემატიკას მიეძღვნა პროფესორ-მასწავლებელთა 2 და დოქტორანტთა 3 გამოსვლა.

მიმდინარე ეტაპზე მუშავდება შემდეგი თემები:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ინსტიტუციონალური ფაქტორი;
- ბ) თვითმმართველობის განსაკუთრებული სტატუსის რეალიზაციის პრობლემები და პერსპექტივები ქალაქ თბილისში;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური მართვის საკითხები;

ამ მიმართულებით დამუშავებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (ქართული და უცხოური წყაროები), გაანალიზებულია არსებული საკანონმდებლო ბაზა; მომზადდა სამეცნიერო სტატიები და საკონფერენციო მოხსენებები; ასევე სატელევიზიო დისკუსია, რომელიც გადაიცა ტელეარხ „ობიექტივის“ მიერ.

პროფესორ ნუნუ ოვსიანიკოვასა და ასისტენტ ზაზა ქოიავას მიერ შეიქმნა სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის აქტუალურ პრობლემებთან

დაკავშირებით, რომელიც წაეკითხებათ ბაკალავრებს. მზადდება სახელმძღვანელოც.

2015 წლის დასაწყისში იგეგმება „მრგვალი მაგიდა“ რომელშიაც მოქმედი მოხელეები და მეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას. დაგეგმილია მოეწიოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლება, რომელსაც ლაბორატორიის საქმიანობაში ჩაბმული პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები გაუძღვებიან.

საკუთარი ტექნიკური რესურსებით აღჭურვილია ლაბორატორია და შეკრებილია სოლიდური ელექტრონული (400-მდე ელექტრონული წიგნი და სტატია) და ნაბეჭდი მასალა (წიგნები, სტესტიები, ანალიზები, ნორმატიული აქტები და სხვა). მზადდება ლაბორატორიის ვებგვერდი.

ამჟამად დოქტორანტურაში “საჯარო მმართველობის” პროგრამაზე სამ კურსზე სწავლობს 69 სტუდენტი. მიმდინარეობს სადოქტორო დისერტაციების მომზადება საჯარო მმართველობის სპეციალობით, კვლევის თემატიკა მრავალფეროვანია რაზედაც ნათლად მეტყველებს სადისერტაციო თემატიკა.

დეპარტამენტში დამუშავდა საჯარო მმართველობის საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია. განხილული და დასაბუთებულია საჯარო მმართველობის სწავლების აუცილებლობის საკითხები, გაანალიზებულია მმართველობითი აზროვნების განვითარების ტენდენციები, საჯარო მმართველობის სწავლების საფუძვლები და საჯარო მმართველობის თანამედროვე მიმართულებები, ჩამოყალიბებულია განათლების პრინციპები საჯარო მმართველობის სფეროში. ნაჩვენებია, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული პრობლემები ძირითადად განპირობებულია საჯარო მმართველობის სათანადოდ მომზადებულ სპეციალისტთა უკმარისობით და, როგორც შედეგი, ქვეყნის მართვის პროცესში საჯარო მმართველობის თეორიის მეცნიერულად და პრაქტიკულად უკვე მრავალჯერ დადასტურებული მიღწევებისა და ეფექტიანი რეკომენდაციების ფაქტობრივი იგნორირებით.

კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ დღევანდელ საქართველოში, საჯარო მმართველობის მოხელეთა კომპლექსური მომზადება ეფექტიანად ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც არსებობს საჯარო მმართველობითი განათლების მრავალწლიანი ტრადიცია. საჯარო მმართველობა ისწავლება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე - არსებობს და ეფექტიანად ფუნქციონირებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომლებიც პრაქტიკულად პასუხობენ საჯარო მმართველობისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, თუმცა საქართველოს ახალგაზრდობის ფართო ფენების სურვილი დაეუფლონ აღნიშნულ დეფიციტურ სპეციალობას სრულად ვერ კმაყოფილდება.

ამავე დროს არსებობს მეტად სერიოზული მოთხოვნა, რათა საჯარო მმართველობა ისწავლებოდეს უცხო ენებზეც - ინგლისურად და რუსულად.

რუსულენოვანი პროგრამა სასარგებლო იქნება არა მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდობისთვის, რომლებისთვისაც მშობლიური ენა რუსულს წარმოადგენს, არამედ აგრეთვე მეზობელი ქვეყნების აბიტურ-იენტებისთვის. ასევე, რუსეთში, უკრაინაში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები ქართველებისთვის, რომელთა საბაზისო განათლება რუსულ ენას უკავშირდება. ამ ახალგაზრდების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში შემოყვანა თავის დადებით როლს ითამაშებს როგორც საგანმანათლებლო თვალსაზრისით, ისე პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეც, რადგანაც ეს პროცესი ხელს შეუწყობს საქართველოს გეოპოლიტიკური როლის განმტკიცებას. ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამა კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და სტუდენტთა კიდევ უფრო მეტ დაახლოებას საზღვარგარეთელ თანატოლებთან, რაც, საბოლოო ანგარიშით აამაღლებს უმაღლესი განათლების ხარისხს საქართველოში და ხელს შეუწყობს ბოლონის პროცესით გათვალისწინებული ამოცანების სრულ რეალიზებას.

როგორც მეცნიერთა და ექსპერტთა გამოხმაურებიდან ჩანს საჯარო მმართველობის პროგრამები მნიშვნელოვან წილად განაპირობებს საქართველოში არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას, საჯარო მმართველობის კადრების მომზადებისა და მათი სწორი გამოყენების შესახებ. რუსულენოვანი პროგრამა ასევე სასარგებლო იქნება არა მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდობისთვის, რომლებისთვისაც მშობლიური ენა რუსულს წარმოადგენს, არამედ აგრეთვე მეზობელი ქვეყნების აბიტურიენტებისთვის, განსაკუთრებით საზღვარგარეთ: რუსეთში, უკრაინაში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები ქართველებისთვის, რომელთა საბაზისო განათლება რუსულ ენას უკავშირდება.

## საზინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პროფესორი ანტონ ინგოროყვა;

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

გიორგი ცაავა;  
ალეკო ქუთათელაძე;  
რატი ბურდიაშვილი;  
მერაბ ვანიშვილი.  
ვალერი მოსიაშვილი;  
გიორგი ხანთაძე;

მზევინარ ნოზაძე;  
 ლილი გვენეტაძე.  
 გიორგი სულაშვილი.

\* პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

| № | ავტორი/ავტორები                        | სახელმძღვანელოს სახელწოდება   | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა     | გვერდების რაოდენობა |
|---|--|---|------------------------------------|---------------------|
| 1 | ასათიანი<br>ვლადიმერი, ცაავა<br>გიორგი | კომერციული<br>ბანკების<br>საქმიანობის<br>ფინანსური ანალიზი<br>(თეორია, მეთოდები<br>და პრაქტიკა)<br><br>UDS (უაკ) 336.712:339<br>ა-871<br>ISBN 978-9941-0-7105-8 | თბილისი,<br>გამომცემლობა<br>“დანი” | 500 გვ.             |

სახელმძღვანელოში განხილულია საბანკო სფეროში გამოყენებული ანალიზის მეთოდოლოგია, ინფორმაციული ბაზა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, კლასიფიკაცია, ბანკის საქმიანობის საფუძვლებში ჩადებულია ეკონომიკური პროცესები და საბანკო ოპერაციების სახეობები. სახელმძღვანელოს ამოცანა მდგომარეობს როგორც მთლიანად ბანკის, ასევე ცალკეული მიმართულების მიხედვით მისი საქმიანობის ანალიზის მეთოდებისა და ხერხების გამოვლენაში, ბანკის საქმიანობაზე ზემოქმედი ძირითადი ფაქტორების შესწავლაში, ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში, ბანკის ფინანსური მენეჯმენტის სპეციალური საკითხების განხილვაში, მიღებული შედეგების ანალიზისა და შეფასების ხერხების, აგრეთვე დასკვნებისა და რეკომენდაციების შედგენაში.

| № | ავტორი/ავტორები | სახელმძღვანელოს სათაური | გამოცემის ადგილი (გამომცემლობა) | გვერდების რაოდენობა |
|---|-----------------|-------------------------|---------------------------------|---------------------|
| 2 | მ. ვანიშვილი    | სოციალური               | თბილისი:                        | 420                 |



|   |                                      |                 |                                     |  |
|---|--------------------------------------|-----------------|-------------------------------------|--|
|   | <p>თ. ზარგინავა<br/>ნ. ვანიშვილი</p> | <p>პოლიტიკა</p> | <p>შპს „დანის“<br/>გამომცემლობა</p> |  |
| 50 | დემნა<br>კვარაცხელია               | “საქართველოს<br>ეკონომიკური<br>განვითარების<br>თავისებურებანი და<br>პრიორიტეტები”,               | ივ. ჯავახიშვილის<br>სახელობის<br>თბილისის<br>სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი.<br>პაატა გუგუშვილის                                    | თბილისი   | (გვ.: 182-<br>185) |

|    |                   |   |   |         |                |
|----|-------------------|---|---|---------|----------------|
|    |                   |   | <p>ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: “ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები”.</p> <p>2014</p> |         |                |
| 51 | დემნა კვარაცხელია | “ინსტიტუტები ეკონომიკური განვითარება”, და                                 | “თანამედროვე მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა”. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ლიდერთა კლუბი).   | თბილისი | (გვ.: 185-191) |
| 52 | ნაზი ჭიკაიძე      | ლიზინგი, როგორც ინოვაციური მენეჯმენტის კოორდინაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი | ქ. სოციალური ეკონომიკა  | სტუ     | 5              |

|    |   |  |  |                        |        |
|----|---|--|--|------------------------|--------|
| 53 | ნაზი ჭიკაიძე<br>მედია<br>კურტანიძე      | მცირე ბიზნესის<br>განვითარების სტრატეგია<br>და სახელმწიფო<br>რეგულირება                        | ეკონომიკა<br>2014 10-12                        | სტუ                    | 5      |
| 54 | ნაზი ჭიკაიძე                            | ინოვაციები თანამედროვე<br>ბიზნესში   | ე. სეუ და<br>მეცნიერება<br>2014 1              | თბილისი<br>შპს „ფორმა“ | 4      |
| 55 | დავით<br>იაკობიძე                       | მცირე სახელმწიფოთა<br>ეკონომიკური მოდელი<br>გლობალური<br>განვითარების პირობებში,               | ჟურნალი<br>“სოციალური<br>ეკონომიკა” № 4,       | თბილისი                | 4      |
| 56 | მ. ბერუაშვილი<br>მ. ბალათურია           | გლობალიზაცია და<br>ეკონომიკური<br>უსაფრთხოება კაპიტალის<br>საერთაშორისო<br>მოძრაობის პირობებში | ბიზნეს-<br>ინჟინერინგი №4,20<br>14             | თბილისი                | 2გვ.   |
| 57 | ა. გვარუციძე                            | ინოვაციური ეკონომიკის<br>სახელმწიფო რეგულირება<br>(საზღვარგარეთული<br>გამოცდილება)             | ჟურნ. სოციალური<br>ეკონომიკა 1.<br>2014 წ.     | თბილისი                | 13 გვ. |
| 58 | ა. გვარუციძე<br>პროფ. რ.<br>ოთინაშვილი. | ინტელექტუალური<br>საკუთრების დაცვის<br>ძირითადი ასპექტები.                                     | ჟურნ. ბიზნეს-<br>ინჟინერინგი. 1.<br>2014წ.     | თბილისი                | 12გვ.  |
| 59 | ა. გვარუციძე<br>პროფ. თ.<br>ღურწკაია.   | ტურიზმი და<br>დღევანდელი. ჟურნ.  | ბიზნეს-<br>ინჟინერინგი 1.<br>2014წ.            | თბილისი                | 8 გვ.  |
| 60 | ა. გვარუციძე<br>პროფ. გ.<br>მაღაშხია.   | დიდი ილია- ადამიანური<br>ყოფის არქიტექტორი.  | ჟურნ.<br>სოციალური<br>ეკონომიკა. 2. 2014<br>წ. | თბილისი                | 14 გვ. |
| 61 | ა. გვარუციძე<br>პროფ.<br>გ.გაბაიძე.     | პირდაპირი უცხოური<br>ინვესტიციების როლი<br>ქვეყნის ეკონომიკის<br>განვითარებაში.                | ჟურნ. სოციალური<br>ეკონომიკა 4.<br>2014 წ.     | თბილისი                | 8 გვ.  |



|    |  |  |  |         |                      |
|----|--|--|--|---------|----------------------|
| 62 | ა. გვარუციძე<br>პროფ. ბ<br>გაბაიძე     | მოგების და გეგმა<br>მმართველობითი<br>საქმიანობის ერთ-ერთი<br>მთავარი სფერო.<br>(პრაქტიკული ასპექტები)                | ჟურნ.<br>სოციალური<br>ეკონომიკა 6. 2014<br>წ.  | თბილისი | 9 გვ.                |
| 63 | რევაზ<br>შენგელია<br>ჟ.წიკლაური        | მორალურად<br>მოძველებული<br>მეცნიერულ-ტექნიკური<br>ცოდნა-ეკონომიკური<br>ზრდის უმთავრესი<br>დამაბრკოლებელი<br>ფაქტორი | ჟ.<br>„ეკონომიკა“ 7-9,<br>2014 წ.  | თბილისი | 0.8 ნ.თ.<br>(13 გვ.) |
| 64 | რევაზ<br>შენგელია<br>ჟ.წიკლაური        | „ბიზნეს ანგელოზები“ და<br>„ვენჩურული კაპიტალი“-<br>მცირე ბიზნესში კერძო<br>კაპიტალის ინვესტირების<br>წყარო           | ჟ. „ეკონომიკა“ 3-<br>4, 2014   | თბილისი | 0.4 ნ.თ.<br>(6 გვ.)  |
| 65 | რევაზ<br>შენგელია                      | მეცნიერულ-ტექნიკური<br>ცოდნის განახლება-<br>კვლავწარმოების<br>საკითხისათვის  | საერთაშორისო<br>რეცენზირებადი და<br>რეფერირებადი<br>სამეცნიერო ჟ.<br>„ბიზნეს<br>ინჟინერინგი“<br>3, 2014 წ. | თბილისი | 0.5 ნ.თ<br>(4 გვ.)   |
| 66 | რევაზ<br>შენგელია<br>გიორგი<br>შუბლაძე | ტურიზმის ინდუსტრიის<br>ინვესტიციებით<br>სახელმწიფოებრივი<br>მართვის მსოფლიო<br>გამოცდილება                           | ჟ. „ეკონომიკა“<br>7-9, 2014 წ.   | თბილისი | 0. 36.თ<br>(4გვ.)    |
| 67 | რევაზ<br>შენგელია                      | ტრანსნაციონალური<br>კორპორაციები და მათი<br>როლი საერთაშორისო<br>ეკონომიკაში   | ჟ. „ეკონომიკა“<br>7-9, 2014 წ.   | თბილისი | 0. 45.თ<br>(4გვ.)    |
| 68 | რევაზ<br>შენგელია                      | ბიზნესის, მარკეტინგის,<br>მენეჯმენტისა და<br>ეკონომიკური თეორიის<br>მეცნიერული<br>დეფინიციების ევოლუცია              | ჟ. „ეკონომიკა“<br>10-12, 2014 წ.   | თბილისი | 0. 7 ნ.თ<br>(10გვ.)  |

|    |  |   |  |         |      |
|----|--|---|--|---------|------|
| 69 | А, Сичинава,<br>Г.Джолия,<br>Д.Сехниашвили | Конкурентное<br>преимущество в эпоху<br>экономики знаний. | ჟურნალი<br>„ბიზნეს-<br>ინჟინერინგი“№1,<br>2014 | თბილისი | 5გვ. |
| 70 | ა. სიჭინავა<br>მ.ქალიაშვილი                | ინვესტიციები და<br>ფინანსური ბაზარი                       | ჟურნალი<br>„ბიზნეს-<br>ინჟინერინგი<br>№1, 2014 | თბილისი | 5გვ. |
| 71 | ა. სიჭინავა<br>ლ. ტატიშვილი                | უძრავი ქონების ადგილი<br>ერთვულ ეკონომიკურ<br>მოდელში     | ჟურნალი<br>„ბიზნეს-<br>ინჟინერინგი<br>№4, 2014 | თბილისი | 4გვ. |

ანოტაციები

1. კეთილდღეობის თეორია და რაციონალური მომხმარებელი.

განხილულია რაციონალური მომხმარებლის ქცევა ბაზარზე, მისი ფაქტორები; სამომხმარებლო ხარჯების მინიმიზაციისა და სარგებლიანობის მაქსიმიზაციის გავლენა მომხმარებლის კეთილდღეობაზე. კეთილდღეობაზე

2. მოთხოვნილება. მოხმარება კეთილდღეობა.

დასმულია ადამიანთა მოთხოვნილებების ანალიზის გაფართოების, კერძოდ, მისი ახალი კლასიფიკაციის საკითხი; დასაბუთებულია მოთხოვნილებათა გონოვრულობასა და ზომიერებაზე მომხმარებლის კეთილდღეობის დამოკიდებულება. ნაჩვენებია მოხმარებისა და კეთილდღეობის დაცვების მიზეზები და მათი დაძლევის გზები.

3. მომავალი ცხოვრების არქიტექტურა დიდი ილიას იდეების მიხედვით.

დიდი ილიას იდეები წარმოდგენილი როგორც ადამიანთა ცხოვრების მოწყობის არქიტექტურის შტრიხები; ნაჩვენებია თანამედროვე პირობებში მათი სახელმწიფოს პოლიტიკაში გამოყენების მიზანშეწონილობა.

4. სოციალური კონსტრუირება: პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის წარუმატებელი გამოცდილება.

მოცემულია სოციალური კონსტრუირების არსი, სოციალური ინსტიტუტების, განსაკუთრებით სახელმწიფოს როლი საზოგადოების ცხოვრების წესის ფორმირებაში,

მის ცვლილებებში, პროგრესული და არაადეკვატური რეფორმების გავლენა ახალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში; ნაჩვენებია პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის ხასიათი და ხარვეზები, მისი წარუმატებლობის შინაარსი და მიზეზები; ტრანსფორმაციის ალტერნატიული გზა, რომელიც ააცილებდა ქვეყნებს განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ დანაკრგებს, ასევე დასაბუთებული უმჯობესი სისტემის ცამოყალიბების შესაძლებლობა.

**5. სოციალური კონსტრუირება პოსტსოციალისტური ტანსფორმაციის პერიოდში.**

განხილვის საგანია პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესი ყოფილი საბჭოთა კავშირის, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით სააქრთელში; გაანალიზებულია ტრანსფორმაციის, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მინდინარეობა და შედეგები; გამოთქმულია მოსაზრებები პოსტტრანსფორმაციული პროცესის მომდინარეობის შესახებ.

**6-20.** პროფ. პაატა კოლუაშვილის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული შრომები ძირითადად მიეძღვნა მიწისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხს, მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილებას. რამდენიმე შრომა მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობასა და მისი კანონმდებლობის სრულყოფას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სტრატეგიის პრობლემებს. ასევე, აგრარული პოლიტიკის, სასურსათო უსაფრთხოების, ტურიზმისა და სერვისული მენეჯმენტის პრობლემებს, აგრარული წარმოების სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

**21.** ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა.

ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვჩვენებს, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი, მათ შორის ფუნდამენტური - ადამიანის უფლება, არ იყო უცხო ქართული სამყაროსათვის და ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა.

ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის აღსანიშნავია ქვეყნისათვის მსახურება, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, პრაგმატულობა და რეალიზმი, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა და, ამასთან ერთად უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველი გათვალისწინება.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს.

იმისათვის, რომ აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, ჩვენ გვჭირდება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და საზოგადოებას და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორცაა სოლიდარობა, ტოლერანტობა, ნდობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა, ანუ ჩვენ, გვჭირდება სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო სისტემის პრეროგატივაა. ამასთან ერთად უნდა დავძლიოთ ერთგვარი “ფიქრის დეფიციტი”. უნდა დავძლიოთ სპონტანურობა, ემოციურობა, ახლომხედველობა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას და დავამკვიდროთ ანალიზი და შორსმჭვრეტელობა. მყისიერი ეფექტის ნაცვლად ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებულნი უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა მივალწიოთ ქვეყნის ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რომელიც განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად თავისუფალია პროტესტის გამოსატვის საშუალება, არამედ იმით, თუ რამდენად აქტიურია მმართველობის პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა. ჩვენ გვჭირდება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევუსაბამოთ ჩვენი ყოფითი და პოლიტიკური კულტურა და, საერთოდ, მისი ყველა ასპექტი, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე. კონკრეტულად როგორ უნდა გაკეთდეს ეს, აი, ესაა მთავარი. ამისათვის კი მზა რეცეპტები ნამდვილად არ არსებობს. საჭიროა, ერთობლივად შევეცადოთ, ზუსტად განვსაზღვროთ პრიორიტეტები, რა არის მნიშვნელოვანი, რა გზით უნდა წავიდეთ, დაიგეგმოს მიზანმიმართული აქტივობები

**22.** ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ევროპული ფასეულობები უნივერსალური ხასიათისაა და ყველასთვის ერთნაირად არის მისაღები, რადგან საშუალებას გვაძლევს, პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ. მათი განხორციელებით ჩვენ შევძლებთ დავიცვათ მთელი ერის თვითმყოფადობა, თითოეული ადამიანი, ოჯახი. მათი ბედნიერება, კეთილდღეობა, სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავად გადაიქცევა. მიიღწევა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მისი სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების დაცულობა, თანასწორობა და ჰარმონია.

ილიას მიაჩნდა, რომ მოწინავე ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებისათვის ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტული უნდა იყოს ევროპულად სწავლება და ევროპული განათლების მიღება, ევროპული მმართველობა, წესი და რიგი, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ სწორად შევაფასოთ ყველაფერი, სწორი დიაგნოზი დავსვათ და ჩვენს სატიკვარს მისი წამლით გუშეველოთ. ევროპული განათლებისა და მეცნიერების, მმართველობის, წესისა და რიგის დასამკვიდრებლად ილია საჭიროდ მიიჩნევდა საკანონმდებლო და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, მრეწველობის გაძლიერებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

**23.** სტატიაში გამორკვეულია, დალაგებულია და ნაჩვენებია ეკონომიკური აზრისა და ეკონომიკური მოძღვრებათა წარმოშობისა და განვითარების ისტორიული სურათი, მისი მეთოდოლოგია, პერიოდიზაცია, მიმართულებები. ნაჩვენებია ქართული ეკონომიკური

აზრის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები და წარმომადგენლები.

24. სტატია ეხება კონომიკური მეცნიერების სწავლების მეთოდოლოგიის საკითხებს: ეკონომიკის საგანს და ფუნქციებს, ანალიზის დონეებს, ძირითად პრობლემას. განხილულია ეკონომიკური თეორიის სისტემა, საგნის სხვადასხვა განმარტებანი, კლასიფიკაცია, ძირითადი ფუნქციები, იმის მნიშვნელობა რაც არ შეიძლება ვაკეთოთ ეკონომიკაში, ეკონომიკური ანალიზის დონეები, ეკონომიკის კანონების და პრინციპების ურთიერთკავშირი, დაშვებათა როლი, პოზიტიური და ნორმატიული ანალიზი, სამეურნეო საქმიანობის მთავარი როლი, ძირითადი ეკონომიკური პრობლემა, ანუ განსაზღვრული სურვილები და მათი დაკმაყოფილების საშუალებების შეზღუდულობა, ეკონომიკის მეთოდები, ლოგიკის კანონები.

25. ევროპული ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა.

ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლური ღირებულებები და ფასეულობანი, მათ შორის ფუნდამენტური - ადამიანის უფლება, არ იყო უცხო ქართული სამყაროსათვის და ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა.

ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის აღსანიშნავია ქვეყნისათვის მსახურება, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, პრაგმატულობა და რეალიზმი, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნა და, ამასთან ერთად უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველი გათვალისწინება.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩაეყენოს ქვეყნის სამსახურში და ვიწრომით თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს.

იმისათვის, რომ აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, ჩვენ გვჭირდება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და საზოგადოებას და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორცაა სოლიდარობა, ტოლერანტობა, ნდობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა, ანუ ჩვენ, გვჭირდება სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო სისტემის პერეოგატივია. ამასთან ერთად უნდა დავძლიოთ ერთგვარი “ფიქრის დეფიციტი”. უნდა დავძლიოთ სპონტანურობა, ემოციურობა, ახლომხედველობა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას და დავამკვიდროთ ანალიზი და შორსმჭვრეტელობა. მყისიერი ეფექტის ნაცვლად ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებულნი უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა მივადწიოთ ქვეყნის ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რომელიც

განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად თავისუფალია პროტესტის გამოხატვის საშუალება, არამედ იმით, თუ რამდენად აქტიურია მმართველობის პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა. ჩვენ გვჭირდება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევუსაბამოთ ჩვენი ყოფითი და პოლიტიკური კულტურა და, საერთოდ, მისი ყველა ასპექტი, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე. კონკრეტულად როგორ უნდა გაკეთდეს ეს, აი, ესაა მთავარი. ამისათვის კი მზა რეცეპტები ნამდვილად არ არსებობს. საჭიროა, ერთობლივად შევეცადოთ, ზუსტად განვსაზღვროთ პრიორიტეტები, რა არის მნიშვნელოვანი, რა გზით უნდა წავიდეთ, დაიგეგმოს მიზანმიმართული აქტივობები.

**26.** თანამედროვე განვითარებული სამყარო ძირითად აქცენტს აკეთებს ცოდნის ეკონომიკაზე, რადგან ცოდნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მთავარი წყარო ხდება. იცვლება მიდგომა – „მეცნიერება მეცნიერებისათვის“, პროგრესული მიდგომით – „მეცნიერება როგორც საზოგადოებრივი პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის წყარო“, მიმდინარეობს განათლების სისტემის ტრანსფორმაცია.

XXI საუკუნე იქნება ინტელექტუალების, კრეატიული (შემოქმედი) პროფესიონალების აქტიური მოღვაწეობის ეპოქა.

საჭირო გახდება გარკვეული თეორიული ცოდნის, კომპეტენციებისა და შემოქმედებითი უნარების მქონე ადამიანები.

ახალი მოდელის ადამიანის (ჰომო ცრეატივუს) ფორმირება მოითხოვს კლასიკური საგანმანათლებლო პარადიგმის სისტემურ-საქმიანობითი პარადიგმით შეცვლას. სწავლების ახალი სტანდარტი ხელს შეუწყობს სტუდენტის პიროვნულ განვითარებას, არაპარადიგმული ამოცანების გადაწყვეტას, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, სისტემური მეტასაგნობრიობის ფლობას.

ძირეულად იცვლება პედაგოგის როლი სასწავლო პროცესში. იგი შემოქმედებითი პროცესის აქტიური მონაწილე ხდება.

მიმდინარეობს უნივერსიტეტების მოდერნიზაცია, მათი სამეცნიერო პოტენციალის ეფექტური გამოყენება.

პროფესორების ჰენრი ეცკოვიცისა და ლუთ ლეიდესდორფის „სამმაგი სპირალის“ მოდელით უნივერსიტეტი ამუშავებს იდეას, სახელმწიფო ქმნის ნორმატიულ ბაზას, ბიზნესი უზრუნველყოფს რესურსებს.

ამ მოდელით უნივერსიტეტია ინოვაციური საქმიანობის ძირითადი ბირთვი. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნესთან და აკადემიურ ფუნქციას ინარჩუნებს. დღის წესრიგში აქტიურად დგას ახალი არაპარადიგმული პრობლემა: სასწავლო უნივერსიტეტების

სამეწარმეო უნივერსიტეტებით შეცვლა.

**27.** ახალი იდეები ყოველთვის იწვევს პოზიტიურ გავლენას. მათ ასევე შეუძლიად დადებითი ზემოქმედება მოახდინონ ბიზნესის განვითარებაზე, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – ახალ აღმოჩენებსა და გამოგონებებზე. ადამიანი ისეა შექმნილი, რომ სიახლისაკენ გამუდმებით მიილტვის. სწორედ ეს განაპირობებს მის პირად და, მთლიანად, ცივილიზაციის განვითარებას.

ადამიანთა ცხოვრებაში ხშირად ისეთი ამოცანების გადაწყვეტა გვხვდება, რისთვისაც აუცილებელია ფანტაზია და კრეატიული აზროვნება. უმეტესად, მას ის ადამიანი აწყდება, რომელიც რაღაცის შექმნაშია ჩართული და ხშირად გადაწყვეტილების მიღება უწევს.

კრეატიული გადაწყვეტილების ძიების პროცესი შეიძლება მნიშვნელოვნად გამარტივდეს, თუ იმ მეთოდებს გამოვიყენებთ, რომლებიც პრაქტიკაში ცნობილია. ამ მეთოდების გამოყენება კრეატიულ აზროვნებას ავარჯიშებს, რაც თანდათან ჩვევა ხდება და ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუძნეველად ერთვება.

კრეატიული მეთოდების უმრავლესობა ჯგუფის მუშაობაზეა გათვლილი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება ცალკეული ინდივიდის მიერ იქნას გამოყენებული, დიდი ეფექტურობა სწორედ ჯგუფის პირობებში მიიღწევა.

კრეატიული მეთოდებიდან განსაკუთრებით ეფექტურია: „გონებრივი შეტევა“, „სინექტიკა“, „გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტა“, „მორფოლოგიური მატრიცა“, „ფოკალური ობიექტები“, „ექვსი მოაზროვნე ქული“, „ინვერსია“ და „ინტელექტ-ბარათები“.

**28.** XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობასა და მისი სტრუქტურული ცვლილებების გატარებაში უმსხვილესი და მსხვილი ქალაქების როლი არსებითად გაიზარდა. იმავედროულად, ამ ქალაქებმა მოსახლეობის გადიდებული ნაკადებიც მიიღო. როგორც სამრეწველო ცენტრები და მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის ადგილები, ისინი ადამიანის სასიცოცხლო გარემოზე ზემოქმედების რთული და წინააღმდეგობრივი სოციალურ-დემოგრაფიული, ტექნოგენური, ეკოლოგიური და სხვა პროცესების ერთ-ერთი წყარო გახდა.

მომავალში დედამიწის მოსახლეობის ძირითადი მასა მსხვილი ქალაქის მკვიდრი იქნება. თანამედროვე ქალაქი თავისებური „მაგნიტა“, რომელიც ყველა სახეობის რესურსს (კაპიტალი, სამუშაო ძალა) იზიდავს. ქალაქების რაოდენობისა და ზომების ზრდა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ათანაბარზომიერი განვითარების შედეგია.

მეგაპოლისის ფენომენის მეცნიერულმა გააზრებამ მისდამი საზოგადოების სხვადასხვა ფენების განსხვავებული და გაზრდილი ინტერესი განაპირობა. 2008-2009 წლებში გაერომ ჩაატარა ურბანიზაციის კვლევები, რომლის შედეგები მოწმობს ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის უკვე გარდაუვალ ზრდაზე.

თანამედროვე გლობალური გარემო, რომელშიც მსხვილი ქალაქები ფუნქციონირებენ, მაღალი სიჩარეებისა და მწვავე კონკურენციის სამყაროა. იგი კოლოსალურ

შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ, იმავდროულად, მაღალ მოთხოვნებსაც აყენებს. მსოფლიო სამეურნეო სისტემაში წარმატებული ჩართვის შანსი გლობალიზაციის გავლენით ჩვენ თვალწილ ყალიბდება, თუმცა იგი განსხვავებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულისათვის არათანაბარია. უპირატესობას ისინი იღებენ, რომლებიც მსოფლიო ბაზრებზე მაღალ კონკურენტუნარიანობას ფლობენ, შეუძლიათ სწრაფი გარდაქმნა და თამაშის ცვალებად წესებზე მორგება. ამ მოთხოვნებს უფრო უკეთ მსხვილი ქალაქ-პოლისები პასუხობენ. მათშია თავმოყრილი უდიდესი რაოდენობის მრავალგვარი რესურსი. აქ ფორმირდება და ადაპტირდება ახალი ცოდნა, იქმნება ახალი, თანამედროვე პროფესიები და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილები, ახალი მეცნიერებატევადი საქონელი და მომსახურება, მკვიდრდება ცხოვრების ახალი სტილი, ახალი კულტურული ტრადიციები, რომლებიც შემდეგ მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

**29.** განვითარებულ ქვეყნებში მომხმარებლური საზოგადოება ყალიბდება და ახალი ტიპის მომხმარებელი – X-მომხმარებელი წარმოიშობა, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: მოხმარების საგნების ჭარბი წარმოება, სავაჭრო რევოლუცია, სამომხმარებლო რესურსების გადიდება, ურბანიზაციის დონის ამაღლება, მოხმარების სეკულარიზაცია, მოხმარებაში აქსეოლოგიური ცვლილება და ახალი სამომხმარებლო ცნობიერების ფორმირება.

მომხმარებლური საზოგადოების ფორმირება მრავალი სიმპტომით ვლინდება, კერძოდ: ჭარბი მოხმარებით, კომოდიფიკაციით, კომფორტული საზოგადოების შექმნით, შოპინგით, მოხმარების დეკოლექტივიზაციითა და ახალი სოციალური გარემოს ჩამოყალიბებით.

მომხმარებლურ საზოგადოებას თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს.

მომხმარებლური საზოგადოების მთავარი ბურჯი X-მომხმარებელია, რომელიც განსხვავებული ფსიქიკის მქონეა, ახალი ღირებულებებისა და იდეალების მატარებელი, რეტლანსლატორი და რეციპიენტი. იგი გასული საუკუნის „საშუალო კლასის“ შემაჯავროვებელი და ჩამნაცვებელია. ამ ტიპის მომხმარებელთა ზრდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი ტრენდია.

**30.** სასწავლო კურსის “ინსტიტუციონალური ეკონომიკა” შესავალი თავი. განხილულია ინსტიტუციონალიზმის გენეზისი. ძველ და ნეონსტიტუციონალიზმს შორის არსებული კავშირები, მათი განსხვავება და ნაპოვნია გზები საქართველოში ეკონომიკური თეორიის ამ მიმართულების აქტიური გამოყენებისათვის.

**31.** საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი აღორძინების ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური გზა მცირე ბიზნესის განვითარებაა. ამიტომ, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხი უნდა იყოს მცირე ბიზნესის ყოველმხრივი მხარდაჭერა. თუმცა, სახელმწიფო მართვის ორგანოებს არ უნდა ჰქონდეთ იმის იმედი, რომ მცირე ბიზნესი არის ბიუჯეტის შევსების უშრეტი წყარო და მისი დეფიციტის აღმომფხვრელი საშუალება. მცირე ბიზნესის უპირველესი მოვალეობა, ვალდებულება და მისია -სოციალური საკითხების მოგვარებაა, კერძოდ, უმუშევართა დასაქმება და ამ გზით მოსახლეობის სიღარიბისაგან თავის დაღწევა.

მცირე საწარმოები სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებენ ფეხზე



დადგომასა და მსხ ველ საწარმოებთან კონკურენციას. ამის გარეშე კი ქვეყანაში ვერ შეიქმნება კონკურენტუნარიანი სა წარმოების კრიტიკული მასა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზარი მსხვილი საწარმოების მიერ იქნება მონოპოლიზებული.

**32.** ნაშრომში განხილულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობით განპირობებული საკითხები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიგრაცია და თანამედროვე ტენდენციები. მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია, რომელიც დაყოფილია ოთხ ჯგუფად. ნაშრომში გადმოცემულია თუ დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილმა რაოდენობრივმა ცვლილებებმა როგორი თვისობრივი ნახტომი გამოიწვია ეკონომიკურ ცხოვრებაში და ახალი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. ანხილულია ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის ძირითადი ფორმები, ტრანსნაციონალური კორპორაციების, როგორც გლობალიზაციის მთავარი კომპონენტების როლი, თანამედროვე პირობებში ლიბერალიზაცია, როგორც მახასიათებელი ნიშანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირებაში.

**33.** კომუნიკაცია ნიშნავს სხვა სუბიექტისთვის ინფორმაციის გაადცემას. მარკეტინგი მას განიხილავს როგორც საბაზრო სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდებულების სისტემას ინფორმაციის გაცვლის გამო. კომუნიკაციური პოლიტიკა ააქტიურებს მომსახურებაზე მოთხოვნის ჩამოყალიბების პროცესს და ეფექტიანს ხდის საქმიანობის გასაღების გამო. ნაშრომი დახასიათებულია მომსახურების ბაზარზე კომუნიკაციური საქმიანობის ფსიქოლოგიური და სოციალური შინაარსი.

**34.** ბაზარზე ხდება ადამიანის შრომითი საქმიანობის სხვადასხვაგვარი შედეგების რეალიზაცია. ესენი არა მარტო მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის პროდუქტებია, არამედ შემოქმედებითი, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები და მომსახურების ფართო წრეცაა, რაც გადაქცეულია ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. ნაშრომში განხილულია მომსახურების განმასხვავებელი მახასიათებლები: შრომის შედეგის ხელით შეუგრძნობლობა, განუყოფადობა, შენახვისა და ტრანსპორტირების შეუძლებლობა. მომსახურების კლასიფიკაცია ეფუძნება სხვადასხვა კრიტერიუმებს, როგორცაა მომსახურების წარმოების ხასიათი, კლიენტის ყოფნის საჭიროება მომსახურების ადგილზე, მწარმოებლის და მომმარებლის მოტივაციები, დარგობრივი და ასორტიმეტული მოდგომა, რაც უნდა გაითვალისწინონ მომსახურების საწარმოებმა საქმიანობაში.

**35.** საქართველოს გააჩია საკმარისი პოტენციალი გადაჭრას მის წინაშე არსებული რთული სოციალურეკონომიკური პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, მთავარია არსებული შესაძლებლობების გონივრული გამოყენება და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობა. როდესაც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და მის გამოყენებაზე ვსაუბრობთ, უსათუოდ უნდა ვიზრუნოთ საექსპორტო პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზეც. თუ ნაწარმი თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, იგი საერთაშორისო ბაზარზე თავის ადგილს ვერ დაიმკვიდრებს. თავის მხრივ, ევროკავშირს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმსხვილესი ექსპორტიორ-იმპორტიორია. მისი დღევანდელი აგრარული პოლიტიკა ერთგვარი ეტალონია გაერთიანების არაწევრი ქვეყნებისათვის, რომლის გათვალისწინება ჩვენს ქვეყანას

სასარგებლოდ წაადგება.

**36.** თანამედროვე პირობებში ეფექტიან მარკეტინგად მომხმარებელზე ორიენტირებული საქმიანობა ითვლება, მომხმარებელზე ორიენტაცია კი, მათი სურვილების, შესხედულებების, საქონლის მიმართ დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი. ქართული პროდუქციის მთავარი პრობლემა მისი სიძვირეა. მაგალითად, ევროპაში ქართული ღვინის გატანა, ტრანსპორტირების ხარჯებსა და იქ არსებულ მაღალ გადასახადებთან ერთად პროდუქციას კონკურენტუნაროს ხდის.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ღვინის ექსპორტის ზრდა, ახალი ბაზრის გახსნის გარდა, განპირობებული იყო ქვეყანაში ამ დარგში წარმოების ზრდითაც. ახალი საწარმოო შესაძლებლობების გაჩენა მნიშვნელოვანია იმ ფონზეც, რომ საქართველოს, რუსეთის ბაზრის გარდა, ასათვისებელი აქვს იმავე ბელორუსის საექსპორტო კვოტებიც; საქართველოს არც ევროკავშირის ბაზარი აქვს ათვისებული. ამის მიზეზია ევროსტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილების სირთულე. თუ გავითვალისწინებთ იმ პერსპექტივებს, რასაც საქართველოს ღრმა და ყოველმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოუტანს, ქართულ ღვინოს ევროკავშირის ბაზარზე ახალი პერსპექტივები ეხსნება.

**37.** სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ეკონომიკის ეპოქაში კონკურენტული უპირატესობების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ცოდნისა და ცოდნის მენეჯმენტის ახალი პერსპექტივებისა და კონცეფციების მიღების საფუძველზე. დღეს ბიზნესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის ფასეულობის ამაღლებაზე, მომხმარებლებისათვის ფასეულობების ამაღლებასა და თანამშრომლებისათვის ფასეულობის ამაღლებაზე.

ავტორები თვლიან, რომ თანამედროვე პირობებში კონკურენტული უპირატესობის მიღწევისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება, განათლებაში დიდი ინვესტიციების განხორციელება, ინოვაციური და ტექნოლოგიური კომპეტენციების შექმნა, ასევე ეკონომიკისა და ინსტიტუციური რეჟიმის სტიმულირება.

**38.** ბოლო წლების მანძილზე აქტიურად განვითარდა საინფორმაციო საზოგადოება და მისი კომპონენტები: ცოდნის ეკონომიკა, ე-ცომერცე, ელექტრონული ჯანდაცვა, ელექტრონული მთავრობა, ელექტრონული სწავლება. განვითარებულ ქვეყნებში, არსებობს მთელი რიგი ჭკვიანი სფეროები: სმარტ ბიზნესი, ჭკვიანი მედიცინა და ჭკვიანი ენერჯია.

დღეს ჩვენ ვსაუბრობთ ახალი საზოგადოების განვითარებასა და ახალი პარადიგმების გამოჩენაზე. ინტერნეტისა და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას აქვს ორმაგი, როგორც ეკონომიკური და სოციალური შედეგები. შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში საზოგადოებრივი ცხოვრების ინფორმატიზაციისათვის. მიგვაჩნია, რომ სიჩქარე საქართველოში ამ პროცესების დანერგვის სისწრაფე დაკავშირებულია ხელისუფლების, განათლების სისტემისა და მთელი საზოგადოების კოორდინირებულ გადაწყვეტილებებზე.

**39.** სტატიაში განხილულია ელექტრონული კომუნიკაციის განვითარების საკითხები საქართველოში. დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს

ქვეყანაში ელექტრონული კომუნიკაციებით მომსახურების გაუმჯობესებას.

**40.** სტატიაში საუბარია, რომ ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმს სასიკეთო გავლენა მხოლოდ მაშინ ექნება, როცა იგი კომპლექსურად და ყოველმხრივ ვითარდება და ამ ქვეყნის მიზანი არაა მისი ეკონომიკის გადაქცევა მომსახურების ეკონომიკად. ტურიზმის ეფექტიანობას იმთავითვე განაპირობებს მისი განვითარება ქვეყნის მთელი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის, ყველა დარგის პარალელურად და მათთან მჭიდრო კავშირში. საქართველოში ტურიზმის განვითარების საერთო ეკონომიკური მიზანი არის ამ სექტორიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ტურისტების რიცხოვნობისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული დანახარჯების ზრდით. არა-ერთ ქართველ ავტორს საამისოდ ძალიან პერსპექტიულად ესახება ჩვენში აგროტურიზმის განვითარება. მისი დადებითი სოციალური ელემენტია სოფლის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება ტურისტული მომსახურების სფეროში.

**41.** სტატიაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიება, განსაკუთრებით აქტუალური, 2008 წლის კრიზისის შემდეგ გახდა. ამ პრობლემას უამრავი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ სამწუხაროდ რაიმე რადიკალური მოსაზრება ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის. არსებული გლობალური კრიზისი მსოფლიო ფინანსური სისტემის რადიკალური რეფორმის აუცილებლობის ნათელი დადასტურებაა. განხილულია ეკონომიკურ შეხედულებათა და კონცეფციათა აღმოცენების პირობები და მიზეზები, კავშირი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებთან. ნაჩვენებია ეკონომიკური თეორიის განვითარების დაახლოებით 40-წლიანი ციკლურობა XIX საუკუნის დასასრულიდან დღემდე. აღნიშნულია, რომ ინფორმაციული ეპოქის თანამედროვე ეტაპზე განვითარების ახალ ციკლურ ფაზაზე გადასვლის რეალობის წინაშე ვდგავართ და თანამედროვე ეკონომიკური თეორია ახალი სამეცნიერო რევოლუციის ზღვარზეა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გრძელდება. მისი დაძლევის რეცეპტების უმეტესობა ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ე.წ. „მკაცრი პოლიტიკის“ ფარგლებში თავსდება და იშვიათად ასახავს ამ ორ მიმართულებას შორის ბუნებრივად არსებულ წინააღმდეგობებს.

**42.** ნაშრომში საუბარია თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობაზე, მისი განვითარების დადებით და უაყოფით მხარეებზე. წარმოდგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც ტექნოლოგიური პროგრესის აგ-კარგიანობის შესახებ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მოსაზრებას წარმოაჩენს. ერთმანეთთანაა დაკავშირებული ტექნოლოგიური პროგრესი და ეკონომიკა. გაკეთებულია დასკვნა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი, ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი საქონლის და მომსახურების წარმოება, ზოგადად ეკონომიკის განვითარება.

**43.** სტატიაში საუბარია „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ არსსა და თავისებურებებზე, მისი შექმნის მიზნებზე, უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. ასევე, იმ სახელმწიფო შეღავათებსა და უპირატესობებზე, რომლებიც უწესდებათ და სარგებლობენ მასში მოქმედი კომერციული საწარმოები და სუბიექტები. დაჯგუფებულია ის ძირითადი პირობები, რომლებიც ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის წახალისებას და საუბარია მის მნიშვნელობაზე თიზ-ებისათვის. ნაშრომში მოყვანილია არსებული „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ მაგალითები და საუბარია იმ ქვეყნებზე,

რომლებშიც წარმატებით თუ წარუმატებლად ფუნქციონირებს იგი. დასკვნის სახით წარმოდგენილია, რომ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით თიზ-ები საქართველოში (მითუმეტეს 5 ზონის შექმნა) დიდ ეკონომიკურ სარგებელს ვერ მოგვცემს. მსგავსი ზონების შექმნით ჩვენ ვაფერხებთ კონკურენციას.

**44.** სტატიაში აღნიშნულია, რომ ისტორიული მეთოდი ის მეთოდია, რომელიც ეყრდნობა სპონტანურად და ქაოსურად განვითარებული რაიმე პროცესების შესწავლას მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ისტორიული მეთოდი იკვლევს და სწავლობს ისტორიულ ფაქტებს. ისტორიული ფაქტია ისტორიული რეალობის ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც უშუალოდ ან გაშუალდებულად აკვირდება და არეგისტრირებს ისტორიული შემეცნების სუბიექტი. ეკონომიკურ მეცნიერებაში ისტორიულ მეთოდს ორი მიმართულებით იყენებენ - როგორც ეკონომიკური ინსტიტუტების ისტორიის კვლევის მეთოდს და როგორც ეკონომიკური ცოდნის დაგროვების ისტორიის კვლევის მეთოდს. შეგვიძლია ეკონომიკური მეცნიერების მიმართ ისტორიული მეთოდის ხუთ ძირითად ფუნქციაზეც მივუთითოთ: ა) საინფორმაციო (ინფორმაციული); ბ) ინსტრუმენტული; გ) რეფლექსური; დ) კრიტიკული; ე) წინასწარმეტყველური. ეკონომიკური ისტორია ახალი ეკონომიკური ისტორიის სკოლის სახით ეყრდნობა მის მიერვე შემუშავებულ განსაკუთრებულ მეთოდს - კლიომეტრიას. კლიომეტრია არის ეკონომიკურ ისტორიასა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში შესრულებული ყველა კვლევის ერთობლიობა, რომელშიც აქტიურად იყენებენ სტატისტიკურ და რაოდენობრივ მეთოდებს.

**45.** სტატიაში აღნიშნულია, რომ შედარება ერთ-ერთი ყველაზე უფრო უნივერსალური და იმავდროულად ეფექტიანი ლოგიკურ-შემეცნებითი ხერხია. ამკარაა, რომ ეს მტკიცება უნდა ვრცელდებოდეს ეკონომიკური ფენომენების კვლევის მეთოდოლოგიაზეც. ისტორიული სკოლის მეთოდოლოგია, პრინციპში, უგულვებელყოფს ისტორიულ ცოდნაზე თეორიული ცოდნის პრიორიტეტს და უკუმიდევლით ცვლის მას: „თავისი მნიშვნელობით ისტორიული ცოდნა ან აღემატება თეორიულს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი თანაბარია“ შეგვიძლია ვისაუბროთ ეკონომიკურ მეცნიერებაში რამდენიმე ისტორიული სკოლის არსებობაზე. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. პირველი მესამედის გერმანულ ისტორიულ სკოლასა და „ახალი ეკონომიკური ისტორი“-ის სკოლაზე. მისი ყველაზე გამორჩენილი წარმომადგენლები არიან ამერიკელი მეცნიერები, ნობელის 1993 წ. პრემიის ლაურეატები დუგლას ნორტი და რ. ფოგელი, ასევე რ. ტომასი.

**46.** სტატიაში განიხილება აუდიტის მართვის პროცესში სხვადასხვა რესურსების დაგეგმვისას განტის გრაფიკის გამოყენების უპირატესობები. დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს პირობას აუდიტის პროცესის განხორციელების ვადის შეკვეცა წარმოადგენს, რისთვისაც აუცილებელია დროითი პარამეტრების გამოთვლა და მიმდინარე სამუშაოებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების განსაზღვრა, სასურველი ეფექტის მინიმალური ფინანსური დანახარჯებით მიღწევისათვის. სტატიაში დეტალურად არის გაანალიზებული განტის გრაფიკის აგების ეტაპები და დაგეგმილი გრაფიკის შესრულების პროცესში რესურსების განაწილების ვარიანტები.

**47.** სტატიაში წარმოდგენილია მოდელი, რომელიც საგრძნობლად ცვლის გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტურობას ეკონომიკური აქტივობის ყველა

(მომხმარებლის, ფირმის, ქვეყნის) დონეზე. მოდელი დაკავშირებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვების მენეჯმენტის სტრუქტურებთან და მოიცავს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის კონცეპტუალურ, საკლასიფიკაციო, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებს.

**48.** სტატიაში წარმოდგენილია ლეონტიევის ”ინჟინერული უტოპია” კომპიუტერული მოდელი, რომელიც წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც სასწავლო პროცესში, ისე პრაქტიკულ ამოცანებში

**49.** სტატიაში: “საქართველოში ეკონომიკური ზრდის თავისებურებანი 2013 წელს” გაანალიზებულია 2013 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი შემცირების მიზეზები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების ძირითად მიზეზებად მიჩნეულია:

ა) გარდამავალი პერიოდით განპირობებული სტრუქტურული ცვლილებები;

ბ) ნომენკლატურული ბიზნეს-მონოპოლიების არსებობა;

გ) ახალი ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ თამაშის წესებთან ნომენკლატურული ბიზნესსექტორის სწრაფი ადაპტირების უუნარობა;

დ) ფულის დეფიციტი და ამით გამოწვეული დეფლაცია;

ე) წინა წლებში მსესხებლების მიმართ კრედიტორების მიერ განხორციელებული მძარცველური პოლიტიკის შედეგად, მოსახლეობაში უარყოფითი განწყობა-ემოციების ჩამოყალიბება საბანკო-საფინანსო სექტორის მიმართ, რამაც განაპირობა კრედიტებზე მოთხოვნის შემცირება. შესაბამისად, შემცირდა ერთობლივი მოთხოვნაც.

ვ) ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის არაკორდინირებული საქმიანობა.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილების შესახებ ზუსტი შეფასების განსახორციელებლად, აუცილებელია, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭოს ეკონომიკური საქმიანობის უფრო ვრცელ და კომპლექსურ მახასიათებლს, კერძოდ კი, ეკონომიკური განვითარების დონეს.

შესაბამისად, დასაბუთებულია, რომ ეკონომიკური ზრდის ჭეშმარიტი ფასეულობა განისაზღვრება არა თავისთავად ეკონომიკური ზრდის ტემპის სიდიდით, არამედ იმით, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი: საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებას და სიღარიბის დონის შემცირებას, სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, პროგრესული ინსტიტუციურ-სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარებას და ა. შ.

**50.** სტატიაში: “საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი და პრიორიტეტები” გაანალიზებულია პოსტსოციალისტურ გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის დამახასიათებელი ნეგატიურ-პოზიტიური პროცესები და მათი შედეგები. დასაბუთებულია, რომ სისტემური ეკონომიკური კრიზისის

ჩამოყალიბება-გახანგრძლივებაში არსებითი როლი შეასრულა არაეკონომიკურმა მიზეზებმა.

სტატიაში ასევე განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემდეგი პრიორიტეტები:

ა) სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა, საკუთრების უფლების რეალური გარანტიების შექმნა და კერძო საკუთრების ლეგიტიმურობის ხარისხის ამაღლება;

ბ) მცირე მეწარმეობის წახალისება. ამ მიზნით მცირე საწარმოთათვის მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება 8–10%-ის ფარგლებში;

გ) მოგების გადასახადის გაუქმება და მის ნაცვლად დივიდენდების სახით გაცემულ შემოსავლებზე ერთიანი 20%-იანი საგადასახადო განაკვეთის შემოღება - დღეისთვის არსებული 5%-იანი განაკვეთის ნაცვლად;

დ) ადგილობრივი დანაზოგების ფორმირების წახალისება. ამ მიზნით, საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან, ხელფასის სახით დარიცხული თანხის იმ ნაწილის განთავისუფლება, რომელიც დანაზოგის სახით მინიმუმ ერთი წლის ვადით განთავსდება კომერციულ ბანკებში;

ე) საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე სპეციალური ფონდის შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება: მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დასაქმებული მეწარმეების (მცირე ბიზნესისა და მცირე საწარმოების) სამეწარმეო რისკების მთლიანი ან ნაწილობრივი დაზღვევა და ა. შ.

**51.** სტატიაში: “ინსტიტუტები და ეკონომიკური განვითარება”, განხილულია ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების როლი ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს უახლოესი ისტორიის მაგალითზე დასაბუთებულია, რომ ელიტის სასარგებლოდ ფორმირებული ესკლუზიური ინსტიტუტები ხელს უშლის საზოგადოების ფართო ფენების აქტიურობას, მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენა-გამოყენებას, შესაბამისად აზომბს მათ აქტიურობას ინვესტიციების, ინოვაციებისა და სოციალური მოღვაწეობის სხვა სფეროებში, რაც აფერხებს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას.

**52.** ლიზინგი, როგორც ინოვაციური მენეჯმენტის კოორდინაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი

ლიზინგის განვითარება განიხილება როგორც მცირე ინოვაციურ ბიზნესის სუბიექტების მხარდაჭერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სხვა ფორმებთან შედარებით, ყურადღებას მოითხოვს ლიზინგის საქმიანობის მნიშვნელობა, ლიზინგის მოწყობილობების და ტექნიკის მიწოდების დაფინანსების უპირატესობა, ლიზინგის ბიზნესის სტრუქტურა, მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია.

საერთაშორისო სტატისტიკით, იმ ქვეყნებში, სადაც ლიზინგის სექტორი წარმატებულად ფუნქციონირებს, უმუშევრობის დონე საკმაოდ დაბალია, ასევე გამართული სალიზინგო სისტემა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებულ საქმიანობის საწინდარია.

**53. მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია და სახელმწიფო რეგულირება**

თანამედროვე საბაზრო სისტემა მეტად რთული და მრავალმხრივი ეკონომიკური ორგანიზმია. იგი წარმოგვიდგება გავცლით ურთიერთობებზე დამყარებულ სამეურნეო ურთიერთობათა ერთობლიობად, რომელიც გამოხატავს თავისუფალი ბიზნესის ეკონომიკის არსსა და ბუნებას.

მცირე ბიზნესი იძენს ხარისხობრივად ახალ როლს და ხდება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სარეალიზაციო ბიზნესი იძენს ხარისხობრივად ახალ როლს და ხდება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სარეალიზაციო ფორმად თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ევოლუციის ეტაპზე.

**54. ინოვაციები თანამედროვე ბიზნესში**

მცირე ბიზნესი განვითარებული ქვეყნების მეურნეობის ერთ-ერთი განუყოფელი და დინამიურად განვითარებული ნაწილია, რომელიც თავისი განსაკუთრებული ადგილის გამო, არსებით როლს ასრულებს ქვეყნის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

ინოვაციური საქმიანობის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბიზნეს-ინკუბაცია. იგი მიზნობრივი სერვისებისა და რესურსების კომპლექსის მიწოდებით აჩქარებს დამწყები და პერსპექტიული კომპანიების წარმატებულ განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკის დინამიური ზრდისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმოების ტრადიციული ფაქტორების კვალდაკვალ, ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და ამისათვის ქვეყნის შედარებით უპირატესობის ოპტიმალური გამოყენება.

**55.** ეკონომიკური ზრდის არსებული მოდელების ანალიზის საფუძველზე, დასმულია ამოცანა საქართველოსათვის სპეციალური მოდელის შემუშავებისათვის. განსაზღვრულია განვითარების მოცემულ ეტაპზე საქართველოს კულტურულ-ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებები და მექანიზმი.

**56.** თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემატური საკითხია. გლობალიზაციის მიმართ მეცნიერებასა და პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომები არსებობს. გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებამ გამოიწვია სახელმწიფოთა უსაფრთხოების, კერძოდ, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პრობლემების შესწავლა - ანალიზისა და განზოგადების აუციელებლობა.

**57.** იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა განვითარდეს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელია წავიდეს ინოვაციური განვითარების გზით. ამისათვის კი, საჭიროა პირველ რიგში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმების ჩამოყალიბება.

სახელმწიფორეგულირებამუნდაგანახორციელოსორიძირითადიფუნქცია: ინდიკატორული

და მასტიმულირებელი,  
რომელთაც სრულიად განსაზღვრული როლი აკისრია თინოვაციური განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. პირველი მსახურება თინოვაციური განვითარების სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების ფორმირებას,  
ხოლო მეორე თინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციას სიახლეთა შექმნის, დანერგვის, წარმოების და მოხმარების ყველა სტადიაზე.

**58.** სტატიაში აღნიშნულია, რომ სასაქონლო ნიშნის წარმოშობა დაკავშირებულია ინგლისურ სიტყვა „ბრენდთან“, რომელიც დამდას ნიშნავს. საქართველოს კანონმდებლობას საქონლო ნიშანს განმარტავს, როგორც სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობას, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი ფირმის საქონელს და მომსახურებას მეორე ფირმის საქონლისა და მომსახურებისაგან. შესაქონლო ნიშნის დაცვა ხორციელდება ნიშნის მფლობელის მიერ განსაკუთრებული უფლების მოპოვების საფუძველზე.

საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად, პატენტი წარმოადგენს პატენტის მფლობელის სახელზე გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას. ატენტის დაცვა გულისხმობს, რომ გამოგონების გამოყენება დისტრიბუცია ან გაყიდვა კრძალულია პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე.

**59.** სტატიაში ხაზგასმულია ტურიზმის, როგორც მსოფლიო ინდუსტრიის შესახებ და აღნიშნულია, რომ განვითარების სწრაფი ტემპების გამოიგი მიჩნეულია ასწლეულის ეკონომიკურ ფენომენად. ქვე მითითებულია, რომ ტურიზმი მიჩნეულია როგორც სავალუტო შემოსავლების წყარო და საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების ფორმა. ოტანილია მონაცემები საერთაშორისო ტურიზმის მასშტაბების შესახებ თანამედროვე პერიოდში და აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ორჯერ მეტი ტურისტი მოდის ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე რუსეთში. ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მჭიდრო კავშირის არსებობა ტურიზმის განვითარების ტენდენციებსა და საერთო ეკონომიკურ, ტექნიკურ და სოციალურ მიღწევებს შორის.

**60.** სტატიაში ხაზგასმულია, რომ რეალობის ილიასეულისურათის, მასში წარმოდგენილი ცხოვრების ავ-კარგის, რომლის რიგი ელემენტები შეინიშნება დღესაც, პოზიტიური ელემენტების გაძლიერებით და ნეგატიურის გაქრობის შედეგად შესაძლებელი იმ სასურველი მოდელის ძირითადი შტრიხების წარმოსახვა, რომელიც შეესაბამება ადამიანთა იდეებს, ცხოვრების ისეთ მოწყობას, რომელზეც ოცნებობდნენ თაობები.

**61.** საქ. თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება საწარმოო ინვესტირებისათვის და ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის აუცილებელი რესურსების მწვავე დეფიციტით. მიტომ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს.

ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალურობა კიდევ უფრო ძლიერდება საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, ვინაიდან ინვესტიციების დაბანდების ეფექტიანობაზე დიდად არის დამოკიდებული ამ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

**62.** მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გლობალიზაციისა და საზოგადოების



ინფორმაციზაციის პროცესები, სამეურნეო სუბიექტებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ბიზნეს-დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელთა გათვალისწინებაც წარმოადგენს ეფექტური და სტაბილური ბიზნეს-საქმიანობის ერთ-ერთ წინაპირობას.

ბიზნესის მართვისა და დაგეგმვის საკითხებში მოგების დაგეგმას, მოგებიდან მიღებული ფულადი ნაკადების გონივრულ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ფირმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, რადგან მხოლოდ ფულადი ნაკადების მოძრაობის სწორი პოლიტიკის შემუშავებითა და პრაქტიკაში რეალიზაციითაა შესაძლებელი ისეთი ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება რომელიც მეტ შემოსავალს მოგვცემს და კონკურენტუნარიანს გახდის. საწარმოს მოგება და მისი სიდიდე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წარმოების მოცულობის ზრდაზე, შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯების მინიმიზაციის პირობებში.

**63.** წარმოების მსგავსად მოცმულია მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების სამი ფორმის ორიგინალური დეახასიათება, რაც ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს.

**64.** აღნიშნულია, რომ მცირე ბიზნესში, განსაკუთრებით განვითარების საწყის სტადიაში კერძო კაპიტალის ინვესტირების ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი წყაროა ვენჩურული კაპიტალი და ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზები“. „ვენჩურული“ კაპიტალის ინვესტირება ხდება მაღალი რისკის დონიან საქმეებში (საერთო საბაზროსთან შედარებით) და მისი წარმატებით რეალიზაციის შემთხვევაში ამ კაპიტალს მისი მფლობელისათვის მოაქვს უფრო მაღალი მოგება. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“ და თავისი მომგებიანობითა და რისკიანობით არ ჩამორჩება ნავთობით, იარაღებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობას.

**65.** მოცემულია ტექნიკის მორალური მოძველების, ასევე მორალურად მოძველებული ტექნიკის განახლების სამი ფორმის ახლებური მეცნიერული ხედვა, ასევე წარმოების მსგავსად მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების სამი ფორმის ორიგინალური დახასიათება, რაც ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთი სიახლეა.

**66.** გაკეთებულია დასკვნა, რომ კონკრეტულ რეგიონში სახელმწიფო პოლიტიკა შეიძლება ჩამოყალიბდეს ტურისტული კომპანიის ეკონომიკური რენტაბელობის უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან და ხელსაყრელი სოციალურ – ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე ტურიზმის შესაძლებელი მონაწილეობით საერთაშორისო გაცვლებში, ცხოვრების დონის და ხარისხის ამაღლებით ადამიანის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. ამიტომ, თანამედროვე ტურიზმის ბევრი პრობლემა შეიძლება დადებითად გადაწყდეს, თუ გათვალისწინებული იქნება რეფორმების სახელმწიფო პოლიტიკა ფართო კონტექსტში.

**67.** აღნიშნულია, რომ ინტერნაციონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესებს არ შეუძლია მიგვიყვანოს მსოფლიო მეურნეობის ცენტრალური და პერიფერიული ზონების დაყოფის ლიკვიდაციამდე. ისინი აღმოცენდებიან და ფუნქციონირებენ ახალ დონეზე საერთაშორისო შრომის დანაწილების პროცესების განვითარების საფუძველზე. ზუსტად ამ პროცესების ქვეშ ნარჩუნდება მსოფლიო მეურნეობის გარკვეული ნაწილები, რომლებიც არის სხვადასხვა განვითარების საფუძველზე და ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს გლობალურ, კონტინენტალურ, ლოკალურ დონეზე.

**68.** გაკეთებულია დასკვნა: უნივერსიტეტის ყველა კათედრამ ეროვნულ ენაზე უნდა შეადგინოს სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოები ამერიკელი, ევროპელი და სხვა ქვეყნების ცნობილი პროფესორების წიგნების გამოყენებით და ბოლო უნდა მოელოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანში უცხოელი ავტორების წიგნების სახელმძღვანელოებად გამოცხადებას (აღიარებას). ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის კათედრებზე ასეთი სახელმძღვანელოების შედგენამდე ჩვენ ვთავაზობთ ოთხ სახელმძღვანელოს (გ. შუბლაძე და სხვ. ბიზნესის საფუძვლები, 2010; გ. შუბლაძის რედ. მარკეტინგის საფუძვლები, 2009; გ. შუბლაძე და სხვ. მენეჯმენტის საფუძვლები, 2008/11; მარკეტინგის მენეჯმენტი, 2014), რომლებიც ინტერნეტშია განთავსებული) სათანადო განხილვის საფუძველზე.

**69.** ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნულია, რომ ძალიან ბევრი ორგანიზაცია დაწყებული ფირმა-მწარმოებლისაგან და დამთავრებული პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებული ფირმებით მუშაობენ საპროექტო საფუძველზე. პროექტები განსხვავდება ზომით და მასშტაბებით. პროექტების მენეჯმენტი მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ სამუშაოების განსაზღვრული სახეები შესრულებული იყოს ვადაში, გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში და ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ჭარმოდგენილია დაგეგმვის პროცესის ეტაპები. განხილულია მოდელირება, როგორც გეგმების სხვადასხვა ვარიანტები წინასწარი ტესტირების ხერხი. ეს მეთოდი გამოიყენება რეალური მოვლენის მოდელის შექმნისათვის, რის შემდეგ მასში ცვლიან ერთ ან რამდენიმე ცვლადებს, აფასებენ შედეგებს, რომელსაც იწვევს მოცემული ცვლილება. დახასიათებულია წარმოების მოცულობის დაგეგმვის, საწარმო სიმძლავრეების განლაგების დაგეგმვის, მოწყობილობის განლაგების დაგეგმვის პროცესები. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რეინჟინირინგის პროცესი განუწყვეტლივ დაკავშირებულია საწარმოო სისტემასთან. მიმდინარეობს შედეგიანობის და ეფექტიანობის მკვეთრი გაზრდა პირობებში, როდესაც კომპანიები რადიკალურად ცვლიან სამუშაო პროცესებს და ახდენენ მათ გადაპროექტებას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გლობალური გარე გარემო ხდება უფრო დინამიური და კონკურენტული, ამიტომ ორგანიზაციის სრული გარდაქმნა შეიძლება აღმოჩნდეს ერთადერთი ეკონომიკურად მიზანშეწონილი საზომი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე კომპანიების შემდგომ გადარჩენას და აყვავებას

**70.** ინვესტიცია სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის თვალსაწიერიდან წარმოადგენს არა იმდენად დანახარჯებს, რამდენადაც სამომავლო კაპიტალდაბანდებას, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ეფუძნება ინოვაციებს, ინოვაციურ მეწარმეობას. იმისათვის, რომ მეწარმეებმა ბაზარზე კონკურენციას გაუძლონ უნდა ჰქონდეთ ერთი მხრივ, უმაღლესი ხარისხის საქონელი და მეორე მხრივ, უფრო მცირე, ვიდრე სხვა მეწარმეებს, ინდივიდუალური დანახარჯები.

ფინანსური ბაზრის ძირითად შინაარსს საკმაოდ კარგად განსაზღვრავს შემდეგი მოსაზრება: ფინანსური ბაზრები ეს არის მექანიზმი, რომელიც გარიგებათა დასადებად ერთმანეთს აკავშირებს ფულის მაძიებლებსა და მათ მფლობელებს.

შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში საინვესტიციო პროცესი იმათი შეხვედრის მექანიზმია, ვინც ფულს სთავაზობს (ვისაც დროებით თავისუფალი სახსრები აქვს) და ვინც ფულზე მოთხოვნას გამოთქვამს (ვისაც ფულზე აქვს მოთხოვნა). ეს ორი მხარე, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთს ხვდება საფინანსო ინსტიტუტებში ან საფინანსო

ბაზარზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისევე როგორც საფინანსო, ასევე პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე.

71. უძრავი ქონება ეროვნული ეკონომიკის განვითარების ქვაკუთხეა. უძრავი ქონების პრობლემები ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ ნიკო ნიკოლაძის მიერ იქნა წამოწეული, თუმცა ქართული ეკონომიკური მეცნიერებისათვის იგი დღესაც ყამირია. აუცილებელია დავადგინოთ რა ქონების პატრონები ვართ. რა დღეშია ქართული მიწა, როგორც უძრავი ქონება. მისი გასხვისების პირობები უცხოელებზე და მიწის კონსოლიდაციის აუცილებლობა დღეს. დასადგენია უძრავი ქონების შეფასების კრიტერიუმები და იგი მოსაყვანია შესაბამისობაში საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან.

| №  | ავტორი/<br>ავტორები                         | სტატიის სათაური,<br>ჟურნალის/კრებუ-<br>ლის დასახელება                        | ჟურნალის/<br>კრებულის ნომერი  | გამოცემის<br>ადგილი,<br>გამომცემლობა | გვერდების<br>რაოდენობა |
9. სტატიაში „უამი ნგრევისა და უგუნურებისა,“ გადმოცემულია ამბავი იმისა, თუ როგორ გააუქმეს განათლების ნაციონალმა „რეფორმატორებმა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთიკისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრა, როგორ დახურეს ფილოსოფიის ფაკულტეტზე რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის სპეციალობები.

10. სტატია ეხება სოციალური ცვლილებების და მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზს. მასში განხილულია ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი თეორიები.

11. სტატია ეხება მეოცე საუკუნის გერმანელი სოციოლოგის და ფილოსოფოსის მაქს ვებერის თვალსაზრისს, რომელიც განასხვავებდა კაპიტალიზმს, როგორც „იდეალურ ტიპს“ მისი თანამედროვე „ფორმალურ რაციონალური“ კაპიტალიზმისგან“. ვებერის უმთავრეს ფილოსოფიურ პრობლემად იქცა ადამიანის ადგილისა და პერსპექტივის განსაზღვრა ასეთ ვითარებაში.

12. სტატიაში საუბარია სხვადასვა ავტორების მიერ გამოთქმული შეფასებების თაობაზე და საზგასმულია იმის შესახებ, თუ რას სთავაზობს ევროკავშირი „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თავის ექვს ადმოსავლეთეუროპულ პარტნიორს, რასაც ჰქვია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და იმ პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რომელიც ამ ხელმოწერას მოჰყვება. მასში საუბარია იმის თაობაზე, რომ პარაფირების ხელშეკრულება სრულიადაც არ ნიშნავს ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგანაც ჯერ კიდევ ძალაშია და არავის შეუცვლია 1993 წლის „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, როგორც ჯერჯერობით ერთადერთი დოკუმენტი. ამასთან გასათვალისწინებელია იმ სახელმწიფოთა წარმომადგენელთა აზრი, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება გამოიწვევდა მათი ეკონომიკური მანევრებლებისა და ცხოვრების დონის ამადლებას, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა და ასევე მოცემულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კრიტიკული დამოკიდებულება ახალი წევრების მიღების თაობაზე.

13. განხილულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორ სისტემას შორის იდეოლოგიური დაპირისპირების ერთ-ერთი ფენომენის „ცივი ომის“ წარმოშობის და მისი განვითარების ეტაპები XX საუკუნის მეორე ნახევარში.

14. ნაჩვენებია „საბჭოურ ისტორიოგრაფიაში“ აფხაზეთის სტატუსის არასწორი შეფასების უარყოფითი შედეგები ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ფონზე.

15. ახსნილია აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი 1918-1921 წლებში.
16. „ფილოსოფიური საუბარი მრგვალ მაგიდასთან“ წარმოადგენს ქართველი ფილოსოფოსების ნაპო კვარაცხელიას, ზურაბ ხასაიას და წარმოსახვითი პოსტმოდერნისტი ოპონენტის საუბარს თანამედროვე ევროატლანტური ცივილიზაციისა და მასში საქართველოს, ქართული კულტურის ადგილისა და პერსპექტივის შესახებ.
17. სტატიაში „რწმენა და ხსნა ქართული სულისა“ საუბარია ქართული რწმენის სპეციფიკის და ძალის შესახებ, რამდენადაც ის გამოვლენილია ქართულ კულტურასა და ისტორიაში.
18. სტატია „გრიგოლ რობაქიძის წერილის გამო“ წარმოადგენს ფილოსოფიურ წიაღსვლას „საქართველოს ხერხემლის“ თემაზე. საკითხი ეხება საქართველოს ეროვნულ იდენტობასა და თვითმყოფადობას; საქართველოს ისტორიულ ადგილს საკაცობრიო კულტურაში.
19. ფილოსოფიური ესე „ჩემი საყვარელი საქმიანობა ცხოვრებაა“ მარსელ პრუსტის ანკეტის მიხედვითაა დაწერილი. მასში გადმოცემულია ავტორის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მხატვრულ-ლიტერატურული ფორმით.
20. ფილოსოფიური ესე „Gnothi Seauton“ (შეიცან თავი შენი!) არის მცდელობა ღრმა ეთიკურ-ფილოსოფიური პრობლემის მხატვრულ-ლიტერატურულად გადმოცემისა. ესეს მიზანია მკითხველის ჩაფიქრება საკუთარ თავზე და ცხოვრებაზე, მისი სულიერ-მედიტაციური განწყობის შექმნა.
21. ფრანგული ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში მეოცე საუკუნის ერთერთი უდიდესი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი საუბრობს თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის ყველაზე აქტუალურ და მთავარ პრობლემებზე. საუბარი პირველად ითარგმნება ქართულად. ჰაიდეგერისთვის ჩვეული ურთულესი სტილის ნათელსაყოფად თარგმანს ერთვის მთარგმნელის ვრცელი კომენტარები.
22. გამოჩენილი ირლანდიელი მწერლის ბრწყინვალე ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნარკვევი პირველად ითარგმნა ქართულად. მწერლის პარადოქსული სტილის გათვალისწინებით, თარგმანს ერთვის ვრცელი კომენტარები.
23. წერილში „ფიქრები გრანელის სიახლოვეს“ გამოთქმულია აზრი, რომ გამოჩენილი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის ზოგიერთი ლექსის ტექსტი საჭიროებს დადგენას. ავტორი სთავაზობს მკითხველს თავის მცდელობებს ამ მიმართულებით.
24. .პორნოგრაფია და სექსუალური ძალადობა; მასკულტურის გავლენა აგრესიაზე; ჯგუფური გავლენა და „გაფანტული პასუხისმგებლობა“. ხაზგასმითაა ნაჩვენები მასმედიის როლი აგრესიის ფაქტორის ზრდის საქმეში, რამდენადაც იგი ადამიანში აღვიძებს დაუკმა-ყოფილებელი მოთხოვნილებებისკენ სწრაფვას.
27. მ.აბუთიძე - თავშეკავებული საფასადო დეკორაცია, სამშენებლო მასალა, გუმბათების დაბალი წახნაგოვანი ყელი, თაღების ნალისებური ფორმა თუ გუმბათქვეშა ტრომპების სისტემა, ფასადების თუ ნაგებობის მთელი აღნაგობა ცხადად მიუთითებს არა მხოლოდ კახეთის, არამედ, ზოგადად ადრინდელი და ე.წ. პოსტკლასიკური პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებსა და თავისებურებებზე, რაც უფლებას გვაძლევს გურჯაანის ყველაწმინდა VIII



საუკუნეს მივაკუთვნოთ.

28. მ.აბუთიძე - ვანნაძიანის ყველაწმინდა (“ყოვლადწმინდა”) ქართული ხუროთმოძღვრების საეტიკო ძეგლი: მასათა თუ სივრცის ორგანიზების პრინციპი, კონსტრუქციების და მოცულობათა თუ დეტალების სხვადასხვა ეპოქის მახასიათებელი ფორმების თანაარსებობა წარმოაჩენს, როგორც წინა, – ე.წ. კლასიკური ეპოქის, ასევე, საკულტო არქიტექტურის მომავალ ტენდენციებს თუ მოტივებს, რომლებიც თავის ადგილს ჰპოვებს X-XI სს-ის ტაძართა კომპოზიციებში. სწორედ მისი ამ სპეციფიკიდან გამომდინარე თარიღდება ვანნაძიანის სამონასტრო კომპლექსის გუმბათიანი ეკლესია VIII-IX სს-ის მიჯნით.

29. მ.აბუთიძე - ალექსი ბაქრაძის ღვაწლი შესანიშნავი და მნიშვნელოვანია: ექვთიმე თაყაიშვილი ყოველთვის მოწიწებით იხსენიებს უფროს თანამედროვეს, რომლის მიერ შესრულებული ბევრი ასლი ტექსტებისა თუ უპირველესად სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა დედნის ტოლფასია, რადგან არცთუ ცოტა ორიგინალს ანუ, როგორც თვითონ, ალექსი ბაქრაძე იტყობდა, “ნანდვილს”, რომელთა ასლებზეც კალიგრაფი და მხატვარი მუშაობდა, ჩვენამდე არ მოუღწევია.

30. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: მზის აღმნიშვნელი ღუვიური სხვადასხვა იერგოლიფების გამოსახულებათა გამოწვევით ანალიზის საფუძველზე პირველადაა გამოთქმული თვალსაზრისი ყველა ამ გამოსახულების სემანტიკური კოდების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.

31. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ისტორიოგრაფიული ხასიათის ნარკვევი ეძღვნება ბოლო 60 წლის მანძილზე კავკასიის არქეოლოგიაში მიმდინარე პროცესებს და ხაზი ესმევა თანამედროვე ეტიკაზე არქეოლოგიაში კვლევა-ძიების ახალი (ტექნიკურ-ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას). ნარკვევი ეფუძნება 2013 წლეს საქართველოს ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ კონსტანტინე ფიცხელაურის ოთხენოვან სამეცნიერო სტატიების ერთტომეულს.

32. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: საქართველოს ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ნაჩვენებია ქართველთა პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულება გარე სამყაროდან მოსულთა მიმართ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახსნილია ამ დამოკიდებულებების მოტივაცია. ავტორების თვალსაზრისით მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეტიკაზე გარე სამყარო უფრო გახსნილი და მიღწევადი გახდა ანტითეზა შიდა სამყარო, გარე სამყარო კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. ამ რეალობის გათვალისწინება შიდა სამყაროს რეგულაციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია.

33. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: სტატია ეძღვნება ბაქოში 2014 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო წერილების სოლიდურ კრებულში განთავსებულ ცნობილ მეცნიერთა ნააზრვეის ანალიზს. საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული ცნობილი აზერბაიჯანელი, რუსი, ქართველი ცნობილი მეცნიერების თვალსაზრისებს და დადებითადაა შეფასებული.

34. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ისტორიოგრაფიული ნარკვევი ეძღვნება მსოფლიო რანგის მეცნიერის

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მის მიერ ღირსეულად განვლილ ცხოვრების გზას.

35. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებისა და სხვა წერილობითი პირველწყაროების საფუძველზე აღდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის ბავშვობის, ყრმობისა და სტუდენტობის წლების ისტორია. ავტორის აზრით გზა ლეხიურიდან პეტერბურგამდე და პეტერბურგიდან თბილისამდე რთული და მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე იყო, მაგრამ სწორედ ამ გზაზე ჩაყარა საფუძველი მის გასაოცარ სულიერებას. ოცდაოთხი წლის ექვთიმე თაყაიშვილი სრულად პასუხობდა დაბადებისას შერქმეულ სახელს - "ექვთიმეს", "სულით მოხეიმესა" და "სულით ახოვანს".

36. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ისტორიოგრაფიული ხასიათის ნარკვევი ეძღვნება კონსტანტინე ფიცხელაურის ოთხენოვან სამეცნიერო სტატიების კრებულს "სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში". კრებულში შეჯამებულია ავტორის მიერ 60 წლის მანძილზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები და წარმოჩენილია მათი მნიშვნელობა კავკასიის უძველესი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

37. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: სტატიაში სრულადაა წარმოჩენილი 24 წლის ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკული დასასრულისა და მთაწმინდის პანთეონისაკენ დიდი ქართველის უკანასკნელ გზასთან დაკავშირებული პერიპეტეები. ავტორის თვალსაზრისით ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება დღემდე უდიდესი მნიშვნელობის საისტორიო პირველწყაროს წარმოადგენს.

38. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ავტორების მიერ ჩატარებულმა კვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა ისინი, რომ 1914-1918 წლების საქართველოში კლიო - ისტორიის და საგმირო ეპოსის მუზა არც სთვლემდა და არც სდუმდა. პირიქით, 10სწორედ ამ წლებში ივანე ჯავახიშვილისა და ქართველ მოღვაწეთა მუხლჩაუხრელი შრომით საფუძველი ჩაეყარა ქართული საისტორიო მეცნიერების ახალ ეტაპს.

39. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ავტორის აზრით მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ორსაფეხურიანი არჩევის სისტემის აღდგენა, დღეს ქართული მეცნიერების აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეალური გზაა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემის მთლიანად აღდგენა, ანუ მის დაქვემდებარებაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაბრუნების პერსპექტივა, სამწუხაროდ, საკმაოდ ბუნდოვანია.

40. გ.ინანიშვილი - ანოტაცია: სტატიაში მოცემულია მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არმაზისციხე-ბაგინეთზე მოპოვებული რკინის სამეურნეო-სამშენებლო დანიშნულების იარაღის ტექნოლოგიური ანალიზი.

41. გ.ინანიშვილი - ანოტაცია: XII-XIV საუკუნეების ირანის კერამიკის ნიმუშები აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე დაექვემდებარა კომპლექსურ ლაბორატორიულ გამოკვლევას. გამოკვლეულია კერამიკის ნიმუშების დამზადების ტექნოლოგიური სქემა და ზედაპირული დამუშავების დონე. დადენილია გამოკვლეული ნიმუშების წარმომავლობა.

42. ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივ მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულია მისი დვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში. მან აღწერა და ფოტოები გადაუღო შორაპნის მაზრის სოფელ ბორში 1902-1908 წლებში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული არქეოლოგიურ მეცნიერებას. მან პრაქტიკულად გადაარჩინა და მომავალ თაობებს შემდგომი კვლევისათვის შემოუნახა ეს უნიკალური კულტურული მონაპოვარი. ბორის ინვენტარში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვერცხლის პინაკი, რომელზეც სამსხვერპლოს წინაშე მდგომი ცხენია გამოსახული. ამ ნივთის უნიკალურობას მასზე ამოკვეთილი არამეული დამწერლობით შესრულებული წარწერაც განაპირობებს, რომელიც არმაზის ბილინგვაზე ადრეულია. მასში მოხსენიებულია “ბუზმიჰრ კეთილი პირიასში”, რომელიც მაზდას სარწმუნოების აღმსარებელია, ხოლო ბორის პინაკზე გამოსახულია ცხენი – დვთაება, ტოტემი, მზის დვთაების განსახიერება, მითრ. როგორც ჩანს, მაზდას სარწმუნოების მიმდევრები, უფრო ზუსტად, დვთაება მითრას თაყვანისმცემლები უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე – არმაზისხევში, არაგვისპირში, ჟინვალში, ზღუდერსა და ბორში აღმოჩენილი ანალოგიური პინაკების მფლობელები.

43. მ.ქუთათელაძე - თვითმხილველის პოზიციიდან დანახული I მსოფლიო ომი

სამეცნიერო მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გავლენა პირველი მსოფლიო ომის აღმოსავლეთ ფრონტზე განვითარებულ მოვლენებსა და მის საბოლოო შედეგზე. აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში პირველწიაროდ გამოვიყენეთ პირველი მსოფლიო ომის მონაწილის, პორუჩიკ ალექსანდრე ქუთათელაძის პირად არქივში შემონახული ჩანაწერები. როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე წლიანი ომი სრულიად დამღუპველი აღმოჩნდა ამ უზარმაზარი არაორგანიზებული ქვეყნისათვის, რომელიც ცუდი კომუნიკაციებით, ნაკლებადგანვითარებული ინდუსტრიით, მრავალეთნიკურობითა და არარუსულ რეგიონებში არსებული ეროვნული დამოუკიდებლობის მუხტით ხასიათდებოდა.

44. ხ.თოდაძე - ანოტაცია: სტატიაში განხილულია სამეცნიერო წრეებისათვის აქამდე უცნობი XIX საუკუნის ტიპიკონი.

45. ხ.თოდაძე - ანოტაცია: სტატიაში განხილულია ქართულ-ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების სტრუქტურის შედარებითი ანალიზი

46. მ.მესხია - ანოტაცია: ნაშრომში ნაჩვენებია ექვთიმე თაყაიშვილის დვაწლი ქართული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის ”ხელმწიფის კარის გარიგების” აღმოჩენასა და გარიგებაში.

47. ნ.ზაალიშვილი - ანოტაცია: აღნიშნულ სტატიაში გაანალიზებულია პედაგოგიური ინოვაციების როლი განათლების სისტემაში. ასევე ნაშრომში დახასიათებულია ზოგიერთი გამოჩენილ მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული ინოვაციების ძირითადი მიზნები, ამოცანები და ბლოკები.

48. დ.ცუცქირიძე - ანოტაცია: ავტორმა მიმოიხილა დიდი მოღვაწისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის ღირებულებათა და მოთხოვნილებათა სისტემები, რათა მკითხველი ჩასწვდომოდა - საქართველოს ისტორიის ურთულეს და პერიპეტეებით აღსავსე პერიოდში რამ განაპირობა ექვთიმე თაყაიშვილის ქმედებები; რა ამოძრავებდა, როცა ერისა და ქვეყნის საკეთილდღეო და

უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიეღო-გადაერჩინა და უკლებლივ დაებრუნებინა საქართველოს საგანძური - საქართველოს „უკვდავი სული“.

49. დ.ცუცქირიძე - ანოტაცია: საქართველოს ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ნაჩვენებია ქართველთა პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულება გარე სამყაროდან მოსულთა მიმართ და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახსნილია ამ დამოკიდებულებების მოტივაცია. ავტორების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე გარე სამყარო უფრო გახსნილი და მიღწევადი გახდა ანტითეზა შიდა სამყარო - გარე სამყარო კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. ამ რეალობის გათვალისწინებას შიდა სამყაროს რეგულაციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია.

50. წერილი ეძღვნება ჰაიდეგერის ფილოსოფიის ზოგიერთი ასპექტის რეაქტუალიზებას. საქმე ეხება რწმენისა და ცოდნის დისკურსებს და მათში ჰაიდეგერის მონაწილეობას. წერილში განხილულია კონცეპტუალური ათეიზმის, ონტოლოგიური დიფერენცის, კონცეპტუალური იდოლატრიის, თეოლოგიისა და სხვა საკითხები. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ფილოსოფიური დისკურსების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰაიდეგერის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მომავლის აზროვნება აღარ იქნება ფილოსოფია, რაკი იგი მიმათული იქნება წმინდასა და სიწმინდეზე, საიდანაც ღვთაებრივის გამოცდილება იღვრება.

51. ნაშრომში წარმოჩენილია უძველესი ცივილიზაციების კერა- კაპადოკია, მისი ბუნებრივ-გეოლოგიური განვითარების ისტორია, რამაც ხელი შეუწყო ნეოლითელი ადამიანის მიერ ადრესამიწათმოქმედო დასახლების წარმოქმნას, ხათური და ხეთური ცივილიზაციების არსებობას, გვიანხეთური სამეფო-სამთავროების გამოსვლას პოლიტიკურ სცენაზე, აქემენიდების, ბერძნების და ბოლოს, რომაელების მიერ რეგიონის ათვისებას, რამაც ბიძგი მისცა ადრექრისტიანული ხანიდან დაწყებული ვიდრე არაბთა შემოსევამდე ძლიერი ქრისტიანული თემების ჩამოყალიბებას. სტატიაში განხილულია ყველა ქრისტიანული ნაგებობა ეს იქნება კომპლექსური თუ საქალაქო, ან ცალკეული საცხოვრისები, რომლებიც დღესაც შტამბეჭდავ ემოციას აღძრავს მნახველში.

52. სტატიაში ფოკუსირებულია ხალიჩის შუა გულში წარმოდგენილი სიცოცხლის ხის კომპოზიცია და მის ძირში ორივე მხარეს მწოლარე ღომები ზურგზე გამოსახული მზის ფიგურებით. სიცოცხლის ხის მთავარ ღერძს მარცხენა მხარეს ასრულებს გვირგვინიანი ანთროპომორფული გამოსახულება, რომელსაც ფრინველის ტანი აქვს. ავტორის მიერ შესწავლილი სპარსული ხალიჩა, რომელზეც უნივერსალური ხასიათის სიმბოლოებია გამოსახული, შეიძლება მხოლოდ წმინდა მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული და ესთეტიკური ღირებულების მატარებელია. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მასზე წარსულის ინფორმაციის კვალი იყოს გადმოცემული. სავარაუდოა, რომ ყაჯართა დინასტია, რომელმაც 1925 წლამდე იარსება და ვერ შეძლო ძლიერი სპარსეთის იმპერიის აღდგენა, თვლიდა რა თავს წარსულის ღირსეულ მემკვიდრედ, შესაბამისად ამტკველებული სიმბოლიკის საშუალებით გამოხატავდა სწრაფვას მსოფლიო ასპარეზზე სპარსეთის დაკარგული ადგილის დასაკავებლად.

53. ნაშრომში ფოკუსირებულია საქართველოს სიძველენში დაცული „განჩინება“, რომლის საწყისი ასო ქანი შემკულია ერთი შეხედვით ორნამენტით, მაგრამ ავტორის დაკვირვებით, იგი სიმბოლური სემანტიკური კოდის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ამ მიმართებით, ავტორს

საგულისხმო ინფორმაცია უძველეს კულტურულ ტრადიციებში აქვს დადასტურებული. ავტორის მოსაზრებით, უძველეს კულტურულ ტრადიციაში დაცული ინფორმაცია სავსებით ეთანხმება ქანზე არსებულ სიმბოლურ გამოსახულებას და ამყარებს მოსაზრებას, რომ სემანტიკური კოდის გასაღებს სამართლის ანარქიაზე ზეობა წარმოადგენს. ვტორის მიერ, ასევე განხილულია განხილების ტექსტი, რომელიც XVIII ს. II ნახევრის ქართლის მთისა და ბარის ეთნოკულტურული ცვლილებების ამსახველი უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე.

54. სტატიაში შესწავლილია კილიკიის ქვეყნის ლოკალიზაცია ასურული ლურსმული და იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების მიხედვით. ავტორის ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, ნაჩვენებია კილიკიის ტერიტორიაზე განთავსებული სამეფო-სამთავროები, მათი გავრცელების არეალი და მეზობლად არსებული ქვეყნები.

55. სტატიაში გაანალიზებულია გაზეთები „საქართველო“, „სახალხო საქმე“, ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტული ნაშრომები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნების საკითხს ეთმობა. ავტორთა მიერ გამოკვეთილია I მსოფლიო ომის მნიშვნელობა ქართული ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით და გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე კავკასიისა და ევროპა-აზიის ხიდისათვის საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, სირიის, პალესტინის, ოსმალეთის, სპარსეთის და მესოპოტამიის ისეთ საზღვრებში აღდგენა, რომელიც ამ რეგიონში ძალთა წონასწორობას შექმნიდა.

56. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საქართველოსთვის ოპტიმალური იყო ასიმეტრიული რეგიონალიზმის მოდელი. ქვეყანაში თვითმმართველობას ანუ პირველი დონის ხელისუფლებას, ყველგან უნდა ეარსება (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი). იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე განსხვავებული იყო, შეუძლებელი ჩანდა მათთვის ერთნაირი უფლებამოსილებების გადაცემა და ეს გარკვეულ ჩარჩოში უნდა მოქცულიყო.

1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალებამ მკვეთრად შეაჩერა თვითმმართველობის დასამკვიდრებლად გადადგმული ნაბიჯები. სამხედრო საბჭომ გააუქმა თვითმმართველობის შესახებ მიღებული კანონი და უმოქმედო გახდა საკრებულოები.

ლიდერები წინა ხელისუფლების უმარლეს თანამდებობებს ფლობდნენ და იცოდნენ სახელმწიფოს მართვის წესები. ამიტომ იძულებული იყო ემართა და თან მართვის პროცესში ესწავლა კიდეც.

57. ნაშრომში კრიტიკულად არის განხილული სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების სათავეში მოსული „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ განხორციელებული პრეზიდენტის უსაზღვრო უფლებების გაზრდის 9-წლიანი საკონსტიტუციო ცვლილებები.

განსაკუთრებით ესმება ხაზი 2010 წელს ჩატარებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში საპარლამენტო მმართველობის შემოღებას, პრეზიდენტის

სიცოცხლის გახანგრძლივებას, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების მკვეთრად გაზრდით.

ნაშრომში მოცემულია უცხოელი და ქართველი კონსტიტუციონალისტების სხვადასხვა მოსაზრებები საქართველოში შექმნილი საკონსტიტუციო პრობლემების შესახებ.

58. ნაშრომში განხილულია პირველი ქართული კონსტიტუციის შექმნის მოკლე ისტორია, ნაჩვენებია საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებები. ფართო ადგილი ეთმობა პოსტსაბჭოური საქართველოს პირველი კონსტიტუციის მომზადებისა და მიღების ცალკეულ ასპექტებს. კრიტიკულად არის გაანალიზებული საქართველოს საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის და მას შემდეგ განვითარებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით მიმდინარეობდა, კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა და შორს იდა ძირითადი დემოკრატიული პრინციპებისაგან.

59. სტატიაში განხილულია 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შევარდნაძის, ხოლო შემდგომ სააკაშვილის მიერ გაყალბებული და პიროვნულ-პოლიტიკურ ამბიციებზე მორგებული ქვეყნის კონსტიტუციის მოდერნიზაციის პრობლემა. ხაზი ესმება ამ მიზნით, 2013 წლის ივლისში, შექმნილი ახალი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობას და გამოთქმულა მოსაზრება, რომ ამ კომისიამ ამოსავალ წერტილად უნდა აიღოს არა 1995, არამედ 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია და მიზნად დაისახოს საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისი, ხელისუფლების სამივე შტოს დამაბალანსებელი ისეთი კონსტიტუციის მომზადება და მიღება, რომელიც უზრუნველყოფს საპარლამენტო მმართველობის დამკვიდრებას.

60. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და სახელმწიფოებრივი ცხოვრება მეტ-ნაკლებად მოიაზრება რუსულ, ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკურ განზომილებებთან. შესაბამისად, განიხილება რუსეთის, ევროპისა და ამერიკის ორიენტაციის საკითხი.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს მიმართ ყოველთვის სჭარბობდა იმპერიული ამბიციები, რაც გამოიხატა რუსეთ-საქართველოს ომებში და სახელმწიფო გადატრიალებებში.

აშშ-ს ყოველთვის ჰქონდა გამოკვეთილი საარსებო რესურსების ათვისების სტრატეგია. ამ მიმართულებით მსოფლიოში რამდენიმე ძირითადი ჯგუფი არსებობს: დასავლური (ამერიკული), ევრაზიული (რუსული), აზიური (ჩინურ-ინდური), მუსულმანური (მაჰმადიანური სამყაროს ქვეყნები), ევროპული (ევროპის ქვეყნები).

ამ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ საქართველოსთან რუსეთის, ევროპისა და აშშ-ის დამოკიდებულება.

ე. შევარდნაძემ და შემდეგ მ. სააკაშვილმა ვერ შეძლეს ქართველი ერის „მომავალი ცხოვრების“ გეგმის დასახვა, რადგანაც არსებობდა განსხვავება რუსულ, ევროპულ და ამერიკულ გზებს შორის. ამიტომ XXI საუკუნის დასაწყისის საქართველო ვერ აცდა რუსული და ევრო-დასავლური ადგილისა და როლის გაცნობიერების პრობლემას.

საბოლოოდ, ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის ეპოქებში პოლიტიკური

რომანტიზმით გატაცებული საქართველო ორი დიდი ქვეყნის – რუსეთისა და ამერიკის საჯილდაო ქვად იქცა. ერთსაც და მეორესაც თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები აქვთ ქართული სახელმწიფოს მიმართ. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრიც შესაბამისად ორად არის გახლეჩილი.

61. თვითმმართველობის ისტორია თბილისის დედაქალაქად გამოცხადებიდან იღებს სათავეს. ქალაქის წარჩინებულების მიერ ჩამოყალიბებული თვითმმართველობის სათავეში სპარსელები, შემდეგ არაბები, ხოლო XI საუკუნიდან სომხები ჩანან.

დავით აღმაშენებლის შემდეგ თვითმმართველობის სათავეში სომხები მოექცნენ, რომელთა საგვარეულოები პერიოდულად მართავდნენ დედაქალაქს. მდგომარეობს არც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შეცვლილა და XIX საუკუნიდან 1917 წლამდე, თბილისში 47 სომეხი ქალაქის მერი ჩაენაცვლა ერთმანეთს. ამ ხნის განმავლობაში დედაქალაქის თავის თანამდებობაზე მხოლოდ სამი ქართველი წარჩინებულია დაფიქსირებული (დ. ყიფიანი, ვ. ჩერქეზოვი (ჩერქეზიშვილი) და ამ მატინოვი (მათიაშვილი), რომლებმაც მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეს დედაქალაქის ასაღორძინებლად.

62. ნაშრომში გაანალიზებულია 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების უმძიმესი შედეგები, რამაც დღის წესრიგში დააყენა მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების საკითხი. საზგასმულია, რომ საქართველოს ინსტიტუციონალური მოწყობის რომელიმე მოდელის არჩევის საკითხი საქართველოს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს საყოველთაო რეფერენდუმის გზით. შესაბამისად, საქართველო უნდა იყოს მხარეებად დაყოფილი, გარკვეული ნეიტრალიტეტის მატარებელი, ტერიტორიით ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო, რომლის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მართვაში არ უნდა ერეოდეს არცერთი უცხო სახელმწიფო თუ რომელიმე საერთაშორისო სტრუქტურა. საუბარია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის მოწესრიგების არაერთ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზე.

63. ნაშრომში საზგასმულია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს XIX საუკუნეში ქმნიდნენ ამ პრობლემით ღრმად დაინტერესებული ის დასავლეთევროპელი მოღვაწეები, რომლებიც პრაგმატული უყურებდნენ რუსეთ-ევროპის და კავკასიის ურთიერთობების პარადიგმულ თუ დილემურ პრობლემებს, რაც საინტერესო იყო ისტორიული სამართლიანობის დადგენის თვალსაზრისით.

საუბარია რუსეთის მიერ განვლილ ისტორიულ გზაზე, მის ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ-დიპლომატიურ მიმართულებაზე, რასაც მოჰყვა ქართული ხელისუფლების მიერ დაშვებული უმძიმესი შეცდომები. ყოველივე ამან კი საქართველოს გაურკვეველი დროით დააკარგვინა ძირძველი ტერიტორიები და ისინი რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქნა აღიარებული. ევროდასავლურმა სამყარომ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკურ-დიპლომატიური ქცევა გამოავლინა, რაც ახლაც გრძელდება.

64. ნაშრომში განხილულია 1990-1991 წლებში საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ აღებული კურსი, სტრატეგია, რაც ითვალისწინებდა თანასწორუფლებიან მოკავშირეობა-პარტნიორობას მსოფლიოს ქვეყნებთან, მაგრამ გამორიცხავდა რომელიმე დიდი ქვეყნის მფარველობის პრაქტიკას. საზგასმულია, რომ ეს საკმარისი აღმოჩნდა წამყვანი ქვეყნებისთვის მკაცრად დაესაჯათ „დინების“ წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს პირველი პრეზიდენტი და

მისი პოლიტიკური კლასი.

ავტორი მიიჩნევს, რომ თავისუფლებას, განვითარებას და დემოკრატიულობას რევოლუციები წარმოშობს. ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთს, რუსეთს და სხვა ქვეყნებს რევოლუციების პარალელურად არ მოჰკლებია ტირანია, მეფეების, ბელადების, პოლიტიკური ლიდერების დასჯა, საფლავიდან ამოღება და ა.შ.

ნაშრომში გავლებულია პარალელი მიხეილ სააკაშვილის ნულოვან ტილერანტობაზე, რასაც შეეწირა ათასობით უდანაშაულო ადამიანი, რაც გახდა „ვარდების ხელისუფლების“ დასასრულის დასაწყისი. პოლიტიკურმა ლოზუნგებმა, მეთოდებმა და ხერხებმა შემზარავი ხასიათი მიიღო. ჩამოყალიბდა ექსტრემალური სიტუაციის დაუსრულებელი სახელმწიფო. ხელისუფლებამ დაკარგა ეროვნული შინაარსი და იდეოლოგიურად მთლიანად აეწყო მფარველი სახელმწიფოს – აშშ-ს პოლიტიკურ პრინციპებზე. ამდენად, ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის ცხრაწლიან მონაკვეთში არ არსებობდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, როგორც ერთიანი, მთლილანი პოლიტიკური ასპექტი და მეთოდოლოგია.

65. ნაშრომში საზგასმულია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ გაითავისა ერის ლიდერის როლი, ვერ გაიცნობიერა, რომ ის ბარიკადებზე შემდგარი რადიკალური მოძრაობა კი არ იყო, არამედ მმართველი პარტია, რომელსაც გამოცდები უნდა ჩაებარებინა ერის წინაშე. ქვეყანასი ვერ მოხერხდა ეროვნული კონსოლიდაციის მიღწევა. პოლიტიკოსებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა რეკომენდაციები – სიფრთხილე გამოეჩინათ რუსეთის მიმართ იგნორირებული იქნა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „მიშიზმის“ მიმართ უცხოეთის დადებით რეაგირებას და საერთაშორისო გამოხმაურებას.

66. ნაშრომში საზგასმულია, რომ 2003-2012 წლებში გაძლიერდა პოლიტიკური თუ პიროვნული შურისძიების სინდრომი და ხელისუფლების საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო გამარჯვების მიუხედავად, საქართველო მყარად ფეხზე ვერ წამოდგა. „მიშიზმის“ იდეოლოგია მოითხოვდა ყველას ერთნაირად ეაზროვნა. ქვეყნის პოზიციური თუ ოპოზიციური გუნდი მუდმივად ურთიერთბრალდებების რეჟიმში ცხოვრობდა და, შესაბამისად, ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო ოპონენტების „ერთიანი აზროვნება“, ხოლო ოპოზიცია ვერ ურიგდებოდა ქვეყნის აღმშენებლობის, ხელისუფლებისუფლ სტრატეგიასა და ტაქტიკას.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან თითქმის 25 წლის მანძილზე და, კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ცხრაწლიან პერიოდშიც, საქართველო ვერ შედგა როგორც სახელმწიფო.

68. სტატიაში განხილულია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და დაცვის მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში და მითითებულია იმ გზებზე, რაც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. გაკრიტიკებულია ის უწყებები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან საქართველოს კულტურულ საუნჯეს.

69. ოფიციალური წრეები რაც დრო გადის ნაკლებ ყურადღებას იჩენენ კულტურის მიმართ. ეს იგრძნობა გლობალიზაციის და ურბანიზაციის შემოტევის დროს კულტურის მესვეურთა



აბსოლუტურ იგნორირებაში. როდესაც სიბრტყეები არეულია, იქ ჭეშმარიტი ნიჭის დაფასება დამოკიდებულია მასმედიის საშუალებათა ნებაზე. ამ მიმართულებით კი საქართველოში დღეს სრული ქაოსია.

70. ავტორი მიმოიხილავს თბილისი ლიტერატურულ ცხოვრებას, დაწვებულს XIX ს-ის I ნახევრიდან დღემდე. სტატიაში განხილული და შეფასებულია ის როლი, რაც ლიტერატურის განვითარებაში და მის პოპულარიზებაში შეასრულეს პირველმა ქართულმა გაზეთმა „ტფილისის უწყებანი“ და მისმა დამატებამ „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, სალიტერატურო სალონებმა – მანანა ორბელიანის, თერგდალეულთა ლიტერატურულმა კოჰორტამ და ა. შ. ნაშრომის II ნაწილში ავტორი ვრცლად ჩერდება თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ახასიათებს საქართველოს მწერალთა კავშირს და სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებს.

80. თანამედროვე საქართველოს სწრაფვა ევროკავშირში გაწვევრიანებისაკენ პარალელურად მოითხოვს იმ სტრუქტურულ ცვლილებებს სოციალური უზრუნველყოფის კუთხით, რომელიც ამ პროცესს ხელს შეუწყობს. სტატიაში განხილულია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის ელემენტების სისტემა, რომელთა მოწესრიგება ხელს შეუწყობს დაახლოების პროცესს.

81. სტატიაში განხილულია კერძო ქველმოქმედთა შორის საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი მეცენატი ძმების ნიკოლოზ, ყარამან, შალვა და მანუელ კიკნაველიძეების ღვაწლი.

შრომაში ჩამოთვლილია მათ მიერ გაწეული საქველმოქმედო საქმეები:

ა) ბაღდათს რაიონიდან მშობლიურ სოფელ კიკნაველეთამდე, სადაც ადრე ვიწრო ბილიკი იყო, გაიყვანეს 30 კმ-იანი საურმე გზა.

ბ) მათი დამსახურებით სოფელში გაიხსნა სამინისტრო სკოლა. ასეთი ტიპის სკოლები იმ დროს არათუ მთაში, ბარის სოფლებშიც იშვიათი იყო. მათ სკოლის შენობისთვის შეიძინეს მიწის ნაკვეთი, ააგეს შენობა, შეიძინეს სასკოლო ინვენტარი. იხდიდნენ სკოლის მოსამსახურეთა ხელფასს, გათბობისა და სხვა ხარჯებს. ამავე დროს ბავშვებს უყიდეს წიგნები და სასწავლო ნივთები, ხოლო სწავლება უფასო იყო.

გ) ძმებმა დიდი დახმარება გაუწიეს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. გაზეთ „ალიონის“ რედაქციას შეუძინეს მიწის ნაკვეთი და გაიღეს შენობის აგების ხარჯები.

დ) ძმებმა იმ დროისათვის დიდი თანხა - 1 000 მანეთი შეწირეს საქართველოს საპატრიარქოს.

ე) დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის საჭირო თანხის შეგროვებაში. მათ ერთდროულ დახმარებათ გაიღეს 100 თუმანი.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ ფასდაუდებელია კერძო ქველმოქმედთა როლი ქართული კულტურისა და სულიერების გადარჩენის საქმეში.

ბ) უცხოეთში

სტატიები

| № | ავტორი/<br>ავტორები  | სტატიის სათაური,<br>ჟურნალის/კრებულის<br>დასახელება  | ჟურნალის/<br>კრებულის<br>ნომერი                 | გამოცემის<br>ადგილი,<br>გამომცემლობა | გვერდების<br>რაოდენობა |
|---|----------------------|--|---|--------------------------------------|------------------------|
| 1 | ირმა<br>კეცხოველი    | Статья –<br>«Христианство в<br>культуре Грузии»,<br>კრებ.Общество,<br>Религия, Государство   |   | ბაქო                                 | 77                     |
| 2 | Giorgi<br>Baramidze  | Nitzschen Motives in<br>Zurab Kakabadze's<br>thought   | Philosophie und<br>Socialtheorie/peer<br>revied | Berlin, Logos<br>Verlag              | 18                     |
| 3 | Sofa<br>Midelashvili | Actual problems of state<br>arrangement and<br>regional<br>management.АКАДЕМІЯ<br>МУНІЦИПАЛЬНОГО<br>УПРАВЛІННЯ,<br>МОДЕРНІЗАЦІЙНІ<br>ПРОЦЕСИ<br>ДЕРЖАВНОГО ТА<br>МУНІЦИПАЛЬНОГО<br>УПРАВЛІННЯ,<br>МАТЕРІАЛИ<br>МІЖНАРОДНОЇ<br>НАУКОВО-ПРАКТИЧНОЇ<br>КОНФЕРЕНЦІЇ, КИЇВ, |   | Kiev                                 | СТР. 50                |

ანოტაციები

1. Статья посвящена истории Грузинской церкви, роли христианства в культуре Грузии. Цель данной работы – исторический обзор зарождения и утверждения в Грузии христианской религии в качестве Государственной, описание современного состояние и

влияние религии на общество на протяжении существования грузинского государства. Концепция Государственной идеологии включает ценности, символы, которые служат задаче индентификации и легитимации государства, поддерживая, таким образом внутреннюю целостность (статья в соавторстве).

2. წერილში განხილულია ცნობილი ქართველი მოაზროვნის ზურაბ კაკაბაძის შეხედულებები ცხოვრების, ხელოვნებისა და ფილოსოფიის შესახებ. ნაჩვენებია მათზე ნიციშეს თვალსაზრისების ზეგავლენა თუმცა ზურაბ კაკაბაძე ახერხებს მისი შეხედულებების ორიგინალურად გადამუშავებასა და იტერპრეტაციას. განსაკუთრებით საინტერესოა ნიჰილიზმის დაძლევის მისეული კონცეფცია, რაც სტატიის ავტორის მიხედვით, წარმოდგენილია „დაბრუნების პარადიგმაში“. ნაჩვენებია, რომ კაკაბაძის თვალსაზრისები ორგანულად ეხმიანება თანამედროვე ფილოსოფიურ დისკურსებს - მათს განსაკუთრებით დეკონსტრუქციონისტულსა და ექსისტენციალისტურ პლასტებს. სტატიის მიზანი სწორედაც იმის ჩვენების ცდაში მდგომარეობს თუ რაოდენ სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ზურაბ კაკაბაძის ნააზრვეი თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნებისთვის.

\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მოხსენების სათაური  | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი  |
|---|--------------------------------|---|---|
| 1 | ეპიფანე გვენეტაძე              | ზვიად გამსახურდიას<br>პოლიტიკური ხედვები                            | 1924 წლის აჯანყების 90-ე<br>წლისთავისადმი მიძღვნილი<br>სამეცნიერო კონფერენცია   |
| 2 | ფ. დიდუბაშვილი                 | მიბაძვა ქრისტესი  | საერთაშორისო<br>სამეცნიერო კომფერენცია<br>„პირველი მსოფლიო ომი<br>და სამხრეთ კავკასია“<br>სტუ, თბილისი, 2014                  |
| 3 | ჰენრი კუპრაშვილი               | ენერგეტიკული უშიშროების<br>საინფორმაციო-ანალიტიკური<br>უზრუნველყოფა | ჯორჯ მარშალის<br>სახელობის უშიშროების<br>კვლევების (GCMC)<br>ცენტრი. ჯორჯ მარშალის<br>კურსდამთავრებულთა<br>კავშირი. სემინარი. |

|    |   |  |   |
|----|---|--|---|
|    |   |  | თბილისი, სასტუმრო<br>“მარიოტი”,<br>24.06.2014.  |
| 4  | ლევან ოსიძე   | ვილნიუსის სამიტის<br>პოლიტიკურ შეფასებათა<br>ანალიზი                                 | 2013 წლის 10-11 დეკემბერი,<br>ქ. თბილისი, თსუ I<br>კორპუსი, ჭავჭავაძის<br>გამზირი 1   |
| 5  | ლევან ოსიძე   | საქართველო რელიგიური<br>ექსპანსიის საშიშროების<br>წინაშე                             | 2014 წლის 15 – 16<br>დეკემბერი, ქ. თბილისი,<br>თსუ I კორპუსი, ჭავჭავაძის<br>გამზირი 1   |
| 6  | ავთანდილ სონღულაშვილი                               | „ცივი ომის“ ანატომია   | თბილისი, 10-11 ივნისი,  |
| 7  | ავთანდილ სონღულაშვილი                               | აფხაზეთის სამართლებრივი<br>სტატუსი საქართველოს<br>შემადგენლობაში 1921-1931<br>წლებში | თბილისი, 3 ნოემბერი   |
| 8  | მარინე ლომიძე                                       | მხატვრული ფილმი, როგორც<br>სპინის ტექნოლოგიის მოდელი.                                | ამერიკისმცოდნეობის<br>XV ყოველწლიური<br>საერთაშორისო<br>კონფერენცია.<br>შეერთებული შტატების<br>პოლიტიკა აღმოსავლეთ<br>ევროპაში. თბილისი.15-<br>17 მაისი, 2014 წელი. |
| 9  | მარინე ლომიძე                                       | რესპოდენტი-მხატვრული<br>სიტყვის (შტრიხები ოთარ<br>ჭილაძის დიალოგებიდან).             | საერთაშორისო<br>სამეცნიერო<br>კონფერენცია. გურამ<br>თავართქილაძის<br>სასწავლო<br>უნივერსიტეტი. „გზა<br>ევროინტეგრაციისაკენ“.<br>თბილისი, 12 ივლისი,<br>2014.        |
| 10 | მ.ლომიძე (თანამომხსენებელი<br>მარინა ხარატიშვილი).. | თეატრი-საზოგადოებასთან<br>ურთიერთობის (PR)სისტემის                                   | საქართველოს შოთა<br>რუსთაველის თეატრისა<br>და კინოს სახელმწიფო  |

|    |                               |   |  |
|----|-------------------------------|---|--|
|    |                               | ობიექტი   | უნივერსიტეტი. 2014 წლის სამეცნიერო კონფერენცია.VII.თეზისები.18-19 ივნისი,თბილისი.  |
| 11 | ნანა ბახსოლიანი               | ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოძიებული ერთი განხილვის შესახებ                                     | ექვთიმე თაყაიშვილი 150 სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“ შრომები, თბილისი, 2014, გვ. 89-92.   |
| 12 | ნანა ბახსოლიანი დ. ჭუმბურიძე. | საქართველოს ისტორიული მიწების საკითხი და პირველი მსოფლიო ომი,                                 | მსოფლიო ომის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმი შრომები ევროპული კვლევები, თბილისი, 2014, გვ. 111-125,   |
| 13 | ნანა ბახსოლიანი               | ოსმალური დოკუმენტური წყაროები აფხაზეთის შესახებ (XVIII საუკუნე),                              | საერთაშორისო კონფერენცია „ძირითადი რელიგიური კონფესიები და კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 წლის 15-16 დეკემბერი. |
| 14 | ნ.საზარაძე                    | ღვთისმშობლის სარტყელი და საქართველო - V საერთაშორისო სიმპოზიუმი - "ღვთისმშობლის თაყვანისცემის | თბილისი 2014 წ 13 მაისი  |

|    |                                      |  |                                    |
|----|--------------------------------------|--|------------------------------------|
|    |                                      | ტრადიცია მართლმადიდებელ ეკლესიაში  |                                    |
| 15 | ნ.ხაზარაძე(თანაავტორი თ.ხოსობაშვილი) | პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტი - საერთაშორისო სიმპოზიუმი "პირველი მსოფლიო ომი და კავკასია"                                     | თბილისი 2014 წ 19 ივნისი (სტუ)     |
| 16 | ნ.ხაზარაძე(თანაავტორი თ.ხოსობაშვილი) | ქართული ღვინის უძველესი საწყობების ისტორიისათვის - მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ"  | -თბილისი 2014 წ 17 ოქტომბერი (სტუ) |
| 17 | ნ.ხაზარაძე                           | ქართველების აღმნიშვნელი ერთი სადაო ტერმინის ინტერპრეტაციისათვის - მესამე საერთაშორისო კონფერენცია "მეცნიერება და რელიგია"                                    | თბილისი 2014 წ 4 ნოემბერი (სტუ)    |
| 18 | ნ.ხაზარაძე                           | ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინის "იოანეს ქვეყნის ქრისტიანები" ისტორიისათვის - ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - "ხელისუფლება და საზოგადოება" - | თბილისი 2014 22 ნოემბერი (სტუ)     |
| 19 | ნ.ხაზარაძე                           | რამდენიმე ეპიზოდი ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებიდან - რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია - "ექვთიმე თაყაიშვილის გარდაცვალებიდან 60 წლისთავს" -                 | თბილისი 2014 წ 21 ივნისი           |
| 20 | ნ.ხაზარაძე                           | ურარტული "ზაბახას" იდენტიფიკაციისათვის - სამეცნიერო კონფერენცია - "ღვეი ბერძენიშვილი - 80",  | თბილისი 2014 წ 8 დეკემბერი         |

|    |                                       |   |                    |
|----|---------------------------------------|---|--------------------|
| 21 | ნ.ხაზარაძე                            | საქართველოს საპატრიარქოს სემინარიაში წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქართველთა არმნიშვნელი უცხოური ტერმინები“.   |                    |
| 22 | გ.ინანიშვილი                          | ექვთიმე თაყაიშვილი და ვანის არქეოლოგიური ძიებანი. ე.თაყაიშვილი 150, სამეცნიერო საიუბილეო კონფერენციის მოხსენებები. გვ.54-57                               | თბ. 2014,          |
| 23 | მ.ქუთათელაძე                          | თვითმხილველის პოზიციიდან დანახული I მსოფლიო ომი, საერთაშორისო სიმპოზიუმი „პირველი მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია“  | თბ., სტუ, 2014     |
| 24 | მ.ქუთათელაძე                          | ზოროასტრიზმი – წარსული და თანამედროვეობა, მესამე საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“   | თბ., სტუ, 2014     |
| 25 | მ.ქუთათელაძე                          | სამხედრო და სამოქალაქო მსახურეული ფენა გვიანანტიკური ხანის ქართლში (იბერია), ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება“ | თბ., სტუ, 2014     |
| 26 | ხ.თოღაძე                              | ქართული სამონასტრო ტიპიკონების მოკლე მიმოხილვა - „მეცნიერება და რელიგია“, (იბეჭდება)  | თბ. 2014           |
| 27 | მ.მესხია<br>(თანაავტორი ნ.ზაალიშვილი) | სანსტეფანოს საზაფხულო ხელშეკრულების და ბერლინის ტრაქტატის მნიშვნელობა საქართველოსათვის, საერთაშორისო სიმპოზიუმი „პირველი მსოფლიო ომი და                   | თბილისი, სტუ. 2014 |

|    |   |  |   |
|----|---|--|---|
|    |   | სამხრეთ კავკასია”  |   |
| 28 | ნ. ზაალიშვილი<br>(თანაავტორი მ.მესხია)      | კონფ. - სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულების და ბერლინის ტრაქტატის მნიშვნელობა საქართველოსათვის, საერთაშორისო სიმპოზიუმი ”პირველი მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია”                         | თბილისი, სტუ. 2014                                |
| 29 | თ. ხოსობაშვილი<br>(თანაავტორი ნ. ხაზარაძე)  | პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ასპექტი - საერთაშორისო სიმპოზიუმი ”პირველი მსოფლიო ომი და კავკასია”   | თბილისი 2014 წ 19 ივნისი                          |
| 30 | თ. ხოსობაშვილი<br>(თანაავტორი ნ. ხაზარაძე)  | ქართული ღვინის უძველესი საწყობების ისტორიისათვის - მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ”ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ”                            | თბილისი 2014 წ 17 ოქტომბერი                       |
| 31 | თ. ხოსობაშვილი                              | ძუ ლომის გამოსახულებიანი მოჭიქული ჯამი ძველი თბილისიდან (ლომი როგორც ხელისუფლების ძლიერების სიმბოლო) - ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია” – ”ხელისუფლება და საზოგადოება” | თბილისი 2014 22 ნოემბერი.                         |
| 32 | დ. ცუცქერიძე<br>(თანაავტორი ნ. პეტრიაშვილი) | ასიმეტრიული ძალაუფლება და მისი გავლენა მოლაპარაკებებზე, ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება - 2014”  | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 |



|     |  |  |                                    |
|-----|--|--|------------------------------------|
| 33  | დ.ცუცქირიძე<br>(თანაავტორი ნ. პეტრიაშვილი) | რელიგია და კონფლიქტი - მესამე საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“, მოხსენების თეზისები ორ ენაზე (ქართული, ინგლისური) დაიბეჭდა მოხსენებათა თეზისების კრებულში გვ. 70-72. | სტუ, თბილისი 04-05.11.<br><br>2014 |
| 34  | დ.ცუცქირიძე<br>(თანაავტორი ნ. პეტრიაშვილი) | ეკონომიკისა და კონფლიქტის ურთიერთმიმართების ასპექტები  | თბილისი 17-18 ოქტომბერი<br>2014    |
| 35  | დ.ცუცქირიძე<br>(თანაავტორი ხ.ჩაფიჩაძე)     | რუსეთისა და გერმანიის I მსოფლიო ომის წინა პერიოდის შეიარაღების ანალიზი რიჩარდსონის მოდელის საფუძველზე- საერთაშორისო სიმპოზიუმი "პირველი მსოფლიო ომი და კავკასია"                     | თბილისი 2014 , 19 ივნისი           |
| 36  | ირმა კეცხოველი                             | თემაზე: იდეალურია ოჯახი ამერიკული ცხოვრების წესის მიხედვით?<br><br>ამერიკისმცოდნეობის მეთხუთმეტე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია  | თსუ, 15-17 , მაისი. 2014,          |
| 37. | ირმა კეცხოველი                             | „ღვთისკაცი ექვთიმე თაყაიშვილი და ნიკო კეცხოველი“. ექვთიმე თაყაიშვილი - 150 საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“.  | თბ. 2014 წ. გვ. 38-40.             |
| 38  | სალომე ხიზანიშვილი                         | გლობალიზაციის პარადოქსები. მეორე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია – „ეროვნული  | 17-18 ოქტომბერი,                   |

|     |                    |   |   |
|-----|--------------------|---|---|
|     |                    | ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“.                   |   |
| 39  | მაია ამირგულაშვილი | რუსეთი და კავკასია 1918-1921 წლები და დღევანდლობა                       | სტუ, 2014 წლის 19-20 ივნისი, საერთ. კონფერენცია   |
| 40  | მაია ამირგულაშვილი | ჰეკურალიზაციის პრობლემები და თანამედროვე საქართველოში                   | ოსუ, 2014 წლის 15-16 დეკემბერი, საერთ. კონფერენცია „ძირითადი რელიგიური კონფერენციები და კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემური საკითხები“          |
| 41  | ზურაბ კვეციანიძე   | ალტერნატივის იდეა ისტორიაში   | 1924 წლის აჯანყების 80 წლისთავისადმი მიძღვნ. კონფერენცია. ისტორიის ეთნოლოგიური ინსტიტუტი, ნოემბერი.   |
| 42  | ეკა ბუხრაშვილი     | ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის ზოგიერთი ასპექტები         | ექვთიმე თაყაიშვილი - 150 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-საიუბილეო კონფერენციის „გზა ერისკაცობიდან ღვთისკაცობამდე“  |
| 43. | ეკა ბუხრაშვილი     | ის რაც ტოლერანტობაზე მეტია (ღირებულებების კონკურენცია და პერსპექტივები) | სამეცნიერო კონფერენცია ძირითადი რელიგიური კონფესიები და კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემური საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 44  | ეკა ბუხრაშვილი     | ვერსალის ზავი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა                    | პირველი მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია - საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი  |

## მოხსენებათა ანოტაციები

1. ნაშრომში გამოკვეთილია, ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური ფიგურის ფემონენი.
2. მოხსენებაში განხილულია ცნობილი სასულიერო ნაწარმოები „ მიბაძვა ქრისტესი“, რომლის ავტორად სხვადასხვა პიროვნებები მოიაზრებოდნენ. აღნიშნულია ის ფაქტი, რომ დღეს მკვლევართა უმრავლესობა უდაოს ხდის თ. კემპელის ავტორობას. მოცემულია ცნობები ავტორისა და გამოცემების შესახებ და გაანალიზებულია მისი ძირიადი შეგონებანი.
3. ენერგეტიკული უშიშროება და მისი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი
4. მოხსენებაში „ვილნიუსის სამიტის პოლიტიკურ შეფასებათა ანალიზი“ საუბარია სხვადასხვა ავტორების მიერ გამოთქმული შეფასებების თაობაზე და ხაზგასმულია იმის შესახებ, თუ რას სთავაზობს ევროკავშირი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თავის ექვს აღმოსავლეთევროპულ პარტნიორ ქვეყანას, რასაც პქვია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და იმ პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რომელიც ამ ხელმოწერას მოჰყვება. მასში საუბარია იმის თაობაზე, რომ პარაფირების ხელშეკრულება სრულიადაც არ ნიშნავს ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგანაც ჯერ კიდევ ძალაშია და არავის შეუცვლია 1993 წლის „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“, როგორც ჯერჯერობით ერთადერთი დოკუმენტი. ამასთან გასათვალისწინებელია იმ სახელმწიფოთა წარმომადგენელთა აზრი, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება გამოიწვევდა მათი ეკონომიკური მანქვინებლებისა და ცხოვრების დონის ამაღლებას, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა და ასევე მოცემულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კრიტიკული დამოკიდებულება ახალი წევრების მიღების თაობაზე.
5. მოხსენებაში, „საქართველო რელიგიური ექსპანსიის საშიშროების წინაშე“ ხაზგასმულია ამ ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ პროცესებზე, ისეთებზე, როგორცაა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლების მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კუთვნილი ქონების მითვისების, თუ დაბრუნების მოტივით მცდელობებზე, მაგ., სომხური, კათოლიკური და სხვ. წარმომადგენელთა პრეტენზიები იმ ფონზე, როდესაც სამხრეთიდან თურქეთი ცდილობს გააძლიეროს თავისი რელიგიური პოზიციები აჭარასა და სამცხეში, აქვე ანგარიშგასაწევია კახეთის რეგიონში კომპაქტურად დასახლებული ქისტების (ვაინახების) გაზრდილი პოლიტიკური და რელიგიური ამბიციები პანკისის ხეობაში, რომლებიც ძირითადად ასევე რელიგიური ფაქტორით განისაზღვრება. არაფერს ვამბობთ რუსეთის ფედერაციის როლზე, რომელმაც ჯერ აღიარა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ახლახან გააფორმა ხელშეკრულებები მათთან, თანაც ისეთი, რომელიც მათი ანექსიის ტოლფასია. ფაქტიურად გამოდის, რომ ყველაფერი ეს ხდება მართლმადიდებელი ტრადიციების იგნორირებისა და შევიწროების ფონზე. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა გაურბის ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებას, თითქოს არაფერი ხდება. რეალობას ვერ გავუქცევით და სირაქლემას პოზიციაში ყოფნა არაფრის მომტანია, რადგან ასე მომრავლებული სექტები და რელიგიური დანიშნულების ნაგებობები (მეჩეთები, მედრესეები და ა.შ) თავისთავად საპირისპიროს მეტყველებენ. ამიტომ საკითხი უმწვავესია და მისი გადაწყვეტა ყველასათვის მისაღები ფორმით უნდა მოხდეს, რომ

არ შეიბღალოს და შევიწროვდეს მართლმადიდებელი მრევლის ინტერესები და პოზიციები.

6. განხილულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორ სისტემას შორის იდეოლოგიური დაპირისპირების ერთ-ერთი ფენომენის „ცივი ომის“ წარმოშობის და მისი განვითარების ეტაპები XX საუკუნის მეორე ნახევარში.

7. ნაჩვენებია „საბჭოურ ისტორიოგრაფიაში“ აფხაზეთის სტატუსის არასწორი შეფასების უარყოფითი შედეგები ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ფონზე.

8. სპინი სასურველის რეალობად წარმოჩენის მეთოდია. კონკრეტული მიზნის შესაბამისად საზოგადოების მოტყუების ფენომენი ამერიკულ მხატვრულ ფილმში “Wag the dog”(„კულის ქიცინი“) ორიგინალურად აისახა. ეს სატირული კომედია 1997 წელს გადაიღო ბარი ლევენსონმა ლარი ბეინჰარტის წიგნის „ამერიკული გმირის“ მოტივების მიხედვით. პოლიტიკურ სატირაში ნაჩვენებია სპინის ტექნოლოგიის გამოყენების სხვადასხვა ფორმა.

9. ნაშრომში წარმოჩენილია დიალოგის ფორმა, როცა რესპონდენტი მხატვრული სიტყვის ოსტატია და მას კორესპონდენტი თანაბარ პარტნიორობას უწევს. ოთარ ჭილაძის, როგორც რესპონდენტის, მხატვრული აზროვნების ფორმებიდან გამოვყოფილია ასოციაციურ პარალელი.

10. ნაშრომში განხილულია თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სისტემის ობიექტად წარმოჩენის მოდელი გორის გ.ერისთავის სახ. დრამატული თეატრის მაგალითზე. განხილულია პიარის განხორციელების სხვადასხვა ფორმა.

11. ნაშრომში ფოკუსირებულია საქართველოს სიძველენში დაცული „განჩინება“, რომლის საწყისი ასო ქანი შემკულია ერთი შეხედვით ორნამენტით, მაგრამ ავტორის დაკვირვებით, იგი სიმბოლური სემანტიკური კოდის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ამ მიმართებით, ავტორს საგულისხმო ინფორმაცია უძველეს კულტურულ ტრადიციებში აქვს დადასტურებული. ავტორის მოსაზრებით, უძველეს კულტურულ ტრადიციაში დაცული ინფორმაცია საესეებით ეთანხმება ქანზე არსებულ სიმბოლურ გამოსახულებას და ამყარებს მოსაზრებას, რომ სემანტიკური კოდის გასაღებს სამართლის ანარქიაზე ზეობა წარმოადგენს. ვტორის მიერ, ასევე განხილულია განჩინების ტექსტი, რომელიც XVIII ს. II ნახევრის ქართლის მთისა და ბარის ეთნოკულტურული ცვლილებების ამსახველი უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე.

12. სტატიაში გაანალიზებულია გაზეთები „საქართველო“, „სახალხო საქმე“, ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტული ნაშრომები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნების საკითხს ეთმობა. ავტორთა მიერ გამოკვეთილია I მსოფლიო ომის მნიშვნელობა ქართული ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით და გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე კავკასიისა და ევროპა-აზიის ხიდისათვის საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, სირიის, პალესტინის, ოსმალეთის, სპარსეთის და მესოპოტამიის ისეთ საზღვრებში აღდგენა, რომელიც ამ რეგიონში ძალთა წონასწორობას შექმნიდა.

13. წარმოდგენილ მასალებში ფოკუსირებულია მეჩეთების მსახურთა: დერი საამის, მუფეტიშის, ვაიზის, დერ ხუვანის, ფეოჰ ხუვანის როლი (რაც მკვიდრი მოსახლეობის

გამაჰმადიანებაში გამოიხატებოდა) და მათზე გაცემული ჯამაგირი. ოსმალური დოკუმენტები ძალზედ დიდი სიფრთხილითაა შედგენილი. ოსმალები სხვადასხვა ხერხებს მიმართავდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტზე გასასვლელად (იგულისხმება ჯამაგირის დანიშვნა სხვადასხვა სამუშაოს შესრულებისათვის, მოლაპარაკება, საჭირო ნივთებითა და პროდუქტებით ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა).

14. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორი დაასკვნის, რომ ქართველებისათვის წმინდა მიწაზე მყოფი პილიგრიმების მიერ შერქმეულ ტერმინში "სარტყლის ქრისტიანები" ღვთისმშობლის სარტყელი იგულისხმება, რომელიც როგორც წმიდათაწმინდა რელიკვია XI ს-დან მოყოლებული საქართველოში (სამეგრელოში) იყო დაუნჯებული.

15. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ავტორების აზრით, ანტიკურ და შუასაუკუნეების სამყაროში გავრცელებული თეზა იმის თაობაზე, რომ კლიო ისტორიისა და საგმირო ეპოსის მუზა იმის დროს სდუმს 1914-1918 წლის საქართველოს ისტორიის მაგალითზე მართებული არ არის. ამ წლებში ივანე ჯავახიშვილისა და ქართველ მოღვაწეთა მიერ ჩატარებული შრომატევადი კვლევა-ძიებანი იმის მოწმობაა, რომ სწორედ ამ წლებში საქართველოში ჩაეყარა საფუძველი საისტორიო მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ახალ ეტაპს.

16. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ავტორები ძველ ახლოაღმოსავლეთში მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ხეთური, ლუვიური, იეროგლიფურ-ლუვიური, ურარტული და ასურული წერილობით ძეგლთა ჩვენებათა და არქეოლოგიური არტეფაქტების კერძოდ, ღვინის საწყოებთან დაკავშირებული მონაცემების გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ქართველთა განსახლების ტერიტორიაზე აღმოჩენილი, II-I ძვ.წ. დათარიღებული სხვადასხვა ზომისა და სიდიდის თიხის ჭურჭელზე დამოწმებული სოლისებური გამოსახულებანი, წრეები, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები ქართული ღვინის უძველესი საწყოების უნდა იყოს.

17. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ავტორის თვალსაზრისით, წმინდა მიწაზე XV საუკუნის 80-იან წლებში მყოფი დომინიკანელი ბერის ფელიქს ფაბრის ცნობა, რომლის თანახმადაც, იერუსალიმში გავრცელებული ინფორმაციით, ქართველებს ნუბიელებს უწოდებდნენ, მთელი რიგი ობიექტური მიზეზის გამო მართებული არ არის. თუმცა, ამ ცნობის წყარო შესაძლებელია პეროდოტეს ისტორიაში (ძვ.წ.V ს) დაცული ის პასაჟი იყოს, სადაც კოლხების გენეზისი ეგვიპტეს და ეგვიპტელებს უკავშირდება.

18. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: მოხსენებაში ნაჩვენები იყო, რომ წმინდა მიწაზე მყოფი ლათინი პილიგრიმების ჩანაწერებში ქართველებს (გეორგიანებს) არაერთგზის "იოანეს ქვეყნის ქრისტიანებს" უწოდებენ. ავტორი არ ეთანხმება პილიგრიმულ ლიტერატურაშივე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ ტერმინში დემეტრე თავდადებულის ვაჟი მეფე დავით VIII იგულისხმება. ჩატარებული კვლევის შედეგად, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აღნიშნულ ტერმინში იოანე ნათლისმცემელი უნდა იგულისხმებოდეს, რომლის თაყვანისცემა საქართველოში არაერთი ფაქტით დასტურდება.

19. ნ.ხაზარაძე - ანოტაცია: ავტორი მოხსენებაში ექვთიმე თაყაიშვილისა და ცხოვრების ძირითად ეტაპებს და ფაქტებს შეეხო. ყურადღება გაამახვილა არქეოლოგიაში, არქეოგრაფიაში,

ფოლკლორისტიკაში, ეთნოგრაფიაში, წყაროთმცოდნეობაში და ისტორიოგრაფიაში ასევე, ქართული საგანძურის გადარჩენაში მეცნიერის უდიდეს წვლილზე.

| 4 | ზ. გასიტაშვილი, ს. ხუციშვილი, ჯ. გაგლოშვილი          | ინოვაციური პრო-ცესების მოდელეების ევოლუცია. / სტუ-ს შრომები  | № 4(494)   | თბილისი, “ტექ-ნივერსიტეტი” 2014        | 10    |
| 5 | იაბულაძე, ნ. მადლაკელიძე, ნ. გაბაშვილი, თ. გაბაშვილი | ნანოტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები. მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“   | 978-9941-0-6764-8                                  | გორი, „გორის უნივერსიტეტი“             | 5     |
| 6 | გ.ჭიკაძე, ვ.სესაძე, თ.კაიშაური, ვ.კეკელიძე, ნ.სესაძე | ქაოსური პროცესები ეკონომიკაში.   | ბიზნეს-ინჟინერინგი № 3. 2014                       | თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი        | 5     |



|    |  |   |                                     |   |       |
|----|--|---|-------------------------------------|---|-------|
| 7  | გ.ჭიკაძე, ვ.სესაძე, თ.კაიშაური, ვ.კეკელიძე, ნ.სესაძე | ქაოსური პროცესები ეკონომიკაში.                                  | ბიზნეს-ინჟინერინგი № 3. 2014        | თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი           | 5     |
| 8  | პაატა ჯოხაძე, ვასილ კუციავა, გიორგი გოგოლაძე         | 1024 ბიტის შემცველი ბლოკის დაშიფრვის სიმეტრიული კრიპტოალგორითმი | მართვის ავტომატური სისტემები №2(18) | თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”         | 7 გვ  |
| 9  | ლიანა ყანჩაველი                                      | ლოგისტიკის ტენდენციები , ლოგისტიკური ხედვა                      | ”საქართველოს ეკონომიკა”             | თბილისი საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია | 4 გვ. |
| 10 | ლიანა ყანჩაველი                                      | ლოგისტიკური კონსალტინგი   | „ალმა-მატერი“                       | თბილისი გრ.რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი    | 8 გვ. |

ანოტაციები

1. ანოტაცია

განხილულია არაწრფივი დინამიკური სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა უწყვეტ ბლოკურად-ორიენტირებული მოდელების სიმრავლეზე. სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია ლ. ზადეს იდენტიფიკაციის კლასიკური განმარტების საფუძველზე. დამუშავებული მეთოდები და ალგორითმები გამოკვლეულია კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.

2. ანოტაცია

განხილულია ცვლადპარამეტრიანი წრფივი დინამიკური სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა. მოდელის სტრუქტურა წარმოდგენილია ნორმალური სახის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემით, ამასთან გამოსავალი მატრიცის ელემენტები - ცვლადებია. ფორმულირებულია და დამტკიცებულია თეორემა ისეთი ინტერვალის არსებობის შესახებ სადაც კოეფიციენტების უწყვეტი მატრიცა იდენტიფიცირებადია. პარამეტრების შეფასების ალგორითმი გამოკვლეულია მეორე რიგის სისტემების იდენტიფიკაციის მაგალითზე.

3. ანოტაცია

ციფრული მოქმედების მართვის სისტემების ანალიზისთვის გამოყენებულია მდგომარეობის სივრცითი მეთოდი. შემოთავაზებულია მდგომარეობის განტოლების ამოხსნის რამდენიმე ალტერნატიული მეთოდი, რომლებიც ადვილად რეალიზდება თანამედროვე

|   |
|---|
| <p>კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.</p>  |
| <p style="text-align: center;">4. ანოტაცია</p> <p>სტატიაში განხილულია თანამედროვე საწარმოებში ეფექტური ინოვაციური პროცესების ორგანიზების პრობლემები. განმარტებულია ინოვაცია, ინოვაციური პროცესი, მისი არსი და ფორმები. განხილულია ინოვაციური პროცესის მოდელების ევოლუციის პერიოდები, კერძოდ წარმოდგენილია მოდელების ხუთი “თაობა”, მარტივი ხაზოვანი მოდელებიდან, რთულ არახაზოვან ქსელურ და ინტერაქტიულ მოდელებამდე. გაანალიზებულია ასეთი მოდელების ძირითადი მახასიათებლები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემულია არახაზოვანი მოდელების ძირითადი თავისებურებები და განვითარება.</p>           |
| <p style="text-align: center;">5. ანოტაცია</p> <p>ნაშრომში მიმოხილულია ნანოტექნოლოგიის უახლესი მიღწევები და მოსალოდნელი შედეგები. ნანოტექნოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ძალიან მცირე საგნების (მოლეკულებისა და ატომების) გამოყენებას სხვადასხვა მეცნიერებებში. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით 1 ნანომეტრი არის მეტრის მემილიარდედი ნაწილი ანუ <math>1\text{მ} = 10^{-9}</math> მ. ნანოტექნოლოგიების იდეა შემოთავაზებულ იქნა XX საუკუნის 50-იან წლებში. ნანოტექნოლოგიური მასალების გამოყენებით ტექნოლოგიების სფეროში მოსალოდნელია გადატრიალებები მ.შ. ერთ-ერთია სიბერის გადავადება.</p> |
| <p style="text-align: center;">6. ანოტაციები</p> <p>სტატიაში გადმოცემულია ზოგადი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც პრინციპიალურად ახალ შესაძლებლობებს ქმნის საწარმოების მოდერნიზაციის ანალიზისთვის სინერგეტიკის მეთოდების გამოყენებით. წარმოდგენილი მოდელის გამოყენებით შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიების გაკორტების ეკონომეტრიკული პროგნოზი და მათი საქმიანობის გადასვლა ოპტიმალურ ტრაექტორიაზე.</p>   |
| <p style="text-align: center;">7. ანოტაციები</p> <p>სტატიაში გადმოცემულია ზოგადი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც პრინციპიალურად ახალ შესაძლებლობებს ქმნის საწარმოების მოდერნიზაციის ანალიზისთვის სინერგეტიკის მეთოდების გამოყენებით. წარმოდგენილი მოდელის გამოყენებით შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიების გაკორტების ეკონომეტრიკული პროგნოზი და მათი საქმიანობის გადასვლა ოპტიმალურ ტრაექტორიაზე.</p>   |
| <p style="text-align: center;">8. ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია მონცემის ბლოკის დაშიფრვის კრიპტოგრაფიული ალგორითმი, რომელშიც გამოიყენება ბიტების გაბნევისა და შერევის ორგინალური მეთოდი. ალგორითმი სიმეტრიულია და იძლევა 1024 ბიტის შემცველ მონაცემთა ბლოკის დაშიფრვის საშუალებას შემთხვევითი ხასიათის მქონე 64 რაოდენობის თექვსმეტიტიანი გასაღებების გამოყენებით. კორპორაციული ქსელის კავშირის ხაზში არ გადაიცემა დაშიფრვის პროცედურებში მონაწილე არც ერთი პარამეტრის ნამდვილი მნიშვნელობა. ეს ალგორითმი გამოირჩევა კრიპტომედევობით და მაღალი სწრაფქმედებით.</p>                               |

## 9. ანოტაცია

ლოჯისტიკა - არის მეცნიერება და ხელოვნება. ლოჯისტიკა -არ არის საქონელმოდრობა, ლოჯისტიკა - არის საქონელმოდრობის ჰარმონია. (ა.მ. გაჯინსკი).

ლოჯისტიკა-მოქნილობა, კრეატიულობა, ინიციატურობა, ინოვაციურობა , სინერგია

ლოჯისტიკა -ნაციონალური რელიგია

საქართველოს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გახდეს თანამდროვე სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე მოსახლეობით, მცირე ბაზრითა და ეკონომიკით. ამავე დროს ხელსაყრელ სატრანსპორტო მდებარეობასთან ერთად, საქართველოს მძიმე გეოპოლიტიკური გარემოცვა აქვს და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება მომავალი განვითარებისთვის.

ჩვენს ქვეყანას გრძელი გზა ექნებათ გასავლელი იმისათვის, რომ საქართველომ და ქართულმა ბიზნესმა თავისი ადგილი მოიპოვოს მსოფლიო რუკაზე. ამ გზის გავლა შესაძლებელია და აუცილებელი, იმისთვის რომ საქართველოს მოქალაქეებმა ღირსეულად იცხოვრონ და შემოქმედებითად იშრომონ, და ამით საქართველოს განვითარება უზუნველყონ.

ლოჯისტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს.

## 10. ანოტაციები

ჩონსულტინგ - კონსულტაციის გამწევი. კონსალტინგს გააჩნია ახალი მიზნების დასახვის უნარი.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ კონსალტინგური ფირმები ბევრია, ბევრი უწოდებს თავის თავს კონსალტინგურ კომპანიას ისე, რომ არ გაუვლიათ ჩვეულებრივი ლოჯისტის, მომმარაგებლის გზა, არასოდეს არ უმუშავიათ საწყობში და მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვთ ტრანსპორტზე, მაგრამ მარჯვედ ჩაურთავენ ხოლმე საუბრისას ინგლისურ აბრევიატურებს

(« ცტივიტყ ასედ ანაგემენტ » - «ფუნქციურად - ღირებულებითი მართვა»), დ (« უსინესს როცესს ღვენგინეერინგ») (ბიზნეს პროცესების რეინჟინირინგი) და ა. შ. კონსულტანტები არიან ისინი ვინც, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, სარგებელს მოუტანს ბიზნესს. თანამედროვე ლოჯისტიკა მოიცავს და აერთიანებს ერთ პროცესში საინფორმაციო გაცვლას, ტრანსპორტირებას, მარაგების მართვას, სასაწყობო მეურნეობას, ტვირთის გადაამუშავებას. ლოჯისტიკის ოპერატიული ამოცანა მდგომარეობს ნედლეულის წყაროების, დაუსრულებელი წარმოების, მზა პროდუქციის მარაგების გონივრულად განთავსების ორგანიზებაში, რაც დაბალანსებული იქნება მოთხოვნილებებში და დაკავშირებული მინიმალურ ხარჯებთან. ლოჯისტიკა ქმნის დამატებით ღირებულებას იმ შემთხვევაში, თუ მარაგები სათანადოდაა განთავსებული გაყიდვების პროცესის გასამარტივებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ლოჯისტიკური მენეჯმენტი მდგომარეობს მატერიალური რესურსების, დაუსრულებელი წარმოების და მზა პროდუქციის მარაგების

ნაკადების ისეთი სისტემების შექმნასა და მოწყობაში, რაც სამეურნეო ერთეულის საქმიანი სტრატეგიისათვის საყრდენის როლს შეასრულებდა. ლოჯისტიკის ზოგადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს მომხმარებელთა მომსახურების დასახული (მიზნობრივი) დონე მინიმალური საერთო დანახარჯებით .

ბ) უცხოეთში

სტატიები

| № | ავტორი/<br>ავტორები  | სტატიის სათაური,<br>ჟურნალის/კრებუ-<br>ლის დასახელება   | ჟურნალის/<br>კრებულის<br>ნომერი   | გამოცემის<br>ადგილი,<br>გამომცემლობა | გვერდების<br>რაოდენობა |
|---|--|---|---|--------------------------------------|------------------------|
| 1 | Mindia Salukvadze,<br>Guram Beltadze                         | Optimal Principle of Stable Solutions in Lexicographic Cooperative Games. International Journal of modern Education and Computer Science  | Volume 6,<br>Number 3,<br>March 2014  | Hong Kong,<br>MECS Publisher         | 8                      |
| 2 | Шаншиашвили В.Г.   | Структурн ая идентификация нелинейных динамических систем на множестве непрерывных блочно-ориентированных моделей.                        | Труды XII Всероссийского совещания по проблемам управления.(Москва, Россия, 16 – 19 июня 2014 | М., ИПУРАН, 2014.<br>С. 3018-3028.   | 11 с.                  |
| 3 | Мchedlishvili N.P.,<br>Хуцишвили С.А.,<br>Горгидзе Д.А и др. | Механизмы установления веса для показателя оценки в многокритериальной экспертной модели / Научное электронное издание Москва ИПУРАН 2014 | Теория активных систем<br>ТАС-2014<br>Материалы Муждународной научно-практической конференции | Москва, ИПУРАН                       | 3                      |

ანოტაციები

1. ანოტაცია

დექსიკოგრაფიული  $v = (v^1, v^2, \dots, v^m)^T$  კოოპერატიული თამაშისათვის შემოტანილია ნეიმან – მორგენშტერნის ამონახსნების -  $NM(v)$ , როგორც მდგრადი ამონახსნების ოპტიმალურობის პრინციპი. დამტკიცებულია  $NM(v)$ -ს არსებობის პირობები იმ შემთხვევებისათვის, როცა: 1.  $v^1$  სკალარული კოოპერატიული თამაშის  $C$  – გული  $C(v^1)$  და  $NM(v^1)$  ამონახსნები ტოლია; 2.  $v^1$  სკალარული კოოპერატიული თამაშის  $C$  – გული  $C(v^1)$  და  $NM(v^1)$  ამონახსნები განსხვავებულია.  $NM(v)$  ამონახსნების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი სახის დადგენა. დადგენილია  $NM(v)$  ამონახსნების ზოგიერთი თვისება.

2. ანოტაციები

Рассматривается задача структурной идентификации нелинейных динамических систем на множестве непрерывных блочно-ориентированных моделей при входных периодических воздействиях, имеющих равномерно и абсолютно сходящиеся ряды Фурье, и при входных гармонических воздействиях. Разработаны критерии определения структуры модели. Исследованы вопросы достоверности полученных результатов.

3. ანოტაცია

შეფასების ამოცანებში ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის შეფასების მაჩვენებლებისთვის წონების დადგენა. ნაშრომში შემოთავაზებულია მრავალკრიტერიუმისანი ექსპერტული მოდელისთვის შეფასების მაჩვენებლის წონის დასადგენი მექანიზმი. შედარების მატრიცაში ერთმანეთს დარდება ექსპერტების მიერ დადგენილი მაჩვენებელთა ჯამური რანგები, რომლებიც გამოიყენება ექსპერტების შეთანხმებულობის დონის დასადგენად, ანუ კონკორდაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად. პროგრამული პაკეტის ატლას-ის ბაზაზე, შექმნილია პროგრამული პროდუქტი, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ითვლის ჯამურ რანგებს, კონკორდაციის კოეფიციენტს და შედარების მატრიცის დახმარებით მაჩვენებლებისთვის წონების მნიშვნელობებს.

\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მომხსენების სათაური | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი |
|---|--------------------------------|---------------------|------------------------------------|
|---|--------------------------------|---------------------|------------------------------------|

|   |   |  |  |
|---|---|--|--|
| 1 | გ. ბელთაძე  | კანდიდატთა რანჟირების ერთი კრიტერიუმის შესახებ   | III საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია “კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება”.<br><br>17,18,19 ოქტომბერი, 2014, ბათუმი. |
| 2 | გ. ბელთაძე  | ზოგიერთი ბიბლიური პერსონაჟების სტრატეგიული ურთიერთქმედების ანალიზი თამაშთა თეორიის გამოყენებით | მესამე საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”. ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნას. 04-05 ნოემბერი, 2014, თბილისი.                      |
| 3 | ოლღა ხუციშვილი, თეა ხუციშვილი, ბესარიონ ციხელაშვილი | მდგრადობის პრობლემა ეკონომიკურ სისტემებში  | II საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC 2014   |
| 4 | ზ. გასიტაშვილი, ს. ხუციშვილი, ჯ. გაგლოშვილი         | “ინოვაციური განვითარების ევოლუციური მოდელი”  | ქ. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სტუ-ს სამეცნიერო კონფერენცია “ქართული პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები”                                      |
| 5 | ვ. კეკელიძე, ვ.სესაძე                               | ქაოსური პროცესები ეკონომიკაში  | საქართველოს ეკონომიკური მოდელეები: გუშინ, დღეს, ხვალ. საერთაშორისო კონფერენცია, საქართველო, თბილისი, 8-12 ოქტომბერი, 2014                                    |
| 6 | ნ.მჭედლიშვილი, ი.მოსაშვილი, ი.დავითაშვილი.          | სწავლების თანამედროვე მეთოდები ჩაშენებული მართვის სისტემების შესასწავლად                       | მეორე საერთაშორისო კონფერენცია IEC-2014 “ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელეები: გუშინ, დღეს, ხვალ”, თბილისი, 17-18 ოქტომბერი 2014წ.                     |
| 7 |   | საქართველოს ეკონომიკის ფორუმი  | თბილისი  |

|   |              |   |                   |
|---|--------------|---|-------------------|
|   | ლ. ყანჩაველი | ”საქართველოს 2013 წლის პოლიტეკონომია და 2014 წლის გამოწვევები” ლოგისტიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში | 2014 წ.           |
| 8 | ლ. ყანჩაველი | სამეცნიერო კონფერენცია საქმიანი თამაშები მართვის ფუნქციების პრობლემური საკითხები                                | ბათუმი<br>2014 წ. |

მოსხენებათა ანოტაციები

1. მოსხენების ანოტაცია

განხილულია მცირერიცხოვან საკონკურსო კანდიდატთა  $S = \{a_1, \dots, a_m\}$  სიმრავლის რანჟირების ამოცანა მრავალი  $K = \{k_1, \dots, k_n\}$  კრიტერიუმების გათვალისწინებით. მოითხოვება მოცემული სიმრავლის რანჟირება პრიორიტეტების კლების მიხედვით – უპირატესობიდან უარესობისაკენ. თავიდან იგულისხმება, რომ აღნიშნული კრიტერიუმები თანაბარმნიშვნელოვანია. თუ მოითხოვება კრიტერიუმების არათანაბარმნიშვნელობა, მაშინ კრიტერიუმები რანჟირდება ლექსიკოგრაფიულად. ამოცანის გადაწყვეტას ვახდენთ ბუნების წინააღმდეგ თამაშის მოდელით. სტრატეგიები ამ შემთხვევაში საკონკურსო კანდიდატებია. მაქსიმინის პრინციპით გამოითვლება პირველი მოთამაშის ოპტიმალური შერეული სტრატეგია, რომლითაც აირჩევა კანდიდატები და მისი საშუალებით განისაზღვრება თითოეული კანდიდატის მოსალოდნელი საშუალო შეფასება  $u(a_i) = x_i^* \sum_{j=1}^n u_{ij}$ . კანდიდატთა

რანჟირებას ვახდენთ არამკაცრი უპირატესობის  $\succsim$  მიმართებით და ვიყენებთ მოსალოდნელი საშუალო შეფასების კრიტერიუმს:  $a_i \succsim a_k \Leftrightarrow u(a_i) \geq u(a_k)$ . გადმოცემულია ჩამოყალიბებული კრიტერიუმის შინაარსი და მოყვანილია შესაბამისი მაგალითები.

2. მოსხენების ანოტაცია

განხილულია ორი მოთამაშის სტრატეგიული თამაში. მასში პირველი მოთამაშეა ღმერთი, ხოლო მეორე – ადამი და ევა კოლექტიური ერთი მოთამაშის როლში. ღმერთი იყენებს ორ სტრატეგიას, რომლითაც იგი ადამიანს უწევს ან არ უწევს შეზღუდვას – “არ ჭამო ედემის ბაღში ხიდან, რომელიც არის კითილისა და ბოროტის შეცნობისა”. რიგითი ადამიანი, ჩვენს შემთხვევაში მოთამაშე “ადამი და ევა” ან ითვალისწინებს ამ შეზღუდვას, ან არა. მაშასადამე გვაქვს არაანტაგონისტური სტრატეგიული თამაში, რომლის მოდელი წარმოდგენილია ნორმალური და დინამიკური სახით. მათი ანალიზი განხორციელდება ნემის წონასწორობის პრინციპით და უკუსვლითი ინდუქციის ალგორითმით. გადმოცემულია “გაკოტრების ამოცანა” თალმუდიდან, რომელიც შეეხება ქონების განაწილების პრინციპს და ეს პრინციპი ებრაელი მათემატიკოსების დამტკიცებით წარმოადგენს მოგების სამართლიანი განაწილების პრინციპს კოოპერატიულ თამაშთა თეორიაში, სახელწოდებით

*N*-გული, სადაც *N* მოთამაშეთა სიმრავლეა. განხილულია აგრეთვე თამაშის გამეორების პროცესი და მისი ანალიზი.

3. მოხსენების ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ლეონტიევის დარგთა შორისი ბალანსის მოდელის არაწრფივი ვარიანტი, მრავალ დარგოვანი ეკონომიკის ფუნქციონირების ანალიზისათვის. ამისათვის განხილება საწარმოო კოეფიციენტების დაზუსტებული ფორმა. აღწერილი მოდელისათვის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ კოეფიციენტების მნიშვნელობათა ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური სისტემების მდგრადობაზე. ვლექების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორდარგოვანი დინამიკური მოდელის არაწრფივი ვარიანტისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას კატასტროფების თეორია.

4. მოხსენების ანოტაცია

წარმოდგენილია საწარმოებში ეფექტური ინოვაციური პროცესების ორგანიზების პრობლემები. განხილულია ინოვაციური პროცესის მოდელის ევოლუციის პერიოდები, კერძოდ წარმოდგენილია მოდელის ხუთი “თაობა”, მარტივი ხაზოვანი მოდელებიდან, რთულ არახაზოვან ქსელურ და ინტერაქტიულ მოდელებამდე. გაანალიზებულია ასეთი მოდელის ძირითადი მახასიათებლები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემულია არახაზოვანი მოდელის ძირითადი თავისებურებები და განვითარების მიმართულებები.

5. მოხსენების ანოტაცია

მომხსენებელმა გაანალიზა ეკონომიკური მოდელები სინერგეტიკული მიდგომის თვალსაზრისით. აჩვენა, რომ ასეთი მიდგომით შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიების გაკოტრების ეკონომეტრიკული პროგნოზი და მათი საქმიანობის გადასვლა ოპტიმალურ ტრაექტორიაზე.

6. მოხსენების ანოტაცია

მოხსენებაში წარმოდგენილია ჩაშენებული მართვის სისტემების შესწავლის თანამედროვე მეთოდები. სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებულია DSP Bუილდერ, რომელიც დაფუძნებულია PGA კონტროლერებზე. კერძოდ, გამოყენებულია DSP უილდერ-ის მომხმარებლის მართვის ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება დისკრეტული ინტეგრატორების, PID კონტროლერის, PMW გენერატორის და A/D კონტროლერისაგან. FPGA იმპლემენტაციისთვის გამოყენებულია სტანდარტული Matlab/Simulink გარემო. თემის დემონსტრირებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდი – “შემთხვევითი შესწავლა”

7. მოხსენების ანოტაცია

–საქართველოში „ლოგისტიკა“ ტრადიციულად გუსლიხმობს ტრანსპორტირებასა და ტვირთის დასაწყოების მარტივ ოპერაციებს.

სპეციალისტების აზრით ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს:

-ქვეყნის ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიო ბაზრებთან.



-განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს,

- იაფ და ეფექტურ მიწოდების ჯაჭვს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა როგორც მთლიანად ქვეყნისთვის ასევე საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

ლოგისტიკის ტრადიციული კითხვებია:

რა ტენდენციები შეიმჩნევა ლოგისტიკის განვითარების კუთხით საქართველოში?

როგორია ქვეყანაში ტვირთბრუნვის დინამიკა?

ლოგისტიკის მნიშვნელობა ქართული ეკონომიკისათვის, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს დარგის განვითარებამ სახელმწიფოს?

პროფესია –ლოგისტი, როგორია მისი აქტუალობა (თურმე იგი ბავსვობიდან იწყება, როდესაც მათემატიკის გაკვეთილებზე მექანიკურ ამოცანებს ვხსნით (A პუნქტიდან პუნქტამდე. . .))?

როგორია ლოგისტიკური აუტსორსინგი და აუთსტაფინგი?

როგორია მიწოდების ჯაჭვის (შუპპლყ ჩჰაინ) სექტორის დონე ქვეყანაში?

რა სახის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს ხელმისაწვდომი საქართველოში ლოგისტიკის სექტორის განვითარების უზურნველსაყოფად?

რამდენად მნიშვნელოვანია ლოგისტიკის ოპტიმიზაცია?

რა ტიპის კომპანიებისთვის (საქმიანობის სფეროს მიხედვით) არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაცია?

საქართველოს სატრანსპორტო გადაზიდვების ბაზარის შეაფასება და ანალიზი?

რა უშლის ხელს ქართული ლოგისტიკური ბაზრის განვითარებას?

–და მაინც, რა ძირითადი პრობლემები არსებობს საქართველოში ლოგისტიკის სექტორის განვითარების თვალსაზრისით

–ლოგისტიკური სერვისისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება განაპირობა. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოგისტიკური სერვისის პროვაიდერების მიერ მაღალი ხარისხის ლოგისტიკური სერვისის უზურნველყოფა, რომლის მთავარ ამოცანას პროდუქტის მიწოდება

განსაზღვრულ ადგილას, განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ მდგომარეობაში და განსაზღვრულ ფასად წარმოადგენს, ძირითადი პრობლემები ლოგისტიკაში, რაში მდგომარეობს იგი? –სპეციალისტების განმარტებით, დღესდღეობით, საქართველოს ლოგისტიკური ბაზარი შეზღუდული სერვისებითა და მაღალი ხარჯებით ხასიათდება. .არ

არის დადგენილი მისი სტანდარტები..სტანდარტებთან შეუსაბამოა ლოგისტიკური მომსახურების ხარისხის დონე.

8. მოხსენების ანოტაცია

ამჟამად მეცნიერება სერიოზულ ყურადღებას უთმობს კონცეპტუალური პრობლემების გადაწყვეტის პროცედურების ფორმირების მეთოდების შემუშავებას. ამ საკითხების გადაწყვეტით დაკავებულია გადაწყვეტილების მიღების არაფორმალური თეორია.

გადაწყვეტილების მიღება - ეს არის პროცესი, რომელიც ტიპურია მართველობის ფუნქციისთვის ცხოველქმედების ნებისმიერ სფეროში. გადაწყვეტილების მიღება - ნიშნავს მიიღო პასუხი რიგ შეკითხვებზე.

პერსონალისთვის რომ ჩამოაყალიბო მიზანი და მიაღწიო მას, მენეჯერმა უნდა გასცეს პასუხი მრავალ კითხვებს. თითოეული მმართველობითი ფუნქცია დაკავშირებულია რამოდენიმე ზოგად, სასიცოცხლოდ აუცილებელ გადაწყვეტილებებთან, რომლებიც განხორციელებას საჭიროებენ ( ზოგიერთი მათგანი ჩამოთვლილია ტაბ. 7 -ში ).

სპეციალისტმა უნდა მიიღოს დასაბუთებული, აწონდაწონილი გადაწყვეტილებები, რომლებიც დასახული მიზნის და კონკრეტული შედეგის დამაკავშირებელი ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენენ, აგრეთვე უნდა მიაღწიოს მის შესრულებას. გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს ერთერთი ალტერნატივის არჩევანის გაკეთებას. წარმატებული გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია მენეჯერის პროფესიული ცოდნის დონეზე.

ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილება - ეს არის, როგორც წესი, სპეციალისტის პროფესიონალიზმის და მენეჯერული ოსტატობის მაჩვენებელი, რადგან გადაწყვეტილების მიღება არის ერთდროულად მეცნიერებაც და ხელოვნებაც.

ამგვარად, მართვის პროცესში გადაწყვეტილების მიღების როლი გადამწყვეტია. მენეჯერის რეაქცია პრობლემის არსებობის თაობის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე გამოიხატება მმართველობრივ გადაწყვეტილებაში, რომელშიც განსაზღვრულია მართვის ობიექტზე ზემოქმედების მიზანი, შინაარსი და მეთოდები. მაშასადამე, გადაწყვეტილება განსაზღვრავს ყველა შემდგომ მოქმედებას მმართველობით ციკლში.

ბ) უცხოეთში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მოხსენების სათაური   | ფორუმის ჩატარების<br>დრო და ადგილი   |
|---|--------------------------------|--|--|
| 1 | Шаншиашвили В.Г.               | Структурн ая идентификация нелинейных динамических систем на множестве непрерывных блочно-ориентированных моделей. | 16 – 19 июня 2014. Москва, Россия,(XIIВсероссийское совещание по проблемам управления) |

|  |   |   |   |
|--|---|---|---|
| 2  | Обгадзе Т., Тушишуили Н.З.,<br>Биченова Н.М.                                      | МАТЕМАТИЧЕСКОЕ<br>МОДЕЛИРОВАНИЕ<br>ЭКОНОМИЧЕСКОЙ ДИНАМИКИ<br>В РАМКАХ РАВНОВЕСНОЙ<br>ЭКОНОМИКИ КЭЙНСА | ДВАДЦАТЬ ПЕРВАЯ<br>МЕЖДУНАРОДНАЯ<br>КОНФЕРЕНЦИЯ МАТЕМАТИКА.<br>КОМПЬЮТЕР. ОБРАЗОВАНИЕ г.<br>Дубна, 3–8 февраля 2014 г. E-<br>mail: <a href="mailto:mce@mce.su">mce@mce.su</a><br>Сайт: <a href="http://www.mce.su">www.mce.su</a> |
| 3  | დ. გორგიძე,<br>ს. ხუციშვილი,<br>ნ. მჭედლიშვილი,<br>მ. ხართიშვილი,<br>ვ. ბურჯანაძე | Механизмы установления веса<br>для показателя оценки в<br>многокритериальной<br>экспертной модели     | მოსკოვი, რუსეთის<br>მეცნიერებათა აკადემიის<br>მართვის სისტემების<br>ინსტიტუტი.<br>საერთაშორისო<br>სამეცნიერო-პრაქტიკული<br>კონფერენცია.<br>17-19 ნოემბერი 2014<br>წელი  |
| <p>მოსხენებათა ანოტაციები</p>  |   |   |   |
| <p style="text-align: center;">1. ანოტაცია</p> <p>Рассматривается задача структурной идентификации нелинейных динамических систем на множестве непрерывных блочно-ориентированных моделей при входных периодических воздействиях, имеющих равномерно и абсолютно сходящиеся ряды Фурье, и при входных гармонических воздействиях. Разработаны критерии определения структуры модели. Исследованы вопросы достоверности полученных результатов.</p> |   |   |   |
| <p style="text-align: center;">2. ანოტაცია</p> <p>მოსხენებაში განხილული იყო ეკონომიკური დინამიკის მათემატიკური მოდელები, რომლებიც აგებულია კეინსის წონასწორული ეკონომიკის კონცეფციის ფარგლებში და ემყარება ფრანგიშვილი-ობგაძის ზოგად მიდგომას აღნიშნული პრობლემისადმი. მოსხენებული იქნა საქართველოს ეკონომიკური დინამიკის პრობლემატიკა და ნაჩვენები იქნა გათვლების შედეგად მიღებული შედეგები.</p>  |   |   |   |
| <p style="text-align: center;">3. ანოტაცია</p> <p>მოსხენებაში შემოთავაზებულია მრავალკრიტერიუმანი ექსპერტული მოდელისთვის შეფასების მაჩვენებლის წონის დასადგენი მექანიზმი. შედარების მატრიცაში ერთმანეთს დარდება ექსპერტების მიერ დადგენილი მაჩვენებელთა ჯამური რანგები, რომლებიც გამოიყენება ექსპერტების შეთანხმებულობის დონის დასადგენად, ანუ კონკორდაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად.</p>   |   |   |   |

\*საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

| №   | გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების მითითებით         | სამუშაოს ხელმძღვანელი              | სამუშაოს შემსრულებლები                         |
|---|--|------------------------------------|--|
| 1   | საერთაშორისო საპილოტე პროექტი “ჩაშენებული სისტემები საქართველოს განათლებაში” –ფაზა II<br>მიმართულება: ჩაშენებული სისტემები | ვოლფგანგ კუნცი                     | ია მოსაშვილი,<br>დავით მხეიძე<br>ვალიდა სესაძე |
| დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)<br>დაიწყო ახალი ციფრული სისტემების ლაბორატორიის დანერგვა სასწავლო პროცესში.  |  |                                    |  |
| 2   | Tempus საერთაშორისო პროექტი “DESIRE”<br>მიმართულება:<br>ჩაშენებული სისტემები   | დირკ ვან მეროდე,<br>თამარ ლომინაძე | ია მოსაშვილი,<br>ანა კობიაშვილი                |
| დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია):<br>ჩატარდა პირველი ტრენინგ კურსი ჩაშენებული სისტემების ელექტრონული სწავლებისათვის. შეიქმნა ვიდეო ლექციების კურსი. |  |                                    |  |
| 3   | ”სამეცნიერო-საინოვაციო კონკურსი საშუალო სკოლის მოსწავლე  | ელენე გიორგაძე                     | ია მოსაშვილი<br><br>(20 მენტორი)               |

|  |   |                           |  |
|--|---|---------------------------|--|
|  | გოგონებისთვის”<br>მიმართულება:<br>კომპიუტერული ინჟინერია  |                           |  |
| <p style="text-align: center;">დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია):</p> <p>კონკურსის თემის შერჩევა და ტრენინგ კურსები STEM –ის შესახებ.</p>   |   |                           |  |
| 4  | <p>ცოცხალი სისტემების კვლევის მეთოდები (დიფერენცირებადი მრავალსახეობების ლოკალური გეომეტრია)</p> <p style="text-align: center;">ტომი II</p>   | აკადემიკოსი ა.ფრანგიშვილი | <p style="text-align: center;">თ.ობგაძე,<br/>ნ.თუშიშვილი</p> |
| <p style="text-align: center;">დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>დაწერილია უკვე 3 თავი. რაც მოიცავს: ტოპოლოგიურ ჯგუფებს; ლის ალგებრებს, დიფერენციალურ ფორმებს, ტენზორებს, დიფერენცირებად მრავალსახეობებს და მათი კონკრეტული გამოყენების მეთოდებს;</p> <p>იგეგმება: 2015 წლის გაზაფხულზე, დასრულდეს შემდგომი თავები:</p> <p>რიმანის გეომეტრია და ეინშტეინის განტოლებები, ტეტრადული და ნიუმენი-პენროუზის ფორმალიზმი. საქსის ოპტიკური სკალარები და გამოქვეყნდეს დამხმარე სახელმძღვანელოს სახით.</p> |   |                           |  |
| 5.   | <p>Tempus-ის №544191 პროექტი: ”სასტუმრო მეურნეობის მართვის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დამუშავება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში”</p> | ალექსანდრე ელიბერიძე      | ვალედა სესაძე  |
| <p style="text-align: center;">დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</p> <p>მიმდინარეობს სასტუმრო მეურნეობის მართვის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამების დამუშავება</p>   |   |                           |  |

**ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტი (809)**

ხელმძღვანელი: ოთარ ვერულავა

პერსონალური შემადგენლობა:

1. სრული პროფესორი: რამაზ ხუროძე
2. სრული პროფესორი: მარიამ ჩხაიძე
3. ასოცირებული პროფესორი: რევაზ ჩოგოვაძე
4. ასოცირებული პროფესორი: ოთარ თავდიშვილი
5. ასოცირებული პროფესორი: მაკა ტაბატაძე
6. მოწვეული სრული პროფესორი: ოთარ ვერულავა
7. მოწვეული სრული პროფესორი: კონსტანტინე ფხაკაძე
8. უფროსი მასწავლებელი: ბესიკ ტაბატაძე
9. უფროსი მასწავლებელი: მარინა ქავთარაძე
10. უფროსი მასწავლებელი: ირაკლი გოგსაძე

\* პუბლიკაციები:

სახელმძღვანელოები

| № | ავტორი/ავტორები               | სახელმძღვანელოს სახელწოდება            | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა               | გვერდების რაოდენობა |
|---|-------------------------------|--|--|---------------------|
| 1 | თ.სტურუა, თ.თოდუა, ბ.ტაბატაძე | ლაბორატორიული სამუშაოები ინფორმატიკაში | ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 | 105 გვ.             |

ანოტაციები

მოცემული ლაბორატორიული სამუშაოები სტუდენტებს 7 საოპერაციო სისტემის, 2007 ტექსტური რედაქტორის და 2007 საპრეზენტაციო პროგრამის პრაქტიკულ ათვისებაში დაეხმარება. საგნის სრულყოფილად შესწავლის მიზნით საგნის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო სათანადო ტერმინებისა და ბრძანებების გაცნობა სტუდენტებს მოცემულ სახელმძღვანელოში შეუძლიათ.

სტატიები

| № | ავტორი/ავტორები                      | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება  | ჟურნალის/კრებულის ნომერი  | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა                          | გვერდების რაოდენობა |
|---|--------------------------------------|--|---|---|---------------------|
| 1 | Nikolishvili M.,<br>Tabatadze B.     | Some Prorerties of solution and variable directions difference scheme for one system of nonlinear three-dimensional partial equations, | Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics Volume 26 | I. Vekua Institute of Applied Mathematics Tbilisi, 2014 | 6 pages             |
| 2 | Khurodze R, Verulava O, Chkhaidze M. | Determining the Number of Neurons Using the Cluster Identification Methods,<br><br>საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული                   | ტომი 8 N 2  | Georgian Academy Press, Tbilisi 2014                    | 9 გვერდი            |

|  |                     |  |  |  |
|--|---------------------|--|--|--|
|  | აკადემიის<br>მოამბე |  |  |  |
| ანოტაციები   |                     |  |  |  |
| <p>Determining the Number of Neurons Using the Cluster Identification Methods,</p> <p>It is known that the number of neurons in the layers in the modern neural networks used for recognition are determined on the basis of experiments, without theoretical justification, according to the heuristic considerations. In the presented paper a procedure for determining the number of neurons in the layers based on clustering is proposed. In addition, formal neuron's recognizing function, "scalar product" as similarity measure for clustering is used. It provides a high level of clustering and recognition identity. On the first stage the number of neurons is determined for only one pattern. On the next stage the correction of the number of neurons takes place taking into consideration other system descriptions (templates).</p> |                     |  |  |  |

ბ) უცხოეთში

სტატიები

| № | ავტორი/<br>ავტორები  | სტატიის სათა-<br>ური, ჟურნა-<br>ლის/კრებულის<br>დასახელება  | ჟურნალის/<br>კრებულის<br>ნომერი                                      | გამოცემის<br>ადგილი,<br>გამომცემლობა                          | გვერდების<br>რაოდენობა |
|---|--|---|--|---|------------------------|
| 1 | T. Sulaberidze,<br>O. Tavdishvili,<br>T. Todua,<br>Z. Alimbarashvili,. | “Compact<br>Description of the<br>Segments on the<br>Segmented<br>Digital Image”,<br>Lecture Notes in<br>Computer<br>Science. Part I, | Advances in<br>Visual<br>Computing, ISVC<br>2014, Las Vegas,<br>USA, | Springer<br>International<br>Publishing,<br>Switzerland 2014, | pp.250-257, 7<br>pages |

|  |  |  |  |  |  |
|--|--|--|--|--|--|
| ანოტაციები   |  |  |  |  |  |
| <p>“Compact Description of the Segments on the Segmented Digital Image”</p> <p>One of the approaches to the shape analysis of the extracted segment on 2-D segmented digital image is based on its description by the points of the closed contour surrounding the segment. In</p> |  |  |  |  |  |



simple case, the shape contour can be described by a finite set of its boundary points, for example, a sequence of the coordinates of the contour pixels. At the same time, the larger the number of points the more accurate is the contour description. But this requires a high computational cost for further process of the shape analysis. Therefore, it is very important to obtain a more accurate restoration of the original digital closed contour for the current number of pixels on the contour than using the Whittaker-Kotelnikov-Shannon interpolation formula. In this paper we use the generalized interpolation formula (Piranashvili formula) for solution of the task.

\*საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

| № | გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების მითითებით  | სამუშაოს ხელმძღვანელი   | სამუშაოს შემსრულებლები  |
|---|---|---|---|
| 1 | ახალი ანტიბიოტიკების პროექტირება ხელოვნური ინტელექტის მეთოდებით ანტიმიკრობული პეპტიდების საფუძველზე. ინფორმატიკა, ბიოინფორმატიკა, ხელოვნური ინტელექტი, ნეირონული ქსელები, სახეთა ამოცნობა, მათემატიკური სტატისტიკა. | ოთარ ვერულავა,<br>მარიამ ჩხაიძე,<br>მალაქია ფირცხალავა<br>(სამეცნიერო კონსულტანტი - ბიოინფორმატიკის ლაბორატორია). | ზურაბ წვერიკმაზაშვილი<br>(დოქტორანტი)<br>ირინა გულბათაშვილი<br>(მაგისტრანტი)  |
| 2 | ქართული ნაბეჭდი ტექსტების ამომცნობი სისტემის შემუშავება   | ოთარ ვერულავა,<br>რამაზ ხუროძე  | მარიამ ჩხაიძე, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ბესიკ ტაბატაძე, ამბროსი მალლაკელიძე (მაგისტრანტი), ოთარ თავდიშვილი, რევაზ ჩოგოვაძე. |

|   |  |               |   |
|---|--|---------------|---|
| 3 | ამოცნობის შეცდომების გასწორება ნეირონული ქსელის სწავლების პროცესში | ოთარ ვერულავა | მარიამ ჩხაიძე ზურაბ წვერიკმაზაშვილი მაკა ტაბატაძე, ამბროსი მაღლაკელიძე (მაგისტრანტი), რევაზ ჩოგოვაძე. |
|---|--|---------------|---|

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

1) ახალი ანტიბიოტიკების პროექტირება ხელოვნური ინტელექტის მეთოდებით ანტიმიკრობული პეპტიდების საფუძველზე

ანტიმიკრობული პეპტიდები (აპპ) ცოცხალი ორგანიზმის დაცვითი ფუნქციის განმახორციელებელი მოლეკულებია. მათი გავრცელების არეალი მოიცავს ორგანიზმების ფართო ევოლუციურ სპექტრს. დღეისათვის მეტად აქტუალურია აპპ-თა საფუძველზე ახალი ანტიბიოტიკების პროექტირების ამოცანა. ასეთი ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობის მთავარ საფუძველს ქმნის შემდეგი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ ბაქტერიები მიოლონობით წლის განმავლობაში განიცდიან აპპ-თა ზემოქმედებას, მათ მიერ აპპ-თა მიმართ რეზისტულობის გამომუშავების შესახებ მონაცემები ფაქტიურად არ მოიპოვება.

ახალი ანტიმიკრობული წამლების პროექტირებასთან დაკავშირებული, დღეს მიმდინარე კვლევები მიზნად ისახავენ ბუნებრივი პეპტიდების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოცემული თვისებების მქონე ახალი, სინთეტიკური პეპტიდების მოძიების მეთოდების შემუშავებას და დახვეწას.

მიზანმიმართული მიდგომით პროექტირების პრობლემის გადაწყვეტის სიძნელე უკავშირდება იმას, რომ აპპ-ების მოქმედების მექანიზმები არაა ამომწურავად შესწავლილი და მათ აქტივობაზე პასუხისმგებელი ეფექტური ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები არაა დადგენილი. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ აპპ-თა ფართო სპექტრია იდენტიფიცირებული და შესწავლილი, სტრუქტურა-აქტივობას შორის დამოკიდებულების ნათელი სურათი ჯერ კიდევ არაა შექმნილი. ასეთი მდგომარეობა აიხსნება აპპ-თა ამინომჟავური თანამიმდევრობებისა და სივრცული სტრუქტურების დიდი მრავალფეროვანებით და შესაბამისად იმით, რომ ასეთ არაერთგვაროვან სიმრავლეში რაიმე ზოგადი კანონზომიერების დადგენა გაძნელებულია.

- აპპ-თა და არააპპ-თა ამინომჟავური თანამიმდევრობების ანალიზი
- აპპ-თა ისეთი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების წარმოჩენა, რომლებიც

მოგვცემენ საშუალებას განვასხვავოთ აპპ არააპპ-ესაგან

დაგვეხმარება გავერკვეთ მოქმედების მექანიზმებში და წარმოვაჩინოთ აქტივობაზე პასუხისმგებელი ეფექტური მახასიათებლები.

ამრიგად ჩვენი ამოცანაა

|   |
|---|
| <p>ა) შევქმნათ აძპ-თა და არა აძპ-თა ამინომჟავური თანამიმდევრობების სიმრავლეები (შერჩევები)</p> <p>ბ) დავახასიათოთ შერჩევაში შესული თითოეული პეპტიდი ამინომჟავურ თანამიმდევრობაზე დამოკიდებული ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლებით. ვთქვათ: ჰიდროფობულობით, მუხტით, ჰიდროფობული მომენტი, მიდრეკილებით არასტრუქტურირებულობისკენ, მიდრეკილებით აგრეგაციისკენ, ორიენტაციით მემრანის ზედაპირის მიმართ, მემბრანაში ჩაძირვის სიღრმით და სხვა</p> <p>გ) გამოვიყენოთ სამანქანო დასწავლის სხვადასხვა მეთოდები (ნეირონული ქსელების, საყრდენი ვექტორების და სხვა), რათა მოვახდინოთ მახასიათებელთა კომპლექტის ოპტიმიზირება და ისეთების შერჩევა, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას წარმატებით განვასხვაოთ აძპ არააძპ-გან.</p> <p>ასეთი გზით შერჩეული მახასიათებლები გახდებიან საფუძველი მხოლოდ ამინომჟავურ თანამიმდევრობაზე დაყრდნობით ახალი ანტიბიოტიკების პროექტირების ალგორითმისათვის (მეთოდისათვის) და შესაბამისი პროგრამათა პაკეტისათვის.</p> <p>დღეის მდგომარეობით, ამოცანის გადასაწყვეტად შერჩეული გეჰონდა ნეირონული ქსელების მეთოდი აგებული სისტემის მუშაობით მიღებული გეჰონდა შედეგები შედეგები: 100 საკონტროლო რეალიზაციისათვის შეცდომის მაჩვენებელი არის 4 %.</p> <p>ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ შედეგის გასაუმჯობესებლად, როგორც იგივე მეთოდით, ასევე სხვა მეთოდების გამოყენებით, მაგალითად მათემატიკური სტატისტიკის და სხვა მსგავსების ზომების გამოყენებით.</p> <p>2) ქართული ნაბეჭდი ტექსტების ამომცნობი სისტემის შემუშავება<br/> ქართულ ნაბეჭდი ტექსტებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს ამომცნობის მაღალი საიმედოობის მქონე, ავტომატურად მომუშავე უნივერსალური სისტემა, რომელიც ამოიცნობს ნებისმიერი ქართული შრიფტით დაბეჭდილ ტექსტებს, ამიტომ, საჭიროა ქართველი მეცნიერების ძალისხმევა, რათა შეიქმნას ქართული ანბანის სიმბოლოებისა და კლავიატურაზე განთავსებული სხვა ნიშნების უნივერსალური (შრიფტდამოუკიდებელი) ამომცნობი სისტემა, რომელიც ამოიცნობს ნებისმიერ ქართულ კომპიუტერულ ნაბეჭდ შრიფტს. ქართული ნაბეჭდი ტექსტების ამომცნობი სისტემა შესაძლებელს გახდის დასკანერებული ნაბეჭდი ტექსტი გრაფიკული ფორმატიდან გარდაიქმნას ჭორდ-ის დოკუმენტად, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაადვილებს მის რედაქტირებას, ტექსტის ელექტრონული ვერსიის შექმნას (არქივირებას), ხელს შეუწყობს ქართული ენის კომპიუტერიზაციას.</p> <p>ქართული ტექსტების ამომცნობი პროგრამის შექმნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცოტალური უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. მხედველებისთვის ნაბეჭდ წიგნთა უზარმაზარი მარაგი ხელმიუწვდომელი იყო უსინათლოებისთვის. ამდენად, უსინათლო პრაქტიკულად ვერ სარგებლობდა სტამბურად ნაბეჭდი წიგნებით და ცოდნის შექმნის ეს წყარო მათთვის ყოველად გამოუსადეგარი გახლდათ.</p> |
|---|

|   |
|---|
| <p>ასოციაცია "უსინათლოები საზღვრებს გარეშე"-მ მრავალწლიანი მუშაობის შედეგად შექმნა ქართულ ენაზე ხმოვან პროგრამათა პაკეტი. იგი საშუალებას აძლევს ქართველ უსინათლოებს მშობლიურ ენაზე წაიკითხონ არსებული ელექტრონული წიგნები, აკრიფონ ტექსტი, იმუშაონ ინტერნეტში, ისარგებლონ ელექტრონული ფოსტითა და სკაიპით. ეს პროგრამები დანერგილია: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ, საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში და ქვეყნის დიდი ქალაქების მთავარ ბიბლიოთეკებში, დაწყებული თელავიდან დამთავრებული ბათუმამდე.</p> <p>სწორედ აქ არის საჭირო ქართული ტექსტების ამომცნობი პროგრამები. მათი არსებობა ხელმისაწვდომს გახდის ქართულ ენაზე ნაბეჭდ მასალას მთლიანად, რომელ წლებშიც არ უნდა იყოს ისინი გამოქვეყნებულნი. ასევე ცნობილია, რომ თითოეულ მკითხველს პირად ბიბლიოთეკაში აქვს ის წიგნები, რომელიც ხელს უწყობენ მათ პროფესიულ ზრდას, ანდა უბრალოდ წარმოადგენენ მათი ინტერესების საგანს. ჩვენს მიერ მომზადებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებით შექმნილი პროგრამებისა და სკანერის საშუალებით უსინათლო მკითხველებს მიეცემა შესაძლებლობა მათთვის საჭირო ლიტერატურა გადაიყვანონ ტექსტურ ფორმატში, ხოლო შემდგომ ქართული გამახმოვანებელი პროგრამებით წაიკითხონ ისინი. გარდა ამისა, ინტერნეტში დიდი რაოდენობა წიგნებისა განთავსებულია გრაფიკულ ფორმატში ანუ ფოტოს სახით. ასეთ მასალაზე შესაქმნელი ქართული ტექსტების ამომცნობი პროგრამა მათ გადაიყვანს ტექსტურ რედაქტორში და ისინიც არ იქნება მიუწვდომელი მხედველობის დეფიციტის მქონე კომპიუტერის მომხმარებელთათვის.</p> <p>ჩვენს მიერ მომზადებული პროექტის მიზანია ქართული ნაბეჭდი სიმბოლოებისათვის ავტომატური ამომცნობი სისტემის აგება, შესაბამისად, ამოცნობის ისეთი ახალი მეთოდებისა და ალგორითმების შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შეიქმნას დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებული ქართული შრიფტებისათვის მაღალი საიმედოობისა და კვლევის მიზანია ქართული ნაბეჭდი ტექსტების ამომცნობი ისეთი სისტემის შემუშავება, რომელსაც ექნება ამოცნობის მაღალი საიმედოობა, უნივერსალურობა და მაქსიმალური ხელშეშლამდეგობა. ამასთან, მისი გამოყენება მომხმარებლისათვის უნდა იყოს მარტივი და მოხერხებული.</p> <p>ამჟამად ჩვენი კვლევები არის შემდეგ ეტაპზე: შესრულებულია ამოცანები: გრაფიკული გამოსახულების დასუფთავება, პრეპარირება; სიმბოლოების სეგმენტაცია, სიმბოლოების ამოცნობა 3 შრიანი პირდაპირი გავრცელების ხელოვნური ნეირონული ქსელის მეშვეობით, ამოცნობა განხორციელებულია 5 სხვადასხვა შრიფტისთვის ნებისმიერი კვადრატის გათვალისწინებით.</p> <p>ამომცნობი სისტემის აგებისთვის დარჩენილი სამუშაოებია: ამოცნობადი შრიფტების რაოდენობის გაზრდა, ამოსაცნობი ტექსტიდან ნახატებისა და ნახაზების გამოყოფა, სეგმენტაცია ამოცნობის პროცესის გამოყენებით, წყვეტებისა და გადაბმების პრობლემის გადასაჭრელად. აღნიშნულის საფუძველზე მომზადებულია და ჩაბარებულია საგრანტო პროექტი რუსთაელი სამეცნიერო ფონდში.</p> <p>3) ამოცნობის შეცდომების გასწორება ნეირონული ქსელის სწავლების პროცესში</p> |
|---|

|   |
|---|
| <p>განვიხილეთ თანაბარგანზომილებიანი ბინარული სახეების რეალიზაციების ამოცნობის პრობლემა ნეირონული ქსელებით. კერძოდ, ნეირონული ქსელის მიერ სხვა რეალიზაციების ამოცნობისას დაშვებული შეცდომის გამოსწორების მეთოდისა და ალგორითმის ფორმირების პროცესების შემუშავება-პროგრამული მოდულის შექმნა. ჩვენი მიზანი იყო ამომცნობი პროგრამული მოდულის შექმნა, რომელიც უშეცდომოდ ამოიცნობს ნებისმიერი სახეს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება თანაბარგანზომილებიანი ბინარული ვექტორებით ან მატრიცებით.</p> <p>ასეთი რეალიზაციები მიიღება ქართული ანბანის სიმბოლოების, მათემატიკური ნიშნების, პიროვნების დადგენისას მისი ნაკვთების: თითების, სახის, თვალების ანალიზისა და სხვა. რომელიმე რეალიზაციის შეცდომით ამოცნობის შემთხვევაში, მისი წარდგენა ნეირონისადმი ხდება იმდენჯერ, სანამ წონითი კოეფიციენტების შეცვლით, შედეგად არ მივიღებთ სწორ ამოცნობას (შეცდომის გასწორებას), რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს ნეირონის ზღურბლის ცვლილება.</p> <p>აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად შემოთავაზებულია ნიშნების რანჟირების პრინციპი, რომლის მიხედვით ნიშნები (თვისებები) იყოფა ამოცნობის თვალსაზრისით „სასარგებლოდ“ და „უსარგებლოდ“. ნიშანი სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ სწორად ამოცნობის შემთხვევაში ნიშანი სტაბილურად იღებს ერთი და იგივე მნიშვნელობას, ჩვენს შემთხვევაში: 0 ან 1; თუ ნიშანი იღებს სხვადასხვა მნიშვნელობებს სწორად ამოცნობის შემთხვევაში, მაშინ ის არასტაბილურია ან „უსარგებლო“. დასახული პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ამომცნობი პროგრამული მოდულის შექმნა, რომელიც უშეცდომოდ ამოიცნობს ნებისმიერი სახეს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება თანაბარგანზომილებიანი ბინარული ვექტორებით ან მატრიცებით. ამ ეტაპზე აგებულია პროგრამული მოდული და მიმდინარეობს მისი მუშაობის ტესტირება და შედეგების გაუმჯობესების ალგორითმების შემუშავება.</p> |
|---|

გარდა ამისა, გამოსაქვეყნებლად მზადაა და ჩაშვებულია ბეჭდვაში შემდეგი შრომები:

- 1) Khurodze Ramaz, Elaborating Neuron and Neural Network Learning Process for Recognition Task, Scientific & Academic Publishing: American Journal of Intelligent Systems, pages 7.

Abstract: The work deals with the formal neuron and neural network training process through the realizations of a set of training sets. At the same time, the signs and the signs space used for the recognition process are evaluated. The signs space for all the types and realizations is of the same dimension and binary. The learning process is carried out by means of recognition procedures; this, in case of incorrect recognition, as much as possible, draws together the changes in neuron weighting coefficients as well as the threshold (structuring etalon descriptions) with the neural process of recognition. A set of realizations for the training clusters of each pattern is used for the training process. The training algorithm comprises two stages. The first stage represents structuring etalon

description of its own, the second – the correction of the received description in relation to other patterns of descriptions by using the same patterns of the training set’s realizations. The correction of the results received in the recognition process is carried out by means of changing the weighting coefficients through using the award algorithm (procedure). In case of the incorrect recognition of some realization, it is presented to the neuron until we get the correct recognition through coefficients changing (error correction of mistakes) which may require neuron threshold changing. This electronic document is a “live” template. The various components of your paper title, text, heads, etc.] are already defined on the style sheet, as illustrated by the portions given in this document.

- 2) ოთარ ვერულავა, მარიამ ჩხაიძე, მაკა ტაბატაძე, ნეირონისა და ნეირონული ქსელის სწავლების პროცესის შემუშავება ამოცნობის ამოცანისათვის

ანოტაცია

განიხილება ფორმალური ნეირონისა და ნეირონული ქსელის სწავლების პროცესი სახეთა სასწავლო ნაკრების რეალიზაციების გამოყენებით. ამასთან ხდება ამოცნობის პროცესისათვის გამოყენებული ნიშნების და მისგან შედგენილ ნიშანთა სივრცის შეფასება. ნიშანთა ცივრცე ყველა სახისათვის და ყველა რეალიზაციებისათვის თანაბარ განზომილებიანი და ბინარულია.

ნეირონების სწავლება ხორციელდება ამოცნობის პროცედურების გამოყენებით, რაც მაქსიმალურად აახლოებს ნეირონების წონით კოეფიციენტების და ზღურბლის ცვლილებებს არასწორი ამოცნობის შემთხვევაში (ეტალონური აღწერების აგება), ამოცნობის ნეირონულ პროცესთან.

სწავლების პროცესისათვის გამოიყენება თითოეული სახის სასწავლო ნაკრების რეალიზაციების სიმრავლე. სწავლების ალგორითმი შედგება ორი ეტაპისაგან. პირველი, საკუთარი სახის ეტალონური აღწერის აგება; მეორე, მიღებული აღწერის კორექტირება სხვა სახის აღწერებთან მიმართებაში იმავე სახეების სასწავლო ნაკრების რეალიზაციების გამოყენებით. ამოცნობის პროცედურებით მიღებული შედეგების გასწორება ხდება წონითი კოეფიციენტების შეცვლით, დაჯილდოების ალგორითმის (პროცედურის) გამოყენებით.

რომელიმე რეალიზაციის შეცდომით ამოცნობის შემთხვევაში მისი წარდგენა ნეირონისადმი ხდება იმდენჯერ, სანამ წონით კოეფიციენტების შეცვლით მივიღებთ სწორ ამოცნობას (შეცდომების გასწორებას), რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს ნეირონის ზღურბლის ცვლილებაც.

სახელმძღვანელოები:

- 1) რევაზ ჩოგოვაძე: ჰიბრიდული ინტელექტუალური სისტემები,

ანოტაცია: ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობის ყველა სფეროში იზრდება მონაცემთა ბაზების მოცულობები და მოთხოვნები გადაწყვეტილებების საიმედოობისა და სიზუსტისადმი, ყოველივე ეს ახალ პირობებს უყენებს მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის ინტელექტუალურ სისტემებს. საჭირო ხდება ავტონომიური მიდგომების ერთობლივი გამოყენება, ამ მეთოდების გარკვეული ჰიბრიდიზაცია, რათა მიღწეული იქნას გადაწყვეტილებების სიზუსტის გაზრდა თვითოეული მეთოდის ძლიერი მხარის ხარჯზე. ჰიბრიდული ინტელექტუალური

სისტემა გულისხმობს ისეთ სისტემას, სადაც ამოცანების გადაწყვეტისას გამოიყენება ადამიანის ინტელექტუალური მოღვაწეობის იმიტაციის ორი ან მეტი მეთოდი. ჰიბრიდული ინტელექტუალური სისტემა ანალიტიკური მოდელების, ექსპერტული სისტემების, ხელოვნური ნეირონული ქსელების, არამკაფიო სისტემების, გენეტიკური ალგორითმების და იმიტაციური სტატისტიკური მოდელების ერთობლიობაა. ჰიბრიდული ინტელექტუალური სისტემის შემუშავებისა და მოდერნიზაციის დროს ცენტრალური ამოცანაა მისი არქიტექტურის შერჩევა. ჰიბრიდული სისტემის არქიტექტურის ქვეშ, პირველ რიგში, იგულისხმება მისი მოდულების სახეობა (ნეირონული ქსელები, არამკაფიო სისტემები, გენეტიკური ალგორითმები, ექსპერტული სისტემები, ინტეგრატორები, ინტერფეისის მოდულები და სხვ.), სახელმძღვანელოში გადმოცემულია ჰიბრიდული ინტელექტუალური სისტემების ძირითადი ცნებები და განმარტებები: მათი კლასიფიკაცია; ჩამოყალიბებულია არსებული ამოცანები და მათი გადაწყვეტის მეთოდები, ასევე ჰიბრიდული ინტელექტუალური სისტემების მაგალითები.

2) მარიამ ჩხაიძე: უსაფრთხოების დაცვის ბიომეტრიული სისტემები;

**ანოტაცია:** დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების ფონზე უსაფრთხოების დაცვის საკითხებმა პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა. რაც, განსაკუთრებით შეინიშნება მაღალ განვითარებულ ქვეყნებში (ა.შ.შ, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.). თავისთავად უსაფრთხოების დაცვის პრობლემისადმი ინტერესის ზრდა მრავალმა ფაქტორმა გამოიწვია, მათგან გამოვეყოფთ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ზოგადად, დამნაშავეობასთან ბრძოლა კი გასცდა ერთი რომელიმე ქვეყნის შიდა სამოქმედო არეალს და საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. შეიცვალა უსაფრთხოების დარღვევის სამიზნეებიც, და მან ბრძოლის რომელიმე კონკრეტული ველიდან მსოფლიო პოლიტიკურ თუ კიბერ სივრცეში გადაინაცვლა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად აქტუალური ხდება ყველა ის დარგი, რომელიც უსაფრთხოების დაცვას ემსახურება. საინფორმაციო ტექნოლოგიების წინსვლა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, აქაც განვითარების მნიშვნელოვნად ხელშემწყობ ფაქტორად იქცა.

უსაფრთხოების დაცვის პრობლემებსა და ამოცანებს საინფორმაციო ტექნოლოგიებში ასევე აქტიურად განვითარებადი დარგი – ბიომეტრია წარმოგვიდგენს. ბიომეტრია შეისწავლის ადამიანის პერსონალური ფიზიკური მახასიათებლებისა და ქცევის ნიშნების გაზომვისა და ფორმალიზაციის მეთოდებსა და ხერხებს, აგრეთვე მათ გამოყენებას ადამიანის იდენტიფიკაციისა ან ვერიფიკაციისათვის. ამ მიზნით ადამიანის ბიომეტრიული მახასიათებლების ჩამოყალიბების და გამოყენების მეთოდებს ბიომეტრიული ტექნოლოგიები ეწოდება. ბიომეტრიული სისტემა – ავტომატური ამომცნობი სისტემაა, რომელიც ამოიცნობს ადამიანს მისი სპეციფიური ბიოლოგიური და/ან ქცევითი მახასიათებლების მეშვეობით.

ნაშრომში გადმოცემულია ბიომეტრიის ძირითადი ცნებები და განმარტებები, ჩამოყალიბებულია ბიომეტრიის დარგის განვითარების ისტორია, ძირითადი

მეთოდები და მათი კლასიფიკაცია, დაწვრილებითაა აღწერილი ყოველი მეთოდის მუშაობის პრინციპები და მოყვანილია შესაბამისი კონკრეტული მაგალითები.

- 3) ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მზადდება კონფერენცია თემაზე: 'ქართული ენა და ხელოვნური ინტელექტი'. (ორგანიზატორები: კონსტანტინე ფხაკაძე და მარიამ ჩხაიძე);

**მიკროპროცესორული და საზომი სისტემების დეპარტამენტი**

დეპარტამენტის უფროსი: სრ.პროფესორი ზაალ აზმაიფარაშვილი

მიკროპროცესორული და საზომი სისტემების №813 დეპარტამენტის შემადგენლობა:

|    |                        |        |
|----|------------------------|--------|
| 1  | აზმაიფარაშვილი ზაალი   | სრ.პრ. |
| 2  | ჩხეიძე ირინა           | სრ.პრ. |
| 3  | ფადიურაშვილი ვლადიმერი | სრ.პრ. |
| 4  | ხარატიშვილი ლიანა      | სრ.პრ. |
| 5  | წულუკიძე მზია          | სრ.პრ. |
| 6  | ოთხოზორია ნონა         | სრ.პრ. |
| 7  | მურჯიკენელი გურამ      | სრ.პრ. |
| 8  | ოთხოზორია ვანო         | ასოც.  |
| 9  | ჟვანია რევაზ           | ასოც.  |
| 10 | ერემეიშვილი ნაზიბროლა  | ასოც.  |
| 11 | გარსევანიშვილი იზოლდა  | ასოც.  |
| 12 | ბაღიაშვილი მედეა       | ასოც.  |
| 13 | ცერცვაძე რამაზ         | ასოც.  |
| 14 | კობახიძე გიორგი        | ასოც.  |
| 15 | ტოკაძე ლალი            | ასისტ  |



|    |                      |                   |
|----|----------------------|-------------------|
| 16 | ტომარაძე ომარი       | ასისტ             |
| 17 | მენაბდე თამარ        | ასისტ             |
| 18 | აბელაშვილი ნოდარ     | სრ.პრ.            |
| 19 | მანაგაძე ანა         | სრ.პრ.            |
| 20 | მეცხვარიშვილი იოსები | ასოც.პრ.          |
| 21 | ისაკაძე მანანა       | უფრ. მასწავლებელი |
| 22 | მელიქიძე ოლღა        | უფრ. მასწავლებელი |
| 23 | ფოლადაშვილი მერაბ    | უფრ. მასწავლებელი |
| 24 | ნარჩემაშვილი მედეა   | უფრ. მასწავლებელი |
| 25 | ინაიშვილი იზოლდა     | უფრ. მასწავლებელი |
| 26 | გუგუნაშვილი ნუგ ზარ  | უფრ. მასწავლებელი |
| 27 | შალამბერიძე ირინა    | უფრ. მასწავლებელი |
| 28 | კოლომიკოვი სოფო      | უფრ. მასწავლებელი |
| 7 | სიმრავლეებისა და ფუნქციების ზომადობის ცნების ზოგიერთი მოდიფიკაცია და მათი გამოყენებები<br><b>გრანტი 31-25.</b><br>საანგარიშო პერიოდი<br>15.10.2013---15.04.2014 | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | გოგი ფანცულაია        | გოგი ფანცულაია, ალექსანდრე ხარაზიშვილი, ალექსი კირთაძე, მარიამ ბერიაშვილი |

ა) ნამდვილ რიცხვთა ყველა მიმდევრობების სივრცეში აგებულია სიგმა-სასრულო, მეტრიკული ტრანზიტულობის თვისების (ერგოდული) მქონე, ყველგან მკვრივი ქვესივრცის მიმართ ინვარიანტული, ბორელის ზომის მიმართ მასიური სიმრავლეთა ოჯახი. ასეთი სიმრავლეების ხარჯზე აგებულია მითითებული ზომის არასეპარაბელური გაგრძელება, რომლის გასრულებაც ფლობს ერთადერთობის თვისებას.

ბ) შემოტანილია არანულოვანი სიგმა-სასრულო ბორელის დიფუზიური  $\mu$  ზომით აღჭურვილ მეტრიკულ სივრცეზე ნამდვილ-მნიშვნელობიან ფუნქციათა ზოგიერთი კლასის ცნება და შესწავლილია მათ შორის ურთიერთმიმართება ჩართვის თვალსაზრისით. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ როცა მეტრიკული სივრცე  $V$  წარმოადგენს პოლონურ სივრცეს, მაშინ  $\mu$ -მასიურობის თვისება  $V$ -ზე განსაზღვრული უწყვეტი ფუნქციების ტრაექტორიების გასწვრივ ექვივალენტურია  $\mu$ -მასიურობის თვისების  $V$ -ზე განსაზღვრული ზომადი ფუნქციების ტრაექტორიების გასწვრივ.

გ) დახასიათებულია ყველა ის კომპუტაციური ჯგუფი, რომლისთვისაც არსებობს აბსოლუტურად არაზომადი ჰომომორფიზმი ნამდვილ რიცხვთა ადიტიურ ჯგუფში (ან ერთეულოვან ტორში). ეს დახასიათება ემყარება კომპუტაციური ჯგუფის პერიოდული ნაწილის სტრუქტურის აღწერას. გამოკვლეულია არათვლადი კომპუტაციური ჯგუფების ისეთი ჰომომორფიზმები, რომლებსაც აქვთ პათოლოგიური დესკრიფციული სტრუქტურა. დადგენილია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ასეთი ჰომომორფიზმების წარმოშობა განპირობებულია აბსოლუტურად ნულზომადი არათვლადი კომპუტაციური ჯგუფების არსებობით.

დ) განხილულია ზომის თეორიისა და ნამდვილი ანალიზის ზოგიერთი აქტუალური საკითხი და ღია პრობლემა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ზომის გაგრძელების ზოგად ამოცანასთან. ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ ამოცანას აქვს მრავალი ასპექტი, კერძოდ, წმინდა სიმრავლურ-თეორიული, ალგებრული და ტოპოლოგიური. შესწავლილია დასმული პრობლემების კავშირები თანამედროვე სიმრავლეთა თეორიის დამატებით აქსიომებთან (კონტინუუმის ჰიპოთეზასთან, განზოგადებულ კონტინუუმის ჰიპოთეზასთან, მარტინის აქსიომასთან, დიდი კარდინალური რიცხვების არსებობის აქსიომებთან).

№ 8

| № | პროექტის დასახელება   | დამფინანსებელი ორგანიზაცია                | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები   |
|---|---|---|-----------------------|--|
| 8 | ფურიეს კოეფიციენტები და კრებადობის საკითხები<br><b>ხელშეკრულების ნომერი №FR/223/5-100/13.</b><br>(31 მარტი, 2014 – 31 მარტი, 2016 წწ) | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | ლერიგოგოლაძე          | ლერიგოგოლაძე<br>ვახტანგ ცაგარეიშვილი<br>ომარ ძაგნიძე<br>დუგლას უგულავა |

2014 წელს გრანტის თემასთან დაკავშირებით სწემს მიერ შესწავლილია ორი შემდეგი საკითხი:

ა) ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე განსაზღვრულ პარისის ზომით ინტეგრებად ფუნქციითა ფურიეს ინტეგრალების სპეციალურისა შუალოების წერტილოვანი კრებადობა. მიღებული შედეგები ილუსტრირებულია მაგალითებით. შედეგები მოხსენებულია ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის სემინარის გაფართოებულ სხდომებზე. ქვეყნდება სტატია სემინარის მოხსენებათა კრებულში.

ბ) ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე თითქმის პერიოდულ ფუნქციითა ფურიეს მწკრივების შეჯამებადობა. მიღებული შედეგები ანზოგადებენ პერიოდულ ფუნქციითათვის ფურიეს მწკრივთა შეჯამებადობ ცნობილ კლასიკურ შედეგებს ლოკალურად კომპაქტური აბელის ჯგუფებისათვის. შედეგები მოხსენებულია საქართველოს მათემატიკოსთა მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე. გამზადებულია სტატია დასაბუჭდად.

№ 9

| №  | პროექტის დასახელება  | დამფინანსებელი ორგანიზაცია  | პროექტის ხელმძღვანელი   | პროექტის შემსრულებლები   |
|--|--|---|---|--|
| 9  | მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა (CNRS / SRNSF2013, 04/26,2014-2016) | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი | თ. ჯანგველაძე (საქართველოს მხრიდან)<br>ფ. ჰექტი (საფრანგეთის მხრიდან) | საქართველოს მხრიდან:<br>თ. ჯანგველაძე<br>ზ. კილურაძე<br>საფრანგეთის მხრიდან:<br>ფ. ჰექტი<br>ო. პირონაუ<br>ი. დანაილა |
| დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)  |  |   |   |  |
| განხილულია დიფუზიური პროცესების აღმწერი არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრო-დიფერენციალური მოდელისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების თვისობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები. ინტეგრო-დიფერენციალური სისტემებისთვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობა, ერთადერთობა და ასიმპტოტური ყოფაქცევა, როცა $t \rightarrow \infty$ . აგებული და გამოკვლეულია ნახევრად-დისკრეტული და დისკრეტული სქემები. დამტკიცებულია ალგორითმების კრებადობის თეორემები. აგებულ ალგორითმებზე დაყრდნობით შექმნილია პროგრამული პაკეტები. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტები და მათი ანალიზი. შესწავლილია როგორც ერთგანზომილებიანი ასევე ორგანზომილებიანი შემთხვევები. განხილულია ადრე შესწავლილზე ფართო კლასის არაწრფივობები. |  |   |   |  |

№ 10

| №   | პროექტის დასახელება   | დამფინანსებელი ორგანიზაცია                | პროექტის ხელმძღვანელი  | პროექტის შემსრულებლები  |
|---|---|---|--|---|
| 10  | შეზღუდვებიანი ლოგიკური პროგრამირება ურანგო თერმებზე და მათ მიმდევრობებზე აღწერის ოპერატორებით (DI/16/4-120/11, 2012-2015) | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | თ.კუცია (იოჰან კეპლერის უნივერსიტეტი, ლინცი, ავსტრია), თ.ჯანგველაძე (საქართველო ს მხრიდან) | თ. კუცია<br>თ. ჯანგველაძე<br>ხ. რუსაია<br>ლ. ტიბუა<br>გ. ჭანკვეტაძე<br>ბ. დუნდუა<br>გ. მიქანაძე<br>ს. ფხაკაძე |
| დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)   |   |   |  |   |
| ჩამოყალიბებულია შეზღუდვების გადაწყვეტადობის და ამოხსნის პროცედურა ურანგო ტერმებისთვის და მათი მიმდევრობებისთვის, აღწერის ოპერატორების გარეშე. დამტკიცებულია პროცედურის გაჩერების, კორექტულობის და სისრულის თეორემები. |   |   |  |   |

№ 11

| №  | პროექტის დასახელება  | დამფინანსებელი ორგანიზაცია     | პროექტის ხელმძღვანელი                                  | პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტები   |
|----|--|--------------------------------|--|---|
| 11 | მათემატიკის პროგრამების მოდერნიზაცია საინჟინრო და საბუნებისმეტყველო სპეციალობებისათვის: 543868-TEMPUS-1-2013-1-DE-TEMPUS -JPCR, MathGeAr 1.12.2013 - 1.12.2016 | ევროკავშირის (ტემპუსის) გრანტი | სერგეი სოსნოვსკი (საარბრუკენის უნივერსიტეტი, გერმანია) | ლიონის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ტამპერეს უნივერსიტეტი (ფინეთი);<br><br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი): (დავით ნატროშვილი - პროექტის საკოორდინაციო ბორდის წევრი, საქართველოს ჯგუფის ხელმძღვანელი; შოთა ზაზაშვილი); |



|   |  |  |   |
|---|--|--|---|
|   |  |  | საქართველოს<br>უნივერსიტეტი,<br>ქუთაისის<br>უნივერსიტეტი,<br>ბათუმის<br>უნივერსიტეტი,<br>ერევნის საინჟინრო<br>უნივერსიტეტი. |
| დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)   |  |  |   |
| მუშავდება მათემატიკის სილაბუსების მოდერნიზებული ვერსიები საინჟინრო და საბუნებისმეტყველო სპეციალობების პროგრამებისათვის. |  |  |   |

პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

| №  | ავტორი/ავტორები   | სახელმძღვანელოს<br>სახელწოდება                        | გამოცემის ადგილი,<br>გამომცემლობა   | გვერდების<br>რაოდენობა |
|--|---|---|---|------------------------|
| 1  | თ. შერვაშიძე,<br>ზ. ქვათაძე,<br>ა. კირთაძე,<br>გ. ფანცულაია | მათემატიკური<br>სტატისტიკა ბიზნესსა<br>და ეკონომიკაში | ინფორმატიკისა და<br>მართვის სისტემების<br>ფაკულტეტის<br>ელექტრონული<br>სახელმძღვანელო | 246                    |
| ანოტაცია   |   |   |   |                        |
| გადმოცემულია მათემატიკური სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის ძირითადი პრინციპები და მოყვანილია მათი გამოყენებები ბიზნესსა და ეკონომიკაში  |   |   |   |                        |
| 2  | ლ. ბერიძე,<br>რ. გოგიბერიძე,<br>ნ. კაჭახიძე                 | Matlab-ი<br>სტუდენტებისათვის                          | ქ. თბილისი,<br>საგამომცემლო სახლი<br>„ტექნიკური<br>უნივერსიტეტი                       | 274                    |
| განხილულია გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე ეფექტური პროგრამული სისტემა Matlab-ი (matrix laboratory), როგორც მოდელირების მძლავრი სისტემა.<br>`Matlab-ი სტუდენტებისათვის` განკუთვნილია ყველა სპეციალობის იმ სტუდენტებისათვის, რომელთა პროგრამაშიც შედის Matlab-ი. იგი გამოადგებათ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებსაც სხვადასხვა ამოცანების ამოსახსნელად ესაჭიროებათ მათემატიკური გამოთვლების ჩატარება, გრაფიკა და ა. შ. ასევე სხვა დაინტერესებულ |   |   |   |                        |

|  |   |  |   |     |
|--|---|--|---|-----|
| პირებს.<br>ყველა პარაგრაფი შედგება საჭირო საცნობარო მასალისაგან, ამოხსნილი ამოცანებისა და მრავალრიცხოვანი სავარჯიშო მაგალითებისაგან. |   |  |   |     |
| 3  | დ. ნატროშვილი,<br>გ. ბერიკელაშვილი,<br>გ. სამსონაძე | წრფივი ალგებრისა<br>და დისკრეტული<br>მათემატიკის<br>ელემენტები | თბილისი 2014<br>„ტექნიკური<br>უნივერსიტეტი“ | 404 |
| ანოტაცია   |   |  |   |     |
| ტრადიციულ მასალასთან ერთად განხილულია საკითხები გამოყენებითი ალგებრის<br>სხვადასხვა დარგიდან.  |   |  |   |     |

სტატიები

| №   | ავტორი/<br>ავტორები                  | სტატიის სათა-<br>ური, ჟურნა-<br>ლის/კრებულის<br>დასახელება  | ჟურნალის/<br>კრებულის<br>ნომერი               | გამომცემის ადგილი,<br>გამომცემლობა  | გვერდების<br>რაოდენობა |
|---|--------------------------------------|---|---|---|------------------------|
| 1.  | S.Kharibegashvili,<br><br>O.Jokhadze | Boundary<br>value problem<br>for a wave<br>equation with<br>power<br>nonlinearity in<br>the angular<br>domains.<br><i>Proc. A.<br/>Razmadze<br/>Math. Inst.</i> | Volume 164                                    | ივანე<br>ჯავახიშვილის<br>სახელობის<br>თბილისის<br>სახელმწიფო<br>უნივერსიტეტის<br>გამომცემლობა,<br>თბილისი | 116-120<br><br>(5)     |
| ანოტაციები  |                                      |   |   |   |                        |
| კუთხოვან არეში არაწრფივი ტალღის განტოლებისათვის გამოკვლეულია ერთი<br>სასაზვრო ამოცანა ღირიხლეს და პუანკარეს პირობებით არამახასიათებელ მზიდებზე.<br>განხილულია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის<br>საკითხები. შესწავლილია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა და ფეთქებადი<br>ამონახსნის არსებობა. |                                      |   |   |   |                        |
| 2   | V. Kokilashvili,<br>A. Meskhi        | Some<br>fundamental<br>inequalities for   | Proceedings of A.<br>Razmadze<br>Mathematical | თბილისი,<br><br>ოსუს  | 12                     |

|   |                                       |  |  |                             |   |
|---|---------------------------------------|--|--|-----------------------------|---|
|   |                                       | tri-gonometric poly-nomials and imbeddings of grand Besov spaces | Institute, 165   | გამომცემლობა                |   |
| ანოტაცია  |                                       |  |  |                             |   |
| დადგენილია ბერნშტეინისა და ზიგმუნდის, ასევე ნიკოლსკის ტიპის უტოლობები გრანდლებების სივრცეებში. მიღებულია სივრცის მეორე პარამეტრის მნიშვნელობები აღნიშნული უტოლობების მართებულობისათვის.   |                                       |  |  |                             |   |
| 3   | V.Kokilashvili, A.Meskhi M.A. Zaighum | On sharp weighted bounds for one-sided operators norms           | Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, 164 | თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა | 9 |
| ანოტაცია  |                                       |  |  |                             |   |
| მიღებულია დაზუსტებული მუდმივები ერთწონიან უტოლობებში ცალმხრივი ინტეგრალური ოპერატორებისათვის მაკეჰაუპტის მახასიათებლის ტერმინებში. შედეგები მოიცავს დაზუსტებულ შეფასებებს როგორც ცალმხრივი ჰარდი-ლიტლვუდისა და წილადური მაქსიმალური ოპერატორებისათვის ასევე ცავლმხრივი რინამ-ლიუვილისა და ვეილის გარდაქმნებისათვის. |                                       |  |  |                             |   |

|  |                                      |   |     |                             |       |
|--|--------------------------------------|---|-----|-----------------------------|-------|
| 4  | Sh. Tetunashvili and T. Tetunashvili | On coefficients of series with respect to the Rademacher system, <i>Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute</i>           | 165 | თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა | 5 გვ. |
| ანოტაცია   |                                      |   |     |                             |       |
| დადგენილია, რომ $\frac{1}{2}$ -ზე მეტი ზომის ნებისმიერი სიმრავლე შეიცავს თვლად ქვესიმრავლეს, რომელზედაც რადემახერის მწკრივის კრებადობის პირობებში შესაძლებელია ამ მწკრივის კოეფიციენტების აღდგენა. ამრიგად დადგენილია ისეთი თვლადი ქვესიმრავლის არსებობა, რომელზეც კრებადობა უზრუნველყოფს რადემახერის მწკრივის ერთადერთობას. |                                      |   |     |                             |       |
| 5  | Sh. Tetunashvili and T. Tetunashvili | On divergent orthogonal series by the methods of summation with a variable exponent, <i>Proceedings of A. Razmadze Mathematical</i> | 165 | თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა | 8 გვ. |

|   |                                   |   |  |                                       |   |
|---|-----------------------------------|---|--|---------------------------------------|---|
|   |                                   | <i>Institute</i>  |  |                                       |   |
| ანოტაცია  |                                   |   |  |                                       |   |
| შემოტანილია ცვლადმჩვენებლიანი შეჯამებადობის რამდენიმე ახალი მეთოდი. ამ მეთოდებისათვის დამტკიცებულია თეორემები ორთოგონალური მწკრივების განშლადობის შესახებ, რითაც განზოგადებულია მენშოვის სათანადო დებულება ორთოგონალური მწკრივების კერძო ჯამების განშლადობის შესახებ.   |                                   |   |  |                                       |   |
| 6   | G.Pantsulaia,<br>M.Kintsurashvili | An effective construction of the strong objective infinite-sample well-founded estimate                               | <i>Proc. A. Razmadze Math. Ins. 166 (2014), 113–119</i>                                      | თბილისი,<br><br>თსუ-ს<br>გამომცემლობა | 7 |
| ანოტაცია  |                                   |   |  |                                       |   |
| წრფივ ერთ-განზომილებიან სტოქასტურ მოდელში მოცემულია სასარგებლო სიგნალის ძლიერად ობიექტური უსასრულო-შერჩევითი ძალდებული შეფასების აგების ეფექტური კონსტრუქცია.   |                                   |   |  |                                       |   |
| 7   | G.Pantsulaia,<br>M.Kintsurashvili | An objective infinite sample well-founded estimates of a useful signal in the linear one-dimensional stochastic model | <i>Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I.Vekua Inst. Appl. Math. Vol.64(2014)</i> | თბილისი,<br><br>თსუ-ს<br>გამომცემლობა | 9 |
| ანოტაცია  |                                   |   |  |                                       |   |
| ვთქვათ, $\mathbf{F}$ არის $\mathbf{R}$ ღერძზე განსაზღვრულ მკაცრად ზრდადი უწყვეტი განაწილების ფუნქცია და $\mu$ არის $\mathbf{F}$ ფუნქციით განსაზღვრული ბორელის ალბათური ზომა $\mathbf{R}$ ღერძზე. ვთქვათ, ყოველი $\theta \in \Theta := \mathbf{R}$ პარამეტრისათვის, $\mathbf{F}_\theta(\mathbf{x}) = \mathbf{F}(\mathbf{x} + \theta)(\mathbf{x} \in \mathbf{R})$ . მაშინ ძვრა-ზომათა $\mathbf{N}$ - ხარისხების $(\mu_\theta^{\mathbf{N}})_{\theta \in \mathbf{R}}$ ოჯახისათვის შეფასებები $\overline{\lim} \tilde{\mathbf{T}}_n = \inf_n \sup_{m \geq n} \tilde{\mathbf{T}}_m$ და $\underline{\lim} \tilde{\mathbf{T}}_n = \sup_n \inf_{m \geq n} \tilde{\mathbf{T}}_m$ , სადაც $\mathbf{T}_n : \mathbf{R}^n \rightarrow \mathbf{R}$ ( $n \in \mathbf{N}$ ) არის ასახვა განსაზღვრული პირობით |                                   |   |  |                                       |   |
| $T_n(x_1, \dots, x_n) = -F^{-1}\left(\frac{\#\{(-\infty, 0] \cap \{x_1, \dots, x_n\}\}}{n}\right)$  |                                   |   |  |                                       |   |
| $(\mathbf{x}_k)_{1 \leq k \leq n} \in \mathbf{R}^n$ ელემენტისათვის, წარმოადგენს $\theta$ პარამეტრის ობიექტურ უსასრულო   |                                   |   |  |                                       |   |

| შერჩევით ძალღებულ შეფასებას $(\mu_{\theta}^N)_{\theta \in \mathbb{R}}$ ოჯახისათვის.   |                     |  |  |                                   |                        |
|---|---------------------|--|--|-----------------------------------|------------------------|
| №   | ავტორი/<br>ავტორები | სტატიის სათა-<br>ური, ჟურნა-<br>ლის/კრებულის<br>დასახელება   | ჟურნალის/<br>კრებულის<br>ნომერი                    | გამოცემის ადგილი,<br>გამომცემლობა | გვერდების<br>რაოდენობა |
| 8   | ვ. პაატაშვილი       | The Riemann problem and linear singular integral equation with measurable coefficients in Lebesgue type spaces with a variable Exponent. | Mem. Differential Equations Math. Phys.<br>ტომი 61 | თბილისი,<br>თსუ-ს<br>გამომცემლობა | 43                     |
| ანოტაცია  |                     |  |  |                                   |                        |
| განხილულია რიმანის სასაზღვრო ამოცანა ზომადი კოეფიციენტით იმ ფუნქციათა კლასში რომელთა სიმკვრივე ეკუთვნის ლებეგის ცვლად მაჩვენებლიან სივრცეს და მახასიათებელი სინგულარული განტოლება ასეთივე სივრცეში. შემოღებულია ზომად ფუნქციათა ისეთი კლასი, რომელიც არის სიმონენკოს ცნობილი კლასის განზოგადება და მისადაგებულია ცვლადმაჩვენებლიან შემთხვევასთან. დადგენილია ამოხსნადობის პირობები, აგებულია ამონახსნები. |                     |  |  |                                   |                        |
| 9   | ვ. პაატაშვილი       | The Riemann-Hilbert problem in Smirnov class with a variable exponent and an arbitrary Power weight.                                     | Proc.A.Razmadze Math .Inst.<br>ტომი 165            | თბილისი,<br>თსუ-ს<br>გამომცემლობა | 17                     |
| ანოტაცია  |                     |  |  |                                   |                        |
| შესწავლილია რიმან-ჰილბერტის ამოცანა ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის წონიან კლასში ისეთი არისათვის, რომლის საზღვარს აქვს კუთხური წერტილი, ხოლო წონა არის ამ წერტილის მიმართ ხარისხოვანი ფუნქცია ნებისმიერი ნამდვილი მაჩვენებლით.   |                     |  |  |                                   |                        |
| 10  | ვ. პაატაშვილი       | The Noetherity criteria of the Riemann-Hilbert problem for variable exponent Smirnov classes in  | Proc.A.Razmadze Math .Inst.<br>ტომი 164            | თბილისი,<br>თსუ-ს<br>გამომცემლობა | 7                      |

|   |   |   |                          |  |       |
|---|---|---|--------------------------|--|-------|
|   |   | domains with piecewise smooth boundaries.   |                          |  |       |
| ანოტაცია  |   |   |                          |  |       |
| <p>უბან-უბან გლუვი წირით შემოსაზღვრულ არეში რიმან-ჰილბერტის ამოცანა ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასში ტოლფასია კომის სინგულარული ინტეგრალური განტოლებისა ლებეგის სივრცეში, ნაჩვენებია, რომ თუ წირს აქვს გარეუკუქცევის წერტილი ან ისეთი კუთხური წერტილი, რომელშიაც სივრცის მაჩვენებელი ფუნქციის მნიშვნელობის შეფარდება კუთხის სიდიდესთან უდრის პის, მაშინ განტოლება არ არის ნორმალურად ამოხსნადი და მაშასადამე არაფრედჰოლმურია.</p>   |   |   |                          |  |       |
| 11  | Ю. Бежуашвили                               | О разрешимости третьей и четвертой основных трехмерных динамических гранично-контактных задач гемитропной теорий упругости.<br><br>საქართველოს საინჟინრო სიახლენი | NO.2.VOL.70, 2014, 11-15 | Georgian Federacion for Informacion and Documentacion (GFID), NGO Georgian Engineering News (GEN) LTD Tbilisi 0179, Kostava 47 | 5     |
| ანოტაცია  |   |   |                          |  |       |
| <p>განხილულია მესამე და მეოთხე ძირითადი დინამიკური სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები სამგანზომილებიანი ჰემიტროპული დრეკადი სხეულებისათვის, ამოცანები ამოხსნილია ფურიეს მეთოდის გამოყენებით.</p>  |   |   |                          |  |       |
| 12  | N. Danelia, V. Kokilashvili and Ts. Tsanava | Some approximation results in subspace of weighted grand Lebesgue spaces, <i>Proc. A. Razmadze Math. Inst.</i>  | 164                      | თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა  | 5 გვ. |
| ანოტაცია  |   |   |                          |  |       |
| <p>აპროქსიმაციის თვალსაზრისით განხილულია გრანდ ლებეგის წონიანი სივრცის ის ქვესივრცე, რომელიც წარმოადგენს ლებეგის წონიანი სივრცის ჩაკეტვას მასში. ქვესივრცის განხილვა განპირობებულია იმით, რომ თვით წონიანი გრანდ ლებეგის სივრცე არ არის სეპარაბელური, გლუვი ფუნქციების ჩაკეტვა ამ სივრცეში არ ემთხვევა თვით გრანდ ლებეგის წონიან სივრცეს. დადგენილია ფუნქციათა კონსტრუქციული თეორიის პირდაპირი და შებრუნებული თეორემები ზემოაღნიშნული ქვესივრცის ფუნქციების ტრიგონომეტრიული პოლინომებით მიახლოების შესახებ.</p> |   |   |                          |  |       |
| 13  | N. Danelia,                                 | Two weight uniform boundedness  | 165                      | თბილისი,   | 5 გვ. |

|  |                                 |   |                    |   |   |
|--|---------------------------------|---|--------------------|---|---|
|  | V. Kokilashvili and Ts. Tsanava | criteria for the Cesàro means with variable order, <i>Proc. A. Razmadze Math. Inst.</i>             |                    | ოსუ-ს გამომცემლობა                                      |   |
| ანოტაცია   |                                 |   |                    |   |   |
| შესწავლილია ცვლადი რიგის ჩეზაროს საშუალოების მაჟორანტების შემოსაზღვრულობის საკითხი ლებეგის სივრცეებში ორწონიანი დასმით. დადგენილია აღნიშნული მაჟორანტების ლებეგის ერთი წონიანი სივრციდან მეორე წონიანი სივრცეში შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. |                                 |   |                    |   |   |
| 14   | დ.უგულავა                       | On the convergence of Fourier integral means of functions defined on locally compact Abelian groups | 2014<br>(იბეჭდება) | ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის სემინარის მოხსენებები | 6 |
| მოსხენებაში შესწავლილია ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე განსაზღვრულ ჰაარის ზომით ინტეგრებად ფუნქციათა ფურიეს ინტეგრალების სპეციალური საშუალოების წერტილოვანი კრებადობა. შედეგები ილუსტრირებულია მაგალითებით.   |                                 |   |                    |   |   |

|          |                               |  |       |   |   |
|----------|-------------------------------|--|-------|---|---|
| 15       | T.Jangveladze, M.Kratsashvili | Asymptotic Behavior of Solution and Semi-discrete Difference Scheme for one Nonlinear Integro-Differential Equation with Source Term. Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics | V. 28 | საქართველო, ოსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი | 4 |
| ანოტაცია |                               |  |       |   |   |

განიხილება წყაროს წევრიანი ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია მაქსველის ცნობილ მოდელზე. გამოკვლეულია, როგორც საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას, ასევე ნახევრად-დისკრეტული სხვაობიანი სქემა.

|    |   |   |          |   |   |
|----|---|---|----------|---|---|
| 16 | T. Jangveladze, Z. Kiguradze, A. Kratsashvili | Large Time Behavior of Solution and Semi-Discrete Scheme for One Nonlinear Integro-Differential Equation with Source Terms. Applied Mathematics, Informatics, and Mechanics | V.19, N2 | საქართველო, თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი | 9 |
|----|---|---|----------|---|---|

ანოტაცია

განიხილება წყაროს წევრიანი ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება. აღნიშნული მოდელი წარმოიშობა გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესს აღწერისას. გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ყოფაქცევა როცა  $t \rightarrow \infty$ . შესწავლილია შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული სხვაობიანი სქემაც.

|    |               |   |               |  |   |
|----|---------------|---|---------------|--|---|
| 17 | T.Jangveladze | Some Properties of Solutions and Approximate Algorithms for One System of Nonlinear Partial Differential Equations. Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations | QUALITDE-2014 | საქართველო, თსუ ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი | 4 |
|----|---------------|---|---------------|--|---|

ანოტაცია

განიხილება ერთი არაწრფივი მოდელი, რომელიც დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე. გამოკვლეულია სხვადასხვა სახის საწყის-სასაზღვრო ამოცანები. ნაჩვენებია, რომ საზოგადოდ ამოცანას არ გააჩნია გლობალური ამონახსნი. განხილულია ფიზიკური პროცესების მიმართ გახლეჩის



|  |  |   |   |   |   |
|--|--|---|---|---|---|
| დეკომპოზიციური ალგორითმები. დამტკიცებულია კრებადობის თეორემები კრებადობის რიგების მითითებით. ჩატარებულია რიცხვითი ესპერიმენტები.   |  |   |   |   |   |
| 18   | J.Peradze                              | An approximate method for the plate under symmetric load  | Proc. I.Vekua Inst. Appl.Math., Tbilisi State Univ., v.64, 2014 | I.Vekua Inst. Appl.Math., Tbilisi State Univ. | 8 |
| ანოტაცია   |  |   |   |   |   |
| სტატიაში განხილულია ტიმოშენკოს არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა სიმეტრიული ფორფიტისათვის. გრინის ფუნქციის გამოყენებით მოცემული სისტემიდან გამოყოფილია არაწრფივი ინტეგრალური განტოლება განივი გადაადგილების $w$ ფუნქციის მიმართ, რომლის ამოსახსნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და იაკობის იტერაცია. შეფასებულია იტერაციული პროცესის ცდომილება. |  |   |   |   |   |
| 19   | T.Davitashvili, J.Peradze, Z.Tsiklauri | An iteration method of solution of a nonlinear equation of a static beam  | AMIM, I.Vekua Inst. Appl.Math. TSU, 19, 1, 2014                 | I.Vekua Inst. Appl.Math., Tbilisi State Univ. | 8 |
| ანოტაცია   |  |   |   |   |   |
| ნაშრომში განხილულია სასახლერო ამოცანა ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს კირპოფის ძელის სტატიკურ მდგომარეობას. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი, შესწავლილია მისი კრებადობის პირობები, შეფასებულია კრებადობის სიჩქარე.  |  |   |   |   |   |
| 20   | M. Beriashvili, A. Kirtadze            | <i>On relative measurability of real-valued functions with respect to some measures in space <math>R^N</math></i> | Proc. A. Razmadze Math. Inst. 164, 2                            | A. Razmadze Mathematical Institute            | 3 |
| ანოტაცია   |  |   |   |   |   |
| ნაჩვენებია, რომ ყველა ნამდვილ რიცხვთა მიმდევრობების $R^N$ სივრცეში არსებობს ნამრავლი ზომის მიმართ მასიური ფუნქციის გრაფიკი. ეს ფაქტი კი განაპირობებს ამავე სივრცეში დიფუზური ბორელის ზომის გაგრძელებათა კლასის მიმართ ფარდობითად ზომადი ფუნქციის არსებობას.  |  |   |   |   |   |

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

| № | ავტორი/ავტორები | მონოგრაფიის სათაური   | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა   | გვერდების რაოდენობა |
|---|-----------------|---|--|---------------------|
| 1 | G.Pantsulaia    | <i>Selected topics of invariant measures in Polish groups</i> | Nova Science Publishers, Inc., New York( 2014), XI+210 p. ISSN 978-1-62948-831-8 | 210                 |

ანოტაცია

აღნიშნულ მონოგრაფიაში წარმოდგენილია პოლონურ ჯგუფებზე განსაზღვრული კვაზი-ფინიტური დიფუზიური ბორელის ზომების ზოგიერთი ახალი გამოყენება ცნობილი მათემატიკოსების (მაგალითად, ქარმიქაელი, ერდოში, ფრემლინი, დარჯი და სხვა) მიერ დასმული ამოცანების ამოსახსნელად. უსასრულო-განზომილებიან ფუნქციათა სივრცეების ტიხონოვის ტოპოლოგიით აღჭურვილ ნამდვილ-მნიშვნელობებიან მიმდევრობათა სივრცეში ჩადგმის გამოყენებით შემუშავებულია ახალი მიდგომა სხვადასხვა ძვრების მიმართ ინვარიანტული დიფუზიური ბორელის ზომების ასაგებად და მათ გამოსაყენებლად სხვადასხვა კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების ამოსახსნელად.

სტატიები

| №  | ავტორი/ავტორები                | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება              | ჟურნალის/კრებულის ნომერი   | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|----|--------------------------------|--|--|--------------------------------|---------------------|
| 1* | G. Chkadua,<br>D. Natroshvili, | Interaction of Acoustic Waves and Piezoelectric Structures | Mathematical Methods in the Applied Sciences, DOI: 10.1002/mma.3210, 2014. | Wiley-Blackwell                | 22                  |

ანოტაცია

გამოკვლეულია ფსევდორხევისა და მდგრადი რხევის შესაბამისი საკონტაქტო ამოცანები, რომლებიც წარმოიშობა აკუსტიკური ველის პიეზოელექტრულ სტრუქტურასთან ურთიერთქმედებისას. დამტკიცებულია არსებობისა და ერთადერთობის თეორემები პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით.

|    |  |  |                                |            |    |
|----|--|--|--------------------------------|------------|----|
| 2* | A.Gachechiladze,<br>R.Gachechiladze,<br>D. Natroshvili | Dynamical contact problems with friction for | Georgian Mathematical Journal, | DE GRUYTER | 21 |
|----|--|--|--------------------------------|------------|----|

|   |               |   |  |          |    |
|---|---------------|---|--|----------|----|
|   |               | hemitropic elastic solids   | DOI 10.1515/gmj-2014-0024  |          |    |
| ანოტაცია  |               |   |  |          |    |
| ფაედო-გალიორკინის მეთოდის გამოყენებით გამოკვლეულია და გაანალიზებულია დინამიკის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები ჰემიტროპული სხეულებისათვის, როდესაც მხედველობაშია მიღებული ხახუნის ეფექტები.  |               |   |  |          |    |
| 3   | D.Natroshvili | Boundary value problems of elastostatics of hemitropic solids         | In: Encyclopedia of Thermal Stresses (R. B. Hetnarski, ed.), DOI 10.1007/978-94-007-2739-7 | Springer | 11 |
| ანოტაცია  |               |   |  |          |    |
| პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდოდიფერენციალური განტოლებების თეორიის გამოყენებით გამოკვლეულია ელასტოსტატიკის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები ჰემიტროპული სხეულებისთვის.   |               |   |  |          |    |
| 4   | D.Natroshvili | Mathematical problems in thermoelastostatics of hemitropic solids     | In: Encyclopedia of Thermal Stresses (R. B. Hetnarski, ed.), DOI 10.1007/978-94-007-2739-7 | Springer | 12 |
| ანოტაცია  |               |   |  |          |    |
| პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდოდიფერენციალური განტოლებების თეორიის გამოყენებით გამოკვლეულია თერმო-ელასტოსტატიკის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები ჰემიტროპული სხეულებისთვის.   |               |   |  |          |    |
| 5   | D.Natroshvili | Thermo-radiating conditions: Somigliana type integral representations | In: Encyclopedia of Thermal Stresses (R. B. Hetnarski, ed.), DOI 10.1007/978-94-007-2739-7 | Springer | 9  |
| ანოტაცია  |               |   |  |          |    |
| თერმოდრეკადობის თეორიის განტოლებებისათვის გამოყვანილია ამონახსნის ზოგადი ინტეგრალური წარმოდგენა, ჩამოყალიბებულია ზომერფედლ-კუპრადის ტიპის გამოსხივების პირობები და გამოკვლეულია ძირითადი სასაზღვრო ამოცანები პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით. |               |   |  |          |    |

|    |                                  |  |                    |                               |                 |
|----|----------------------------------|--|--------------------|-------------------------------|-----------------|
| 6* | S.Kharibegashvili,<br>O.Jokhadze | Global and blowup solutions of a mixed problem with nonlinear boundary conditions for a one-dimensional semilinear wave equation. <i>Sb. Math.</i> | Volume 205<br>No.4 | IOP Publishing<br>Bristol, UK | 573-599<br>(27) |
|----|----------------------------------|--|--------------------|-------------------------------|-----------------|

ანოტაციები

1.გამოკვლეულია ერთი შერეული ამოცანა არაწრფივი ტაღლის განტოლებისათვის ღირიხლესა და ნეიმანის ტიპის არაწრფივი სასაზღვრო პირობებით. განტოლებაში და სასაზღვრო პირობაში შემავალი არაწრფივი წევრების გათვალისწინებით შესწავლილია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხები. განხილულია აგრეთვე ფეთქებადი ამონახსნის არსებობის შემთხვევები.

|    |  |   |   |          |    |
|----|--|---|---|----------|----|
| 7* | V. Kokilashvili,<br>A. Meskhi,<br>H. Rafeiro | Grand Bochner-Lebesgue space and its associatespace | Journal of Functional Analysis<br>Vol. 266, No. 4 | Elsevier | 12 |
|----|--|---|---|----------|----|

ანოტაცია

შემოღებულია გრანდ ბოხნერ-ლებეგის სივრცე და დადგენილია მისი სტრუქტურული თვისებები. შესწავლილია ასევე მისი ასოცირებული სივრცის თვისებებიც.

|    |  |  |   |          |   |
|----|--|--|---|----------|---|
| 8* | V. Kokilashvili,<br>M. Mastylo,<br>A. Meskhi | On the boundedness of the multi-linear fractional integral operators | Nonlinear Analysis, Theory, Methods and Applications<br>Vol. 94 | Elsevier | 6 |
|----|--|--|---|----------|---|

ანოტაცია

მიღებულია აუცილებელი და საკმარისი პირობა წონაზე, რომლისთვისაც ადგილი აქვს კვალის უტოლობას მრავლადრწივი რისის პოტენციალისათვის.

|    |                  |               |                   |            |    |
|----|------------------|---------------|-------------------|------------|----|
| 9* | V. Kokilashvili, | Estimates for | Complex Variables | Taylor and | 17 |
|----|------------------|---------------|-------------------|------------|----|

|   |                                       |  |   |                    |    |
|---|---------------------------------------|--|---|--------------------|----|
|   | A. Meskhi<br>H. Rafeiro,              | nondivergence elliptic equations with VMO coefficients in generalized grand Morrey spaces                      | and Elliptic Equation<br>Vol. 59, No. 8                     | Frances            |    |
| ანოტაცია  |                                       |  |   |                    |    |
| დამტკიცებულია კალდერონ-ზიგმუნდის კომპუტატორების შემოსაზღვრულობა გრანდ მორის სივრცეებში და აღნიშნული შედეგი გამოყენებულია VMO კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებების ამონახსნების რეგულარობის შესასწავლად.   |                                       |  |   |                    |    |
| 10*   | V. Kokilashvili,<br>A. Meskhi         | Two-weight norm estimates for sublinear integral operators in variable exponent Lebesgue spaces                | StudiaScientiarum MathematicarumHungarica<br>Vol. 51, No.3  | Academiai Kiado    | 23 |
| ანოტაცია  |                                       |  |   |                    |    |
| მიღებულია ორწონიანი შეფასებები ნახევრადწრფივი ოპერატორებისათვის წონიან ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში. მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს ორწონიანი უტოლობები ჰარმონიული ანალიზის ისეთ ოპერატორებისათვის, როგორცაა მაქსიმალური ფუნქციები, სინგულარული ინტეგრალები და პოტენციალები. ნაჩვენებია, რომ ზოგიერთ კერძო შემთხვევაში მიღებული პირობები წარმოადგენენ ორწონიან კრიტერიუმებს.                                 |                                       |  |   |                    |    |
| 11*   | A. Meskhi,<br>G. Murtaza<br>M. Sarwar | A characterization of the two-weight inequality for Riesz potentials on cones of radially decreasing functions | Journal of Inequalities and Applications,<br>Vol. 2014:383. | Springer           | 20 |
| ანოტაცია  |                                       |  |   |                    |    |
| ნაპოვნია აუცილებელი და საკმარისი პირობები წონებზე, რომლებიც უზრუნველყოფს რისის პოტენციალის ოპერატორის შემოსაზღვრულობას წონიან ლებეგის სივრცეებში კლებად ფუნქციათა კონუსებზე. დადგენილი პირობები ინტეგრალური ტიპისაა და ადვილად შემოწმებადია. ამოცანა შესწავლილია პოტენციალებისათვის ნამრავლიანი გულებით. შედეგები მიღებულია ერთგვაროვან ჯგუფებზე განსაზღვრული პოტენციალებისათვის, თუმცა ახალია ეკვივალენტური სივრცეებშიც. |                                       |  |   |                    |    |
| 12*   | A. Meskhi<br>M. A.                    | On the boundedness of maximal and  | Journal of Mathematical Inequalities                        | EleMAth,<br>Zagreb | 30 |

|   |                              |   |   |         |    |
|---|------------------------------|---|---|---------|----|
|   | Zaighum                      | potential operators in variable exponent amalgam spaces                                       | Vol. 8, No. 1                                     |         |    |
| ანოტაცია  |                              |   |   |         |    |
| დადგენილია ერწონიანი კრიტერიუმი მაქსიმალური ოპერატორებისათვის ცვლადმაჩვენებლიან ამაღვამ სივრცეებში. ნაპონია აუცილებელი და საკმარისი პირობა წონაზე, რომლისთვისაც ადგილი აქვს კვალის უტოლობას რისის პოტენციალისათვის აღნიშნულ სივრცეებში. გამოკვლეულია აგრეთვე ზოგადი ტიპის ოპერატორის შემოსაზღვრულობა აღნიშნულ სივრცეებში. |                              |   |   |         |    |
| 13*   | U. Ashraf, M. Asif A. Meskhi | Kernel operators on the upper half-space: bounded-ness and compact-tness criteria             | Turkish Journal of Mathematics<br>Vol. 38, No. 1. | Tubitak | 17 |
| ანოტაცია  |                              |   |   |         |    |
| შესწავლილია წონითი ამოცანები ზედა ნახევარსივრცეში განსაზღვრული დადებითგულიანი ინტეგრალური ოპერატორებისათვის. კერძოდ დადგენილია კვალის ამოცანისა და კომპაქტურობის კრიტერიუმები. აღნიშნული ოპერატორებისათვის შეფასებულია არაკომპაქტურობის ზომაც.  |                              |   |   |         |    |
| 14  | V. Kokilashvili A. Meskhi    | One-weight weak-type estimates for fractional and singular integrals in grand Lebesgue spaces | <i>Banach Center Publications</i><br>Vol. 102     | IMPAN   | 12 |
| ანოტაცია  |                              |   |   |         |    |
| აღწერილია ორწონიანი სუსტი ტიპის უტოლობა სინგულარული ინტეგრალებისა და პოტენციალებისათვის გრანდ ლეგების სივრცეებში მაკენჰაუპტის პირობების ქვეშ.   |                              |   |   |         |    |

|   |                                 |  |                                 |   |    |
|---|---------------------------------|--|---------------------------------|---|----|
| 15*   | G.Berikelashvili , N. Khomeriki | On the convergence rate of a difference solution of the Poisson equation with fully nonlocal constraints<br><br><i>Nonlinear Analysis: Modelling and Control</i> | 2014, Vol. 19, No. 3, 367 - 381 | Vilnius University Institute of Mathematics and Informatics | 15 |
| ანოტაცია  |                                 |  |                                 |   |    |
| მართკუთხა არეში გნხილულია პუასონის განტოლება. კლასიკური სასაზღვრო |                                 |  |                                 |   |    |

პირობების ნაცვლად მოცემულია ინტეგრალური სახის შეზღუდვები კონტურის მოსაზღვრე  $\xi$  სივრცის შიგნით ზოლზე. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი სხვაობიანი სქემა. დამტკიცებულია მიმდინარეობითი ამონახსნის  $s-1$  რიგით კრებადობა, როცა დიფერენციალური ამოცანის ამონახსნი მიეკუთვნება  $s$  ( $1 < s \leq 3$ ) მანქანების წილადურ სობოლევის სივრცეს.

|     |                                   |   |                                |                           |   |
|-----|-----------------------------------|---|--------------------------------|---------------------------|---|
| 16* | Mindia Salukvadze, Guram Beltadze | Optimal Principle of Stable Solutions in Lexicographic Cooperative Games. International Journal of Modern Education and Computer Science (MECS) | Volume 6, Number 3, March 2014 | Hong Kong, MECS Publisher | 8 |
|-----|-----------------------------------|---|--------------------------------|---------------------------|---|

ანოტაცია

დექსიკოგრაფიული  $v = (v^1, v^2, \dots, v^m)^T$  კოოპერატიული თამაშისათვის შემოტანილია ნეიმან – მორგენშტერნის ამონახსნების -  $NM(v)$ , როგორც მდგრადი ამონახსნების ოპტიმალურობის პრინციპი. დამტკიცებულია  $NM(v)$ -ს არსებობის პირობები იმ შემთხვევებისათვის, როცა: 1.  $v^1$  სკალარული კოოპერატიული თამაშის  $C$ -გული  $C(v^1)$  და  $NM(v^1)$  ამონახსნები ტოლია; 2.  $v^1$  სკალარული კოოპერატიული თამაშის  $C$ -გული  $C(v^1)$  და  $NM(v^1)$  ამონახსნები განსხვავებულია.  $NM(v)$  ამონახსნების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი სახის დადგენა. დადგენილია  $NM(v)$  ამონახსნების ზოგიერთი თვისება.

|    |                                |  |   |   |   |
|----|--------------------------------|--|---|---|---|
| 17 | Pantsulaia, G.; Rusiashvili N. | On a certain version of the Erdős problem. | Georgian Int. J. Sci. Technol. 6 (2014), no. 3, 257--264. <a href="#">MR3236619</a> | Nova Science Publishers, Inc., New York | 8 |
|----|--------------------------------|--|---|---|---|

ანოტაცია

შესწავლილია ერდოსის ამოცანის ერთი ვერსია. ფრო ზუსტად, დამტკიცებულია, რომ არ არსებობს მუდმივი  $c$ , ისეთი რომ საკოორდინატო სიბრტყის ყოველი სიმრავლე რომლის გარე ზომა მეტია  $c$  -ზე, შეიცავდეს სამ ისეთ წერტილს,

რომელთა მიერ განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი ტოლი იყოს ერთის. დამტკიცებულია, რომ წინადადება “ყოველი ბრტყელი სიმრავლე რომლის გარე ზომა ტოლია  $+\infty$ -ის, შეიცავს სამ ისეთ წერტილს, რომელთა მიერ განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი ერთის ტოლია” არის დამოუკიდებელი  $(ZF) \& (DC)$  თეორიისაგან. ერდოშის ამოცანის შესწავლილია აგრეთვე უსასრულო-განზომილებიან სეპარაბელურ ბანახის სივრცეზე განსაზღვრული shy- ზომისათვის და დადგენილია, რომ ყოველი რიცხვი  $[0,1[$  ინტერვალთან წარმოადგენს ერდოშის რიცხვს. უსასრულო-განზომილებიან ჰილბერტის  $L_2$  სივრცეში აგებულია ჰაარის აზრით მასიური სიმრავლე, რომელიც არ შეიცავს სამ ისეთ წერტილს, რომელთა მიერ განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი ერთის ტოლია.

|    |  |   |   |  |    |
|----|--|---|---|--|----|
| 18 | Pantsulaia, Gogi R.; Gill, Tepper L.; Giorgadze, Givi P. | On a heat equation in an infinite-dimensional separable Banach space with Schauder basis. | <i>Georgian Int. J. Sci. Technol.</i> <b>6</b> (2014), no. 2, 149--165. <a href="#">MR3235999</a> | <i>Nova Science Publishers, Inc., New York</i> | 17 |
|----|--|---|---|--|----|

**ანოტაცია**

შაუდერის ბაზისის მქონე უსასრულო-განზომილებიან სეპარაბელურ ბანახის სივრცეში აგებულია სითბოგამტარობის განტოლების ამონახსენი. ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული ნამდვილ-მნიშვნელობიანი მიმდევრობების თვისებები გამოყენებულია ერთი ალგორითმის ასაგებად, რომელიც იძლევა შესაბამისი ამონახსენის აპროქსიმაციის საშუალებას.

|    |                                 |   |   |                                |    |
|----|---------------------------------|---|---|--------------------------------|----|
| 19 | G. Pantsulaia, M.Kintsurashvili | Why is Null Hypothesis rejected for "almost every" infinite sample by some Hypothesis Testing of maximal reliability? | <i>Journal of Statistics: Advances in Theory and Applications</i> , Volume 11, Number 1, 2014, Pages 45-70<br><a href="http://www.scientificadvances.co.in/artical/4/137">http://www.scientificadvances.co.in/artical/4/137</a> | Scientific Advances Publishers | 26 |
|----|---------------------------------|---|---|--------------------------------|----|

**ანოტაცია**

1973 წელს ქრისტენსენის მიერ და დინამიკურ სისტემებთან დაკავშირებით 1992 წელს



ჰანტის, საუერისა და იორკის მიერ ხელახლა შემოტანილი ჰაარის ნულ სიმრავლის ცნება გასული ორი დეკადის განმავლობაში წარმატებით გამოიყენებოდა განსაკუთრებული სიმრავლეების თვისებების შესასწავლად მათემატიკის ისეთ სხვადასხვა განშტოებებში, როგორცაა ანალიზი, დინამიკური სისტემები, ჯგუფთა თეორია და დესკრიპციულ სიმრავლეთა თეორია. აღნიშნულ ნაშრომში „გავრცელების“ ცნება გამოყენებულია უსასრულო შერჩევითი სტატისტიკების თვისებების შესასწავლად და იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება ნულ ჰიპოთეზის უარყოფა „თითქმის ყველა“ უსასრულო შერჩევისათვის მაქსიმალური საიმედოობის მქონე სტატისტიკური ტესტების საშუალებით. იმის ასახსნელად, რომ ჯან ნუნალის (1960) და იაკობ კოენის (1994) ჰიპოთეზები არაა საზოგადოდ მართებული უსასრულო შერჩევებისათვის, მოყვანილია სასარგებლო სიგნალის ეგრეთ წოდებული, ობიექტური და ძლიერად ობიექტური უსასრულო შერჩევითი ძალღებული შეფასებების მაგალითები წრფივ ერთ-განზომილებიან სტოქასტურ მოდელში.

|    |                              |  |   |  |    |
|----|------------------------------|--|---|--|----|
| 20 | Pantsulaia, G.; Kirtadze, A. | On Witsenhausen-Kalai constants for infinite-dimensional surface dynamical measures. | <i>Georgian Int. J. Sci. Technol.</i> <b>6</b> (2014), no. 2, 167--189. <a href="#">MR3236000</a> | <i>Nova Science Publishers, Inc., New York</i> | 23 |
|----|------------------------------|--|---|--|----|

**ანოტაცია**

განხილულია ადრინდელი შრომები, რომლებიც უკავშირდება  $n$ -განზომილებიან ერთეულოვან სფეროზე განსაზღვრული ნორმირებული ზედაპირული ზომისათვის ვიტსენჰაუზენ-კალაის კონსტანტების დადგენას. ანალოგიური ამოცანა არის შესწავლილი უსასრულო-განზომილებიანი ჰილბერტის  $L_2$  სივრცის ერთეულოვან  $S^\infty$  სფეროზე განსაზღვრული გაუსის ზომებისათვის. დამტკიცებულია, რომ ყოველი დადებითი  $\varepsilon$  რიცხვისათვის არსებობს  $S^\infty$  სფეროზე განსაზღვრული ისეთი გაუსის ზომა, რომლისთვისაც ვიტსენჰაუზენ-კალაის კონსტანტა მკაცრად ნაკლებია  $\varepsilon$  რიცხვზე.

|    |   |  |   |  |    |
|----|---|--|---|--|----|
| 21 | Pantsulaia, Gogi R.; Giorgadze, Givi P. | On a representation of the solution of a certain generalized heat equation of many variables in a multiple trigonometric series. | <i>Georgian Int. J. Sci. Technol.</i> <b>6</b> (2014), no. 2, 133--148. <a href="#">MR3235998</a> | <i>Nova Science Publishers, Inc., New York</i> | 16 |
|----|---|--|---|--|----|

**ანოტაცია**

მიღებულია მრავალი ცვლადის სითბოგამტარობის ერთი განზოგადოებული

განტოლების ამონახსენის ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივის სახით წარმოდგენა

|    |                   |   |   |  |   |
|----|-------------------|---|---|--|---|
| 22 | Pantsulaia, Gogi. | On maximal plane sets containing only the vertices of a triangle with area less than one. | <i>Georgian Int. J. Sci. Technol.</i> <b>6</b> (2014), no. 2, 113--117. <a href="#">MR3235996</a> | <i>Nova Science Publishers, Inc., New York</i> | 5 |
|----|-------------------|---|---|--|---|

**ანოტაცია**

დამტკიცებულია მაქსიმალური “მცირე” ბრტყელი სიმრავლეების არსებობა  $R^2$  სივრცეში, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ისეთი სამკუთხედის წვეროებს რომელთა ფართობი ერთზე ნაკლებია. ნაჩვენებია ასევე, რომ  $R^2$  სივრცის ყოველი მაქსიმალური “მცირე” ბრტყელი სიმრავლის ჩაკეცვა შეიცავს ისეთი სამკუთხედის წვეროებს, რომლის ფართობი ერთის ტოლია.

|    |                  |   |   |  |   |
|----|------------------|---|---|--|---|
| 23 | Pantsulaia, Gogi | A classification of non-measurable real-valued functions defined on a metric space. | <i>Georgian Int. J. Sci. Technol.</i> <b>6</b> (2014), no. 3, 249--256. <a href="#">MR3236618</a> | <i>Nova Science Publishers, Inc., New York</i> | 8 |
|----|------------------|---|---|--|---|

**ანოტაცია**

შემოტანილია დიფუზიური არანულოვანი სიგმა-სასრულო ბორელის  $\mu$  ზომით აღჭურვილ მეტრიკულ  $V$  სივრცეზე განსაზღვრულ ნამდვილ-მნიშვნელობიან ფუნქციათა ზოგიერთი კლასი და შესწავლილია მათ შორის მიმართება (ჩართვის თვალსაზრისით). კერძოდ, ნაჩვენებია, რომ როცა  $V$  პოლონური მეტრიკული სივრცეა მაშინ  $\mu$ -მასიურობა  $V$  სივრცეზე განსაზღვრულ ყველა ნამდვილ-მნიშვნელობიან უწყვეტ ფუნქციათა ტრაექტორიების გასწვრივ ექვივალენტურია  $V$  სივრცეზე განსაზღვრულ ყველა ნამდვილ-მნიშვნელობიან ზომად ფუნქციათა ტრაექტორიების გასწვრივ  $\mu$ -მასიურობის. ნაჩვენებია, რომ მიმართება ფუნქციათა შემოტანილ კლასებს შორის არსებითად იცვლება, როცა მეტრიკული სივრცე  $(V, \rho)$  არასეპარაბელურია.

|    |                                   |   |   |  |    |
|----|-----------------------------------|---|---|--|----|
| 24 | Pantsulaia, Gogi; Giorgadze, Givi | . A description of the behavior of some phase motions in terms of ordinary and standard "Lebesgue measures" in $\mathbb{R}^n$ | <i>Georgian Int. J. Sci. Technol.</i> <b>6</b> (2014), no. 4, 285--329. <a href="#">MR3236047</a> | <i>Nova Science Publishers, Inc., New York</i> | 45 |
|----|-----------------------------------|---|---|--|----|

|  |  |           |  |  |  |
|--|--|-----------|--|--|--|
|  |  | \infty\$. |  |  |  |
|--|--|-----------|--|--|--|

**ანოტაცია**

ნაშრომში მოცემულია ვტორთა მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგები. შე შედეგებია ლიუვილის ტიპის თეორემები და ისინი აღწერენ სხვადასხვა ფაზური მოძრაობის ყოფაქცევას უსასრულო-განზომილებიანი ორდინალური და სტანდარტული “ღებეგის ზომის” ტერმინებში. ამ მიმართულებით განხილულია შემდეგი სამი ამოცანა

**ამოცანა 1.** სხვადასხვა ფუნქციონალურ სივრცეში ღებეგის ზომის კერძო ანალოგების არსებობისა და ერთადერთობის ამოცანა;

**ამოცანა 2.** სხვადასხვა კერძო-წარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებით განსაზღვრული დინამიკური სისტემის აგება ფუნქციონალურ სივრცეებში;

**ამოცანა 3.** სხვადასხვა ფუნქციონალურ სივრცეში ლიუვილის ტიპის თეორემების მარტებულობის დადგენა უსასრულო-განზომილებიანი ორდინალური და სტანდარტული “ღებეგის ზომის” ტერმინებში.

|    |   |  |  |   |    |
|----|---|--|--|---|----|
| 25 | T.Gill,<br>A. Kirtadze,<br>Aleks,<br>G.Pantsulaia<br>A.Plichko, | Existence and uniqueness of translation invariant measures in separable Banach spaces. <i>Funct.</i> | <i>Functiones Et Approx. Comment. Math.</i> <b>50</b> (2014), no. 2, 401--419. <a href="#">MR3229068</a> | Faculty of Mathematics and Computer Science of Adam Mickiewicz University | 19 |
|----|---|--|--|---|----|

**ანოტაცია**

ნაჩვენებია, რომ ნამრავლი ტოპოლოგიით აღჭურვილ ვექტორულ  $R^N$  სივრცეზე განსაზღვრული იამასაკი-ხარაზიშვილის ზომის დასაშვები ბორელის იზომორფიზმების ჯგუფი საკმაოდ მდიდარია. ხარაზიშვილის მიდგომის საშუალებით დამტკიცებულია, რომ ყოველ პოლონურ ვექტორულ სივრცეზე არსებობს სიგმა-სასრული არატრივიალური ბორელის ზომა, რომელიც ინვარიანტულია ამავე სივრცის ყველგან მკვრივი ვექტორული ქვესივრცის მიმართ. ეს შედეგი აძლიერებს შაუდერის ბაზისის მქონე უსასრულო-განზომილებიანი სეპარაბელურ ბანახის სივრცეებისათვის გილის, ფანცულაიას და ზახარის მიერ მიღებულ მსგავს შედეგს. ნაჩვენებია, რომ უსასრულო-განზომილებიან პოლონურ ვექტორულ სივრცეზე განსაზღვრული ყოველი სიგმა-სასრული ბორელის ზომა, რომელიც ღებულობს ერთის ტოლ მნიშვნელობას ფიქსირებულ კომპაქტურ სიმრავლეზე და ინვარიანტულია წრფივი ქვესივრცის მიმართ, არ ფლობს ერთადერთობის თვისებას. მარკუშევიჩის ბაზისის მქონე ბანახის სივრცეზე განსაზღვრული ანალოგიური ზომების გასრულებებისათვის მსგავსი ამოცანა იხსნება დადებითად. ერთადერთობის ამოცანა გადაწყვეტილია უარყოფითად ბანახის  $X$  სივრცეზე განსაზღვრული არა-სიგმა-სასრულო სემი-ფინიტური ძვრების მიმართ ინვარიანტული ისეთი ბორელის ზომისათვის, რომელიც ღებულობს ერთის ტოლ მნიშვნელობას სტანდარტულ პარალელეპიპედზე(ე.ი., მარკუშევიჩის ბაზისით განსაზღვრულ პარალელეპიპედზე). დამატებით, ბანახის  $X$  სივრცეზე აგებულია ისეთი

$\mu_B^0$  ზომის მაგალითი, რომელიც ფლობს ძლიერი ერთადერთობის თვისებას ძვრების მიმართ ინვარიანტულ ისეთ ზომათა კლასში, რომლებიც არიან განსაზღვრული  $\mu_B^0$ - ზომად სიმრავლეთა კლასზე და რომელთა მნიშვნელობები არაგადაგვარებულ პარალელეპიპედებზე ემთხვევიან მათ მოცულობებს.

|    |                                     |   |                        |                            |    |
|----|-------------------------------------|---|------------------------|----------------------------|----|
| 26 | V. Kokilashvili and V. Paataashvili | Dirichlet and Riemann-Hilbert problems in Smirnov classes with variable exponent in doubly-connected domains. | J.Math. Sce.<br>198(6) | Springer Science, New York | 12 |
|----|-------------------------------------|---|------------------------|----------------------------|----|

ანოტაცია

გამოკვლეულია რიჰან-ჰილბერტის ამოცანა ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასში ორადბმული არის შემთხვევაში. დადგენილია ამოსხნადობის რიგი აუცილებელი და აუცილებელი და საკმარისი პირობები; მითითებულია ამონახსნის აგების გზა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დირიხლეს ამოცანას.

|    |                            |  |   |   |   |
|----|----------------------------|--|---|---|---|
| 27 | T.Jangveladze, Z.Kiguradze | Semi-Discrete Scheme for One Nonlinear Integro-Differential System Describing Diffusion Process of Electromagnetic Field | Advances in Applied and Pure Mathematics. Proceedings of the 7 <sup>th</sup> International Conference on Finite Differences, Finite Elements, Finite Volumes, Boundary Elements (F-and-B '14) | WSEAS Press<br><a href="http://www.wseas.org">www.wseas.org</a> | 5 |
|----|----------------------------|--|---|---|---|

ანოტაცია

განიხილება ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. გამოკვლეულია შესაბამისი ნახევრად-დისკრეტული სხვაობიანი სქემა. დამტკიცებულია კრებადობის თეორემა. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტები.

|    |  |   |        |   |   |
|----|--|---|--------|---|---|
| 28 | T.Jangveladze, Z.Kiguradze, G.Lobjanidze | Variational Statement and Domain Decomposition Algorithms for Bitsadze-Samarskii Nonlocal | V.2014 | International Journal of Partial Differential Equations | 8 |
|----|--|---|--------|---|---|

|   |   |   |   |   |    |
|---|---|---|---|---|----|
|   |   | Boundary Value Problem for Poisson Two-dimensional Equation   |   |   |    |
| ანოტაცია  |   |   |   |   |    |
| განიხილება ბიწაძე-სამარსკის არალოკალური სასაზღვრო ამოცანა. მოცემულია აღნიშნული ამოცანის ვარიაციული ფორმულირება. გამოყენებულია არის დეკომპოზიციისა და შვარცის იტერაციული მეთოდები. გამოკვლეულია როგორც მიმდევრობითი ასევე პარალელური ალგორითმები.  |   |   |   |   |    |
| 29  | T.Jangveladze                             | Some Properties and Numerical Solution of One-Dimensional Nonlinear Electro-magnetic Diffusion System             | Recent Advances In Appliedmathematics, Modelling and Simulation. Proceedings of the 8th International Conference on Applied Mathematics,Simulation, Modelling (ASM '14) | WSEAS Press<br><a href="http://www.wseas.org">www.wseas.org</a> | 5  |
| ანოტაცია  |   |   |   |   |    |
| განიხილება მამაქსველის ერთგანზომილებიანი არაწრფივი განტოლებათა დიფუზიური სისტემა. შესწავლილია ნახევრად-დისკრეტული გასაშუალებული ადიტიური მოდელები. აგებულია სასრულ-სხვაობიანი სქემები და მოცემულია კრებადობის თეორემები.  |   |   |   |   |    |
| 30  | T.Jangveladze, Z.Kiguradze                | On Investigation and Approximate Solution of One Nonlinear Partial Integro-Differential Equation with Source Term | Recent Advances In Appliedmathematics, Modelling and Simulation. Proceedings of the 8th International Conference on Applied Mathematics,Simulation, Modelling (ASM '14) | WSEAS Press<br><a href="http://www.wseas.org">www.wseas.org</a> | 6  |
| ანოტაცია  |   |   |   |   |    |
| განიხილება საწყის-სასაზღვრო ამოცანა შერეული სასაზღვრო პირობებით წყაროს წევრიანი ერთი არაწრფივი ინტეგრალ-დიფერენციალური განტოლებისათვის. შესწავლილია ნახევრად-დისკრეტული და სასრულ-სხვაობიანი სქემები. ყურადღება გამახვილებულია ადრე შესწავლილზე ფართო კლასის არაწრფივობებზე. ასევე განხილულია ამონახსნის არსებობის, ერთადერთობის და ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები. |   |   |   |   |    |
| 31*   | T.Jangveladze, Z.Kiguradze, M.Gagoshidze, | Stability and Convergence of the Variable   | გადაცემულია გამოსაქვეყნებლად  | International Journal of Biomathematics,                        | 24 |

|  |                |   |  |                  |  |
|--|----------------|---|--|------------------|--|
|  | M.Nikolishvili | Directions<br>Difference<br>Scheme for<br>One Nonlinear<br>Two-Dimensional<br>Model |  | World Scientific |  |
|--|----------------|---|--|------------------|--|

ანოტაცია

განიხილება ორგანზომილებიანი არაწრფივი კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. აღნიშნული სისტემით აღიწერება მცენარეთა ფოთლებში ძარღვოვანი განვითარების პროცესი. შესწავლილია ცვალებადი მიმართულების სხვაობიანი სქემა. ნაჩვენებია სივრცული და დროითი ცვლადების ბიჯების მიმართ ამ სქემის აბსოლუტური მდგრადობა. დამტკიცებულია კრებადობის თეორემა და მითითებულია კრებადობის რიგი. ჩატარებულია მრავალრიცხოვანი რიცხვითი ექსპერიმენტი. მოცემულია მიღებული რიცხვითი ექსპერიმენტების გრაფიკული ილუსტრაციები და ანალიზი.

| №   | ავტორი/<br>ავტორები                    | სტატიის სათაური,<br>ჟურნალის/კრებუ-<br>ლის დასახელება  | ჟურნალის/<br>კრებულის<br>ნომერი | გამოცემის<br>აღგილი,<br>გამომცემლობა | გვერდების<br>რაოდენობა |
|-----|--|--|---------------------------------|--------------------------------------|------------------------|
| 32* | N.<br>N.Shavlakadze,<br>A. V.Sahakyan, | Two Methods for<br>direct numerical<br>integration of the<br>Prandtl equation and<br>comprative analysis<br>between them.<br>Zhurnal Vichislitel'noi<br>Matematiki i<br>Matematicheskoi<br>Fiziki. Eng.<br>Transl.:Computational<br>Mathematics and<br>Math. Physics | Vol.54,№8,2014                  | Pleiades Publishing                  | 7                      |

ანოტაცია

განიხილება პრანდტლის ტიპის სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ორი სხვადასხვა ალგორითმი. პირველ შემთხვევაში მექანიკური კვადრატურების მეთოდით უშუალოდ იხსნება პრანდტლის განტოლება და განისაზღვრება ჰაერის ნაკადის ცირკულაცია ფრთის პროფილის კონტურის გასწვრივ. მეორე შემთხვევაში განტოლება ფორმულირდება ცირკულაციის წარმოებულის მიმართ და იგი განისაზღვრება მექანიკური კვადრატურების მეთოდით, შემდეგ კვადრატურული ფორმულებით ხდება ცირკულაციის აღდგენა. ჩატარებულია რიცხვითი ანალიზი და ორივე მეთოდისათვის ნაჩვენებია რიცხვითი პროცესის

|  |                                |   |  |   |    |
|--|--------------------------------|---|--|---|----|
| კრებადობა.   |                                |   |  |   |    |
| 33*  | N. Shavlakadze,<br>R. Bantsuri | Solutions of integro-differential equations related to contact problems of viscoelasticity<br><b>Georgian Math. Journal</b>   | 21(4), 2014.<br><br>DOI 10.1515/gmj-2014-0042    | DE GRUYTER  | 13 |
| ანოტაცია   |                                |   |  |   |    |
| <p>აგებულია ამოხსნები ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან თხელი სასრული ნახევრადუსასრულო ჩართვისა და ცოცვადობის თვისების მქონე ფირფიტის ურთიერთქმედებასთან. როდესაც ჩართვის დრეკადი და გეომეტრიული პარამეტრები მისი სიგრძის გასწვრივ იცვლებიან ხარისხოვანი კანონით, ინტეგრალური გარდაქმნებისა და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით მიღებულია ამოცანათა ზუსტი ამოხსნები.</p>  |                                |   |  |   |    |
| 34*  | N. Shavlakadze,<br>R. Bantsuri | Tte boundary value problems of electroelasticity for plate with inclusion and half space with cut.<br><br><b>Prikl. Mat. I Mekh. Eng. Transl.:Journal Appl. Math. Mech.</b> | Vol.78,№4,2014                                   | რუსეთის მეცნ. აკადემია, მექანიკის პრობლემების ინსტიტუტი,<br><br>Eng. Transl.:”Elsevier” | 12 |
| ანოტაცია   |                                |   |  |   |    |
| <p>განიხილება მექანიკური და ელექტრული ველების განსაზღვრის ამოცანა პიეზოელექტრულ სხეულებში, რომლებიც გამაგრებულია დრეკადი ჩართვებით ან შესუსტებულია ბზარით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებით დასმული ამოცანები მიყვანილია შესაბამისად სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე ან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობით. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის გამოყენებით მიღებული ინტეგრალური განტოლება დაიყვანება წრფივ უსასრულო ალგებრულ განტოლებათა სისტემაზე, რომელიც გამოკვლეულია რეგულარობაზე კვადრატით ჯამებად მიმდევრობათა სივრცეში, ინტეგრალური გარდაქმნების მეთოდის გამოყენებით კი მიღებული სინგულარული ინტეგრალური განტოლება ამოხსნილია ცხადი სახით.</p> |                                |   |  |   |    |
| 35   | N. Shavlakadze                 | The contact problem for a piecewise-homogeneous plate with  | Proceedings of VIII International Conference”The | სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული  | 5  |

|  |  |  |   |                               |  |
|--|--|--|---|-------------------------------|--|
|  |  | a finite inclusion of variable cross-section | problems of dynamics of interaction of meformable Media", 2014, 22-26 sept. | აკადემიის მექანიკის ინსტიტუტი |  |
|--|--|--|---|-------------------------------|--|

ანოტაცია

განხილება უბან-უბან ერთგვაროვანი ორთოტროპული ფირფიტა, რომელიც გამაგრებულია წამახვილებული(კუთხის) ფორმის სასრული ჩართვით, რომელიც გადის გამყოფ საზღვარზე მართი კუთხით და დატვირთულია ნორმალური ძალებით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდებით ამოცანა დაყვანილია სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე, ინტეგრალური გარდაქმნებით კი მიღებულია რიმანის ამოცანა, რომლის ამონახსნი წარმოდგენილია ცხადი სახით. განისაზღვრება ნორმალური საკონტაქტო ძაბვები კონტაქტის წირის გასწვრივ და დადგენილია მათი ყოფაქცევა სინგულარული წერტილების მახლობლობაში.

|    |                             |   |   |                   |   |
|----|-----------------------------|---|---|-------------------|---|
| 36 | M. Beriashvili, A. Kirtadze | <i>On the uniqueness property of non-separable extensions of invariant Borel measures and relative measurability of real-valued functions n</i> | Georgian Mathematical Journal, vol.29, no.1, 2014, pp. 49-57. | Walter de Gruyter | 9 |
|----|-----------------------------|---|---|-------------------|---|

ანოტაცია

დადგენილია ნამდვილ რიცხვთა ყველა მიმდევრობების სივრცეში სიგმა-სასრულო, ინვარიანტული, არასეპარაბელური, ერთადერთობის თვისების მქონე, ბორელის ზომათა ოჯახის სიმძლავრე. განხილულია ამ სივრცეში სიგმა-სასრულო, ინვარიანტული, ბორელის ზომის ყველა შესაძლო სეპარაბელური და არასეპარაბელური გაგრძელებათა კლასები და გამოკვლეულია ამ ზომათა კლასების ურთიერთდამოკიდებულება ნამდვილმნიშვნელობიანი ფუნქციის ფარდობითად ზომადობის საკითხისადმი.

|    |                             |  |   |          |   |
|----|-----------------------------|--|---|----------|---|
| 37 | T. Kasrashvili, A. Kirtadze | <i>Elementary volume from the measure-theoretical view-point</i> | Journal of Geometry vol, 105, issue 1, 2014 | Springer | 2 |
|----|-----------------------------|--|---|----------|---|

ანოტაცია

განხილულია ელემენტალური მოცულობები ზომის თეორიის თვალსაზრისით. დამტკიცებულია, რომ კოში-ჰამელის ფუნქციებს შორის არსებობს ერთი მაინც ფუნქცია, რომელიც არა ზომადია ნამდვილ რიცხვთა ღერძზე ძვრების მიმართ ინვარიანტული ყველა იმ ზომის მიმართ, რომელიც არის ლებეგის ზომის გაგრძელება.



|    |                 |  |   |                     |   |
|----|-----------------|--|---|---------------------|---|
| 38 | V. Tsutskiridze | Steady flows of conductive liquid in a rectangular channel at exis-tence of transverse magnetic field. | International scientific journal of IFTOMM "Problems of Mechanics" (Special issue International Conference "Mechanics-2014". Dedicated to the 15-th anniversary of Scientific Journal of IFTOMM "Problems of Mechanics"). Tbilisi, 2014, №2 (55), pp. 117-120, (Engl.), ISSN 1512-0740. | საქართველო, თბილისი | 5 |
|----|-----------------|--|---|---------------------|---|

**აბსტრაქტი:** სტატიაში შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის არასტაციონარული დინება მართკუთხოვან მაგნიტოჰიდროდინამიკურ მილიში, როდესაც მოქმედებს ერთგვაროვანი გარეგანი მაგნიტური ველი. მიღებულია დასმული ამოცანის ზოგადი ამონახსნი და მისი კერძო შემთხვევები.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მომხსენების სათაური                                       | ფორუმის დასახელება,<br>ჩატარების<br>დრო და ადგილი  |
|---|--------------------------------|---|--|
| 1 | D. Natroshvili                 | Regularity of solutions to mixed interface crack problems | საქართველოს მექანიკოსთა კავშირის V საერთაშორისო კონფერენცია, თბილისისი, საქართველო, 8-10 ოქტომბერი, 2014 |

|  |                                      |   |  |
|--|--------------------------------------|---|--|
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>მოსხენებაში გამოკვლეულია თერმო-ელექტრო-მაგნიტო დრეკადობის თეორიის ბზარის ტიპის შერეული ტრანსმისიის ამოცანების ამონახსნების რეგულარობა და შესწავლილის ძაბვების სინგულარობის მაჩვენებლები.</p> |                                      |   |  |
| 2  | O. Chkadua, D. Natroshvili           | Localized boundary-domain integral equations approach for problems of the theory of piezo-elasticity for inhomogeneous solids | კავკასიის მათემატიკოსთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 21-24 სექტემბერი, 2014  |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია დრეკადობის თეორიის დირიხლეს და რობინის ტიპის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები არაერთგვაროვანი სხეულებისათვის ლოკალიზებული სივრცულ-სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების მეთოდით.</p>   |                                      |   |  |
| 3  | ს. ხარიბეგაშვილი                     | დროით არალოკალური ერთი ამოცანის ამოხსნადობის შესახებ მრავალგანზომილებიანი ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით     | პროფ. ანდრია რაზმაძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში (თბილისი, 18-20 დეკემბერი, 2014 წ.) |
| 4  | ს. ხარიბეგაშვილი,<br>ბ. მიდლოდაშვილი | არალოკალური ამოცანა ნახევრადწრფივი მრავალგანზომილებიანი ტალღის განტოლებისათვის  | საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის V საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი-ბათუმი, 8-12 სექტემბერი, 2014 წ.)   |
| 5  | ო. ჯოხაძე,<br>ს. ხარიბეგაშვილი,      | პერიოდული ამოცანის შესახებ არაწრფივი ტელეგრაფის განტოლებისათვის პუანკარეს სასაზღვრო პირობით                                   | პროფ. ანდრია რაზმაძის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორკშოპი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში (თბილისი, 18-20 დეკემბერი, 2014 წ.) |

|  |                                |   |  |
|--|--------------------------------|---|--|
| 6  | ს. ხარიბეგაშვილი,<br>ო. ჯოხაძე | კუთხოვან არეებში<br>ზარემბას ტიპის ამოცანის<br>შესახებ არაწრფივი<br>ტალღის<br>განტოლებებისათვის | ივანე ჯავახიშვილის<br>სახელობის თბილისის<br>სახელმწიფო უნივერსიტეტის<br>ანდრია რაზმაძის<br>მათემატიკის ინსტიტუტის<br>სამეცნიერო<br>კონფერენცია<br>(ქ. თბილისი, 24-28<br>ნოემბერი, 2014 წ.) |
| მოხსენებათა ანოტაციები   |                                |   |  |
| 3. გამოკვლეულია ერთი დროით არალოკალური ამოცანა მრავალგანზომილებიან არაწრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა ერთი კლასისათვის, რომელთა კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ პერიოდული და ანტიპერიოდული ამოცანა. ნაპოვნია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობასა და ერთადერთობას. განხილულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ამოცანას არ გააჩნია ამონახსნი. |                                |   |  |
| 4. შესწავლილია დროით არალოკალური ამოცანა მრავალგანზომილებიანი ტალღის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით. განხილულია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები.  |                                |   |  |
| 5. ტელეგრაფის განტოლებისათვის ხარისხოვანი არაწრფივობით შესწავლილია პერიოდული ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს სასაზღვრო პირობებით. განხილულია ამონახსნის არსებობის, არარსებობისა და ერთადერთობის საკითხები.  |                                |   |  |
| 6. კუთხოვან არეში გამოკვლეულია ზარემბას ტიპის ამოცანა არაწრფივ ტალღის განტოლებათა ერთი კლასისათვის. დადგენილია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალური ამონახსნის არსებობას და ერთადერთობას. განხილულია აგრეთვე ლოკალური და ფეთქებადი ამონახსნის არსებობის საკითხები.  |                                |   |  |
| 7  | A.Meskhi                       | Two-weight criteria for Riesz potentials on cones of radially decreasing functions”             | კავკასიის მათემატიკოსთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, 5-6 სექტემბერი, 2014, თბილისი.   |
| მოხსენების ანოტაცია  |                                |   |  |
| მოხსენებაში გადმოცემულია ორწონიანი კრიტერიუმები ჯერადი პოტენციალებისათვის კვებად ფუნქციათა კლასებზე.   |                                |   |  |
| 8  | A.Meskhi                       | Multisublinear maximal operators in Banach function lattices”                                   | საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-5 საერთაშორისო კონფერენცია, 8-12 სექტემბერი, 2014, ბათუმი.   |

**მოსვენების ანოტაცია**

მოყვანილია სუსტი და ძლიერი ტიპის ორწონიანი უტოლობების კრიტერიუმები კვაზი-ამოზნეკილი ფუნქციებით გაჩენილი მრავლადნახევრადწრფივი მაქსიმალური ოპერატორებისათვის ბანახის ფუნქციურ მესერებზე. აღნიშნული ოპერატორები განაზოგადებს მრავლადნახევრადწრფივი ჰარდი-ლიტლეუდისა და წილადური მაქსიმალურ ფუნქციებს. ორწონიანი შეფასებები მიღებულია ბანახის ფუნქციურ მესერებზე გარკვეული გეომეტრიული პირობების ქვეშ.

|   |         |   |  |
|---|---------|---|--|
| 9 | ა.მესხი | დაზუსტებული მუდმივების შესახებ ჯერადი ინტეგრალური ოპერატორებისათვის | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის (კონტრაქტი ნომერი D/13-23) ფარგლებში ჩატარებული მინისიმპოზიუმი, 20 ივნისი, თბილისი |
|---|---------|---|--|

**მოსვენების ანოტაცია**

დადგენილია ზუსტი მაჩვენებელი მაკენჰაუპრის მახასიათებლებისათვის ერთწონიან უტოლობაში ჯერადი ინტეგრალური გარდაქმნებისათვის (ძლიერი მაქსიმალური ფუნქციები, ჯერადი ჰილბერტისა და რისის გარდაქმნები, ჯერადი პოტენციალები). მაკენჰაუპრის მახასიათებელი დაწერილია n-განზომილებიანი ინტეგრალების ტერმინებში. ანალოგიური ამოცანა შესწავლილია ჯერადი ცალმხრივი ოპერატორებისათვისაც.

|    |                                       |  |  |
|----|---------------------------------------|--|--|
| 10 | G. Berikelashvili,<br>B. Midodashvili | Method of corrections by higher order differences for elliptic equations with variable coefficients. | ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXVIII გაფართოებული სხდომები 22-24 აპრილი, 2014, თბილისი |
|----|---------------------------------------|--|--|

**მოსვენების ანოტაცია**

ცვლად კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებისათვის დირიხლეს ამოცანის ამოსახსნელად დაფუძნებულია ორ საფეხურიანი სასრულ სხვაობიანი მეთოდი, რომლისთვისაც დადგენილია მაღალი რიგით კრებადობა

|    |                                       |  |  |
|----|---------------------------------------|--|--|
| 11 | G. Berikelashvili,<br>B. Midodashvili | On the two-stage finite-difference method for solving of a mixed boundary value problem for the Poisson equation | საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის V საერთაშორისო კონფერენცია, 8 - 12 სექტემბერი ბათუმი, 2014, . |
|----|---------------------------------------|--|--|

|   |   |  |   |
|---|---|--|---|
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>პუასონის განტოლებისათვის განხილულია მესამე გვარის და ღირისლეს შერეულ სასაზღვრო პირობებიანი ამოცანა. მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად დაფუძნებულია სასრულ-სხვაობიანი კორექციის მეთოდი, რომელიც მაღალი რიგის კრებადობით ხასიათდება.</p> |   |  |   |
| 12  | G.Berikelashvili,<br>N.Khomeriki        | On a weak solvability of one nonlocal boundary-value problem in weighted Sobolev space | International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations (QUALITDE – 2014, December 18 - 20, 2014, Tbilisi)   |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>პუასონის განტოლებისათვის განხილულია ამოცანა, რომელიც ღირისლეს ამოცანის არალოკალურ განზოგადებას წარმოადგენს. დამტკიცებულია სუსტი ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა სობოლევის წონიან სივრცეში.</p>                                     |   |  |   |
| 13  | Sh. Tetunashvili and<br>T. Tetunashvili | On New Summability Methods with a Variable Order                                       | კავკასიის მათემატიკოსთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 5 - 6 სექტემბერი, 2014   |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>შემოტანილია ზოგიერთი ახალი ცვლადმაჩვენებლიანი შეჯამებადობის მეთოდი. ამ მეთოდებისათვის დადგენილია ორთოგონალური მწკრივების განშლადობის თეორემები.</p>   |   |  |   |
| 14  | Sh. Tetunashvili and<br>T. Tetunashvili | Uniqueness Theorems for Rademacher Series  | კავკასიის მათემატიკოსთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 5 - 6 სექტემბერი, 2014   |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>რადემახერის მწკრივებისათვის დადგენილია ისეთი თვლადი სიმრავლის არსებობა, რომელზეც კრებადობა უზრუნველყოფს ამ მწკრივების ერთადერთობას.</p>   |   |  |   |
| 15  | Sh. Tetunashvili and<br>T. Tetunashvili | შეჯამებადობის ცვლადმაჩვენებლიანი მეთოდებით განშლადი ორთოგონალური მწკრივების შესახებ    | კონფერენცია თემაზე "ჰარმონიული ანალიზისა და ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების თანამედროვე ასპექტები" საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, 20 ივნისი, 2014 წელი |

|  |                                      |   |  |
|--|--------------------------------------|---|--|
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>შემოტანილია ცვლადმაჩვენებლიანი შეჯამებადობის რამდენიმე ახალი მეთოდი. ამ მეთოდებისათვის დამტკიცებულია თეორემები ორთოგონალური მწკრივების განშლადობის შესახებ, რითაც განზოგადებულია მენშოვის სათანადო დებულება ორთოგონალური მწკრივების კერძო ჯამების განშლადობის შესახებ.</p>   |                                      |   |  |
| 16   | Sh. Tetunashvili and T. Tetunashvili | რადემახერის მწკრივების კოეფიციენტთა აღდგენის შესახებ                                | კონფერენცია თემაზე "ჰარმონიული ანალიზისა და ფუნქციათა სასახ-ღვრო ამოცანების თანამედროვე ასპექტები" საქართველოს მეცნიერე-ბათა ეროვნული აკადემია, მათემა-ტიკისა და ფიზიკის განყოფილება ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, 20 ივნისი, 2014 წელი |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>დადგენილია, რომ <math>\frac{1}{2}</math>-ზე მეტი ზომის ნებისმიერი სიმრავლე შეიცავს თვლად ქვესიმრავლეს, რომელზედაც რადემახერის მწკრივის კრებადობის პირობებში შესაძლებელია ამ მწკრივის კოეფიციენტების აღდგენა. ამრიგად დადგენილია ისეთი თვლადი ქვესიმრავლის არსებობა, რომელზეც კრებადობა უზრუნველყოფს რადემახერის მწკრივის ერთადერთობას.</p> |                                      |   |  |
| 17   | Sh. Tetunashvili                     | რადემახერის მწკრივების შესახებ  | თსუ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის კონფერენცია, 2014 წლის 24 – 28 ნოემბერი   |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>გაძლიერებულია კოლმოგოროვის თეორემა იმის შესახებ, რომ რადემახერის სისტემა არის კრებადობის ზუსტი სისტემა.</p>  |                                      |   |  |
| №  | მომსხენებელი/<br>მომსხენებლები       | მოსხენების სათაური  | ფორუმის დასახელება,<br>ჩატარების<br>დრო და ადგილი  |
| 1  | Pantsulaia Gogi                      | On Heat equation in infinite-dimensional separable Banach space with Schauder basis | Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, March 5 , 2014, Tbilisi (Georgia)   |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>შაუდერის ბაზისის მქონე უსასრულო-განზომილებიან სეპარაბელურ ბანახის სივრცეში</p>   |                                      |   |  |

აგებულია სითბოგამტარობის განტოლების ამონახსენი. ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული ნამდვილ-მნიშვნელობიანი მიმდევრობების თვისებები გამოყენებულია ერთი ალგორითმის ასაგებად, რომელიც იძლევა შესაბამისი ამონახსენის აპროქსიმაციის საშუალებას.

|    |              |   |   |
|----|--------------|---|---|
| 18 | გ. ფანცულაია | იამასაკი-ხარაზიშვილის ზომების ერთი თვისების შესახებ | ვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ნივერსიტეტის (თსუ) ილია ეკუას სახელობის ამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის (გმი) სემინარის XVIII გაფართოებული ხდომები, 22-24 აპრილი, 2014 |
|----|--------------|---|---|

მოსხენების ანოტაცია

მოსხენდა დოქტორანტ მ.კინწურაშვილის მიერ [Kintsurashvili, Murman. On a certain question of Tepper Gill. *Georgian Int. J. Sci. Technol.* **6** (2014), no. 3, 225--227] ნაშრომში მიღებული ერთი შედეგი, რომლის თანახმადაც არ არსებობს უსასრულო-განზომილებიან სეპარაბელურ ბანახის სივრცეზე განსაზღვრული იამასაკი-ხარაზიშვილის ისეთი ზომა  $\mu$ , რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობას  $0 < \int_B e^{-\pi\|x\|^2} d\mu(x) < +\infty$ .

|    |                 |   |   |
|----|-----------------|---|---|
| 19 | V. Paataashvili | The Riemann-Hilbert problem in Smirnov class with a variable exponent and an arbitrary Power weight | კავკასიის მათემატიკოსთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, საქართველო, 5-6 სექტემბერი, 2014 |
|----|-----------------|---|---|

მოსხენების ანოტაცია

მოსხენებაში მოყვანილ იქნა აღნიშნული ამოცანის ამოხსნადობის სრული სურათი სასაზღვრო წირის გეომეტრიის, სმირნოვის კლასის მაჩვენებლის და ხარისხოვანი წონის მიმართ სხვადასხვა მოთხოვნებში.

|    |                   |   |  |
|----|-------------------|---|--|
| 20 | Yuri Bezhuashvili | Solvability of the third and fourth basic three-dimensional dynamic problems in hemitropic elasticity | საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის V ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 8-12 სექტემბერი, 2014 |
|----|-------------------|---|--|

მოსხენების ანოტაცია

დრეკადობის ჰემიტროპული თეორიის ძირითადი სამგაზნომილებიანი დინამიკური მესამე და მეოთხე ამოცანების ამოხსნა.

|    |                                 |   |   |
|----|---------------------------------|---|---|
| 21 | Nika Gorgodze,<br>Ia Ramishvili | Continuity of Solution of the Quasi-Linear Neutral Functional Differential Equation with Respect to Perturbations of Initial Data and Delay Functions | საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-5 საერთაშორისო კონფერენცია, 8-12 სექტემბერი, 2014, ბათუმი |
|----|---------------------------------|---|---|

მოსხენებათა ანოტაციები

ნეიტრალური ტიპის კვაზი-წრფივი ფუნქციონალური განტოლებისათვის

$$\dot{x}(t) = \sum_{j=1}^p A_j(t)x(\sigma_j(t)) + f(t, x(\tau_1(t)), \dots, x(\tau_s(t)))$$

საწყისი პირობებით

$$x(t) = \varphi(t), \quad \dot{x}(t) = h(t), \quad t < t_0, \quad x(t_0) = x_0$$

დამტკიცებულია ამონახსნის უწყვეტად გაგრძელების თეორემები საწყისი შემოღობვის გათვალისწინებით.

|    |             |   |   |
|----|-------------|---|---|
| 22 | M. Ivanidze | Dirichlet boundary-transmission problem of thermoelastostatics for anizotropic composite structures | ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXVIII გაფართოებული სხდომები, თბილისი, 22 – 24 აპრილი, 2014 |
|----|-------------|---|---|

მოსხენების ანოტაცია

მოსხენებაში გამოკვლეულია დრეკადობის თეორიის დირიხლეს ტიპის ძირითადი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ჰემიტროპული სხეულებისათვის პოტენციალთ თეორიისა და ინტეგრალური განტოლებების მეთოდით.

|    |             |  |  |
|----|-------------|--|--|
| 23 | M. Ivanidze | Robin type boundary-transmission problem of thermoelastostatics for anizotropic composite structures | საქართველოს მათემატიკოსთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 8-12 სექტემბერი, 2014 |
|----|-------------|--|--|



|  |             |   |   |
|--|-------------|---|---|
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია დრეკადობის თეორიის რობინის ტიპის ძირითადი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ჰემიტროპული სხეულებისათვის პოტენციალთ თეორიისა და ინტეგრალური განტოლებების მეთოდით.</p>              |             |   |   |
| 24   | D. Ivanidze | Dirichlet boundary-transmission problem of thermoelastostatics for hemitropic composite structures  | ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXVIII გაფართოებული სხდომები, თბილისი, 22 – 24 აპრილი, 2014 |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>მოსხენებაში გამოკვლეულია დრეკადობის თეორიის დირიხლეს ტიპის ძირითადი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ჰემიტროპული სხეულებისათვის პოტენციალთ თეორიისა და ინტეგრალური განტოლებების მეთოდით.</p> |             |   |   |
| 25   | D. Ivanidze | Robin type boundary-transmission problem of thermoelastostatics for hemitropic composite structures | საქართველოს მათემატიკოსთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 8-12 სექტემბერი, 2014  |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია დრეკადობის თეორიის რობინის ტიპის ძირითადი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ჰემიტროპული სხეულებისათვის პოტენციალთ თეორიისა და ინტეგრალური განტოლებების მეთოდით.</p>              |             |   |   |

|   |            |  |   |
|---|------------|--|---|
| 26  | გ. ბელთაძე | კანდიდატთა რანჟირების ერთი კრიტერიუმის შესახებ | III საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია “კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება”. ბათუმი, 17,18,19 ოქტომბერი, 2014. |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია მცირერიცხოვან საკონკურსო კანდიდატთა <math>S = \{a_1, \dots, a_m\}</math> სიმრავლის რანჟირების ამოცანა მრავალი <math>K = \{k_1, \dots, k_n\}</math> კრიტერიუმების გათვალისწინებით. მოითხოვება მოცემული სიმრავლის რანჟირება პრიორიტეტების კლების მიხედვით – უპირატესობიდან უარესობისაკენ. თავიდან იგულისხმება, რომ აღნიშნული კრიტერიუმები თანაბარმნიშვნელოვანია. თუ მოითხოვება კრიტერიუმების არათანაბარმნიშვნელობა, მაშინ კრიტერიუმები რანჟირდება ლექსიკოგრაფიულად. ამოცანის გადაწყვეტას ვახდენთ ბუნების წინააღმდეგ თამაშის მოდელით. სტრატეგიები ამ შემთხვევაში საკონკურსო კანდიდატებია.</p> |            |  |   |

მაქსიმინის პრინციპით გამოითვლება პირველი მოთამაშის ოპტიმალური შერეული სტრატეგია, რომლითაც აირჩევა კანდიდატები და მისი საშუალებით განისაზღვრება თითოეული კანდიდატის მოსალოდნელი საშუალო შეფასება  $u(a_i) = x_i \sum_{j=1}^n u_{ij}$ . კანდიდატთა რანჟირებას ვახდენთ არამკაცრი უპირატესობის  $\succsim$  მიმართებით და ვიყენებთ მოსალოდნელი საშუალო შეფასების კრიტერიუმს:  $a_i \succsim a_k \Leftrightarrow u(a_i) \geq u(a_k)$ . გადმოცემულია ჩამოყალიბებული კრიტერიუმის შინაარსი და მოყვანილია შესაბამისი მაგალითები.

|    |            |  |   |
|----|------------|--|---|
| 27 | გ. ბელთაძე | ზოგიერთი ბიბლიური პერსონაჟების სტრატეგიული ურთიერთქმედების ანალიზი თამაშთა თეორიის გამოყენებით | მესამე საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”. ეძღვნება აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნას. თბილისი, 04-05 ნოემბერი, 2014. |
|----|------------|--|---|

მოსხენების ანოტაცია  
 განხილულია ორი მოთამაშის სტრატეგიული თამაში. მასში პირველი მოთამაშეა ღმერთი, ხოლო მეორე – ადამი და ევა კოლექტიური ერთი მოთამაშის როლში. ღმერთი იყენებს ორ სტრატეგიას, რომლითაც იგი ადამიანს უწევს ან არ უწევს შეზღუდვას – “არ ჭამო ედემის ბაღში ხიდან, რომელიც არის კითილისა და ბოროტის შეცნობისა”. რიგითი ადამიანი, ჩვენს შემთხვევაში მოთამაშე “ადამი და ევა” ან ითვალისწინებს ამ შეზღუდვას, ან არა. მაშასადამე გვაქვს არაანტაგონისტური სტრატეგიული თამაში, რომლის მოდელი წარმოდგენილია ნორმალური და დინამიკური სახით. მათი ანალიზი განხორციელდება ნეშის წონასწორობის პრინციპით და უკუსვლითი ინდუქციის ალგორითმით. გადმოცემულია “გაკოტრების ამოცანა” თალმუდიდან, რომელიც შეეხება ქონების განაწილების პრინციპს და ეს პრინციპი ებრაელი მათემატიკოსების დამტკიცებით წარმოადგენს მოგების სამართლიანი განაწილების პრინციპს კოოპერატიულ თამაშთა თეორიაში, სახელწოდებით  $N$ -გული, სადაც  $N$  მოთამაშეთა სიმრავლეა. განხილულია აგრეთვე თამაშის გამეორების პროცესი და მისი ანალიზი.

|    |           |  |  |
|----|-----------|--|--|
| 28 | დ.უგულავა | ლოკალურად კომპაქტურაზე ლისჯგუფებზე განსაზღვრულ ჰაარის ზომით ინტეგრებად ფუნქციათა ფურიეს ინტეგრალების სპეციალურის აშუალოების წერტილოვანი კრებადობა. | ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარი |
|----|-----------|--|--|

მოსხენებაში შესწავლილია ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე განსაზღვრულ ჰაარის ზომით ინტეგრებად ფუნქციათა ფურიეს ინტეგრალების სპეციალური საშუალოების წერტილოვანი კრებადობა.  
 შედეგები ილუსტრირებულია გარკვეული ლოკალურად კომპაქტური ჯგუფებისათვის.

|    |           |                               |             |
|----|-----------|-------------------------------|-------------|
| 29 | დ.უგულავა | On the summability of Fourier | საქართველოს |
|----|-----------|-------------------------------|-------------|

|  |                               |  |   |
|--|-------------------------------|--|---|
|  |                               | series of almost periodic functions on locally compact Abelian groups  | მათემატიკოსთა მე-5 საერთაშორისო კონფერენცია. ბათუმი.2014წ. 9-12 სექტემბერი.   |
| <p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე თითქმის პერიოდულ ფუნქციათა ფურიეს მწკრივების შეჯამებადობის საკითხი. მიღებული შედეგები ანზოგადებენ პერიოდულ ფუნქციათათვის ფურიეს მწკრივთა შეჯამებადობ ცნობილ კლასიკურ შედეგებს ლოკალურად კომპაქტური აბელის ჯგუფებისათვის.</p>  |                               |  |   |
| 30   | დ.უგულავა, დ.ზარნაძე          | A central algorithm for the calculation of Radon's inverse transform in computerized tomography.                                     | Third atlas south caucasus grid & cloud computing workshop, Tbilisi, 2014   |
| <p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ჩვენს მიერ ადრე კომპიუტერული ტომოგრაფის ამოცანასთან დაკავშირებით აგებული წრფივი განზოგადებულად ცენტრალურის პლანური აღგორით მიმოიხილეს გარკვეულ წონის სივრცეში რადონის გარდაქმნის ადასპეციალურის ფერული ფუნქციების სკალარული ნამრავლების დათვლას. კომპიუტერული ტომოგრაფის ამოცანაში, პრაქტიკულად, ცნობილი არადონის გარდაქმნის მნიშვნელობების ასრულო რადენობა წერტილებში. შესწავლილი აამონაცემების საშუალებით კომპიუტერული ტომოგრაფის ორგანზომილებიან აღგორითში შემავალი სკალარული ნამრავლების მიახლოებით გამოთვლის საკითხი.</p> |                               |  |   |
| 31   | T.Jangveladze, M.Kratsashvili | Asymptotic Behavior of Solution and Semi-discrete Difference Scheme for one Nonlinear Integro-Differential Equation with Source Term | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXVIII გაფართოებული სხდომები 22-24 აპრილი, თბილისი, საქართველო |
| <p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განიხილება წყაროს წვერიანი ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია მაქსველის ცნობილ მოდელზე. გამოკვლეულია, როგორც საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას, ასევე ნახევრად-დისკრეტული სხვაობიანი სქემა.</p>   |                               |  |   |
| 32   | T.Jangveladze, Z.Kiguradze    | Semi-Discrete Scheme for One Averaged System of Nonlinear Integro-Differential Equations   | კავკასიელ მათემატიკოსთა I კონფერენცია, 5, 6 სექტემბერი, თბილისი, საქართველო   |
| <p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განიხილება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის აღმწერი</p>  |                               |  |   |

წყაროს წევრებიანი ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემა. გამოკვლეულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია მაგნიტური ველის ორკომპონენტიანი, ერთგანზომილებიანი და ხარისხოვანი არაწრფივობის შემთხვევა. შესწავლილია შესაბამისი დისკრეტული ანალოგები.

|    |                             |   |  |
|----|-----------------------------|---|--|
| 33 | T.Jangveladze, M.Gagoshidze | On Numerical Solution of One Nonlinear Multi-Dimensional System of Partial Differential Equations | საქართველოს მათემატიკოსთა V ყოველწლიური კონფერენცია, 8-14 სექტემბერი, ბათუმი, საქართველო |
|----|-----------------------------|---|--|

მოხსენების ანოტაცია  
 განიხილება მცენარეთა ფოთლებში ძარღვოვანი განვითარების აღმწერი ერთი სისტემის მრავალგანზომილებიანი ანალოგი. გამოკვლეულია ცვალებადი მიმართულების სხვაობიანი სქემა და ნაჩვენებია მისი აბსოლუტურად მდგრადობა და კრებადობა.

|    |               |   |  |
|----|---------------|---|--|
| 34 | T.Jangveladze | Some Properties of Solutions and Approximate Algorithms for One System of Nonlinear Partial Differential Equations. Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations | International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations (QUALITDE-2014), dedicated to the 125 birthday anniversary of Prof. A. Razmadze, 18-20 December, Tbilisi, Georgia |
|----|---------------|---|--|

მოხსენების ანოტაცია  
 განიხილება ერთი არაწრფივი მოდელი, რომელიც დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე. გამოკვლეულია სხვადასხვა სახის საწყის-სასაზღვრო ამოცანები. ნაჩვენებია, რომ საზოგადოდ ამოცანას არ გააჩნია გლობალური ამონახსნი. განხილულია ფიზიკური პროცესების მიმართ გახლეჩის დეკომპოზიციური ალგორითმები. დამტკიცებულია კრებადობის თეორემები რიგების მითითებით. ჩატარებულია რიცხვითი ეხპერიმენტები.

|    |                  |   |   |
|----|------------------|---|---|
| 35 | R. Gachechiladze | Unilateral Contact Problems with Friction Arising along the Normal, V International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi 8-12 September (2014) | V International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi 8-12 September (2014) |
|----|------------------|---|---|

განხილულია დრეკადობის თეორიის სტატიკის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ერთგვაროვანი ჰემიტროპული სხეულებისათვის ხახუნის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში ხახუნის ძალა წარმოიქმნება არა სხეულის მხები მიმართულებით, არამედ ნორმალის მიმართ-თულებით გადაადგილებისას. განიხილება ორი შემთხვევა, კოერციტიული (როდესაც სხეული საზღვრის ნაწილით ჩამაგრებულია) და

არაკოერციტიული (საზღვარი არ არის ჩამაგ-რებული) შემთხვევა. სტეკლოვ-პუანკარეს ოპერატორის მეშვეობით სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ეკვივალენტურად დაიყვანება სივრცით ვარიაციულ უტოლობაზე. ვარიაციულ უტოლობათა ზოგად თეორიაზე დაყრდნობით დამტკიცებულია სუსტი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. აგრეთვე, კოერციტიულ შემთხვევაში, ამონახსნის ამოცანის მონაცემებზე უწყვეტად დამოკიდებულების საკითხი. ამ შემთხვევაში ამოცანა ამოხსნადია უპირობოდ, ხოლო არაკოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით იწერება ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა, რომელიც გარკვეულ დამატებით შეზღუდვებში წარმოადგენს საკმარის პირობასაც.

|  |              |  |                                |
|--|--------------|--|--------------------------------|
| 36   | ნ. შავლაყაძე | The boundary value problems of electroelasticity for piezo-electric half space with cut or elastic inclusion. ქართველ მათემატიკოსთა კონფერენცია(CMC I) | 5-6 სექტემბერი, 2014, თბილისი  |
| <p style="text-align: center;">მოსხენების ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია ელექტროდრეკადობის თეორიის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები პიეზოელექტრული ნახევარსივრცისათვის ჭრილით ან ცვლადი სიხისტის მქონე დრეკადი ჩართვით. ამოცანები შესაბამისად დაყვანილია სინგულარულ ინტეგრალურ ან ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებზე უძრავი სინგულარობით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიისა და ინტეგრალურ გარდაქმნების გამოყენებით მიღებულია რიმანის სასაზღვრო ამოცანა, რომელიც გამოკვლეულია და რომლის ამონახსნი წარმოდგენილია ცხადი სახით.</p>            |              |  |                                |
| 37   | ნ. შავლაყაძე | ბლანტიდრეკადობის საკონტაქტო ამოცანების ამოხსნა დრეკადი ჩართვის მქონე ფირფიტისათვის. საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-5 საერთაშორისო კონფერენცია   | 8-10 ოქტომბერი, 2014, თბილისი. |
| <p style="text-align: center;">მოსხენების ანოტაცია</p> <p>აგებულია ეფექტური ამოხსნები ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისა, რომელიც დაკავშირებულია ბლანტიდრეკადობის საკონტაქტო ამოცანებთან ცოცვადობის თვისებების მქონე თხელი დრეკადი სასრული ჩართვისა და ბრტყელი ფირფიტის ურთიერთქმედების შესახებ. გამოკვლეულია ანალიზურ ფუნქციათა თეორიის შესაბამისი სასაზღვრო ამოცანები და დადგენილია უცნობი საკონტაქტო ძაბვების ყოფაქცევა დრეკადი ჩართვის ბოლოების მახლობლობაში, როდესაც ჩართვის სისქე იცვლება პარაბოლური და წრფივი კანონით</p> |              |  |                                |
| 38   | ნ. შავლაყაძე | ელექტროდრეკადობის სასაზღვრო ამოცანა ბზარის მქონე პიეზოელექტრული  | 22-24 აპრილი, 2014, თბილისი.   |

|  |              |   |  |
|--|--------------|---|--|
|  |              | ნახევარსივრცისათვის. <b>თსუ</b><br><b>ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი</b><br><b>მათემატიკის ინსტიტუტის</b><br><b>XXVIII გაფართოებული</b><br><b>სემინარის სხდომები.</b>  |  |
| მოხსენების ანოტაცია  |              |   |  |
| გამოკვლეულია ელექტროდრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანა პიეზოელექტრული ნახევარსივრცისათვის ჭრილით. ამოცანა დაყვანილია სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებაზე უძრავი სინგულარობით. შესწავლილია მიღებული რიმანის ამოცანა და დადგენილია ბზარის გახსნის ფუნქციის ყოფაქცევა სინგულარულ წერტილებში.  |              |   |  |
| 39   | ნ. შავლაყაძე | ბლანტიდრეკადობის თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის შესახებ. <b>თსუ</b><br><b>ა. რაზმაძის მათემატიკის</b><br><b>ინსტიტუტის სამეცნიერო</b><br><b>კონფერენცია</b>   | 24-28 ნოემბერი, 2014,<br>თბილისი   |
| მოხსენების ანოტაცია  |              |   |  |
| განიხილება ბლანტიდრეკადობის საკონტაქტო ამოცანები ცოცვადობის თვისების მქონე ფირფიტისა და თხელი დრეკადი ნახევრადუსასრულო ჩართვის ურთიერთქმედების შესახებ. ჩართვის გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრები(სიხისტე) იცვლება ხარისხოვანი კანონით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანების(კარლემანის ტიპის გადაადგილებიანი ამოცანის) და ინტეგრალური გარდაქმნების გზით მიღებულია ამოცანათა ზუსტი ამოხსნები. |              |   |  |
| 40   | ა. კირთაძე   | ადიტიური ფუნქციების ზომადობის თვისებები   | ა. რაზმაძის სახელობის ინსტიტუტის კონფერენცია,<br>24-28 ნოემბერი, 2014,<br>თბილისი                                |
| მოხსენების ანოტაცია  |              |   |  |
| გადმოცემული იყო ადიტიური ფუნქციების ისეთი თვისებების განზოგადება, რომლებიც დაკავშირებულია ასეთი ფუნქციების ზომადობის საკითხებთან. აღნიშნული იყო პარადოქსალური სიმრავლეებისა და სიმრავლურ-თეორიული მეთოდების გამოყენების შესახებ ფუნქციების ზომადობის საკითხების კვლევაში.  |              |   |  |
| 41   | ჯ.ფერაძე     | ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრალ-დიფერენციალური განტოლების მიღებისა და მიახლოებითი ამოხსნის შესახებ<br><a href="http://conference.ens-2014.tsu.ge/lecture/update/404">http://conference.ens-2014.tsu.ge/lecture/update/404</a> | თსუ მეორე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 29 იანვარი-3 დეკემბერი, თბილისი, 2014 |

|  |                        |   |  |
|--|------------------------|---|--|
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია სიმის, ძელისა და ფირფიტის ზოგიერთი განტოლების ამოხსნის პროექციული, სხვაობიანი და იტერაციული მეთოდები. გარსის განტოლებათა სისტემიდან გამოყვანილია ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება განივი დეფორმაციის ფუნქციის მიმართ.</p>   |                        |   |  |
| 42   | ჯ.ფერაძე               | <p>მიახლოებითი მეთოდი სიმეტრიულია დატვირთული ფირფიტისათვის</p> <p><a href="http://www.viam.science.tsu.ge/geo/enlrg">http://www.viam.science.tsu.ge/geo/enlrg</a></p>   | <p>ი.ვეკუას სახ.თსუ გმი სემინარის XXVIII გაფართოებული სხდომა, თბილისი, 22-26 აპრილი, 2014</p>      |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია ტიმოშენკოს არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა სიმეტრიული ფირფიტისათვის. გრინის ფუნქციის გამოყენებით მოცემული სისტემიდან გამოყოფილია არაწრფივი ინტეგრალური განტოლება განივი გადაადგილების <math>w</math> ფუნქციის მიმართ, რომლის ამოსახსნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და იაკობის იტერაცია. შეფასებულია იტერაციული პროცესის ცდომილება.</p> |                        |   |  |
| 43   | J.Peradze, Z.Tsiklauri | <p>On the convergence of an iteration method for a nonlinear static beam equation</p> <p><a href="http://www.euro-math-soc.eu/cmc/Program/Program_CMC.pdf">http://www.euro-math-soc.eu/cmc/Program/Program_CMC.pdf</a></p>                    | <p>Caucasian Mathematics Conference, CMC-1, September 5-6, 2014, Tbilisi</p>                       |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>სტატიკური ძელისათვის კირჰოფის ტიპის არაწრფივი ინტეგრალური განტოლების ამოსახსნელად გამოყენებულია მარტივი იტერაციის მეთოდი. შესწავლილია მეთოდის კრებადობის პირობები და შეფასებულია სიზუსტე.</p>  |                        |   |  |
| 44   | J.Peradze              | <p>An equation for transverse displacement in a nonlinear problem of plate vibration</p> <p><a href="http://www.euro-math-soc.eu/cmc/Program/Programs_CMC_Batumi.pdf">http://www.euro-math-soc.eu/cmc/Program/Programs_CMC_Batumi.pdf</a></p> | <p>V International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi, September 8-12, 2014</p> |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>დინამიური ფირფიტისათვის ვლასოვ-დონელის არაწრფივ განტოლებათა სისტემიდან გამოყოფილია კირჰოფის ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება განივი გადაადგი-</p>  |                        |   |  |

|   |           |  |  |
|---|-----------|--|--|
| ღებების ფუნქციის მიმართ.  |           |  |  |
| 45  | J.Peradze | The error of a solution of a non-linear static beam problem<br><br><a href="http://tsu.edu.ge/data/file_db/PR/Programa.pdf">http://tsu.edu.ge/data/file_db/PR/Programa.pdf</a> | საქართველოს მექანიკოსთა კავშირის V საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 8-10 ოქტომბერი, 2014 |
| <p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია არაწრფივი დიფერენციალური განტოლება სტატიკური ძელისათვის ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია ვარიაციული მეთოდი და ნიუტონის იტერაცია. დამტკიცებულია თეორემა ალგორითმის სრული ცდომილების შესახებ.</p> |           |  |  |

|  |                 |  |  |
|--|-----------------|--|--|
| 46   | J.Peradze       | An equation for transverse displacement in a nonlinear problem of shell vibration<br><br><a href="http://publications.lib.chalmers.se/publication/202188">http://publications.lib.chalmers.se/publication/202188</a> | 14 <sup>th</sup> European Mechanics of Materials Conference-EMMC14, Gothenburg, Sweden, August 27-29, 2014   |
| <p>მოსხენებათა ანოტაციები</p> <p>დინამიური გარსისათვის ვლასოვ-დონელის არაწრფივ განტოლებათა სისტემიდან მიღებულია კირპოვის ტიპის არაწრფივი ინტეგრალ-დიფერენციალური განტოლება განივი გადაადგილების ფუნქციის მიმართ.</p> |                 |  |  |
| 47   | V. Tsutskiridze | Steady flows of conductive liquid in a rectangular channel at existence of transverse magnetic field.  | International Scientific Conference "MECHANICS 2014"(that is dedicated to the 15-th anniversary of Scientific Journal of IFTOMM "Problems of Mechanics"). Tbilisi, 2014, June 19-21, Georgia |
| <p><b>აბსტრაქტი:</b> სტატიაში შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის არასტაციონარული</p>  |                 |  |  |



დინება მართკუთხოვანი ფორმის მილიში, როდესაც მოქმედებს გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. მიღებულია დასმული ამოცანის ზოგადი ამონახსნი და მისი კერძო შემთხვევები.

|    |  |   |  |
|----|--|---|--|
| 48 | J. Sharikadze, V. Tsutskiridze, L. Jikidze | The conducting liquid flow between porous wells with heat Transfer. | V International conference of the Georgian Mathematical Union, Batumi, 2014, September 8-12, Georgia. Book of Abstracts, p. 155. |
|----|--|---|--|

**აბსტრაქტი:** შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის პულსაციური დინება ფოროვან კედლებს შორის, როდესაც მოძრაობს მართობულად მოდებულია გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. მიღებულია მაგნიტოჰიდროდინამიკის განტოლებათა სისტემის ამონახსნები კონკრეტულ შემთხვევებში. გამოთვლილია სითხის ფიზიკური მახასიათებლები.

|   |                             |  |  |
|---|-----------------------------|--|--|
| 3 | L. Jikidze, V. Tsutskiridze | Unsteady rotation problem on infinite porous plate in the conducting fluid with account heat transfer in case of variable electroconductivity and injection velocity | V Annual Meeting of the Georgian Mechanical Union, Tbilisi, 2014, October 8-10, Georgia. Book of Abstracts, p.16 |
|---|-----------------------------|--|--|

**აბსტრაქტი:** მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით შესწავლილია გამტარ სითხეში უსასრულო ფოროვანი ფირფიტის ბრუნვის არასტაციონარული ამოცანა მაგნიტური ველისა და სითბოგადაცემის გათვალისწინებით ცვლადი ელექტროგამტარებლობის შემთხვევაში. დინამიკური და სითბური სასაზღვრო ფენათა სისქეების განსასაზღვრავად მიღებულია შესაბამისი დიფერენციალური განტოლებები და ჩაწერილია მათი ზუსტი ამონახსნები ზოგიერთ კერძო შემთხვევაში, როდესაც გამოუონვის სიჩქარე იცვლება სხვადასხვა კანონით. გამოთვლილია დინების ყველა ფიზიკური მახასიათებელი.

| №  | მოხსენებები/ მომხსენებლები | მოხსენების სათაური  | ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი   |
|----|----------------------------|---|---|
| 49 | ავთანდილ გაჩეჩილაძე        | <i>An Alternative Monotonicity Method in Quasi-Variational Inequalities,</i><br><br>V International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi 8-12 September (2014) | V International Conference of the Georgian Mathematical Union, Batumi 8-12 September (2014) |

მეორე რიგის სკალარული ელიფსური კოერციტიული ორადწრფივი ფორმისთვის  $L^\infty$  კოეფიციენტებით განხილულია ვარიაციული უტოლობები როგორც ცალმხრივი ისე ორმხრივი წინააღობებით. წინააღობები შეიძლება იყოს საზღვარზეც და არეშიც. ორმხრივი უტოლობებისთვის ნაპოვნია გარკვეული ტიპის მონოტონური დამოკიდებულებები ამონახსნსა და მონაცემებს შორის (ე. წ. „ენერგეტიკული მონოტონურობა“). შედეგები გამოყენებულია ორმხრივი კვაზივარიაციული უტოლობების კვლევაში. განხილულია ორი შემთხვევა: I - ზედა და ქვედა სასაზღვრო წინააღობას აკლდება ერთიდაიგივე არაცხადი წინააღობა და II - ქვედა წინააღობას აკლდება და ზედა წინააღობას ემატება სხვადასხვა სასაზღვრო არაცხადი წინააღობები (განსხვავებით ადრე განხილული შემთხვევისა როდესაც ეს წინააღობები ერთიდაიგივე იყო). ორივე შემთხვევაში არაცხადი ე.ი., ამონახსნზე დამოკიდებული წინააღობები მსგავსია სინიორინის არაცხად ამოცანაში არსებული წინააღობის. I შემთხვევაში დამტკიცებულია ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა, ხოლო II შემთხვევაში ამონახსნის არსებობა, ხოლო ერთადერთობა გარკვეულ პირობებში. ორივე შემთხვევაში ამონახსნის ერთადერთობის პირობებში დამტკიცებულია ამონახსნის მდგრადობა, მისი აპროქსიმაცია ვარიაციული უტოლობების ამონახსნებით ზრდადი და კლებადი იტერაციული პროცესების აგების საშუალებით. ასევე, ამ იტერაციული პროცესებისთვის შეფასებულია ნაშთითი წევრები.

ყველა ეს შედეგი სამართლიანია მაშინაც, როდესაც ორმხრივ კვაზივარიაციულ უტოლობებში სასაზღვრო წინააღობების მაგივრად გვაქვს წინააღობები არეში, დირიხლეს ან ნეიმანის პირობით საზღვარზე.

ბ) უცხოეთში

| № | მომხსენებელი/<br>მომხსენებლები | მომხსენების სათაური  | ფორუმის დასახელება,<br>ჩატარების<br>დრო და ადგილი  |
|---|--------------------------------|--|--|
| 1 | D. Natroshvili                 | Mixed Impedance Transmission Problems for Vibrating Layered Elastic Bodies | The 13 <sup>th</sup> International Conference on Integral Methods in Science and Engineering, IMSE-2104, 21-25 July, 2014, Karlsruhe Institute of Technology, Karlsruhe, Germany |

მოხსენების ანოტაცია

გამოკვლეულია ტრანსმიისის მდგრადი რხევის ამოცანები იმპედანსური სასაზღვრო პირობით ფენოვანი დრეკადი სხეულებისათვის.

|   |                |   |  |
|---|----------------|---|--|
| 2 | D. Natroshvili | Regularity of solutions to mixed interface crack problems | ICM 2014 - International Congress of Mathematicians, August 13-21, 2014, Seoul, South Korea. |
|---|----------------|---|--|

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია დრეკადი სხეულების მექანიკის მოდელების შერეული სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების რეგულარობის თვისებები სინგულარული წირების მიდამოში და დადგენილია მთავარი სინგულარობების რიცხვითი მახასიათებლების მატერიალურ მუდმივებზე დამოკიდებულების საკითხები.

|   |                |   |  |
|---|----------------|---|--|
| 3 | D. Natroshvili | Regularity properties of solutions to mixed interface crack problems of thermo-electro-magneto-elasticity | 10th International Workshop Direct and Inverse Problems on Piezoelectricity, September 21-24, 2014, Vienna, Austria. |
|---|----------------|---|--|

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია თერმო-ელექტრო-მაგნიტო დრეკადობის თეორიის შესაბამისი მოდელის შერეული და ბზარის ტიპის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების რეგულარობის თვისებები სინგულარული წირების მიდამოში და გამოკვლეულია ძაბვების სინგულარობების რიცხვითი მახასიათებლების მატერიალურ მუდმივებზე დამოკიდებულების საკითხები.

